

როლანდ თოფჩიშვილი

ქართლი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

ქ ა რ თ ღ ი

ექვეყნება პროფესორების დევი ბერძენიშვილისა და
ჯონდო გვახალიას ხსოვნას

თბილისი
2021

ქართლი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა, რომელმაც დასაბამი მისცა ქვეყნის საერთო სახელწოდებას – ჯერ ყოველი ქართლი და შემდეგ – საქართველო. წიგნში პასუხი გაცემულია კითხვაზე: რატომ მაინცდამაინც ქართლმა მისცა სახელწოდება ქართველთა ერთიან ქვეყანას და საერთო ენდოეთნონიმს – ქართველი? წიგნში საუბარია ქართლის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, დახასიათებულია როგორც შიდა ქართლის, ისე ქვემო ქართლის ყველა ხეობა. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ქართლელთა ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე. წიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ ისტორიკოსებისა და ეთნოლოგებისათვის, არამედ მათთვის, ვისაც საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ეთნოისტორიული პრობლემები აინტერესებს.

რედაქტორები:

**ნათია ჯალაბაძე
ჯუმბერ კოპალიანი
გიორგი ჭეიშვილი**

ISBN 978-9941-490-96-5

შესავალი

საქართველოს ყველაზე დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა **ქართლი**. ქართლი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც აერთიანებდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ სხვადასხვა მხარეს. ქართლში, როგორც პოლიტიკურ ერთეულში სხვა ეთნოგრაფიული მხარეებიც შედიოდა და მასში მცხოვრებნი ყველანი *ქართველებად* იწოდებოდნენ. „ქართველმა“ კი სახელი მისცა *საქართველოს*. ქართლს დასავლეთიდან იმერეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია, სამხრეთით – სომხეთისა და ნაწილობრივ აზერბაიჯანის რესპუბლიკები ესაზღვრება. აღმოსავლეთიდან ქართლს კახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონთან აქვს საზღვარი. ამავე დროს, ქართლს ჰქონდა თავისი მთისწინეთისა და მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (*ჭართალი, ხანდო, მთიულეთი, ხევი, გუდამაყარი* და *დვალეთი*, აგრეთვე ისტორიული *ცხრაძმა* და *მადრან-დვალეთი*). ქართლი სამ – *შიდა ქართლის, ქვემო ქართლის* და *ზემო ქართლის* – ერთეულად იყოფოდა, რომლებიც ასევე მათთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული რეალიებით ხასიათდებოდა. შიდა ქართლი ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავს, ქვემო ქართლი კი – მის სამხრეთ ნაწილს. უფრო ადრე ქართული წყაროებით შიდა ქართლის სახელწოდება „ზენა სოფელი“ იყო, ქვემო ქართლის შესატყვისი კი – „ქვენა სოფელი“. რაც შეეხება ზემო ქართლს, მას მესხეთიც ეწოდებოდა (პოლიტიკური „სამცხე-საათაბაგო“) და ის საქართველოს მთელ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთს ფარავდა, ამასთან, ეთნოგრაფიულ ქართლად არ მოიაზრებოდა. გვიან შუა საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც საქართველომ ქვეყნის სამ-

ხრეთ-დასავლეთი ნაწილი დაკარგა, სახელწოდება „ზემო ქართლი“ შიდა ქართლის დასავლეთ მონაკვათზე გავრცელდა.

ისტორიული ტრადიციით სახელწოდება **ქართლი** მომდინარეობს ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის, **ქართლოსის** სახელისაგან¹. ამ საისტორიო ტრადიციით, თავდაპირველად ქართლი ერქვა ქართლოსის პირველ-საცხოვრისის მთას, დღევანდელი მცხეთის სიახლოვეს, რომელიც შემდეგ *არმაზის მთისა* და *არმაზის სალოცავის* სახელით იყო ცნობილი. აღნიშნულ გეოგრაფიულ პუნქტზე გადიოდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეთა დამაკავშირებელი უმოკლესი გზები. ქართულ ისტორიოგრაფიაში ის მოსახრებაც არსებობს (ნ. ბერძენიშვილი), რომ ქართის ტომის თავდაპირველი საცხოვრისი ქვემო ქართლი იყო. ძვ. წ. IV საუკუნეში ქართლის ჰეგემონობით ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფო, რომლის საერთო სახელწოდება „ქართლი“ იყო (ბერძნულ-ლათინური წყაროების „იბერია“). მოგვიანებით, დაახლოებით X საუკუნიდან ქვეყნის აღმნიშვნელი ახალი ტერმინი – „საქართველო“ წარმოიქმნა, რადგან ერთმანეთის პარალელურად არსებობდა **ეთნოგრაფიული ქართლი** და **ქართლის სახელმწიფო**, რომელიც ეთნოგრაფიული ქართლის გარდა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. სწორედ ამ უკანასკნელს (და არა ეთნოგრაფიულ ქართლს) გულისხმობს *ვიორგი მერჩულე* საყოველთაოდ ცნობილ ფორმულაში: *„არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ვამი შეიწირვის და ღოცვად ყოველი აღესრულების“*. ესაა საისტორიო წყაროებში გამოყენებული ორი სიტყვის შეხამება „ყოველი ქართლი“. ასე რომ, ტერმინ „საქართველოს“ წარმოქმნამდე, ამ ფუნქციას ორი სიტყვისაგან შედგენილი *ყოველი ქართლი* ასრულებდა. ორსიტყვიანი ქვეყნის

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 4.

სახელწოდება კი არაპრაქტიკული იყო, რამაც ენა ბუნებრივად ერთსიტყვიანი სახელწოდების – *საქართველო* – წარმოქმნამდე მიიყვანა.

ნიშანდობლივია, რომ VIII საუკუნის დასაწყისში ატენის სიონის ფრესკული წარწერით, სტეფანოს III მამფალი (711–739) „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი“-ა. ქართლი მხოლოდ შიდა და ქვემო ქართლს არ ერქვა – როგორც აღვნიშნეთ, ქართლი იყო მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოც. დღემდე მეცნიერებს ყურადღება არ მიუქცევიათ *კლარჯეთის* (ლიგანის ხეობის) ერთი სოფლის სახელისათვის – *ქართლა*, რომელიც თითქმის მთელ კლარჯეთს გადაჰყურებს. ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოყვანილი და მეფედ დასმული აზო ხომ აქედან, *არ(ს)ინ-ქართლიდან* ანუ კლარჯეთიდან იყო. ვფიქრობთ, ეს მრავლისმეტყველი ტოპონიმი. შედარებისათვის იმ მაგალითის მოყვანაც საკმარისია, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სახელწოდება – კლარჯეთი – იქაური ქართველების მეხსიერებას აღარ შემორჩა (განსხვავებით შავშეთისაგან), სამაგიეროდ კლარჯეთში არის სოფელი, რომელსაც „კლარჯეთი“ ჰქვია.

მხარის/ქვეყნის სახელწოდება *ქართლი* უდავოა, მართლაც, ტოპონიმიდან წარმოიქმნა, რომელიც თანდათანობით გაურცვლდა ქართლებით დასახლებულ მთელ მიწა-წყალზე. მეცნიერებაში არა ერთი ფაქტია ცნობილი, როდესაც ერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდება თანდათან იქცევა ქვეყნის სახელწოდებად. ამას კი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთობა განაპირობებდა. ასე რომ, ეთნოსის წარმოქმნა და ქვეყნის სახელწოდების და შესაბამისად ეთნონიმის გაჩენა სრულიადაც არაა ერთმანეთის პარალელური მოვლენა. ეთნოგენეზი ყოველთვის წინ უსწრებდა საერთო სახელწოდების წარმოქმნას.

რადგანაც ეთნოგენეზი ვახსენეთ, ორიოდე სიტყვით ქართველთა ეთნოგენეზის ჩვენი შეხედულების შესახებ

ბაც უნდა ითქვას, რომელიც განსხვავდება აქამდე არსებულისაგან. ფაქტია, რომ ქართული ეთნოსი/ქართველი ერი, ისე როგორც დედამიწაზე არსებული ყველა ხალხი, ორიგინალური სტრუქტურისაა; ის საკუთრივ ქართულ ენაზე (სალიტერატურო, საღვთისმეტყველო, სახელმწიფო ენაზე) მოლაპარაკეთა გარდა, აერთიანებს აგრეთვე მეგრულ (ზანურ) და სვანურ მეტყველებებზე მოლაპარაკე ჯგუფებს. მიიჩნევა და ჭეშმარიტებაა, რომ ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ერთობებს საერთო წინაპარი ჰყავდათ და შესაბამისად ისინი ერთ საერთო ენაზე მოლაპარაკე ერთობასაც წარმოადგენდნენ. შემდეგ მოხდა საერთო ქართველური ენის დიფერენციაცია – ჯერ სვანური გამოეყო მას, შემდეგ კი მოხდა ამ საერთო ენის მეგრულ-ჭანურ და ქართულ ენებად გათიშვა. ოღონდ ამ შეხედულების მომხრენი ვერ თანხმდებიან ენის დიფერენციაციის პერიოდებში და ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ თარიღებს გვთავაზობენ (ესეც ბუნებრივია, რადგან არ არსებობს ამ ქრონოლოგიის დამადასტურებელი წყარო). მიიჩნევენ, რომ შემდეგი ეტაპი იყო ე. წ. ქართიზაცია, რასაც იმით ხსნიან, რომ ქართველი (ხელოვნურად შექმნილი ტერმინია; არსად ეს სიტვა არც ერთ წყაროში არაა დადასტურებული!) ახდენენ როგორც მეგრულ-ჭანების (ზანების), ისე სვანების „ქართიზაციას“ ანუ ასიმილაციას და რაც, თურმე, ამ ქართველის ექსპანსიის შედეგი იყო. ქართიზაციის დამადასტურებელ ერთ-ერთ საბუთად მათ მოაქვთ მთელ შიდა ქართლში, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში არსებული ტოპონიმები, რომლებიც იხსენება ზანურითა და სვანურით.

მიგვაჩნია, რომ თავდაპირველ ქართულთან (ქართველურთან), ანუ წინარექართულთან ყველაზე ახლოს იდგა ზანური (მეგრულ-ჭანური), და არა ის ენა, რომელსაც სალიტერატურო ქართული დაეყრდნო. ამ ენაზე მოსაუბრენი ცხოვრობდნენ არა მარტო დასავლეთ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც გვიან მეგრულ-ჭანური იყო გავრცელებული, არამედ იმ ტერიტორიაზეც, სადაც მოგ-

ვიანო პერიოდში სვანურად და ქართულად მეტყველნი ცხოვრობდნენ, ჭოროხისა და მტკვრის სათავეების ჩათვლით. რას უნდა გამოეწვია საერთოქართველური ენის დიფერენციაცია, ქართულის დანარჩენ ტერიტორიებზე გავრცელება, მაგალითად, გურიაში, იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, აჭარაში, სამხრეთ საქართველოში? კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ **ქართიზაციას ანუ ე. წ. ქართვების ექსპანსიას გამოვრიცხავთ, რადგან ქართლს ამის დემოგრაფიული რესურსი არასდროს ჰქონდა. ენობრივი დიფერენციაცია, ჩვენის აზრით, იყო გამომწვეული ინდოევროპული ტომების განფენით/დაფენებით წინარექართველთა, საერთო ქართველური ენის მატარებელთა განსახლების არეალში.** ცნობილა, რომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ბევრია ინდოევროპული ლექსიკა. ინდოევროპული ლექსიკური ერთეულები არაა დადასტურებული მეგრულ-ჭანურსა და სვანურში. ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში დადასტურებულია ბევრი ზანიზმი, განსაკუთრებით, ტოპონიმები. ქართლსა და სამხრეთ საქართველოში ზანური ტოპონიმების არსებობის სხვა გზა არ არსებობს – ეს ტოპონიმები იმ დროსაა შექმნილი, როდესაც ადგილობრივი ავტოქტონი მოსახლეობა თავდაპირველ ქართველურ ენაზე საუბრობდა, რომელიც გვიანდელ/ახლანდელ ზანურთან იდგა ძალიან ახლოს. აგრეთვე კოლხური არქეოლოგიური კულტურა შიდა ქართლსაც მოიცავს. ეს ორი ფაქტი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: 1. საერთოქართველური ყველაზე ახლოს იდგა მეგრულ-ჭანურთან; 2. საერთოქართველური ენის გაყოფა (და არა, პირიქით, ზანურისა) მოხდა ინდოევროპული ენების შერევის შედეგად. იქ, სადაც ინდოევროპელებმა მოახერხეს საერთო-ქართველურ ერთნიკური ერთობის ტერიტორიაზე გავრცელება, მივიღეთ უკვე განსხვავებული ენა – ქართული, ხოლო ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო, სადაც ვერ შეადწიეს, დარჩა ფაქტობრივად ხელუხლებლად საერთოქართველური მეტყვე-

ლება. ეს იყო ზანებისა და შემდეგდროინდელი სვანების განსახლების არეალი. არსებული შეხედულებით სვანური მეტყველება საერთოქართველურს ყველაზე ადრე გამოეყო. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს ყველაფერი პირიქითაა: ყველაზე გვიან ის ფორმირდა¹.

ამრიგად, წიგნის – „ქართლი“ – შესავალში ქართველთა ეთნოგენეზის ზოგიერთ შტრისზე მსჯელობა დაგვიჩინდა იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, რომ ქართველთა წინაპრების, ყველა ქართველის განსახლების არეალი თავდაპირველად იყო თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ტერიტორია, რომ ქართველთა თანამედროვე ეთნიკური სტრუქტურა ჩამოყალიბებულია არა ერთი რომელიმე პუნქტიდან „ქართების“ ექსპანსიის გზით, არამედ სხვა ფაქტორების გამო. წიგნში იმის შესახებაც არის საუბარი, რომ ამ ენობრივი დიფერენციაციის შემდეგ რატომ იქცა ქართლი საქართველოს ცენტრად და რატომ გახდა ქართლში მეტყველთა ქართული საერთოქართულ, სახელმწიფო, სალიტერატურო, საღვთისმეტყველო ენად.

¹ დაწვრილებით იხ: რ. თოფჩიშვილი. ახალი თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ (თეზისური ვარიანტი). – კრ.: გამონჩენილი მეცნიერი და მასწავლებელი მიხეილ გეგეშიძე – 100, თბ., 2018: 78-94.

I. ზოგადად ქართლის შესახებ

ისტორიული ქართლის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე უპრიანია ყველასათვის ცნობილი ფაქტი გავისენოთ, რომ დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქართლი მოიცავს ხაშურის, ქარელის, გორის, ცხინვალის, ზნაურის (ყორნისის), ჯავის, ახალგორის, კასპის, მცხეთის, დუშეთის (არამთლანად – ფშავის და ხევსურეთის და არაგვის ხეობის დაბლობის მარცხენა ნაწილის გამოკლებით), თეთრიწყაროს, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტებს.

ისტორიულად ქართლი სამ ერთეულად იყოფოდა – *შიდა ქართლი, ქვემო ქართლი* და *ზემო ქართლი*. ვახუშტი ბაგრატიონი ზემო ქართლს უწოდებს ტერიტორიას ტაშისკარიდან ვიდრე შავ ზღვამდე, ე. ი. შემდეგდროინდელ პოლიტიკურ სამცხე-საათაბაგოს ანუ მესხეთს, რომელიც თავის მხრივ მთელი რიგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისაგან შედგებოდა. აი, რას წერს ვახუშტი: „ხოლო ქვეყნისა ამის სახელი არს ქართლი ამისთვის, რამეთუ არს წილივე ქართლოსისა, და მისგანვე ეწოდა ქართლი და შემდგომად სიკუდილისა მისისა, საქართლო ანუ საქართველო, და იწოდება დღემდეცა ეგრეთვე. არამედ, **ჟამითი-ჟამად შეეძინენ სახელნი მრავალნი განყოფილებისაგან და აღვილებთა განყოფისათვის.** ... ამან მცხეთოს უწოდა ტფილისს და არაგვის დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშისკარამდე, შიდა ქართლი და ტაშისკარსა და ფანვარის დასავლეთს ზღვამდე უწოდა ზემო ქართლი“¹. ასე რომ, თავდაპირველად ქართლის სამი ნაწილი არსებობდა. შიდა ქართლსა და ქვემო ქართლთან ერთად, არსებობდა ზემო ქართლიც, რო-

¹ ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1977, გვ. 121.

მელიც შემდეგ მთელ რიგ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად დაიყო. თუმცა, გვიან შუა საუკუნეებში ქართლის გეოგრაფიულ ერთეულთა ეს სახელდება შეიცვალა. იმის გამო, რომ ზემო ქართლი, ანუ მთელი სამხრეთი, ქვეყანას მოსწყდა და ის სხვა სახელმწიფოს (ოსმალეთის იმპერიის) შემადგენლობაში აღმოჩნდა, სახელწოდება „ზემო ქართლი“ დაერქვა შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილს. აქვე აუცილებლად უნდა ისიც აღინიშნოს, რომ თავდაპირველად შიდა ქართლის სახელწოდება ზენა ქართლი/„ზენა სოფელი“ იყო. ასე რომ, მთელ რიგ ფაქტორთა ერთობლიობით ქვეყნის ამა თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული/ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების საზღვრები და, შესაბამისად, სახელწოდებაც იცვლებოდა ხოლმე, ზოგჯერ კი, ძირითადად სახელწოდებასთან ერთად, პარალელური სახელწოდებაც ჩნდებოდა – მაგალითად, ქვემო ქართლს ენაცვლებოდა „სომხთ-საბარათიანო“ (სტარაბონისა და სომხური წყაროების თანახმად, ქვემო ქართლს მისი მიმდებარე სამხრეთი ტერიტორიებით **გოგარენე/გუგარქი** ეწოდებოდა).

ვახუშტის აღნიშნული კონცეფცია გასაზიარებლად მიგვაჩნია. ქართული საისტორიო ტრადიციით, არსებობდა „არიან-ქართლიც“. საინტერესო ცნობაა დაცული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, რომლის ცნობები ქართველ მეცნიერთა მიერ აღქმული იყო, როგორც ქართველთა ისტორიული სამშობლოდან მიგრაცია-გადმოსახლება, რომ ქართველთა ჩამოყალიბება მოხდა არა აქ, თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ სამხრეთით, იქ, სადაც „არიან-ქართლის“ ქვეყანა არსებობდა. *ლეონტი მროველი* საქართველოს სამეფოს (მაშინდელი ტერმინოლოგიით – „ქართლის სამეფოს“) შეკვრა-შეკავშირებას *ფარნავაზს* უკავშირებს. თუმცა, იქამდე მისი შემკვრელი იყო არიან-ქართლის მეფის ძე აზო (აზონი); ეს პროცესი სწორედ მან დაიწყო. მცხეთაში მისი შემოსვლა აღექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებთანაა დაკავშირებული: „...და თანაყვანდა აღექსან-

დრე მეფეს აზოი, ძე არიან-ქართლის მეფისაი, და მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას ჰერეთიც, და ეგრისწყალი, და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა. ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა და წამოიყვანნა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანაჰყვანდეს კერპნი ღმრთოდ – *გაცი* და *გაიბ*. და ესე იყო პირველი მეფე მცხეთასა შინა აზოი, ძე არიან-ქართველთა მეფისა და მოკუდა¹.

ერთგვარად განსხვავებული ცნობა აქვს „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ახალი რედაქციის ავტორს *არსენ ბერს* (XII საუკუნე), რომლის მიხედვით, აზომ არიან-ქართლიდან მოიყვანა არა რვა, არამედ ათასი სახლი „მდაბიოთა უფლისა“ და ათი სახლი „მთავართაგან“. ნიშანდობლივია, რომ აზოს „არიან-ქართლიდან“ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან) თან მოჰყავს დასაყრდენი ძალა და მოაქვს სათემო (რეგიონალური, ლოკალური) ღვთაებები *გაცი* და *გაიბ*. ისინი მალევე საერთ-ქართულ ღვთაებებად იქცნენ, რადგან ფარნავაზი და მისი გუნდი, რომლებიც მცხეთიდან (შიდა ქართლიდან) აზოს და მის მომხრეებს აძევებენ, გაცის და გაიმს ხელს არ ახლებენ, ისევე ტოვებენ. სხვა შემთხვევაში, აზოს მიერ მოყვანილ ქართველებთან ეს ერთგვარი დაპირისპირება იქნებოდა. თუმცა ფარნავაზი ახალ კერპსაც – „არმაზს“ ქმნის (თუ საერთო ქართულ ღვთაებად აქცევს მცხეთის სალოცავს). *გ. მელიქიშვილის* სიტყვით რომ ვთქვათ: ეს ორი ჯგუფი ეროვნული ღმერთებისა (*გაცი-გაიმ*, *არმა-ზადენი*), ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირველსაცხოვრისიდან მომდინარე ქართველ ტომთა ტალღას შეესაბამება. ამა-

¹ ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963: 81-82.

თავან არმა და ზადენის სახელები აქ, ჩანს, ხეთურ-მცირეაზიული სამყაროდან *მუშქებმა (მესხებმა)* მოიტანეს¹.

ქართველ მეცნიერთა ნაწილს ისე ესმის, რომ ქართველები სამხრეთიდან („არიან ქართლის“ ქვეყნიდან) მოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე (ვ. მელიქიშვილი, *ო. ლორთქიფანიძე*). „ამ ცნობის მიხედვით, *ალექსანდრე მაკედონელმა* ქართლის დაპყრობის შემდეგ ... აქ გამგებლად დატოვა არიან-ქართლის მეფის ძე აზო, რომელმაც შემდეგ ში არიან-ქართლიდან გადმოასახლა თავისი თანამემამულენი. ამ უკანასკნელთა შთამომავლები არიან ქართველები. ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ქართველები ავტოქტონი მოსახლეობა კი არ ყოფილა, არამედ გადმოსახლებული სხვა საქართველოდან „არიან ქართლიდან“. აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება, სამხრეთ ქართული რაიონები, მოქცეული აქემენიანთა ბატონობის ქვეშ“².

უფიქრობთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში არავითარ სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოსახლებაზე და ქართველთა პირველსაცხოვრის ქვეყანაზე არაა საუბარი. **წყაროს ავტორი არსად ამბობს, რომ „არიან ქართლი“ ერთადერთი ქართლი იყო, რომ სხვა ქართლი არ არსებობდა, მოსულ აზოს აქაც ქართველები ხვდებიან. ავტორი არიან-ქართლზე იმიტომ საუბრობს, რათა ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ აქაური ქართლის გარდა, სხვა ქართლიც არსებობდა. აღმოსავლეთ საქართველოში მაშინ რომ ქართლი არ არსებულებოდა, სამხრეთით მდებარე ქართლს წინ მსაზღვრელ „არიან“-ს არ დაუსვამდა. მოსულ აზოს აქაც ქართველები ხვდებიან. გასაზიარებლად მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომ „ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს მიწა-წყალზე ორი დიდი პოლი-**

¹ ვ. მელიქიშვილი. ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 675.

² ვ. მელიქიშვილი. ქართველთა წარმომავლობა. – საქართველოს ისტორია, I, თბ., 2006, გვ. 26.

ტიკური გაერთიანება არსებობდა. ერთი, როგორც ქართული წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უწოდებს, იყო „არიან ქართლი“, ხოლო მეორე – ცენტრალური ქართლი, რომელიც მცხეთის შემოგარენში მდებარეობდა. რაც შეეხება „არიან-ქართლს“, იგი ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მიწებს მოიცავდა; „არიანი“ ძველ სპარსულად „ირანს“ ნიშნავდა და ამდენად „არიან-ქართლი“ უნდა გავიგოთ, როგორც „ირანის ქართლი“. სრულიად სამართლიანად ვარაუდობენ, რომ „არიან-ქართლი“, ისტორიული საქართველოს ის ტერიტორია უნდა იყოს, რომელიც აქემენიანთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ზემოთ ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ აქემენიანთა მეფის დარიოსის (ძვ. წ. 521-485 წწ.) დროს, ჰეროდოტეს თქმით, იმპერიის მე-18 და მე-19 სატრაპიებში შედიოდნენ ქართველური ტომები: *სახპრები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები*. დასახელებული ტომები ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში სახლობდნენ და მათ შორის წამყვან ძალას, უთუოდ, მესხური მოდგმის მოსახლეობა წარმოადგენდა¹.

თვალსაზრისი, რომ „არიან-ქართლში“ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო იგულისხმება, *გიორგი მელიქიშვილს* ეკუთვნის; ის მასში კონკრეტულად კლარჯეთს გულისხმობდა. ჩვენ კი **მიგვაჩნია, რომ „არიან-ქართლში“ მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო – ჭორხის აუზი მთლიანად და მტკვრის ხეობის ზემო წელი (კოლა, არტაანი, ჯავახეთი, სამცხე) იგულისხმება. „არიან-ქართლი“ სხვა არაფერია თუ არა იგივე „არსიან-ქართლი“, არსიანის ქედი, რომლის სიგრძე 150 კილომეტრია, მთავარი წყალგამყოფი ქედია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჭოროხისა და მტკვრის აუზებისა. არსიანის გრძელი ქედიდან, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებითაა გადაჭიმული, თითქმის მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო კონტროლდე-**

¹ ვ. ვაშაკიძე, დ. პაიჭაძე. ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბ., 1990, 21-22.

ბა. თავდაპირველად წყაროში სწორედ „არსიან-ქართლი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც ფონეტიკური ცვლილების ანდა გადამწერის უნებლიე შეცდომით „არიან (არ(ს)იან)-ქართლად“ გაფორმდა. ეს განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ „არსიან-ქართლი“ ირანის (არანის, არიანის) იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, ართვინთან ახლოს, დღესაცაა სოფელი ქართლა, საიდანაც შავშეთისა და კლარჯეთის დიდი ნაწილი ჩანს და რომლის მკვიდრნიც დღესაც ქართულად მეტყველებენ. ანალოგიური ტოპონიმი მტკვრის ხეობის ზემო წელში, არტაანის „ქვეყანაშიც“ არსებობდა (მთა „ქართლი“ ზღვის დონიდან 2.521 მეტრზე არსებობდა კოლასა და არტაანს შორის). ეს იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსაც ოდესღაც ქართლი ეწოდებოდა. სხვათა შორის, აქვე ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება – კლარჯეთი იყო; თვით ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის სახელწოდება – კლარჯეთი კი ადარავის ახსოვს. მიგვაჩნია, რომ ქართველთა ტერიტორიული ერთეულის სახელწოდება „ქართლი“ სწორედ კლარჯეთის მხარეში წარმოიქმნა და შემდეგ ტერიტორიის სახელწოდება (ქართლი) გავრცელდა ქართველთა განსახლების დანარჩენ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნიც ქართლელად იწოდნენ. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ დედამიწაზე წარმოქმნილ არც ერთ ეთნოსს საერთო სახელწოდება არ ჰქონდა. საერთო სახელწოდება ერთი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლებს უჩნდებოდათ საკმაოდ მოგვიანებით, იმ დროს, როდესაც ეთნოსის შიგნით პოლიტიკური წარმონაქმნები ან და მისი ჩანასახები იწყებდნენ ფორმირებას. ქართული ეთნოსის სახელწოდებაც ასე გაჩნდა. ისიცაა შენიშნული, რომ ეთნოსებს თვითსახელწოდება ხშირად რომელიმე ტოპონიმსაგან უჩნდებოდა, იმ ტოპონიმისაგან, რომელიც ამა თუ იმ ეთნოსის ცენტრში იყო გეოგრაფიული

თვალსაზრისით ან, რომელიც პოლიტიკური ერთეულის ცენტრს წარმოადგენდა. ვრცელ ტერიტორიაზე განფენილ ეთნოსს შემდეგ, დროთა განმავლობაში, დანაყოფები უჩნდებოდა და ასეთი დანაყოფები უფრო იმ შემთხვევაში წარმოიქმნებოდნენ, როდესაც ის მრავალფეროვან გეოგრაფიულ ლანდშაფტში იყო განსახლებული.

წყაროში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **აზო/აზონი არიან-ქართლის (სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ქართლის) მეფის ძე იყო**, ე. ი. ქართველთა განსახლების ამ არეალში უკვე არსებობდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი (სამეფო). ფაქტობრივად აზოს მცხეთაში დასმით მოხდა ქართლის ორი ნაწილის გაერთიანება ერთ პოლიტიკურ ერთეულში. კითხვა ისმის: ძველი საბერძნეთის ინტერესს რატომ წარმოადგენდა ქართლის ყველა ნაწილის გაერთიანება და მეფის დასმა მცხეთაში? – იმიტომ, რომ შიდა ქართლი თავის ცენტრით, მცხეთით, საგზაო მაგისტრალზე მდებარეობდა, საიდანაც გზა მიემართებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელი კარისაკენ (დღევანდელი *დარიალი*) და საიდანაც ახლო აღმოსავლეთის ცივილიზებული საზოგადოება ევრაზიის სივრცეში მოხეტიალე ბარბაროსი ნომადების შემოსევებს განიცდიდა.

აღნიშნულის შედეგად მოხდა ქართლელთა განსახლების არეალში სამი ერთეულის წარმოქმნა: **ზემო ქართლი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი**. ზემო ქართლელებს თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე მიზიდულობა ჰქონდათ შიდა ქართლისაკენ, ხშირი იყო მიგრაცია. ამ პროცესებს კი მიზეზთა ერთობლიობა განაპირობებდა (სასაზღვრო ზოლთან ახლოს ცხოვრება, შავშეთ-კლარჯეთის, ერუშეთის ლანდშაფტი და აქედან გამომდინარე სამიწათმოქმედო პროდუქტების დეფიციტი, საძოვრების სიმცირე...). ლანდშაფტმა, ბუნებრივ-გეოგრაფიულმა ფაქტორებმა განაპირობა ქართლის დიდ პროვინციაში შეღარებით მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული და, შესაბამისად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების//მხარეე-

ბის წარმოქმნა. ზემო ქართლში წარმოიქმნა შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ერუშეთი, კოლა, არტაანი, ჩრდილი/პალაკაციო, სამცხე, თორი, ჯავახეთი. შიდა ქართლში ასეთი მხარეები ძირითადად მთასა და მთისწინეთში ჩამოყალიბდა: ხევი (ადრინდელი წანარეთი), ხადა, ცხავატი, ჭართალი, ხანდო, ცხრაძმა, დვალეთი. აქვე ცალკე გამოიყოფოდა გაღმა-მხარი, რომელიც მტკვრის გაღმა მხარს, ანუ მარცხენა, სამხრეთ სანაპიროს მოიცავდა. ისტორიული ზემო ქართლის ჩამოცილების შემდეგ, ამ სახელწოდებამ შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილზე გადაინაცვლა. შიდა ქართლივე დაყოფილი იყო ხევების/ხეობების მიხედვით მიკროერთეულებად: ფრონეების ხეობა (*ფცის ფრონე, დვანის ფრონე, აღის ფრონე და სურამის წყალი*), ღიახვის ხეობა, მეჯუდას ხეობა, ლეხურას ხეობა, ქსნის ხეობა, არაგვის ხეობა (მარჯვენა მხარე, დაბლობში – ბაზალეთის „ქვეყანა“), საციციანო, ატენის ხეობა, სკრის ხეობა, ხოვლის ხევი, თეძმის ხევი, კავთის ხევი, ნიზბურა, დიდმის ხევი... ეს უკანასკნელი დღეს თბილისში (დიდმის მასივში) უერთდება მტკვარს, რომლის პარალელურად ჩამომავალი ვერეს ხევი ანუ სკვირეთი, რომელიც ასევე თბილისში (გმირთა მოედანთან) უერთდება მტკვარს უკვე ქვემო ქართლს ეკუთვნის. ასე რომ, საქართველოს დედაქალაქი შიდა და ქვემო ქართლის საზღვარზე მდებარეობს, თუმცა თანამედროვე თბილისი კახეთის ტერიტორიასაც მოიცავს (გლდანი, ავჭალა...). გარდა ვერეს ხეობისა, ქვემო ქართლი მოიცავდა აგრეთვე ალგეთის, მაშავერას, ფოლადაურის, ბოლნისის, ფინეხაურის, ქციის, დებედას, ბერდუჯის და სხვა წვრილ ხევებს.

ქართლში და, საერთოდ, საქართველოში ტერიტორიული ერთეულების წარმოქმნა ხევების/ხეობების გაერთიანების შედეგად მოხდა. კვლავ ვიმეორებთ, ქვემო ქართლიც და შიდა ქართლიც ხეობების ერთობლიობას წარმოადგენდა, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოსდა ერთმანეთისაგან მოწყვეტილი იყვნენ, მაგრამ სინამდვი-

ლემი, პირიქით, ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული, და არა მარტო ცალ-ცალკე ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის ხეობები, არამედ ამ ორივე რეგიონის ხეობები ერთმანეთისაგან გამყოფი თრიალეთის ქედის საშუალებით. მეცნიერები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე „ხევების“ სისტემის ჩამოყალიბებას ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ვარაუდობენ. „ხევი“ ეს არის უძველესი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, რომელიც წარმოიქმნა ბარშიც და მთაშიც. ისინი „სოფელთა“ ერთობლიობას წარმოადგენდნენ და ქმნიდნენ, როგორც სოციალურ ერთობებს (ტომი, თემი), ასევე ერთიან ეკონომიკურ კომპლექსებსაც, რომლებიც ბარში ერთ საირიგაციო სისტემაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ერთეულებს შეადგენდნენ“¹.

¹ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები. – დავით მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიკაციები, თბ., 2014, გვ. 89.

II. ქვემო ქართლი (ხეობები, მცირე ტერიტორიული ერთეულები)

ქვემო ქართლი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ ნაწილში; ის მოიცავს ალგეთისა და ქცია-მაშავერა-ბერდუჯის აუზებს და მტკვრის ხეობას გატეხილ (წითელ) ხიდამდე. ქვემო ქართლის ჩრდილოეთი საზღვარი თრიალეთის ქედს გასდევს, შესაბამისად, ეს შიდა და ქვემო ქართლის საზღვარიცაა. ქვემო ქართლს სამხრეთიდან სომხეთი ესაზღვრება. *ვახუშტი ბაგრატიონს* ქვემო ქართლში შეჰყავს *თრიალეთიც* (თანამედროვე წალკის მუნიციპალიტეტი), თუმცა გეოგრაფიულ-ღანშაფტური ფაქტორიდან გამომდინარე ის ფაქტობრივად განცალკევებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე იყო. ჟამთააღმწერელი თრიალეთს ქართლისაგან განცალკევებულ მხარედ მიიხნევდა: „და ვინათგან მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა. ამისთვის იშლებოდა ქუეყანა ქართლისა, და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო და **აოკრებდა ქართლსა, თრიალეთსა**, და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკუდრთა ქართლისათა“¹. ძირძველი მოსახლეობის გაწყვეტის გამო ერთგვარად ჭირს ამ მხარის ეთნოგრაფიული რეალიების დახასიათება. როგორც ჩანს, მას ამ მხრივ ბევრი საერთო უფრო *ჯავახეთთან* ჰქონდა. სწორედ თრიალეთის საშუალებით ხდებოდა ქართლისა და სამხრეთ საქართველოს ერთმანეთთან დაკავშირება. ამ მხარის მთელი ტერიტორიის 2/3 მთებსა და ხეობებს უჭირავს; 1/3 – დაბლობია. „აქ უდიდესია მტკვრისპირა ზოლი (მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე), სადაც გაშლილია სოღანლულისა და კოდა-კუმისის მინდვრები, ალგეთის, ქციის, ყარაიაზისა და ყაზახის ველები. აქვე უნდა აღინიშნოს წაღკა-თრიალეთის, ბაშკიჩეთ-გომარეთის პლატოები, რომლებიც 1.200-2.000 მ-მდე

¹ ქართლის ცხოვრება, ტომი II, თბ., 1959, გვ. 316.

სიმაღლეზეა გაშლილი, ხოლო მის ირგვლივ აღმართული მწვერვალების უმრავლესობა 2.500-3.000 მ-მდე აღწევს¹. ხეობათა დიდი ნაწილი ტყითაა დაფარული, ხოლო როგორც ბარის, ისე ზეგნის ველები უტყეოა. ქვემო ქართლში მტკვრის მიმდინარე ყველა ხევი მას მარჯვნიდან ერთვის. ძველი დროიდანვე ისინი სარწყავად გამოიყენებოდა. აღმოსავლეთ ნაწილის მშრალი სტეპები მორწყვას საჭიროებდა. ამიტომ, ადრიდანვე ის საზამთრო საძოვრებად გამოიყენებოდა. ამ ფაქტმა გვიან შუა საუკუნეებში განაპირობა აქ თურქულენოვანი მესაქონლე ტომების დასახლება. დიდი სიციხის გამო, ეს თურქმანული ტომები ზაფხულში იალაღებზე გადადიოდნენ. ქვემო ქართლის ველებში მემინდვრეობასაც მისდევდნენ. ვახუშტის სიტყვებით, აქ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, ბამბა, სელი, „ხოლო კანაფი უმუშაკოდ მოდიოდა“. მორწყვა აუცილებელი იყო. ამიტომაც მდინარეთა ქვემო წელი არხებით იყო დაქსელილი. მოსულმა თურქულენოვანმა ტომებმა მისი გამოყენება დაიწყეს და ერთ-ერთ მათგანს ისინი „გიაურ-არხ“-საც უწოდებდნენ².

ქვემო ქართლის ველები ხეობათა ფართო ჭალებში გადადის, საიდანაც იწყებოდა ვენახილიანი ზონა, რომელიც ხეობათა თითქმის შუა დინებამდე (დაახლ. 1.050 მ-მდე) აღწევდა. აქ რომ მევენახეობა-მეღვინეობა ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა, ამას მატერიალური კულტურის ისეთი ნაშთების სიმრავლე ადასტურებს, როგორიცაა *მარან-საწნახლები* და *ქვევრები*. მთელ ქვემო ქართლში გამომარჩევდნენ ბოლნურ ღვინოს. ქვემო ქართლს შიდა ქართლთან შედარებით ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა და აქვს. აქ მცენარის ვეგეტაცია თითქმის მთელი თვით ადრე იწყებოდა და თბილისის ბაზრებს ბოსტნეულითა თუ ხილით ისინი ამარაგებდნენ. ბუნებრივი

¹ დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბ., 1979: 7.

² დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბ., 1979, გვ. 10.

პირობების გამო, ქვემო ქართლებს ზოგიერთი მცენარეული კულტურა ორჯერ მოჰყავდათ. მთისწინა ზოლში ერთმანეთთან იყო შეთნაწყობილი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

ქვემო ქართლის ხეობების შუა დინებაზეა მთისწინა ზოლი; აქ თანაბრად იყო გავრცელებული მიწათმოქმედება (მევენახეობის გარეშე) და მესაქონლეობა. მესამე ზონა უკვე მაღალმთიან პლატოებსა და ალპური საძოვრების უტყეო მწვერვალებს უკავია. მიწათმოქმედება მთიან ზოლში უკვე საკმაოდ შეზღუდული იყო – მოჰყავდათ მხოლოდ მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი და შვრია). განვითარებული იყო მეფუტკრეობა და სელის ზეთის წარმოება. ძველი დროიდანვე ქვემო ქართლის ამ მთიანი რეგიონის საძოვრებით არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობდა, არამედ ზაფხულობით აქ ცხვარს აძოვებდნენ შიდა ქართლები, ქართველი მთიელები და კახელები. *დავით მუსხელიშვილმა* ყურადღება მიაქცია იმას, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქისათვის სამეფო და სამონასტრო ფარები „ცხურისა მთასა და ბარს... დგეს და იარებოდის“, ხოლო სამეფო ნახირი, „თრიალეთის მთასა... და... მათსა საფურესა მუხრანს დგეს“. „შესანიშნავი დოკუმენტია XII საუკუნეში შიდა ქართლისა, და თრიალეთის ეკონომიკური ურთიერთობის საილუსტრაციოდ“¹.

ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ აღნიშნავს ქართლის მთისა და ბარის სიახლოვეს, მეურნეობის ვერტიკალური ზონალობის დაახლოებას – მთიდან ბარში და პირიქით, კაცი შეიძლება 2, 3, 6 საათში გადაადგილებულიყო. ქვემო ქართლი ამ სიახლოვის კლასიკური მაგალითი იყო. ამას *ივანე ჯავახიშვილი* საგანგებოდ შეეხო და აღნიშნა, რომ ამ ფაქტით (მეურნეობის ზონების

¹ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები. – დავით მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიკაციები, თბ., 2014, გვ. 85.

სიახლოვით) იყო გამოწვეული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთიანობები¹. ქვემო ქართლის განვითარებაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სიახლოვეს, რადგან, თბილისის ირგვლივ მდებარე სოფლებთან ერთად, ის სხვადასხვა პროდუქტებით ამარაგებდა დედაქალაქს.

ქვემო ქართლს საქართველოს ისტორიაში სხვა მხრივაც ეკავა განსაკუთრებული ადგილი; მხარე მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით – ქვის სამტეხლოებს რომ თავი დავანებოთ, სხვადასხვა ხეობაში მოიპოვებდნენ ოქროს, ვერცხლს, ტყვიას, სპილენძს, რკინას (რკინის წარმოებაზე ტოპონიმებიც მიუთითებს: *სარკინე ხევი*, ორი სოფელი *სარკინეთი*, *მდინარე ფოლადაური*). წიაღისეულის მოპოვება ქვემო ქართლში რომ მუდმივად ხდებოდა, ამას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ქვემო ქართლის ადრინდელი მოსახლეობის გაქრობამ ფაქტიურად მოსპო რკინის მოპოვებისა და დამუშავების, იარაღის კეთების ტრადიცია. ამ ტრადიციის არსებობის შესახებ, არქეოლოგიურ მონაპოვართან, ტოპონიმებთან ერთად, ფოლკლორული მასალებიც მოწმობს: „წინაპართ ასე უთქმიათ, // ძველთაგან ნადასტურია, // რომ ალგეთისა მიდამო // მთელ ქვეყნის სამჭედურია, // ამა ამბისა მოწმეა // ინდო, მისრი და ურია, // თუ სადმე ხმალი მძლეობდეს, // უსიტყვოდ აქაურია“². აღნიშნული დარგის მაღალ დონეზე არსებობის დამადასტურებელია ისიც, რომ ქვემო ქართლში ნაპოვნია X-XI საუკუნეების საფლავის ქვები, რომელზედაც გამოსახულია სამჭედლო ინვენტარი. დადასტურებულია, რომ „მთელი ქვეყნის სამჭედუროდ მოხსენიებული ალგეთის ხეობა არა მარტო ხმლის და სხვა საბრძოლო იარაღის წარმოების ადგილია, არამედ ქვემო ქართლის სოფლის მეურნეობის გან-

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930: 315-317.

² ა. გოგიაშვილი. მჭედლობა ქვემო ქართლში. – ქვემო ქართლი (ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1990: 112.

ვითარება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო რკინის იარაღის ფართოდ გამოყენებასთან¹. ალგეთის ხეობაში მზადდებოდა როგორც საოჯახო, ისე სამიწათ-მოქმედო, სამეურნეო და სამშენებლო იარაღები.

ვახუშტი და *იოანე ბაგრატიონები* ქვემო ქართლში გამოყოფენ შემდეგ მიკროერთეულებს:

1. ბამბაკ-ბერდუჯი, ყაიყული/აბოცი, ტაშირი „...ვინათაგან საზღვარი ქართლისა ბერდუჯის მდინარე არს, ვიწყოდ მუნითგან წერად, რამეთუ მდინარე ესე ბერდუჯი გამოსდის მთასა აბოცისასა და დის აღმოსავლეთ ჭოჭკანამდე, მერე მოიქცევის და დის ჩრდილოთ კერძ და მიერთვის ქციის მდინარეს“². *ვახუშტი* იმასაც გვამცნობს, რომ *ბერდუჯს* თავდაპირველად *ვაჭრის ხევი* ერქვა, სადაც *შაჰ-აბასმა ბორჩალოს ტომი* დაასახლა და მას შემდეგ ეწოდა *ბორჩალო*³. „არამედ ბერდუჯის მდინარის აღმოსავლეთი კიდე უპყრავს ბორჩალუთა, და დასავლეთის კიდიდ კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა, ვიდრე ხუნანამდე“⁴ (საყურადღებოა, რომ ლეონტი მროველი სამჯერ აღნიშნავს იმას, რომ „მტყერის ციხე, რომელსა აწ ჰქვან ხუნანი“). **ეს მხარეები ისტორიული ქართული პროვინციის გოგარენის შემადგენლობაში შედიოდა**, ხან სომხეთს ეკუთვნოდა და ხან ქართლს. ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო. *სტრაბონი* (ძვ. წ. I ს.-ახ. წ. I ს.) ქვემო ქართლის ტერიტორიას საერთოდ „გოგარენეს“ უწოდებს, რომელიც ძველ ქართველთა ერთ-ერთი ტერიტორიული ჯგუფის – *გოგარების* განსახლების არეალი იყო. ის დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის მსაზღვრე ტერიტორიებსაც მოიცავდა. XVII საუკუნიდან აქ *შაჰ-აბასმა ბორჩალოს ტომი* დაასახლა, რუსეთის იმ-

¹ ა. გოგიაშვილი. მჭედლობა ქვემო ქართლში. გვ. 112.

² *ვახუშტი ბაგრატიონი*, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1977, თბ., გვ. 36.

³ *ვახუშტი*, 1977, გვ. 36.

⁴ *ვახუშტი*, 1977, გვ. 37.

პერიის დროს შედიოდა თბილისის გუბერნიის ლორეს მაზრაში. 1684 წლის წყალობის წიგნით გიორგი მეფე ცხვრის საბალახოს წიგნს აძლევს ტაშირის ყიზილ-ზიარეთის მამასახლისს ევანეზას: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ასის სულის ცხვრის საბალახე. ასე ამოგიკვეთეთ: არამ ჩუენმან მობალახემან შენ ასის სულის ცხვრის საბალახე ვერ გოხოვონ. ამ წესითა, თუ ნამეტნავი გყუნდეს, საბალახე მოსცე...“¹. XVIII საუკუნის დასაწყისის სამართლის წიგნის „დასტურლამალის“ მიხედვით ყაიყულსა და ტაშირს ჰქონდა საბატონო და სამოურავო გადასახადი – კომლს წელიწადში სამი კოდი პური და ქერი უნდა გადაეხადა. მათ უნდა გადაეხადათ კიდევ ზეთი, ერბო, საბალახე – ას ცხვარზე ორი ცხვარი, საშობაო და საადდგომო 4 ძროხა, 9 ცხვარი, 11 ლიტრა ერბო... 1770 წლის საბუთით, „**არს ყაიყული, უმკვიდრო ქვეყანა, ფრიად კეთილი და მრავალი სოფლით**“. იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: „**არს აონრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი, ქვეყანა დიდი და მრავალი და ამისი აყრილი კაცი ორმოცისაგან ერთი დარჩენილა. ერთმანეთში არიან სიზნათ**“².

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ყაიყული, ტაშირი (ლორე-ტაშირი) და ბამბაკი უმთავარესად ქართლის მეფის დომენს წარმოადგენდა და შესაბამისად ამ პროვინციებს მეფე მოურავების საშუალებით მართავდა. ყაიყულში (აბოცში) მცხეთის საკათალიკოსოსაც ჰქონდა მამულები. აქ დიდი რაოდენობით იყო საძოვრები. სამეფო კარს საძოვრების გადასახადის ასაკრეფად მოხელეები – *მეზალახეები* – ჰყავდა დანიშნული. ამ თანამდებობაზე სამეფო კარი ქართველ ფეოდალებს (*დოლენჯიშვილებს, საგინაშვილებს*) ნიშნავდა. სამივე მხარე მტერმა არაერთხელ ააოხრა; მძიმე საგარეო ფაქტორი კი, ბუნებრივია, მოსახლეობის ცვლას იწვევდა. ვახუშ-

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, გვ. 75.

² ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 421.

ტის დროს აქ მოსახლეობა იყო. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ყაიყულში ფაქტობრივად აღარავინ მკვიდრობდა. როგორც *ალექსანდრე ბოშიშვილმა* გაარკვია, მათი დიდი ნაწილი სომხური სარწმუნოების ქართველები იყვნენ. ტაშირში სახასო და საეკლესიო მამულებთან ერთად, ყაფლანიშვილების მამულებიც არსებობდა. 1392 წლის გუჯარის თანახმად, ტაშირის სოფლები *საბაწმინდა* და *კეთილდაბა* საკათალიკოსო სოფლები იყო. აქ მოურავებად ძირითადად *ორბელიანები* და *თუმანიშვილები* ინიშნებოდნენ. ბამბაკი ეკუთვნოდა როგორც სამეფო სახლს, ისე *ზურაბიშვილებსა* და *არღუთაშვილებს*¹.

დებედას ხეობასა და მიმდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებობდა ქართული მხარე, რომელსაც ბერძნული და სომხური წყაროები გოგარენეს და გუგარქის სახელწოდებით მოიხსენიებენ. ამ და სხვა მიმდებარე ტერიტორიის შესახებ სტრაბონი წერდა, რომ ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისში სომხებმა იბერებს ჩამოაჭრეს „პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის“. ასე რომ, გოგარენე იბერიის სამხრეთში მყოფი, სომხეთის მოსაზღვრე მხარე იყო. ის ოდითგანვე ქართული ქვეყანა იყო. გუგარებს/გოგარებს ქართვების წარმომშობ ეთნიკურ გარემოდ მიიჩნევდა *ნიკო მარიც*. გოგარენში შემდეგდროინდელი ღორე და ყაზახიც შედიოდა. ბუნებრივია ამ სასაზღვრო ზოლში სომხების ინფილტრაცია ხდებოდა და ნარევი ქართულ-სომხური მოსახლეობაც იყო. *მოსე ცურტავის ეპისკოპოსი* VII საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა: „სომხეთი და ქართლი ერთმანეთის მოსაზღვრენი არიან, აზნაურთაგან მრავალნი და ბევრი გლეხთაგან აქედან იქ მიდიან და იქიდან აქ“. სწორედ აქ იყო ცურტავის საეპისკოპოსო. აქ შეიქმნა ჩვენამდე მოღწეული ქართული მხატვრული ლიტერატურის პირველი ძეგლი „*შუშანიკის წამება*“. *იოანე*

¹ აღ. ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.), თბ., 2015, გვ. 5, 9, 15, 32, 33, 48, 67.

ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ (1794-1799) ჩამოთვლილია „მღვდელმთავარნი რაოდენნი ყოფილან და იყვნენ სრულიად საქართველოსანნი“. იქ სომხითში დასახელებულია *წინწყაროელი, დმანელი, ბოვნელი, ცურტაველი*, ანუ *ახტალელი*¹. ასე რომ, ბატონიშვილი ცურტავს ახტალასთან აიგივებდა. ახტალა კი იყო დებედას მარცხენა მხარეს (ვახუშტი კი წერს, რომ ახტალას მონასტერს ეწოდებოდა წინათ ეკლესია აგარაკისა, რომელიც ჭოჭკანის ქვემოთ მდებარეობდა). *დვევი ბერძენიშვილს* კი სარწმუნოდ მიაჩნია სომეხი ისტორიკოსის ცნობა ცურტავისა და გაჩიანის იგივეობის შესახებ, რომლის სიტყვითაც, ძველ ცურტავს „ეხლა ეწოდება გაჩიანი. ... მხარეში, რომელსაც „ურაც-დაშტი“ (ე. ი. „ქართველთა ველი“) ჰქვია, რომელიც შუა საზღვარია სომეხთა და ქართველთა ქვეყანას შორის... ცურტავი სამკვიდრებელი იყო გუგარელთა დიდი პიტიახშის, ჩრდილოეთის მხარეთმპყრობელისა...“. დებედის ხევის ძველი ქართული სახელწოდება კი ქურდისხევი, ქურდვაჭრისხევი იყო. XV საუკუნეში ამ მხარეში თურქული ტომების გამოჩენამ შეავიწროვა როგორც ქართული, ისე სომხური მოსახლეობა. „საქართველოში თურქმანული ელის დასახლება, ძირითადად, საქართველოს გადაშენებისაკენ იყო მიმართული. დამპყრობთა მიზანი არა მარტო მოსახლეობის, არამედ ადგილობრივი მიწისმფლობელობის შეცვლაც იყო. თუმცა ქართველმა მეფეებმა მოახერხეს და ჩამოსახლებული უცხოტომელები სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენეს. მათმა არაერთმა წარმომადგენელმა თავი გამოიჩინა ქვეყნისათვის ბრძოლისა და აღმშენებლობის საქმეში“².

XVII საუკუნის დასაწყისში მოსული ბორჩალოელები საქართველოს სახელმწიფოს ერთგულნი იყვნენ – მტრის შემოსვლის დროს მეფის მოწოდებისთანავე მის

¹ ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986: 83.

² აღ. ბაგრატიონი. ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.), თბ., 2015, გვ. 182.

გვერდით დგებოდნენ: მონაწილეობა მიიღეს კრწანისისა და ასპინძის ბრძოლებში. 1771 წლის არზაში საინტერესო ფაქტია დადასტურებული: „წინა ხანში **რუსელი ფანიაშვილის ყმა, დედაბრიშვილი გოგია, ლეკში დაკარგულიყო, ბორჩალულები დასხმიყვნენ და გაეგდებინებინო**“¹.

2. სომხითი, სომხითში რამდენიმე ხეობაა, რომელთაგან უმთავარესი *ფოლადაურის, შულავერისა* და *ბოლნისის* ხეობებია. დებედას ხეობის მხოლოდ ქვემო წელი შედის საქართველოს შემადგენლობაში, ზემო წელი დღეს სომხეთს ეკუთვნის. „ამის დასავლით დის მდინარე ფოლადაური, გამოსდის ლელვარს და მოერთვის მდინარეს მაშავერს. ამას ზედა არს მცირე ქალაქი *ბოლნისი*. მას ზემორე ეკლესია დიდი, უგუმბათო, ბოლნისისა, რომელი აღაშენა *კო მეფემ* ფარსმან, და გორგასაღ დასვა ეპისკოპოსი, მწყემსი აწინდელის ქართლის სომხითისა. პირისპირ ამ ეკლესიისა არს მონასტერი *წუღრუღაშენს*“². **ბოლნისის საკათედრო ტაძარი იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასზეა ყველაზე უძველესი ქართული წარწერა**. სომხითის აღწერისას *ვახუშტი ბაგრატიონი* აღნიშნავს: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან **სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქვეცა-ზნითა ქართულითა**“³. დაეხსენო, რომ ანალოგიური ვითარება გვექონდა მთელ ქვემო ქართლში. სხვათა შორის, ქვემო ქართლში არსებული ფეოდალური ერთეული (სათავადო) სომხით-საბარათიანოდაც იწოდებოდა. ამრიგად, *სომხითი* ერქვა ქვემო ქართლის ერთ ნაწილს. *სარგის კაკაბაძესა* და *აკაკი შანიძეს* მიაჩნდათ, რომ ქართველთა ერთ-ერთი ტერიტორიული თემის სახელწოდება „სომხითი“ იყო, რომელიც შემდეგ გავრცელდა სამხრეთით მცხოვრებ მეზობელ ეთ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, VII, თბ., 1981: 193.

² ვახუშტი, 1977, გვ. 39.

³ ვახუშტი, 1977, გვ. 40.

ნოსზე¹. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ მხარეს *სომხითი* ეწოდა IX–XI საუკუნეებში აქ სომეხთა ბატონობის გამო². „საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულეობით უცნობი იყო და მხოლოდს მე-X-ე საუკუნითგან მოყოლებული გვხვდება. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობებს და ლორეს ველსაც და საყურადღებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქართველ მწერლობაში იხმარებოდა: სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს“ არ ეძახდა. პირიქით **ისინი ლორე-ტაშირს „ქართველთა ველს“ („ვრაც დაშტ“) უწოდებდნენ“³. ტერმინის – „სომხითი“ – შემონახულობას ფართოდ შეუწყო ხელი აქ გრიგორიანული/მონოფიზიტური სარწმუნოების ქართველთა მკვიდრობამ.**

სამართლიანადაა შენიშნული, რომ ძველად *სომხითი* დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი იყო, რადგან მასზე გადიოდა რამდენიმე გზა, რომლის საშუალებით ქართლი უკავშირდებოდა სომხეთსა და მახლობელ აღმოსავლეთს⁴.

სომხითში ძირძველი ქართული მოსახლეობა ფაქტობრივად აღარაა შემორჩენილი. დღევანდელი მოსახლეობიდან ყველაზე ადრე თათრები არიან მოსული. სომხები XIX საუკუნიდან არიან მიგრირებული, ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა კი XX საუკუნეში დასახლე-

¹ ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი, ტვ., 1924; ა. შანიძე. უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, ტვ., 1923.

² ივ. ჯავახიშვილი. საქართველო საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული ტვ., 1919: 21.

³ ივ. ჯავახიშვილი., საქართველოს საზღვრები..., 1919: 21.

⁴ დ. მუსხელიშვილი. ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის სამუშაოთა (1956-1958 წწ.) შედეგები. – დ. მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიკაციები, თბ., 2014. გვ. 184.

ბულა. მათზე ადრე აქ ბერძნები იყვნენ მოსული. ქართველები *წერაქვსა* და *სიონში* XIX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდნენ. უძველესი მოსახლეობა ქართული იყო, სომეხთა მცირე შენარევით. ამ დასკვნის საშუალებას ის იძლევა, რომ ადრეფეოდალური ხანის ძეგლებზე ქართულ წარწერებთან ერთად შიგადაშიგ სომხურიც არის გარეული.

ბოლნისის ხეობა მდიდარი იყო რკინის მადნით. გადარჩენილ ძველ მადაროებს არქეოლოგები VI-XIII საუკუნეებით ათარიდებენ. გამოვლენილია რკინის სადნობი 12 ქურა, რომელთა ქრონოლოგიური საზღვრები წინარეანტიკური ხანიდან XVIII საუკუნემდე აღწევს. სოფელ ბოლნისის მიდამოებში მრავლად იყო ქვის სამტეხლოები. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ბოლნური ტუფი, რომლითაც აგებულია აქაური ეკლესიების უმრავლესობა და თვით თბილისის სიონიც. გიულდენშტედტის ცნობით, ტალავრის სამხრეთ-დასავლეთით არის „სარკინეთი, საიდანაც თბილისსა და მთელ ქართლში გააქვთ წისქვილის ქვები“¹.

ბოლნისის ხევში განვითარებული იყო მემინდვრობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა. მთაში მოჰყავდათ ქერი, შულავერსა და თეთრსოფელში – ბამბა, ფეტვი. ფოლადაურის, ტალავრის, მანხუტის, შულავრის ხევთა დიდი ნაწილი ვენახებს ეჭირა. ტყეში ცოტა არაა გავლელურებული ვაზი, ნასოფლარებში კი – მარნები ქვევრებით. 1736 წელს ზემო ბოლნელ *ბეჟუა კაკაშვილს* ორბელიშვილებისათვის მიუყიდათ „სამკვიდრო მარანი ...თავისის 70-ის ქვევრითა“. XVII საუკუნეში *ყაფლანიშვილის* ზვრებს, მარტო ბოლნისის ხეობაში, 433 საპალნე ღვინო მიუცია, კულუხი კი – 110². აქ ზვარენახების ყველაზე დიდი მფლობელი სამეფო სახლი

¹ დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1979, გვ. 10.

² დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014, გვ. 236.

ყოფილა. „ხევი ბოლნისისა“-ში მევენახეობის განვითარების აუცილებელი პირობა მორწყვა იყო. ამიტომაც ეს მხარე სარწყავი არხებით იყო დაქსედილი. ბევრია ძველი ნაარხალი. აქ მესაქონლეობის განვითარებას ხელს უწყობდა ლოქისა და ლელვარის მთები, მათ გადაღმა კი – ტაშირი. სომხითი ცნობილი იყო „ტყის მეცხვარეობითაც“. გარდა მტკვრის აუზის ველებიდან სომხითის მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყის საძოვრებს ზამთრობით ცხვრის შესანახად იყენებდა. „გეოგრაფიულად კარგად შემოსაზღვრული ეს რაიონი ეკონომიკურადაც თვითკმარ ერთეულს წარმოადგენდა, სომხითს გააჩნდა ვრცელი და ნაყოფიერი ბარი (მდინარე ხრამის ქვემო დინების მარჯვენა სანაპირო, ფოლადაურის, შუღაურის, დებედას და სხვა ხეობათა ქვემო წელი), რომელიც აკმაყოფილებდა ყველა პირობას, ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის რომ იყო აუცილებელი და, აგრეთვე, საზამთრო საძოვრებადაც რომ გამოიყენებოდა. სომხითსავე გააჩნდა მაღალმთიანი, ალპური ზონა (ლელვარ-ლოქის მთის კალთები), აუცილებელი მეცხოველეობის განვითარებისათვის“¹.

შუა საუკუნეებში ამ მხარეში ბევრი იყო ქარვასლები, დუქნები; შესაბამისად, გზებიც სათანადოდ იყო მოწყობილი. შემორჩენილია ძველი ხიდებიც, მაგალითად, მაშავერაზე ნასოფლარ *სატრედოსთან* არის სამთადიანი ქვის ხიდი. ეს ხიდები არა მარტო ბოლნისისა და დმანისის ხევეებს აკავშირებდა, არამედ უფრო დაშორებულ მხარეებსაც².

ბოლნისისა და სხვა ხევეებში მრავლადაა ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში აგებული ეკლესიები, ციხეები, რელიეფებიანი სტელები. ყველაზე მნიშვნელოვანი კი

¹ დ. მუსხელიშვილი. ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის სამუშაოთა (1956-1958 წწ.) შედეგები. – დ. მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატსიები, წერილები და პუბლიკაციები, თ., 2014. გვ. 185.

² დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები ქვემო ქართლის..., 2014, გვ., 236.

ბოლნისის სიონია, რომელზედაც უძველესი ქართული წარწერაა. მეცნიერები უტყუარი მტკიცებულებებით ასკენიან, რომ ტაძარი აგებულია IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში – მეფეების *ფარსმანისა* და *ბაკურის* დროს; მისი მშენებლობა 410-იანი წლების შუაში დასრულებულა. ბოლნისის სიონის ყველაზე შესანიშნავი დახასიათება მოცემული აქვს ძეგლის პირველ გამთხრელს, არქეოლოგ *ლევან მუსხელიშვილს*: „სიღიადე შეერთებული სისადავესთან, ცოტათი მძიმე და მოუხეშავი, მაგრამ მტკიცე, ურყევი ფორმები, თავშეკავებული შემკულობა, ზომიერი, შეიძლება ითქვას ძუნწი ჩუქურთმა, არც ერთი ნაკეთი გასართობად, მხოლოდ თვალის გასახარებლად – აი რა ახასიათებს ბოლნისის სიონს, თუმცა თავდაპირველი შენობა მერმინდელი არაერთგზისი გადაკეთებით ძლიერაა დამახინჯებული, იგი მაინც წარუხოცველ შთაბეჭდილებას სტოვებს. იშვიათად თუ მოიპოვება ჩვენში ასეთი დუმილით მეტყველი ძეგლი. მხოლოდ დრმა და წრფელი სულიერი განცდით, სერიოზული, უყოყმანო, ჯერ კიდევ გულუბრყვილო რწმენით გამსჭვალულ კოლექტივს შეეძლო ასეთი ტაძრის აგება თავისი დვთაებისათვის და მხილველსაც უნებლიედ იპყრობს ამ მიზანმიმსწრაფი, შერწყმული ნებისყოფის ძალა“¹.

ბოლნისის სიონის წარწერის გარდა, აქ არაერთი ადრე შუა საუკუნეების ძეგლია, რომელზედაც ქართული წარწერებია, მაგალითად V-VI საუკუნეების ტუფის სწორკუთხოვან ფილაზე გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი, რომლის ქვემოთ ერთნახევარი სტრიქონია ამოღარული, დანარჩენი კი რელიეფურია: „ესე ჯუარი ბარნაბასი, რომელმან ამოიკითხოს ლოცვასა მომიკსენეთ“. მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სტელა ბოლნისის ახლო ნასოფლარიდან, რომელსაც ბადდადს უწოდებენ. ის ეკლესიის კედელში იყო ჩაშენებული. ქვასვეტზე მა-

¹ ლ. მუსხელიშვილი. ბოლნისი. – ენიშკის მოამბე, III, 1938: 324.

მაკაცის გამოსახულებაა, რომლის თავზეც დაქარაგმებულია ორი ასონიშანი – „შ-გ“. „ქვასვეტზე გამოსატულ მამკაცს აცვია მხედრული კაბა, რომელიც წინ გახსნილია და მორკალული კალთა მუხლქვემოთ სცემს. ის მკერდზე ამოჭრილია ჩოხის მსგავსად, კისერთან მრგვალად ამოჭრილი პერანგი მოჩანს“. კაბის/ჩოხის ქვეშ პაჭიჭები აცვია.

3. დმანისის/დბანისის ხევი. ქვემო ქართლში *დმანისის ხევი* მდინარე მაშავერას აუზს მოიცავდა, ფოლადაურას ხეობის გამოკლებით¹. ისტორიულად მასში შედიოდა არა მხოლოდ თანამედროვე დმანისის მუნიციპალიტეტი, არამედ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილიც. *ვახუშტი ბავრაციონი* ამ „ქვეყნის“ შესახებ წერდა: „ხოლო ყარადაჯისა და ტაშირის ჩრდილოთ კერძი არს დბანისის ჳეობა, და მდინარე მაშავერი, მიმდინარე მათ შორის. ... არამედ გამოსდის კეჩუთის მთას და მიდის აღმოსავლით, და მიერთვის ქციას ნახიდურის ბოლოს“². შენიშნულია, რომ დმანისის ხევის ადმინისტრაციული საზღვრები ბუნებრივ მიჯნებს ემყარება, რომლის საზღვრებს შორის მოქცეული ფართობი 860 კვ. კმ-ია³. მხარის ადმინისტრაციული ცენტრი ქვეშში იყო, საეპისკოპოსო ტაძარი კი დმანისში მდებარეობდა. მოგვიანებით, დმანისის ქალაქად ქცევის შემდეგ, ადმინისტრაციულმა ცენტრმა აქ გადმოინაცვლა. „ხოლო დბანისს უდის ჩრდილოთ მაშავერი, სამჭროთ ფინეხაური, და ეწოდა სახელი ესე დაბნების გამო. ... არს ეკლესია დიდი, უგუმბათო, კეთილშეგენიერი, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ტაშირისა და დბანის ჳევისა“⁴. მაშავერასა და ფინეხაურის ხერთვისში გაშენებული დმანისის ციხე-ქალაქი ორ მნიშვნელოვან მაგისტრალზე

¹ კ. ხარაძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, 1991, გვ. 28.

² ვახუშტი, 1977, გვ. 41.

³ კ. ხარაძე. საქართველოს... ქვემო ქართლი, 1991, გვ. 29.

⁴ ვახუშტი. 1977, გვ. 41.

იყო აგებული. ერთი მათგანი, ჯავახეთ-არტაანის გაუ-
ლით ტაოში და იქიდან ბიზანტიაში მიემართებოდა, მეო-
რე – ფინეხაურის ხეობითა და ლოქის უღელტეხელით,
ლორე-ტაშირზე გამავალი – სომხეთისაკენ. ვახუშტი
იმასაც აღნიშნავს, რომ დმანისის „ქვეყანაში“ „ყორან-
თას არს ეკლესია, სასვენი ატოცის წმიდის გიორგის
ჯვარისა. მაშავერზედ, შენი არს ხიდი ქვიტკირისა 8
თვალი, წყალდიდობისათვის“¹.

მდინარე მაშავერას მარცხენა სანაპიროზე, ბალიჭე-
ბის პირდაპირ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგ-
ვცემს, „ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და
ლაჟვარდისა“². საერთოდ მაშავერის ხეობა მისი შენაკა-
დი ხეობებით მდიდარი რომ იყო წიაღისეულით, ამას
XVIII საუკუნეში გერმანელი *გიულდენშტედტიც* წერდა:
„განადგურებულ სოფელ დამბლუდტთან... არის ერთი
საუენის სიმძლავრის ძარღვი ტყვიის კრიალასი (ვერ-
ცხლით), სპილენძის ლაჟვარდსა და სპილენძის აღმა-
დანთან ერთად. ეს უკანასკნელი ძარღვი და გარეშემომ-
დინარე ადგილები, რომლებიც 10 ვერსის მანძილზე
ბევრ რკინასა და სპილენძის ძარღვს შეიცავენ, იმსახუ-
რებენ ყველაზე მეტ ყურადღებას“³.

დმანისის „ქვეყანაზე“ როდესაც ვსაუბრობთ, აუცი-
ლებლად უნდა აღინიშნოს, რომ აქ იყო ქართლის ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი – დმანისი, რომელიც ქა-
ლაქად IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა, თუმცა ადრეც
ის მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი იყო, რაზე-
დაც, როგორც არქეოლოგი *ვახტანგ ჯაფარიძე* მიუთი-
თებს, ის ფაქტი მეტყველებს, რომ აქ ჯერ კიდევ VII სა-

¹ ვახუშტი. 1977, გვ. 42.

² ვახუშტი. 1977, გვ. 42.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვი-
ლის გამოცემა, II, 1964, გვ. 147.

უკუნეში აგებული იყო ისეთი ძეგლი, როგორცაა დმანისის სიონი¹.

მნიშვნელოვანი ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი და საეკლესიო კომპლექსია აღმოჩენილი დმანისის მახლობლად სოფელ განთიადსა და სოფელ ტნუსს შორის ადგილ ნაგზაურში. აქ ნაპოვნია წითელი ტუფისაგან გამოთლილი მთლიანი ქვასვეტი ყრმიანი ღმრთისმშობლისა და ორი მამაკაცის გამოსახულებით. მეცნიერთა დასკვნით ერთი მამაკაცის ჩაცმულობა ბიზანტიური ისტორიული კოსტუმების ანალოგიურია, ხოლო მეორესი – ადრე შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული მხედრის ჩვეულებრივი სამოსელისა. ესაა თანამედროვე მამაკაცის კაბის/ჩოხის წინაპარი სამოსელი, რომლის სიგრძეც მუხლს ქვემოთ ოდნავ ჩამოდიოდა. მიიჩნევენ, რომ ქართული კაბით შემოსილს, ვიწრო შარვალი აცვია. ამ მოსაზრებას არავითარი საფუძველი არა აქვს. შარვალი ქართველთა ჩასაცმელი არ იყო. ისინი პაჭიჭებს ატარებდნენ, რომელიც წვივებზე მართლაც შემოტმასნილი იყო. დმანურ ქვასვეტს VI საუკუნით ათარიღებენ (კ. მაჩაბელი), ხოლო მასზე მოთავსებულ ასომთავრულ წარწერებს V-VI საუკუნეებით. აღნიშნული ნამოსახლარის არქეოლოგიური შესწავლით და აქ აღმოჩენილი ქვასვეტით აშკარად ჩანს რა მაღალ დონეზე იდგა საქართველოში (ამ შემთხვევაში ქვემო ქართლში) სამშენელო ხელოვნება და მხატვრული გემოვნება².

4. ზურტაკეტი. დმანისის ხეობას ჩრდილო-დასავლეთიდან ზურტაკეტის „ქეყანა“ ესაზღვრებიდა, რომლის ასევე ჩრდილო-დასავლეთით თრიალეთი იყო. ეს ტერიტორია ამჟამად მთლიანად დმანისის მუნიციპალიტეტში შედის. ზურტაკეტი მდინარე ქციას მარჯვნიდან უერთდებოდა.

¹ ვ. ჯაფარიძე. დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი შუა საუკუნეებში. – დმანისი I. თბ., 1998: 19.

² კ. კახიანი, გ. ჭანიშვილი, ჯ. კობაღიანი, კ. მაჩაბელი, ზ. ალექსიძე, ე. დლიდვაშვილი, ნ. პატარიძე. ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან, თბ., 2021.

ბა. „იგი მოიცავს დაახლოებით დღევანდელი *ვომარეთის პლატოს* რაიონს, რომლის ჩრდილოეთი საზღვარი მდ. *ჭოჭიანის* სამხრეთ წყალგამყოფს ემთხვევა. დასავლეთით ჯავახეთის ქედზე გადის საზღვარი, აღმოსავლეთით ქციის ხეობას ესაზღვრება, ხოლო სამხრეთით დმანისის ხევისაგან გამოყოფილი იყო ლუკუნის მთის მასივით. ... ესაზღვრებოდა – ქციის ხრამი, ჯავახეთი, თრიალეთი, დმანისის ხევი. ამ საზღვრებს შორის მოქცეული ტერიტორიის ფართობი 410 კვ. კმ.-ს შეადგენს¹. ვახუშტი გვაუწყებს, რომ „აქა არს დაბა დიდი ვომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი“, სადაც ქართული საეკლესიო არქიტექტურის არაერთი ძეგლია. ზურტაკეტში მიუთითებენ ძველ ნაგებობებს, მათ შორის ქარვასლებს, რაც იმაზეც მეტყველებს, რომ აქ ისტორიულად გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანზიტო გზები. ზურტაკეტი მჭიდროდაც ყოფილა დასახლებული – ვახუშტი ბაგრატიონს სოფლების სიაში აქ 46 სოფელი აქვს ჩამოთვლილი. ვახუშტის ზურტაკეტში ერთი საინტერესო ბუნებრივი ფაქტი აქვს დადასტურებული. ის წერს, რომ ზემო ყარაბულახს გარს არტყია მდინარის რამდენიმე ტოტი. „ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა. არამედ სამჯრითის კალმახი არს შავი და ჩრდილოსი თეთრი. და უკეთუ ჩასვა ჩდილოსი სამჯრით, გაშავდების და სამჯრეთის ჩრდილოთ ჩასმული გასპეტაკდების“². ამ მხარეში იყო სოფელი ეგრისი (ეგრი), სადაც აზნაური ლარაძეები მკვიდრობდნენ;

5. ქციის ხრამი. ეს მიკროგეოგრაფიული ერთეული მოიცავდა შარვაშეთის მთიდან გამომდინარე ქციის შუა და ქვემო დინების მარცხენა მხარეს, ნაწილობრივ მარჯვენა მხარესაც მის შუა ნაწილზე. „ძველი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ქციის ხრამს ჩრდილოეთით ალგეთის ხევი საზღვრავდა, აღმოსავლეთით ყარაია, სამხრეთით დმანისის ხევი, სომხითი და ბერდუჯი, ხოლო

¹ კ. ხარაძე. საქართველოს... ქვემო ქართლი 1991, გვ. 48.

² ვახუშტი. 1997, გვ. 43.

დასავლეთით – თრიალეთი და ზურტაკეტი. ამ საზღვრებს შორის მოქცეული ტერიტორიის ფართობი 720 კვ. კმ-ს შეადგენდა¹. ქციის შუა ნაწილის აღსანიშნავად მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულს წარმოიქმნა სახელწოდება „ხრამის ხეობა“. ხრამი ღრმა და ვიწრო ხეობის სინონიმია. ვახუშტის თანახმად მდინარეზე დაბა ქცია მდებარეობდა და სახელწოდება დაკავშირებულია წყალდიდობის დროს ნაპირებისა და ხიდების დაქცევასთან. ქციის ხრამი ღრმა და განიერი კანიონია მოდამნახეს ციხიდან ნახიდურამდე (დღევანდელი არახლო). შემდეგ კი მიედინება გაშლილ ველზე. XVIII საუკუნის მეცნიერი და მემატიაზე იმასაც გვამცნობს, რომ ქციის შესართავ კლდეის ხევზე ადგილ ხორხებთან „არს ქვაბი კლდისა, რომელ არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და ყინული ფრიად წმიდა და მრავალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათვის“². ხორხების საყინულე საქართველოს წითელ წიგნშია შეტანილი. ქციის ხრამის მარცხენა შენაკად ფიტარეთის წყალზე მდებარეობს ცნობილი *ფიტარეთის ტაძარი*, რომელიც მეფე ლაშა-გიორგის დროსაა აგებული მისი ამირეჯობის, ქავთარ ქაჯიფაის ძის მიერ 1213-1222 წლებში. ქციის ერთ-ერთი შენაკადია *ჭივჭავიცი*, რომლის სათავეშიც ნადარბაზევს ყოფილა მეფეთა საზაფხულო სასახლე. **მდინარე ქციისა და ჭივჭავის შეერთების ადგილას, კონცხზე მდებარეობდა ციხე-ქალაქი სამშვილდე.** ის ადრე შუა საუკუნეებიდან სამშვილდის საერისთავოს ცენტრი იყო. ისევე როგორც მთელი ქვემო ქართლი, ქციის ხეობაც მოყვნილია ძველი ციხე-სიმაგრებით. მათი სიმრავლე კი იმ ფაქტის დამადასტურებელია, რომ ასეთი თავდასაცავი ნაგებობების გარეშე წარმოუდგენელი იყო აქაურ ქართველთა ცხოვრება. ქციის ხრამში ძველ ქართველებს მრავალი გამოქვაბული ჰქონიათ გამოკვეთილი. ქციის ხრამის უკიდვე-

¹ კ. ხარაძე. საქართველოს... ქვემო ქართლი 1991, გვ. 69.

² ვახუშტი. 1997, გვ. 46.

რეს აღმოსავლეთ მონაკვეთში, ყარაიას საზღვარზე მდებარეობდა ხუნანის ციხე-ქალაქი, რომლის აშენებასაც ლეგენდა ქართლოსს მიაწერს.

ქციის ხრამის შენაკადებიდან კლდეისისა და ძველი გომარეთის ხეობებია უხილო და უვენახო, დანარჩენები – სათავეებისაკენ მთური მეურნეობით, ქვემო წელზე კი ბარული მეურნეობით ხასიათდებოდნენ. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ამ ერთეულს „ყოველი სამშვილდე“ ერქვა. ადრე შუა საუკუნეებში აქ იყო სამშვილდის საერისთავო. სამშვილდის სიონის 777 წლის წარწერით მისი მშენებლები ყოფილან „ნათესავით პიტიახშნი“ ვარაზბაკურ და იოვანე.

ქციის ხრამთან არის დაკავშირებული თევზეულის სახელწოდება – „დასტურლამაღში“ ვკითხულობთ, რომ რაც ხრამში სადედოფლო ყმა ცხოვრობდა „მარხვაში და ყველიერში თევზი შეეწერებოდა“.

6. ალგეთის ხევი. ალგეთის ხევი ძირითადად თანამედროვე თეთრიწყაროს რაიონს ემთხვევა. ნაწილობრივ მისი ტერიტორია გარდაბნისა და მარნეულის რაიონებშიც შედის. მის შუა ნაწილში მიედინება მდინარე ალგეთი. ალგეთის ხევის გეოგრაფიული საზღვრებია: დასავლეთით ის კლდეკარის მერიდიანზე გადის, ჩრდილოეთით იგივე კლდეკარიდან აღმოსავლეთის მიმართულების წყალგამყოფზე (ერიქლის, დიდგორის, სხალნარის მთები), სამხრეთი საზღვარი მდინარეების ალგეთისა და ქციის წყალგამყოფს გაუყვება. ალგეთის ხევის აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს გაუყვება. ალგეთის „ქვეყნის“ საზღვრების შესახებ ვახუშტი ბავრატაიონი წერდა: „ხუნანის ჩრდილოთ კერძოდ ერთვის მტკვარს დასავლეთიდამ მდინარე ალგეთი; გამოსდის კლდეკარს და მოდის აღმოსავლეთად. ხოლო იმზღვრების მდინარე ესე; აღმოსავლით მტკვრით, სამჭრით ლომთაგორით და აწ მარნეულის გორის აღმოსავლეთად გულთაფამდე, დასავლით ამისივ გორის წასრული, წრაუთის თავამდე, მიწეწინილი სამებამდე, და მისრული ბენ-

დერის მთამდე, ბენდერ-ლაკვის გორამდე; ჩრდილოთ გორა კუშისისა, მტკვრიდან მოყოლით კოჟრამდე. განგლის სამადლოს და სხალნარს, მიაღებობს დიდგორს...“¹. ქართველ გეოგრაფთა (კ. ხარაძე) დაანგარიშებით ალგეთის ხეობის „ქვეყნის“ ტერიტორია 1280 კვ. კმ-ია. მდინარე ალგეთი ირთავს სხვადასვა ხევის: *კველეთის ხევის* (მანგლისის ქვემოთ), *ლაკვისწყალს*, *დვალთა-ლოლოვნის-ხევის*, *გუდარეხის ხევის*, *ამლივისწყალს*, *სადირაშენის ხევის*, *ბოგვის ხევის*, *ასურეთის ხევის*, *ლოუბნის ხევის*... მაგლისში არის გუმბათიანი ტაძარი – მანგლელი ეპისკოპოსის საჯდომი. მანგლელის საეპისკოპოსოს შექმნას ქართული წყაროები *ვახტანგ გორგასალს* მიაწერენ. მდინარე ალგეთის სათავეში მდებარეობს კლდეკარის ციხე, რომელიც *ბაღვაშების* აშენებულია. ხეობის ტერიტორიაზე მდებარეობს *ბირთვისის* ციხე-სიმაგრე, რომელიც წყაროებში პირველად XI საუკუნეში იხსენიება; მისი მფლობელი პოლიტიკურად მთელ ალგეთის ხეობაზე ბატონობდა. ასეთები კი გვიან შუა საუკუნეებში *ქახიბაძე-ბარათაშვილები* იყვნენ. ბირთვისის ციხის სამხრეთით *ვარცხისის ციხეა*, რომლის აღების გარეშე ბირთვისის ციხესთან მტერი ვერ მივიდოდა. ამიტომაც მას *ვახუშტი ბავრატონი* ბირთვისის ციხის „ფარს“ უწოდებდა. შეუძლებელია არ დავასახელოთ სოფელი *მარაბდა* (პირველად მოხსენიებულია XI საუკუნეში). ამ სოფელთან 1625 წელს გაიმართა ცნობილი მარაბდის ბრძოლა. ამ ტერიტორიაზეა *მარნეულიც*, რომლის ახლოს მდებარე გორას *ლომთავორა* ერქვა. ალგეთის ხევის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა XII საუკუნეში აგებული *კოჯრის ციხე*, რომელიც 1338 წელს *გიორგი ბრწყინვალეს* *თორელ ივანე ჯავახიშვილისათვის* უბოძებია. მისი თავდაპირველი სახელწოდება *კოჟორი* იყო. ფონეტიკურად ციხის სახელწოდება მხოლოდ XIX საუკუნეში შეიცვალა.

¹ ვახუშტი. 1997, გვ. 48.

აღგეთის ხეობის ზემო წელი განსახვავდება ქვემო-საგან, რომელიც ქვემო ქართლის შემადგენელი ნაწილია. აქ მთისა და ბარის გამყოფია *პატივანი*. ვახუშტი პატივანთან დაკავშირებით ერთ საგულისყურო ტრადიციას გადმოგვცემს: „პატივანს ქვევით ვაკეს არს ლოდი, რომელი, გვალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წუშიანობასა მიწა თუ შეაყარო, ნაცარი და გარდააბრუნო, იქნების უწვიმრობა“. აღგეთის ხეობაში მეურნეობა მრავალმხრივი იყო, მთური და ბარული ტიპები ერთმანეთის მეზობლად არსებობდა, ხშირად კი შერწყმული იყო¹. აღგეთის ხეობის ბარია სოფელი კუმისი: „... და ამას ჩრდილოთ არს ტბა კუმისისა ... ამ ტბის დასავლით არს კუმისი, დაბა დიდი, ვენახოვანი, ლელვანი, ბროწეულიანი. ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი ბრინჯ-ბამბის გარდა; კანაფი უმუშაკოდ სცენდების...“ 1781 წლისათვის დიდი დაბა კუმისი პატარა სოფლად იყო გადაქცეული; მასში 25 კომლი მოსახლეობდა (*თათარაშვილები, ქობულაშვილები, ჯანყულაშვილები, მდივანასშვილები, ქეთუაშვილები, შერეშაშვილები, ოლქიაშვილები, როსტიაშვილები*... ამ გვარისანი XIX საუკუნეში სომხურ-გრიგორიანულმა ეკლესიამ თათაროვებად, ქობულოვებად, ჯანყულოვებად, მდივანოვებად, შერეშოვებად, ოლქიევებად ჩაწერა). საყურადღებოა, რომ კუმისის ახლოს მდებარე სოფელი *კოდა* უფრო მოხრდილი იყო, რომელშიც *ბარათაშვილებისა* და *ყაფლანიშვილების* ყმა-გლეხები ცხოვრობდნენ. ამავე დროს ამ სოფელში დიდი რაოდენობით იყო თავმოყრილი ქვემო ქართლის სხვადასხვა სოფლიდან გადმოსახლებულები: ეგრისიდან (18 კომლი), ბალიჭის ხეობის სოფელ ტნუსიდან (8 კომლი), ქვეშის ხეობის სოფელ ძველ-ქვეშიდან (17 კომლი), სოფელ ქვეშიდან (15 კომლი), ბალიჭის ხეობის სოფელ საკარისიდან (25 კომლი), წიფორიდან (11 კომლი), ქციის ხეობის სოფელ ანდრიადან (19

¹ დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014, გვ. 207.

კომლი), ღოუბნიდან (19 კომლი), საღორისიდან (3 კომლი), ბალიჭის ხეობის სოფელ ანდიკიდან (6 კომლი) და სხვა.

მანგლისი ალგეთის ხეობის ცენტრალური პუნქტი იყო, რასაც აპირობებდა აქაური უძველესი ქრისტიანული სალოცავი – ვახტანგ გორგასაღმა ხომ ქართლის პირველ ეპისკოპოსთა შორის მანგლელი ეპისკოპოსიც განაწესა. მაგრამ უფრო მეტად ამას გეოგრაფიული ფაქტორი განაპირობებდა: „მანგლისს ფრიად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოში. მანგლისის მხარე ეკვრის შიდა ქართლს, თბილისს, სომხით-საბარათიანოს და წალკა-ჯავახეთს. იმყოფებოდა რა ალგეთის, თექმის (სამაჭალოს ხევი), კავთურას და ვერეს გამოსავლებში მანგლისის ხეობა სტრატეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეებზე. ბუნებრივია ამიტომ გზების ის სიმრავლე მანგლისს რომ აკავშირებდა აღნიშნულ რაიონებთან. სომხეთიდან შიდა ქართლში, ჯავახეთიდან კახეთში უმოკლესი გზები სწორედ მანგლისზე გადიოდა“¹.

7. სკვირეთი/ვერეს ხევი. ქვემო ქართლის ყველაზე პატარა გეოგრაფიული ერთეულია *სკვირეთი*. მისი საზღვრები მთლიანად წყალგამყოფ აუზს ემთხვევა; ფართობი 210 კვ. კმ.-ია². აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე მტკვარს გასდევს. სკვირეთის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია უკვე შიდა ქართლს ეკუთვნის. „ხოლო კოჭრის ჩრდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე; გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკვარს დასავლიდამ, ტყვილისის ჩრდილოთ კერძ“³. მდინარე ვერე მტკვარს მარჯვენა მხრიდან თანამედროვე თბილისში, გმირთა მოედანთან უერთდება; ის საბურთალოსა და ვაკესაც ყოფს ერთმანეთისაგან.

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 26.

² კ. ხარაძე. საქართველოს... ქვემო ქართლი 1991, გვ. 109.

³ ვახუშტი. 1997, გვ. 51.

მდინარეს სათავე აქვს დიდგორის მთაზე, საიდანაც გამოედინება აგრეთვე *კავთურა*, *ნიჩბურა*, *ხეკორძულა*, *დიდშურა*. სათავის მიმდებარედ ვერეს ხეობა უვენახო და უხილოა, მის ქვევით კი – ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი. ტყე ახლა გამეჩხრებულია. მისი მოსპობა ძირითადად დაკავშირებულია XIX საუკუნეში თბილისის ნახშირით მომარაგებასთან. ვერეს ხეობის მცხოვრებნი ამარაგებდნენ თბილისს შემითაც (შემის მეიდანს იყო მუხრანის ხიდთან). მენახშირობაში არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა იყო ჩაბმული, არამედ დასავლეთ საქართველოდან გადმოსული მუშახელიც. XVIII საუკუნის ბოლოს ვერეს ხეობაში მოსახლეობა მხოლოდ წყნეთში იყო, დანარჩენი სოფლები ნასოფლარებად იყო გადაქცეული. მათი მოშენება ძირითადად XIX საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო ქართლის მთიანეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობით.

ვერეს ხეობა შიდა ქართლს ესაზღვრება. უძველესი „სამცხეთო გზა“ ვერეს ხეობის სოფლებზე *ღვევზე*, *ვანათზე* და *ლასტისციხეზე* გადიოდა. ერთი შტო დიდგორისაკენ მიდიოდა და იქიდან ნაქალაქარზე ჩავლით დიდშის ან ხეკორძულას ხეობით მცხეთაში მიემართებოდა, მეორე მოკლე გზა ლასტისციხიდან ბევრეთზე ჩავლით დიდშის ხეობაზე გადადიოდა; ხოლო შემდეგი გზა, რომელიც თბილისისაკენ მიემართებოდა, ვერეს ხეობის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, კვესეთზე ნახშირგორის გზის გავლით ჩადიოდა თბილისში.¹ საინტერესოა ტოპონიმ *ლასტისციხის* ხალხური ეტიმოლოგია: როცა *დავით აღმაშენებელმა* დიდგორზე დაამარცხა თათრები, ბევრი ტყვე ჩაუვარდათ ხელში და ადგილი რომ არ ჰქონდათ ციხეებში გასახერებლად ერთ ბატონს გორის გარშემო ლასტები შემოუწვნებინებია და იმის ციხე აუგია, სადაც დაჭერილი ტყვეები ჩაუყენებიათ და მას შემდეგ ეწოდა ლასტისციხე.

¹ ჯ. სონღულაშვილი. მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 119.

ვერეს ხეობაშია თამარ მეფის მიერ აშენებული ბეთანიის მონასტერი, სადაც მისი სახეა გამოსახული.

8. მტკვრის გაღმა მხარე. თბილისის მახლობლად მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლები ვახუშტი ბაგრატიონს ვერეს ხეობის სოფლების ჩამონათვალის შემდეგ აქვს მოხსენიებული; ესენია: დიდუბე, ჩუღურეთი, კუკია, ღომელაური, ნავთლული ანუ ერეკლეს ციხე, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისიდან თანდათან თბილისს შეუერთდა.

9. ყარაია. ყაიყულის ტერიტორიაზე მდებარეობდა *ბოსტანქალაქი*. „კვალად იაღლუჯის აღმოსავლეთით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტანქალაქი, რომელი არს რუსთავი. ... გორგასად დასვა აქა ეპისკოპოზი“.¹ რუსთავი მონღოლთა შემოსევების დროს განადგურებულა. ყაიყულის დასავლეთ საზღვარს მტკვარი წარმოადგენდა, ჩრდილოეთ საზღვარს – ლოჭინის ხევი, აღმოსავლეთისას – გარეჯის მთა. სამხრეთის საზღვრად ვახუშტი მწარე წყალს მიუთითებს. მონღოლების დროს ადგილობრივი ქართული მოსახლეობა გაწყდა და ეს ადგილები ელის თათრების სამომთაბარეო არეალად იყო ქცეული. მათ ცხვარი თუ აქ ზამთარში ჰყავდათ, ზაფხულში – პალაკაციოს (ჩრდილის) მთებში.

* * *

საქართველოს ისტორიაზე ერთი თვალის გადავლენითაც ჩანს, რაოდენ დიდსა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვემო ქართლი ქვეყნისა და ქართველი ერის წარსულ ცხოვრებაში. უცხო დამპყრობლები ძირითადად აქედან შემოდისდნენ და პირველი შეტაკება მათ სწორედ აქ, ადგილობრივ მოსახლეობასთან უხდებოდათ. *ივანე ჯავახიშვილი* ხაზგასმით აღნიშნავდა: ტფილისის

¹ ვახუშტი. 1997, გვ. 52.

სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით „მეწინავე დროში“-დ იწოდებოდა: ეს კუთხე იყო, რომ სამხრეთითგან შემოსულს მტერს უნდა დახვედროდა და სწორედ ამ მიწა-წყალზე უნდა გაეწია ქართველ ჯარს მისთვის პირველი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა“¹. უფრო მეტი, *ნიკო ბერძენიშვილს* მიაჩნდა, რომ „ქართის“ კულტურის აკვანი ქვემო ქართლში დაირწა, რომ „ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული და ფეოდალური საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა); თანდათან მოიხაზა ქვემო ქართლის ტერიტორია: ფეოდალური ურთიერთობის ხანაში აქ იგულისხმება როგორც ხუნან-გაჩიან-სამშვილდის ბარი („ქართველთა ველი“), ისე თრიალეთ-გუგარეთისა და ალგეთ-მანგლისის ზეგან-მთიანეთი“².

ამიტომაც ეს მხარე მდიდარი საფორტიფიკაციო ნაგებობებით. ამავე დროს, აქ გადიოდა გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზებიც, რაც საჭირო იყო აღმოსავლეთითა და სამხრეთით მდებარე ქვეყნებთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობებისათვის. ამავე დროს შიდა ქართლისა და კახეთის მოსახლეობა სამხრეთ საქართველოსთან ურთიერთობას ქვემო ქართლთან დამაკავშირებელი მოკლე გზების საშუალებით ახდენდა, რადგან მასზე იყო მიბმული თრიალეთი, თრიალეთიდან კი ჯავახეთში გადასვლა მცირე დროში ხდებოდა. საამისოდ ქართველები ალგეთის ხეობაზე გამავალ გზებს იყენებდნენ, ხოლო სომხეთში მაშავერასა და ბერდუჯის ხეობებით ხვდებოდნენ. ამასთან დაკავშირებით კვლავ *ივანე ჯავახიშვილს* უნდა დავვსესხოთ: „განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქვემო-ქართლი მარტო სამხედრო თვალსაზრისით და მნიშვნელობით კი

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები..., 1919, გვ. 24.

² ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964: 364.

არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, არამედ მთელი თავისი მდებარეობით და გზებით, მთელი თავისი ქონებრივი ძალდონითაც, ეკონომიურადაც ის დანარჩენ საქართველოსთან და აღმ. საქართველო მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული. პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებითგან სჩანს, რომ ტფილისი სამხრეთითგან, სომხით-ბორჩალოთგან შემოსულ სურსათით იკვებებოდა¹.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ფაქტორი მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენდა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაზე და ის კრიტიკულ ზღვარს აღწევდა ხოლმე, მაინც შიდა მიგრაციული პროცესებითა და ბუნებრივი გამრავლებით ხდებოდა ქართული მოსახლეობის აღდგენა. გვიან თითქმის ამოვარდა მოსახლეობა ქვემო ქართლში. მაგალითად XIV-XV საუკუნის ბოლოს აქ კატასტროფიული დემოგრაფიული ვითარება შეიქმნა, *თემურ-ლენგის* გამანადგურებელი შემოსევების შედეგად. ალექსანდრე ბოშიშვილის სამართლიანი დასკვნით, „მონღოლებისა და განსაკუთრებით თემურ ლენგის შემოსევების შედეგად ქვემო ქართლში მოსახლეობა ძალიან შემცირდა, უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა განადგურდა“². XV საუკუნის პირველ ნახევარში, *ალექსანდრე I-ის* ღონისძიებების შედეგად, საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად ქვემო ქართლიც ნაწილობრივ მოშენდა. იგი „უკაცრიელ ადგილებს“ „კაცრიელ ადგილებად“ აქცევდა: იზიდავდა მწარმოებელ მოსახლეობას სხვადასხვა მხრიდან და არც მთის ნამატ მოსახლეობას ივიწყებდა. XVI საუკუნე უმძიმესი იყო ქართლისათვის. კახეთში კი ამ დროს შედარებით სიწყნარე იყო და აღმშენებლობითი ცხოვრება მიმდინარეობდა. ეს კი თავის მხრივ როგორც ქვემო ქართლის, ისე შიდა ქართლის მოსახლეობის მიგრაციას იწ-

¹ ი. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები..., 1919, გვ. 27.

² აღ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი. ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2020, გვ. 38.

ვევდა კახეთში. დიდ სააღმშენებლო სამუშაოებს ატარებდნენ ადგილობრივი ფეოდალებიც. მაგალითად ასეთ პიროვნებად ცნობილია *ყაფლან ორბელიშვილი*, რომელიც 1671 წელს გარდაცვლილა. მისი საფლავის ქვის ეპიტაფია გვამცნობს, ყაფლანის დიდი სააღმშენებლო სამუშაოების შესახებ: „ქ. წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა მე, ორბელის შვილმან ყაფლან, მეორეთ შევამკე მონასტერი ესე (საუბარია ფიტარეთის მონასტერზე – რ. თ.) და ბარსა და მთაში მტრისაგან გაოჭრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე სოფელი და (61). და ამას გარეთ შენი მამებარა სოფელი იზ (17)¹. ე. ი. სპარსეთიდან დაბრუნებულ ყაფლანს სათავედოს ტერიტორიაზე მხოლოდ 17 დასახლებული სოფელია დახვედრი; დანარჩენი დაცლილი იყო გლეხობისაგან; ამ პიროვნებამ 61 სოფელი ააღორძინა, 61 სოფელში ხალხი სხვა მხრიდან მოიყვანა, თუ აქედან გაქცეული გლეხები უკან დააბრუნა. ამ სოფლების აშენებას ის დაახლოებით 40 წლის მანძილზე (1627-1671) ახდენდა.

1721 წლის აღწერით ქვემო ქართლი ასე თუ ისე შედარებით მოშენებულია; მოსახლეობა თხლად, მაგრამ მაინც თითქმის ყველა სოფელში იყო განსახლებული. თუმცა ბევრი იყო აყრილი და ამოვარდნილი. მაგალითად, ტაშირში *აყრილი* მეტი იყო *მოსახლეზე*, შეფარდებით 251-167. 1721 წლის აღწერაში, რომელშიც ერთად თავმოყრილია ლოქმის (ლოქის), ბალიჭისა და ბოლნისის ხეობის 16 სოფელი, აღრიცხული იყო „ერთპირად მსახლობარი კომლი სამოცდა ჩვიდმეტი“ და „აყრილი ოთხმოცდაექვსი“. მთლიანად იყო „აყრილი სოფელი ე“ (5). მაგრამ ამ მხარეს ხანგრძლივი მშვიდობა მაინც არ ეწერა. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ „ოსმალობამ“ (1723-1735 წწ.) და შემდეგ „ყიზილბაშობამ“ (1735-1747 წწ.) მთლად გაავერანა ქვემო ქართლი. 1777 წლის არზაში ვკითხულობთ, რომ „მერე ოცდაორი წელიწადი

¹ გ. ჩიჭიაა. ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულაღის რაიონში, შრომები, ტ. III, 1926, გვ. 292.

არის რომ სომხითი და ბოლნისი დაიცვალა“¹, ე. ი. ეს მხარე მოსახლეობისაგან საბოლოოდ 1755 წელს დაცლილა. *ოსმალთასა და ყიზილბაშობას* თან *ლეკიანობა* ერთვოდა. 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში ვკითხულობთ: „ქ. არს აოხრებული სრულად სომხითი. ქვეყანა დიდი და მრავალი... ქ. ეგრეთვე არს საბარათასშივილო აოჭრებული ქვეყანა დიდი და კეთილი... და ეს სომხითი და საბარათიანო, შესწორებული არის ქართლისა ნახევარ ქართლი ჰქვიან და უწოდენენ ამჟამად ქვემო ქართლად“².

„XVIII ს. პროვინციების აღსანიშნავად ისევ იხმარება ზემო და ქვემო ქართლი, მაგრამ მათში ცალკეული ოლქები ნიშანდობლივ გამოიყოფა; ეს მოვლენა კი დამახასიათებელია გვიანი ხანის ქართლის სამეფოსათვის, როცა ძველი ეთნიკურ-გეოგრაფიული სახელი (ქვემო ქართლი), სხვადასხვა ნიშნით დახასიათებულ, მცირე ერთეულებად იყოფა (საბარათიანო, თრიალეთი, სომხითი, „თათარი“ და სხვ.). ამის საფუძველი კი სამეფო, სათავადო, საეკლესიო საკუთრება, ეთნიკური ჯგუფების სიტრულე და ნარევეობა, მიტოვებული მთა და მცირედ დასახლებული ბარია“³.

ასე რომ, XIX საუკუნის დასაწყისს საქართველოს ეს მხარე დემოგრაფიულად განადგურებული შეხვდა. გაგვაჩნია *იოანე ბაგრატიონის* მიერ XVIII საუკუნის დასასრულს შექმნილი ქართლ-კახეთის აღწერა, რომელშიც ნასოფლარების ძალიან დიდ რაოდენობაა. იოანე ბაგრატიონს სოფლის დასახელების გვერდზე, სადაც მოსახლეობა იყო, მიწერილი აქვს „მოსახლენი“, ხოლო სოფელს, რომელშიც აღარავინ მკვიდრობდა, ამ მინაწერის გარეშე ტოვებდა. მხოლოდ მცირე მაგალითების მოყვანით დაგვიჩვენებდნენ. ბოგვის ხევზე 5 სოფელს

¹ ქართული სამართლის ძეგლები, VII, 1981, გვ. 384.

² ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტირიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. – მაცნე, ისტორიის სერია, 1, 1973, გვ. 154.

³ დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს..., 1979, გვ. 16.

ჩამოთვლის: მარაბდა, არდასუბანი, ბოგვი, ციხია, წინვე-
ნახი. ამ დროს მხოლოდ მარაბდაში იყო მოსახლეობა,
დანარჩენი 4 ნასოფლარს წარმოადგენდა. ფაქტობრივად
მოსახლეობისაგან ცარიელი იყო გომარეთისა და ზურ-
ტაკეტის ხეობა, ჭივჭავის ხეობა, ქციის ხეობა, ბალიჭის
ხეობა, ქვეშის ხეობა... აუნახდაურებელი დანაკლისი მია-
ყენა ქვემო ქართლს (და არა მხოლოდ ქვემო ქართლს)
ოსმალობამ, ყიზილბაშობამ და განსაკუთრებით ლეკიან-
ობამ. დრო და დრო ქვემო ქართლში ქართულ მოსახ-
ლეობასთან ერთად ნადგურდებოდა შემოხიზნული სომ-
ხური მოსახლეობაც. „ამ ხნის განმავლობაში ეს საქარ-
თველოს სამხრეთის კუთხე ისე აოხრდა და გაუკაცრი-
ელდა, რომ 1760 წ.-ისათვის, როგორც რუსეთის ხელმწი-
ფისათვის გაგზავნილს აღწერილობაში ერეკლე მეფე
სხვათა შორის ამბობს, მოსახლეობის 1-2%-ზე მეტი შერ-
ჩენილი არ იყო“¹. ერთ-ერთ საბუთში კი ნათქვამია, რომ
სომხით-საბარათიანოში ასისაგან ერთიდა არის დარჩე-
ნილი. ქვემო ქართლში უმძიმესი დემოგრაფიული მდგო-
მარეობის მაჩვენებელია XVIII საუკუნის 70-იანი წლების
საეკლესიო საბუთი „ყოვლად სამღუდელონი მღუდელთ-
მთავარნი ქართლსა და კახეთში“, რომელშიც „დაც-
ლილნი აოხრებისაგან“ არის „სამიტროპოლიტო ახტა-
ლისა“, „საეპისკოპოზო მანგლისის“, „საეპისკოპოზო
ბოლნისისა“, „საეპისკოპოზო წინწყაროსი“, „საეპისკოპო-
ზო დმანისისა“².

ეთნოლოგ სარა ბედუკაძეს ქვემო ქართლის სოფელ
ჯავახში მცხოვრები მოხუცი მოხრობელისაგან ასეთი
რამ ჩაუწერია (მოხრობელი თურქეთში შემავალ ქარ-
თულ მხარეებში ნასიარულევი ყოფილა): „იქ ერთი ოთხი
საყდარი ვნახე. ერთი საყდარი, ჩვენი მტკვარი რო ჩამო-
დის – წყაროსთავი ჰქვია, იქ ვნახე, ისეთია რო რა
თვალმა, რა ხელმა დააჭრელა ის საყდარი!... დავჯექი
და ვიტირე ერთი პირი, ჩამცხეს თავში, ხო არ გააცოც-

¹ ი. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები..., 1919, გვ. 29.

² ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 929.

ხლებო“. თურქეთში იგი ყველგან ეძებს ქართველებს, ათვალიერებს საყდრებს და წარწერებს და აქ დაბრუნების შემდეგ განაგრძობს ძიებას. „იღლუჯის ბოლოზე წითელი ხიდი რთა, შემოვყე აქამდე, ყველა სოფელში საყდრებია და სუ თათრები კია. ამოტენა ხალხი სუ ამოწყვეტილა. ძველებურათ გუმრს ეძახიან, იქ არაზი ჩამოდის, იმის იქით სომხეთი ყოფილა და იმას აქეთ საქართველო. აქ ძველათ ჯაღალ-ოღლის ეძახდნენ (ახლა სტეფანავანი), იმას იქით არის ქართული სასაფლაო ჩამწკრივებული. გადმიდან ქალაქია, გამოღმიდან ღორის ციხე არის – ქართული სახელი ჰქვია“¹.

ფაქტია, რომ ქვემო ქართლში ძველი ქართული მოსახლეობა გაქრა. მისი შევსება ნაწილობრივ ხდებოდა საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან გადმოსახლებული მოსახლეობით. ამავე დროს მუდმივი საფრთხე მაინც აბრკოლებდა აქ ქართველთა დასახლებას. მხარეში სამაგიეროდ თურქულენოვანი ელი სახლდებოდა, აგრეთვე სომხური მოსახლეობა, რომლებმაც აქ, მტკვრის, ხრამის, დებედას ხეობებში დასახლება XV-XVI საუკუნეებიდან დაიწყეს, მაგრამ მათი უმრავლესობა ძირითადად მოძრაობდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, რასაც ნახევრადმომთაბარეული ცხოვრების წესიც განაპირობებდა. XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასმა დებედას ხეობის მარჯვენა მხარეს ბორჩალოს ტომი დაასახლა, რომლებიც საქართველოს სამეფო კარის ერთგულნი იყვნენ. მაჰმადიან მტერთა შემოსევისთანავე, ქართველ მეფეთა დაძახილზე, ისინი ერთ-ერთი პირველნი მოდიოდნენ და იცავდნენ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს, ტერიტორიას. ბორჩალოელთა ერთგულების გამო იყო, რომ 1755 წელს ერევნის მახლობლად გადასახლებულები *ერეკლე მეორემ* აყარა და უკანვე გადმოასახლა. ბორჩალოელთა წრიდან XVIII საუკუნეში საქართველოს ეროვნული გმირიც გამოვიდა. ეს იყო **ხუდია ბორჩალოელი**,

¹ ს. ბეღუაძე. ხალხური ქვითხურობა ალგეთის ხეობაში, თბ., 1973, გვ. 24.

რომელსაც თეიმურაზ ბაგრატიონი „ყოველისა საქართველოს ჩინებულ და მამაც“ პიროვნებად მოიხსენიებს. თურქულენოვანი აყრილი მოსახლეობის სხვა ფაქტიცაა ცნობილი. 1778 წელს ერთ ქართულ საბუთში, რომელიც გაცემულია *ერეკლე მეორის მიერ შილშ არდუთაშვილისადმი* ვკითხულობთ: „ფარხალი ელი საქართველოს მიწაწყლიდან აყრილიყო და განჯას მისულიყო და იქ დამდგარიყო, კარგა ხანი იქ დაეყვნათ. თქვენ დიდად გაისარჯენით და მრავლის ცდით ეცადებით და განჯიდამ ჩვენის დასტურით და ნებით, ფარხალი ელი საქართველოს მიწაში მოასხით... ჩვენც წყალობა გიქმენით და საემოდ თქვენვე გიბოძეთ“. 1800 წლის მარიამ დედოფლის მამამისისათვის – *გიორგი ციციშვილისადმი* ყმისა და მამულის ბოძების წიგნში ვკითხულობთ: „... **გიბოძეთ ჩვენი საკუთარი სოფელი ბორჩალოში** ... რაც იქ კაცნი სახლობენ, რომელიც მათის უმაღლესობისაგან მბოძებია კაცნი და **ზოგი ჩვენ ჭარიდამ და განჯიდამ მოგვიყვანია და დაგვიყენებია**“¹. ქვემო ქართლში ქართველების თათრებთან და სომხებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების შედეგი იყო ხალხური ლექსი, რომლის მსგავსი არც ერთი სხვა ეთნოსის ხალხურ პოეზიაში არ მოიძებნება: „ყველა ადამის შვილი ვართ, // თათარიც ჩვენი ძმა არის, // ჩვენსა და სომეხს შუა // განყოფილება რა არის?“. ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებაც უნდა ითქვას: ქვემო ქართლში მოსული უცხო ეთნიკური ჯგუფები სახლდებოდნენ რა ქართულ ნასოფლარებში, იძულებული ხდებოდნენ, აეთვისებინათ ადგილობრივი კულტურული რეალიები, ეს განსაკუთრებით ითქმის სამეურნეო კულტურულ ტრადიციებზე.

ქვემო ქართლში ისტორიულად სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული არსებობდა. ადრე შუა საუკუნეებში აქ ხუნანისა და სამშვილდის საერისთავოები იყო. ჯერ კიდევ საქართველოს ერთიანი სამე-

¹ დოკუმენტები... 1953, გვ. 204.

ფოს დაშლამდე დაიწყო ახალი ადმინისტრაციული ერთეულების წარმოქმნა. ქვემო ქართლში ეს იყო საქართველოს თითქმის ყველაზე დიდი ფეოდალური სენიორია *საბარათიანო*, რომლის საფუძველხამყრელი დასავლეთ საქართველოდან გადმოსული *ბარათა ქაჩიბაიძე* იყო, რომელიც XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე იყო და რომელიც „დიდ ბარათადაც“ იხსენიება. XV საუკუნეში ბარათაშვილებს მამულები ჰქონდათ ალგეთის, ქციის და მაშავერას ხეობებში¹. სათავადოს ცენტრი სამშვილდე იყო; ამიტომაც ისინი „სამშვილდის მებატონეებად“ თვლიდნენ თავს. „XV საუკუნიდან ქვემო ქართლი სამეფო სადროშოებად დაიყო. ეს სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციული ერთეულები ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების გათვალისწინებით შეიქმნა. **ქვემო ქართლი მეწინავე სადროშოს შეადგენდა**, რომლის სამი მხარე (აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი) სახელმწიფოებრივ საზღვარს ემთხვეოდა. ჩრდილოეთიდან კი, მას მეოთხე, ანუ მეფის სასპასპეტო ესაზღვრებოდა“². XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან საბარათაშვილომ სხვადასხვა, პატარა სათავადოებად დაშლა დაიწყო. პირველი ეს იყო *ორბელიშვილ-ყაფლანიშვილთა* სათავადო, რომელიც მოიცავდა ქციის ხრამს, მაშავერის ხეობას, ზურტაკეტსა და ტაშირს. XVII საუკუნის შუა წლებში საყაფლანიშვილოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ბარათაშვილებისაგან გამოყოფილი სხვა სათავადო – *საზურაბიშვილო*. ამ სათავადოს მამულები ძირითადად კაზრეთისა და ბალიჭის ხევში იყო. მათ მამულები ქციასა და ლორეშიც ჰქონდათ. საყაფლანიშვილოში იყო ცალკე სათავადო *იოთამიშვილებისა* (80 სოფელი ჰქონდათ ქციის ხრამში, დმანისხევში, ტაშირში, ზურტაკეტში, ალგეთსა და სომხითში). ამავე ტერიტორიაზე შედარებით გვიან წარმოიქმნა *იარალიშვილების* ფე-

¹ გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 9, 12.

² დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს..., 1979, გვ. 94.

ოდალური სახლიც. ასევე ცალკე იყო წარმოქმნილი სა-
გოსტაშაბიშვილო, რომლებსაც მამულები ძირითადად
აღგეთის ხეობაში ჰქონდათ. ბარათაშვილთა განაყრები
იყვნენ აგრეთვე *გერმანოზიშვილები*, *აბაშიშვილები*, *ფა-
ლაგანხოსროშვილები* და *ქავთარაშვილები*. ქვემო ქარ-
თლში (ყაიყულში, ტაშირში, სომხითში) ყმა-მამულის
დიდ რაოდენობას ფლობდა ქართლის სამეფო სახლიც;
სახასო იყო ქვემო ქართლში დასახლებული მთელი
თათრული ელის მოსახლეობაც.

ქვემო ქართლზე როდესაც ვსაუბრობთ, შეუძლებე-
ლია ორიოდ სიტყვით არ აღინიშნოს, რომ აქ არის და-
ფიქსირებული რამდენიმე ასეული ქართული წარწერა.
ქვემო ქართლშია ყველაზე უძველესი ბოლნისის სიონის
წარწერა და ადრე შუა საუკუნეების სხვა არაერთი ეპიგ-
რაფიკული ძეგლი. ყველა ეს წარწერა ქართველი მეცნი-
ერების მიერ სათანადოდ აღწერილი და კლასიფიცირე-
ბულია; ესენია: 1. **მემორიალური სტელები** (V, VI, VII
საუკუნეებისა); 2. **ქვაჯვარების კვარცხლობეებზე მოთაფ-
სებული წარწერები** (VIII საუკუნით თარიღდება სოფელ
ტბისში აღმოჩენილი ქვაჯვარის კვარცხლობეის წარწე-
რა, რომელშიც **მოხსენიებულია ჯვრის აღმმართველი
ლაშა**. ეს ფაქტი კი ფრიად მნიშვნელოვანია დასახელე-
ბული ანთროპონიმის შესასწავლად. პიროვნული სახე-
ლის – **ლაშა** – მოხსენიება მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ
მას არაფერი არა აქვს საერთო აფხარულ/აფხაზურ
ენასთან და პირველად არც თამარის ძისათვის დაურქმე-
ვიათ იგი. **ლაშა** უძველესი ქართული სახელი იყო და
ნიშნავდა ღამაზი პირისახის, ტუჩების მქონეს); 3. **სამშე-
ნებლო წარწერები** (ბოლნისის სიონის უძველესი წარწე-
რების შემდეგ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში
თითქმის ყველა ტაძარზეა შესრულებული ასეთი წარწე-
რები. შეიძლება გამოვყოთ 777 წლის სამშვილდის სიო-
ნის წარწერა, XI საუკუნის რამდენიმე წარწერა მანგლი-
სის ტაძარზე, დიდი გომარეთის X-XI საუკუნეების წარ-
წერები და მრავალი სხვა); 4. **წარწერა-საბუთები, ანუ**

ეპიგრაფიკული აქტები; 5. ეპიტაფიები (ყველაზე ადრეულია სოფელ *ბალიჭში* აღმოჩენილი ქვის დიდი სახურავიანი სარკოფაგი, VII საუკუნის ასომთავრული წარწერით).

საქართველოს სახელმწიფოს მესვეურნი ცდილობდნენ ქვემო ქართლი აეღორძინებინათ, მწარმოებელი მოსახლეობა დაესახლებინათ, მაგრამ რესურსი მინიმუმამდე იყო დასული. საისტორიო საბუთებში დადასტურებულია რამდენიმე ფაქტი სამხრეთ საქართველოდან ქვემო ქართლში მოსახლეობის გადმოსახლებისა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც *სამცხე-საათაბაგოს* ოსმალები დაეუფლნენ. მაგალითად, 1656 წელს დმანისის ხეობის თავში, ნაოხარ ადგილ *ორიხმანში* *ყაფლან ორბელიშვილის* მეუღლემ *თამარმა* სათავისოდ დასახლა თავისი ძმის ნაყმევი „*ჯავახი მესხი კაცები*“; *როსტომ* მეფემ ეს გლეხები გაათარხნა¹. ჯავახეთიდან გვიანაც ხდებოდა გადმოსახლება, მაგალითად, აქედან არიან მიგრირებული XX საუკუნის დასაწყისში *ყალამშიასა* და *მიჯაში* (*ჯავახში*). ქვემო ქართლში, როგორც სანაპირო ქვეყანაში, დასახლებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და დასავლეთ საქართველოს ნამატი მოსახლეობა ერიდებოდა; ისინი უფრო უსაფრთხო შიდა ქართლს ირჩევდნენ. ამიტომ ერეკლე მეფემ სხვა ეთნიკურ ერთობათა დასახლება დაიწყო, განსაკუთრებით კი – სომხებისა და ნაწილობრივ ბერძნების. უფრო ადრე კი, XVII საუკუნიდან ინტენსიური იყო თურქულენოვანი ტომების დასახლება. სომხური მოსახლეობის მიგრაციაც ადრიდანვე მიმდინარეობდა, მაგრამ მტრის ხშირი შემოსევების შედეგად, ქართველებთან ერთად, მათი განადგურებაც ხდებოდა. სომხების ორგანიზებულ შემოსახლებას XIX საუკუნეში უკვე რუსეთის იმპერია ახდენდა, რომლის გეგმაშიც შედიოდა საქართველოს ეთნიკური აჭრელება. 1818 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში გერმანელთა

¹ ზ. ალექსიძე, ბურჯანაძე. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 76.

შემოსახლება დაიწყო, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ქვემო ქართლში იქნა დასახლებული. მეფე ერეკლემ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბორჩალოში ანატოლიელი ბერძნებიც დაასახლა სამთამდნო სამუშაოების საწარმოებლად. „ახტალაში, ალავერდში, შამბლულსა და დამბლულის საბადოებზე ვითარება 1785 წლიდან შეიცვალა, როდესაც მაღაროებში მომუშავე ბერძნებს *ომარ ხან ავარიელი* თავს დაესხა. ლეკებმა ყველა საბადო დაარბიეს, მომუშავეთა ნაწილი დახოცეს, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ბერძნების მცირე ნაწილმა მოახერხა თავი ტყეებისთვის შეეფარებინა და გადარჩენილიყო“¹. ერეკლე მეფემ მალევე მოახერხა საბადოების აღდგენა, მაგრამ ბერძნებმა ახალი დარტყმა ალა-მაჰმადხანის შემოჭრის დროს განიცადეს – ახტალასა და ალავერდში 700 ბერძენი მადნისმწარმოებელი მოკლეს და 800-ზე მეტი ტყვედ წაიყვანეს². სხვათა შორის ბერძენთა ქარხნები ქართველი თავადების *მელიქი შვილების*, *არღეთა შვილებისა* და *ორბელიანების* მიწებზე მდებარეობდა, რისთვისაც ისინი ყოველწლიურად გარკვეულ თანხას იღებდნენ.

ბერძნების ჯგუფური გადმოსახლება 1829 წლიდან დაიწყო თრიალეთში, რომელთა შორის უმრავლესობას ურუმები (თურქულენოვანი მართმადიდებელი ბერძნები) წარმოადგენდნენ. XIX საუკუნეში ქვემო ქართლში რუსებიც დასახლდნენ, რომლებიც „ახტავნოი“ ჯარისკაცების შთამომავლები იყვნენ (თეთრიწყარო, მანგლისი, ორბეთი). XIX საუკუნის ბოლოდან ქვემო ქართლში გაჩნდა რამდენიმე ოსური სოფელიც.

XIX საუკუნიდან დაიწყო ქვემო ქართლის ნასოფლარების აღორძინება – ქართველი გლეხები აქ ახლა შედარებით თავისუფლად სახლდებოდნენ, აღარც ყო-

¹ ალ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი. ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2020, გვ. 184.

² ალ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური..., გვ. 185.

ზილბაშობა იყო, აღარც ოსმალობა და უფრო მეტად ლეკიანობა.

XVIII საუკუნეში ქვემო ქართლის ფეოდალები (კლიობდნენ ქართველ მთიელთა დასახლებას, მაგრამ ეს პროცესი ინტენსიური XIX საუკუნის შუა ხანებიდან გახდა. ამ დროს თრიალეთის ქედის როგორც ჩრდილოეთ კალთებზე (შიდა ქართლში), ისე სამხრეთ კალთებზე (ქვემო ქართლში) მიმდინარეობდა ქართლის მთიელთა (მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები, ჭართლელები, ქსნის ხეობელები) გადმოსახლება.

ქვემო ქართლის სოფლების რაობასა და რაოდენობაზე გარკვეულ წარმოგენას გვიქმნის ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების სოფელთა სიები. სიებზე ერთი თვალის გადავლენაც კი საკმარისია იმის დასანახავად, რომ უმრავლესი მათგანი ქართული ტოპონიმია, ე. ი. ისინი ავტოქტონი ქართული მოსახლეობის მიერაა შექმნილი: *ტაბახმელა, გუდელისი, კოჯორი, შინდისი, თელეთი, წაღასყური, ღოუბანი, ნახიდური, ბორბაღა, მუხათი, კოდა, გარყლუპი* (ანალოგიური სახელით სოფელი შავშეთშიც იყო), *გუდარეხი, ხეკორდი, დვალთა, ერწო* (ივრის ხეობაში ერწო მხარეს ერქვა და ჰქვია), *კველთა, ოძისი, მანგლისი, მუავისი, ვომარეთი, ჩამძვრაღა, წარბათუბანი, ზვარეთი, ფიტარეთი, ლიყურეთი, ხორხები, სამშვილდე, კრწანისი, კორა, წინანაური, წრაუთი, მუგუთი, იფნობი, ჩიმჩხური, ბაღიჭი, ქადავიანი, უკანგორი, კრკონი, კიანეთი, საკარისი, ბოსლები, ქვეში, იწრია, სავანეთი, წიფორი* (წიფორი მთიულეთშიცაა), *კაზრეთი, კვირაცხოველი, წყნეთი, რატკვანი, ხატისსოფელი, ბოლნისები, დარბაზი, შაორი, სამწვერისი, ნადვალეთი, ხუცის სოფელი, წერაქვი, ოფრეთი, კატავეთი, ჭაჭკანი/ჭოჭკანი, ყორყორი, სამტრედლო, დისველი, აკაურთა, ბუჩუკუნი, გულეული, თავდიდიანი, ვანი, შავკოში, ვარდისუბანი, დბანისი, ქვაბეგანი, ლაკლაკაშენი, გუგუთი, ნახიდური, თავმგრვავაღა, ირდასუბანი, საკეცე, ჯვარა, ბოცეთი, ქუჯაეთი, კლდეისი, ქვათეთრისი, ეგრი/ეგრისი, მარნეული, ჭანდარი,*

ღვინჭრობი, დოლოვნა, გოლოთეთი, ფარცხისი, ბაგრანეთი (შდრ.: მაგრანეთი ერწოში)...

ქვემო ქართლის მკვიდრი გვარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის 1721 წლის აღწერის დავთარი: აბრამიძე (სოფელ აბრამეთში), აბულაშვილი, აუშტარი, ბიბილური, ბლორძელი, ბურდიაშვილი, გარაყანაშვილი, გვარაძე, გიგოლაშვილი, გუგუნაშვილი, დოლენჯაშვილი, ეგრისელაშვილი, ელისაშვილი, ვათიაშვილი, ვარამაშვილი, ვაშაყმაშვილი, ვეშაპიძე, ხაზუნაშვილი, ხაჭუტაშვილი, ზეიკიძე, ზეინკლიშვილი, თევაძე, თედიაშვილი, ირემაშვილი, კალატოხიშვილი, კარიჭაშვილი, კახიშვილი, კედელაძე, კოპალაშვილი, ლაბარიშვილი (ლაბარები დღეს ხოვლეში ცხოვრობენ), ლახარაშვილი, ლაშქარაშვილი, მამასახლიშვილი, მამიაშვილი, მამულაშვილი, მახარაშვილი, მესხიშვილი, მთიულიშვილი, მოლოდინაშვილი, ნადირაშვილი, ნანუაშვილი, ნასყიდაშვილი, ორბელაძე, პაიჭაშვილი, ჟოჟუაშვილი, რევაზაშვილი, საღუქაშვილი, სამადაშვილი, სისაური, ტაველიშვილი, ქიტუაშვილი, ღრეულიშვილი, ყარყარაშვილი, ყვავილაძე, შალუტაშვილი, შაქარაშვილი, შოშიაშვილი, შოშიტაშვილი, ხანთაძე, ჩეკურაშვილი, ჩივაძე, ჩომახაშვილი, ძულიაშვილი, ხარებაშვილი, ხატისაშვილი, ჯავახი, ჯვარიშვილი, ჯოეშვილი,

ქვემო ქართლში XVIII საუკუნის დასაწყისში მცხოვრებმა ბევრმა გვარმა ჩვენამდე საერთოდ აღარ მოაღწია; შეიძლება დავასახელოთ: აზრაკაძე, ბატატუაშვილი, ბელელაშვილი, ბიჭილაშვილი, ბოცქვიტაშვილი, ბოწიაშვილი, ბრუტიშვილი, გაველური, გაგუშიძე, გედიაშვილი, გორაშვილი/გვარაშვილი, გუგნიაშვილი, დევადორაშვილი, ელაძე, თოთაშვილი, იქნაძე, კიშური, კოდიანელი, კოკიძე, კრიჭანაშვილი, ლახინაშვილი, ლიხვაძე („აფხაზი ლიხვაძე“), მაჯნიძე, მესავარცხლიშვილი, მუღრევიშვილი, მუნჯილაშვილი, მუსიყალელი, ნავაქაშვილი, ნეგულაშვილი, ოლოდაშვილი, რამავაშვილი, რომაქიშვილი, სარეველი, საწერაშვილი, სევედიაშვილი, სიბიტაშვი-

ლი, სიდონიძეშვილი, ღონანაშვილი, ურდელაძე, უღუ-
ლიშვილი, ფახაშვილი, ქაგარაშვილი, ღუტიაშვილი, ყა-
ყახოიანიშვილი, ყოინიძე, ყუბასარაშვილი, ყუდიძე, შიაშ-
ვილი, ხანთური, ციბაშვილი, წონიაშვილი, წყორდელაშ-
ვილი, ჭილიტიკაშვილი, ხერგეში, ხულფათაშვილი, ძამი-
ლაშვილი, ჭალაბაშვილი, ჯომეში...

1721 წლის აღწერის დავთარში საინტერესო პიროვ-
ნული სახელებიცაა დაცული: ათაბეგა, ბედიანა, ბერი,
ბერიძე, ბერძენა, ბუჭუა, გეგელა, გვარულა, გულია, გუ-
ლისადები, დათუნა, ვარძიელა, ვაჟყაფარ, ვარდია, იმედა,
ირემა, კავთელა, კაკაბა, კახაბერი, ლამაზა, ჯლოძი, ლო-
მიტა, მამაცა, მამისიმედი, ოსია, ოსიყმე, ოქრუა, სალუქა,
სამებისა, სამებელი, სიყმია, სონდული, ღონენა, შოშია,
ხეყურა, ხერქეზა, ჩიტა, ძაბილა, ძამა, ძულია, ხარება, ხა-
ტისა, ხატუა, ხინჩლა, ხოსიტა, ჯაშიტა, ჯვარისა, ჯულე-
ლა...

ზემოთ ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები დავიმოწ-
მეთ და კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ ის ქვემო ქარ-
თლის მოსახლეობის მხოლოდ სარწმუნოებრივ სომხობა-
ზე საუბრობდა. ამ ფაქტზე მიუთითებს 1721 წლის ქვემო
ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთარი. მათში გავ-
რცელებული იყო ძირითადად ქართულძირიანი, აგრეთვე
თათრულ და სომხურძირიანი გვარები. არაქართულძირი-
ანი გვარების გაჩენა ფეოდალური პერიოდის საქართვე-
ლოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რაც გამოწვეული
იყო ძირითადად არაქართული პიროვნული სახელების
გავრცელებით. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქვემო
ქართლის აღწერის დავთარში გვარებითაა ჩაწერილი.
გვარსახელები კი ქართველ ხალხში ადრეული ხანიდან
ჩნდება – ფაქტობრივად ის ამ სოციალური ინსტიტუტის
გარეშე არასოდეს არ ყოფილა. იმავე დავთრით ადვილი
გასარკვევია ქვემო ქართლის რომელ სოფლებში მოსახ-
ლეობდნენ სომხები. მათი პროცენტი ათს არ აჭარბებდა.
ქართველი გრიგორიანელები აქ თუ გვარებით არიან ჩა-
წერილი, სომხები მხოლოდ სახელებით, გვარების გარე-

შე. ეს ბუნებრივია, სომხებს ხომ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მემკვიდრეობითი სახელები (გვარსახელები) არ ჰქონდათ. XIX საუკუნის დასაწყისიდან სომხურ-გრიგორიანულმა/მონოფიზიტურმა სარწმუნოებამ შიდა ქართლშიც დაიწყო გავრცელება, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა იყო (1811 წელი).

III. შიდა ქართლი (ხეობები, მცირე ტერიტორიული ერთეულები)

ახლა შიდა ქართლის სხვადასხვა მხარეები/ხეობები უნდა მიმოვიხილოთ. შიდა ქართლი გეოგრაფიული თვალსაზრისით მოიცავდა ტერიტორიას კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედიდან (თუმცა მასში შემავალი ხევისა და დვალეთის მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით იყო) თრიალეთის ქედამდე (ქედის ჩრდილოეთი ნაწილი შიდა ქართლშია) და სურამის ანუ ლიხის ქედიდან მდინარე არაგვამდე და თბილისამდე (იგულისხმება ისტორიული თბილისი). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შიდა ქართლის საერთო ფართობი 12.117 კვ. კმ.-ია. „შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული მდინარეთა წყალგამყოფები მკვეთრადაა დანაწევრებული მდინარეთა ხშირი ქსელით; მოსახლეობის განსახლებისათვის სწორედ მდინარეთა სანაპიროებია მოსახერხებელი სხვადასხვა თვალსაზრისით. ამიტომ მსხვილი დასახლებული პუნქტები მდინარეთა გასწვრივაა. მდინარეთა სანაპიროებზე დასახლება პირველ რიგში გამოწვეული იყო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით; მდინარის წყალი გამოიყენებოდა სასმელად, სარწყავად, სათევზაოდ, მიმოსვლისათვის და სხვა“¹. შიდა ქართლის დანარჩენი ნაწილი ტაფობისებური მოყვანილობისაა; რელიეფი ვაკე და ბორცვიანია. ეს გეოგრაფიული ერთეული თავდაცვისათვის ნაკლებ შესაძლებლობას ქმნიდა, ამიტომაც აქ დასახლებული პუნქტები შედარებით ცოტა იყო. შიდა ქართლის ვაკე ადგილებს ხეობებში მცხოვრებნი ძირითადად საძოვრებად იყენებდნენ, მაგალითად, ქსნისხეველნი მუხრანის საზამთრო საძოვრებით სარგებლობდნენ². შიდა ქართლი მიმ-

¹ კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული ტეოგრაფია. შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 11.

² ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (შიდა ქართლი), თბ., 1983.

დებარე მხარეებთან სამიმოსვლო გზებით იყო დაკავშირებული. არაგვის ხეობაზე გადასვლის შემდეგ ქართლები არა მხოლოდ კახეთის განაპირა მხარეში შედიოდნენ, არამედ შიგნით და გარე კახეთშიც; მოსახერხებელი და მოკლე გზები თიანეთსა და ერწოზე გადიოდა. მოკლე გზებით იყო დაკავშირებული ქვემო ქართლთან და შესაბამისად თრიალეთსა და ჯავახეთთან. შიდა ქართლიდან გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი ორი მნიშვნელოვანი გზა – ხევის გაფლით *დარიალის კარი* და დვალეთის გაფლით („გზაი დვალეთისაჲ“) – *კასრის კარი*. გვიან, შიდა ქართლში სათავადოების წარმოქმნის შემდეგ, ფაქტობრივად, ახალი ტერიტორიული ერთეულები წარმოიქმნა. მეცნიერები, როდესაც შიდა ქართლის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების შესახებ საუბრობენ, ძირითადად *ვახუშტი* და *იოანე ბავრატონების* სქემას მისდევენ. ჩვენც ამ სქემას გაუყევებით. შიდა ქართლი თავის მხრივ ორ ტერიტორიულ ერთეულად იყოფა; მტკვრის ჩრდილოეთი და სამხრეთი. სამხრეთ ნაწილს *გაღმაძხარი* ეწოდებოდა.

ტფილისი ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის საზღვარზე მდებარეობდა. ამიტომაცაა, რომ ვახუშტის „ტფილისსა და მის მხარეში შეაქვს ვერეს ხეობის სოფლები: *წყნეთი, ახალდაბა, თხილოვანა/თხინვალა, ლისი* და „*დიღომი* და მისი ჳევი“. დიდმის ხეობა, როგორც თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარე, შიდა ქართლია.

1. დიდმის ხეობა. ქვემო ქართლის შიდა ქართლთან დამაკავშირებელი გზები თრიალეთის ქედზე გადიოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იყო მცხეთიდან *მუხათგვერდის, ჭილიტბის* გაფლით დიდმის ხეობაზე გამავალი ე.წ. **საცხვრე გზა**. დიდმის ხეობა შიდა ქართლის ერთ-ერთი პატარა ხეობაა, „ქვეყანაა“. ქვეყნადაა ის მოხსენიებული 1505-1525 წლებით დათარიღებულ საეკლესიო საბუთში: „წმიდაო გიორგი, მფარველო ყოვლისაო, ახოვანო, მკნეო გიორგი, **დაიცევ ქვეყანა ესე დიღომი**, იხსენი ყოვლისა ჭირისაგან, ქარისაგან, გრიგალისაგან, სეტყვი-

საგან, დაიცევ ქვეყანა ესე“¹. დიდმის ხევი სათავეს, ისე როგორც ვერეს ხევი, *ნიზურა* და *კავთურა*, დიდგორის მთიდან იღებს. *ვახუშტი ბაგრატიონი* ამთავრებს რა ვერეს ხეობის სოფლების ჩამონათვალს, გადადის მონაკვეთზე, რომელსაც სათაურად აქვს: „ტფილისი და მისი მკარი“: *1. წენეთი, 2. ახალდაბა, 3. თხილოვანა, 4. ლისი*“ შემდეგ კი ამ სოფლებს მოსდევს: „*1. დიღომი და მისი ჯევი, 2. თეთრადე, 3. წოდორეთი, 4. თელოვანი, 5. მაჩხაანი, 6. წინუბანი, 7. ბევრეთი*“. საყურადღებოა, რომ ტფილისის მხარის სოფლების ჩამონათვალში პირველი ოთხი ქვემო ქართლში შემავალია, ხოლო დანარჩენი სოფელი დიღომი და დიდმის ხევეზე მდებარე სოფლები – შიდა ქართლში. *იოანე ბაგრატიონი* დიდმის ხეობის სოფლების ისეთსავე ჩამონათვალს გვთავაზობს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ *თეთრადის* ნაცვლად წერს *თეთრაანს*, როგორც ხალხი უწოდებდა ამ სოფელს, და ამატებს *ნაქულბაქევსა* და *მუხათგვერდს*. ნაქულბაქევი დიდმის მინდორზე მდებარე სოფელი იყო დღევანდელ სამხედრო გზასა და მტკვარს შორის, საიდანაც დიდმის მხარე იწყებოდა, რომელიც „დიდმის იწროებთან“ მთავრდებოდა. *ვახუშტი ბაგრატიონი* შემდეგს წერს: „ამის სამკრით (საუბარია სხალდიდის მთაზე – რ. თ.) ჯეობა დიდმისა. ჩამოსდის ამისი წყალი სხალდიდისა და სათოვლიას მთას და დის აღმოსავლეთით, მიერთვის მტკვარს დასავლეთიდან. არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთებრი. სამკრით არს ველი დიდი დიდმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზროხათა სიმრავლენი“². გარდა ზემოთ დასახელებული სოფლებისა, დიდმის „ქვეყანაში“ იყო სოფლები: *ტაბარუკი, ჯიხურები, ვეძისი, თელოვანი, ჯლიანი, ქობა, კორათხევი, ნაოქიანი, ძაღლაანთხევი, ონადირები* (ვაშლაჯვრის ტერიტორიაზე. დიდმელთა ნაწილს აქ

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, თბ., 2016, გვ. 21.

² *ვახუშტი*, 1997, გვ. 57.

ქონდა კალოები)... ქართულ წერილობით ძეგლებში მითითებულია შიდა ქართლის საზღვრები, რომელიც თბილისიდან და მდინარე არაგვის მარჯვენა სანაპიროდან ლიხის (სურამის) ქედამდე და ტაშისკარამდე ვრცელდებოდა. ამრიგად, შიდა ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი სწორედ თბილისზე მიკრული დიდმის ხევიდან იწყება. „დიდმის ხეობა დასერილია სხვადასხვა დანიშნულების გზებითა და ბილიკებით – საურმე, სანახირე, საცალფეხო და ა. შ. ერთი მთავარი გზა დიდმის ხეობის სათავიდან ეშვება ხეობის დასწვრივ, რომელსაც *სადიდმო გზა* ეწოდება. ეს გზა მიემართება ზემო დიდგორზე, ზემო დიდგორიდან კლდეკარისაკენ. ამ გზას ბოლო დრომდის არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მას „სამთო“ გზასაც უწოდებენ. ამ გზით მიემართება მთაში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის საქონელი. ძველ წერილობით წყაროებში ამ გზას „სადიდმო შარა“ ეწოდებოდა“¹. დიდმისა და მისი ხეობის შესახებ საყურადღებო მონაცემებია დაცული „დასტურლამალში“, მაგალითად, დიდმელებს, მუხათგვერდელეთან და ნაქულობაქვეელებთან ერთად, ევალებოდათ მცხეთიდან თბილისში მიმავალი გზის დაცვა დიდმის იწროებამდე. დიდმელთა მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე „სამს დღეს ყარაიაზედ ჳუნა, მისი მკა, შეტანა და გაღეწა“, ქალაქს მიმავალი „სტუმრისა და მდგმურის დაყენება“, „ქალაქს სასახლის მუშაობა“, „ქვის ზიდვა, ყარაიის ჯელგა, ბარგის ჩატანა“. დიდომში ყველა კატეგორიის გლეხი ცხოვრობდა (სახასო, სადედოფლო, კათალიკოსის, მუხრანბატონის). დასტურლამალის მიხედვით, სასახლის კარზე ბევრი დიდმელი იმყოფებოდა, რომლებსაც *მსახურები* ეწოდებოდათ, დიდმის ხეობის ზედა სოფლების მოსახლეობა თანდათან სოფელ დიდომში, სხვა სოფლებში და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო არსებული ნასოფლარები XIX საუკუნის შუა ხანებიდან მთიულეთ-

¹ ჯ. სონდულაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წ. 1, 1969, გვ. 9.

გუდამაყრიდან გადმოსახლებულებით მოშენდა (სოფელ დილომში მთიელთა მიგრაცია შუა საუკუნეებშიც ხდებოდა; ხევსურეთიდან არიან გადმოსახლებული *გილაურები* და *მარიამულები*, ჭართლიდან – კოლოტაურები). XIX საუკუნეშივე მოხდა დასავლეთ საქართველოდან მიგრაცია; იმერეთიდან არიან მოსული *თაბაგრები*, *ჩიტაძეები*, *გველესიანები*, სამეგრელოდან – *გვახარიები*, ლეჩხუმიდან – *ჩარკვიანები*, *ახვლედიანები*, გურიიდან – *თალაკვაძეები*, რაჭიდან – *რაზმაძეები*, *გამყრელიძეები*. სოფელ ვეძისში ასეთები იყვნენ: *ბოკუჩავები*, *პაპაგები*, *ხარჩილავები*, *ლაცაბიძეები*...

XVIII საუკუნეში ქართლის დიდ სენს – აყრა-გადასხლებას – ვერც დიდმელები გადაურჩნენ. ასეთი ფაქტი დადასტურებულია 1787 წლის აბრამ ზანდარაშვილის არხაში: „მერე ამას მოვახსენებთ თქვენს უწმინდესობას, რომე: **შარშან დიდომი აიყარა**, იმ ხანებში თეთრადის მამასახლისის დავითის შვილი სოსება მამულს ყიდდა...“¹.

დიდმის ხეობაში დიდგორის მთის ძირში, „დიდგორ-წინ“ 20 მაისს (ძველი სტილით 7 მაისს) ტრადიციულად იმართებოდა დღეობა **დიდგორობა**. სოფელ დილომში თუ ყველა უბანს თავისი სალოცავი (ეკლესია) ჰქონდა, დიდგორობა ყველა დიდმელის საერთო, გამაერთიანებელი სალოცავი იყო. მლოცველი აქ ღოცულობდა და სანთლებს ანთებდა მიწაში ჩასმულ მსხვილ და გრძელ ქვაზე. ეთნოლოგები ამ სალოცავ ქვას ფალსის გამოსახულებად მიიჩნევენ. საბჭოთა პერიოდში ეს სალოცავი ქვა მუზეუმში გადაიტანეს. ხოლო დიდგორის მთის წვერზე, სადაც მლოცველი იშვიათად ადიოდა, იდგა ხისაგან შეკრული პატარა ეკლესია. დიდგორობის დღესასწაულის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო დოღი, რომელშიც მხედრები საგანგებოდ მორთული ცხენებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს (ცხენებს ფაფარსა და კუდში მაისის ვარდები ჰქონდათ ჩაწნული). დიდმის დიდგორი-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 725.

დან ზემო დიდგორამდე (მანგლისის დიდგორამდე) ანუ ხეობის სათავემდე დიდი გზა არაა. ამ ძველი „საცხვრე გზის“ სიგრძე სულ 13-15 კილომეტრია. მისი მოწყობა ძალიან დაახლოვებს მანგლისს და, შესაბამისად თრიალეთსა და ჯავახეთს, თბილისთან.

გვერდს ვერ აგუვლით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ მნიშვნელოვან ფაქტს – სოფელ დილოში გვიანბრინჯაოს ნამოსახლარზეა ნაპოვნი წიპწები, რომელიც ძვ. წ. XIV-XI საუკუნეებით თარიღდება.

2. მცხეთის ქვეყანა (ნიჩბისით). *ვახუშტი ბაგრატიონი* შიდა ქართლის მხარეების ჩამოთვლისას თბილისისა და მისი მხარის („დილოში და მისი მკვარი“) შემდეგ „მცხეთისას“ აღწერაზე გადადის, რომელშიც ნიჩბისი და მის მიმდებარე სოფლებიც შეჰყავს. მცხეთის საგარეუბნო სოფლები (*შინდისი* (იოანე ბაგრატიონითან – „მცხეთის შინდისი“), *მუხად(თ)გვერდი*, *კარსანი*, *კოდმანი*, *არმაზი*, *ციხელიდი*, *ძეგვი*, *ხეკორდი*, *სახხორი*) თავის დროზე დიდ როლს თამაშობდნენ საქართველოს ძველი დედაქალაქის ისტორიაში. თბილისის გადედაქალაქების შემდეგ ხომ მცხეთა ერთგვარ ცენტრად მაინც რჩებოდა, რადგან აქ მდებარეობდა ქვეყნის საეკლესიო ცენტრი. *კობა ხარაძე* ასე შემოფარგლავს „მცხეთისას“ საზღვრებს: „ჩრდილო საზღვარი დასავლეთი მხრიდან მდ. მტკვარს გაუყვება, ხოლო შემდეგ მცხეთის დასავლეთით 2-3 კმ-ის დაშორებით საზღვარი ჩრდილოეთით მიემართება და ნატახტართან არავგსა და მტკვარს შორის სამკუთხედის წიბოს ქმნის; აღმოსავლეთი საზღვარი არავგსა და მტკვრის გაყოლებითაა, ხოლო სამხრეთით მუხათგვერდიდან დიდგორამდე მიემართება სათოვლიასა და სხვა მოებზე გადავლით. დასავლეთი საზღვარი დიდგორის მთიდან იწყება და მდ. მტკვრამდე გრძელდება ნიჩბისსა და ხეკორძულას ხეების წყალგამყოფზე“¹. მცხეთაზე როდესაც ვსაუბრობთ, წარმოუდგენელია არ

¹ კ. ხარაძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 37.

ვახსენოთ ქართული საეკლესიო არქიტექტურის ისეთი ქმნილებანი, როგორცაა *ჯვარი* და *ხვეტიცხოველი*. მცხეთას ჩრდილოეთიდან *ბებრის ციხე* იცავდა, რომელსაც წყაროები „ბელტის ციხესაც“ უწოდებენ. სოფელ ძეგვთან მტკვარს მარჯვნიდან ხეკორძულას ხევი ერთვის. შესართავთან მდებარეობდა სოფელი ხეკორდი. შიდა ქართლის ერთ-ერთი პატარა ხეობაა ნიჩბისის ხეობა (მისი სიგრძე სულ 15 კილომეტრია). ვახუშტი ამ ხევის შესახებ გვაუწყებს, რომ „კვალად ამის დასავლით ხევი ნიჩბისისა, გამოსდის დიდგორს. დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამჭრიდამ“. ვერეხე, დიდმის ხევზე, კავთისხევზე და ნიჩურაზე გადიოდა შიდა ქართლის თრიალეთთან და ჯავახეთთან დამაკავშირებელი მოკლე გზები. XVII საუკუნის დასაწყისამდე ნიჩბისი და მისი ხევი შიომღვიმის მონასტერს ეკუთვნოდა, შემდეგ კი მას თავადი *ციციშვილების* ერთი შტო ფლობდა.

3. კავთისხევი. ნიჩბისის ხევის დასავლეთით კავთისხევია; ეს ხევიც მტკვარს მარჯვენა მხრიდან უერთდება. მისი სიგრძე 15 კილომეტრია. ისევე როგორც დიდმის ხევი და ნიჩბისის ხევი, კავთურას ხევიც თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთიდან, დიდგორის მთიდან იღებს სათავეს. კავთისხევშია ცნობილი ქვათახევის მონასტერი, რომელშიც „შეჰყარა ღანგ თემურ მოწესენი და შეასხა ეჟვანნი. ... და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკი ზედა ჳელნი, ფერჳნი, თავნი და გვამნი. არავინ შევალს ფეჳცმული, არამედ ფერჳშიშეველნი, სიწმიდისათვის. ამას ზეით, დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა, მაღალს კლდესა შენი“¹. ქვათახევის მონასტერი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები კავთისხევში 12 სოფლის არსებობაზე მიუთითებენ. XVIII საუკუნის ბოლოს მხოლოდ ორ სოფელში – *კავთისხევსა* და *ხანდაკეში* – იყო მოსახლეობა, დანარჩენი ათი სოფელი ნასოფ-

¹ ვახუშტი. 1997, გვ. 58.

ლარად იყო ქცეული. ქვათახევთან ახლოს სოფელი წინარეხი მდებარეობს, რომელშიც „მაღალანთ ეკლესია“ დგას. აქ გამოსახული იყო ფრესკა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სამოსის ისტორიის შესწავლაში. კავთისხევის შენაკადია გუდარეხის ხევი, რომელზედაც მდებარეობს ცნობილი სოფელი თვალადი, რომელსაც ვახუშტი და იოანე თვალს უწოდებენ. ეს სოფელი ცნობილი მწერლის გიორგი შატბერაშვილის სოფელია; საყოველთაოდაა ცნობილი მისი „თვალადური ქართული“.

გადმოცემით სახელწოდება „კავთა“ კავს (კავიან ჯოხს) უკავშირდება. მეცხვარე გვარად ლომიძე თურმე ცხვარს კავთურას სათავეებში აძოვებდა, სადაც ნანგრევებში ბრჭყვიალა ნივთი შეუმჩნევია. ეს ნივთი თავისი კავიანი ჯოხით გამოუღია. ხატი გამოუღია, იქვე დაუსვენებია და ამ ადგილას აუგიათ კავთის წმიდა გიორგის პატარა ეკლესია. მის გამო ადგილსაც და მდინარესაც კავთა დარქმევია. ხატის მპოვნელ ლომიძის შთამომავლებს კი შემდეგ კავთიაშვილის გვარი მიუღიათ¹. თავკავთის სალოცავი დიდგორთან ახლოსაა მოთავსებული, მდინარე კავთისხევის სათავეში. გადმოცემით, კავთურას ხეობა ლეკებს გაუნადგურებიათ, რომლებიც შიდა ქართლის ამ ხეობაში თრიალეთიდან გადმოდიოდნენ. ლეკიანობისაგან შეწუხებული კავთისხეველები მეფე ერკლემ კახეთის სოფლებში – კურდღელაურსა და ნაფარეულში – გადაასახლა, იმ პირობით, რომ ლეკიანობის აღაგმვის შემდეგ, ისინი უკან დაბრუნდებოდნენ, მაგრამ საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევამდე ლეკიანობას ბოლო არ მოეღო. კახეთში გადასახლებულებს კი ახალ საცხოვრისში „კავთა წმიდა გიორგის“ ნიში წაუღიათ. კურდღელაურში ამ ნიშის წადება *ბაჩაძეების* გვარს მიეწერება². კავთურას ხეობის ხელახლა მოშენება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწო საქართველოს სხვა-

¹ს. მაკალათია. კავთურას ხეობა, თბ., 1960, გვ. 3.

² ს. მაკალათია. კავთურას ხეობა, თბ., 1960, გვ. 3.

დასხვა მხარიდან გადმოსახლებულებით, ერთ-ერთ ხალხურ ლექსში კავთურას ხეობის სახელოვანი გვარებიც არიან დასახელებული: „გუდაღეთს – გოდაბრელიძე, // კავთისხევს – მონასელიძე, // იღლეთში – ღვინიაშვილი, // თვალაღზე – შეშაბერიძე“.

4. თექმის ხევი. მტკვრის მარჯვენა შენაკადებს შორის ყველაზე დიდი თექმის ხევია, რომლის სიგრძე 51 კილომეტრია, ხოლო მდინარის სათავესა და შესართავს შორის სიმაღლეა სხვაობა 1.500 მეტრს აღემატება¹. „გამოსდის ჭვარებსა და თორის საშუაღს მთას, და დედაციხემდინ დის აღმოსავლით, მერე დის ჩრდილოთკენ და მიერთვის მტკვარს სამჯრიდამ“². მტკვართან თექმის შეერთების ადგილას მეტეხის ყოვლაწმინდის გუმბათოვანი მონასტერია. ამავე ხეობაშია ერთაწმინდის ეკლესია და (კ)რკონის მონასტერი. „აქამომდე არს თექმამი ვენახილითა ნაყოფიერი, ამას ზეით, ვითარცა თრიალეთი ჭვარებითურთ“. თექმის ხეობაში ბევრია მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიც. მაგალითად შეიძლება რკონის მონასტერთან დღემდე შემორჩენილი ხიდი დავასახელოთ, რომელსაც ადგილობრივები „ქვახიდა“-ს უწოდებენ. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები თექმის ხევში 40 სოფელს მიუთითებენ, რომელთაგან 39 გამჭვირვალე ქართული ტიპონიმია და მხოლოდ ერთია არაქართული (ყარაღაჯი), რომელიც, ბუნებრივია, შედარებით გვიანდელი წარმოქმნილია. რომელთაგან 5-5 -ის (*ჭვიროსი, ფაგნისი, ზენადრისი, ქვენადრისი, ფიცესი*) და -ეთ (*სახირეთი, ჩოჩეთი, ცხირეთი, ცხვარეთი, მელეთი*) სუფიქსებითაა ნაწამოები. 40 სოფლიდან XVIII საუკუნის ბოლოს მოსახლეობა მხოლოდ 9 სოფელში (*სახირეთი, ნიაბი, მეტეხი, ყარაღაჯი, ხანდაკი, გომი, ჩოჩეთი, ახალქალაქი, ერთაწმინდა*) იყო, დანარჩენი სოფლები იოანე ბაგრატიონს „მოსახლების“ გარეშე აქვს წარმოდგენილი. თექმის

¹ კ. ხარაძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 46.

² ვახუშტი. 1997, გვ. 58.

ხეზე ბევრი ციხე იყო, რომელთაგან შეიძლება *დედაციხე* გამოიყოს, რომელიც კლდეკარიდან გამომავალ გზას კეტავდა და შემოსულ მტერს თეძმის ხეობაში და, შესაბამისად, შიდა ქართლში შემოსვლის საშუალებას არ აძლევდა. თეძმის ხეობაში ყველაზე დიდი სოფელი ახალქალაქი იყო, რომელიც 1660 წელს როსტომ მეფემ ანისიდან გადმოსახლებული სომხებით გააშენა; მას თავდაპირველად *მეფის ქალაქი* ეწოდებოდა. თეძმის ხეობაში მიწის ძირითად მფლობელები თავადი *ჯაგახიშვილები* იყვნენ. XVII საუკუნიდან ხეობაში მეორე თავადური გვარიც (*თარხან-მოურავეები* – გიორგი სააკაძის შთამომავალი) გაჩნდა. ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა ხეობებში, აქაც XVIII საუკუნეში ძალიან ბევრი ნასოფლარი გაჩნდა; ეს პროცესი მთელი საუკუნის განმავლობაში მიდინარეობდა, შემორჩენილია 1799 წლის დათუა და ტეტია თარხნიშვილების ამოწვევითი კაცების სია, რომელშიც ვკითხულობთ: „**გოჩიტაშვილი ზურაბა** სულ ამოწვდა; **ნავროზაშვილი გოგია** სულ ამოსწვდა; **მაისურაძე გოგია** სულ ამოსწვდა; **კოკონობერიძე** სულ ამოსწვდა (ეს გვარი საერთოდ აღარ არსებობს – რ. თ.); **გოჩიტაშვილი პაატა** ამოსწვდა და ერთი სამი წლის ბიჭი დარჩა; **აბრამა გოჩიტაშვილი** ამოსწვდა, ერთი ათის წლის ბიჭი დარჩა; **ამილბარაშვილი ივანე** მოკვდა, ერთი ძმა დარჩა ისიც სნეული, ორი წვრილი ობოლი; **გელიტაშვილი დვთისია** მოკვდა ცოლით და შვილით, ერთი შვილი და მამა დარჩა; **აბოაშვილის** ცოლ-შვილი ამოსწვდა, **თითონ და ერთმა იმის პატარა ბიჭმაც ინადა**¹. მოყვანილი ციტატის ბოლო წინადადება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ამოწვევების მიზეზი იყო სახადი; ამ დროს საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა. ასე რომ, **მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის შექმნაზე ქართლში, საგარეო ფაქტორთან ერთად, ეპიდემიასაც მიუძღოდა გარკვეული წვლილი.**

¹ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ., 1985, გვ. 527.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თემის ხეობის მარჯვნივ მდებარე ნასოფლარები მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსახლებულებმა დაიკავეს, მარცხენა მხარეს კი იმავე საუკუნის 80-იანი წლებიდან ღიახვის ხეობის მთიანეთიდან მიგრირებული ოსები დასახლდნენ. გვიან შუა საუკუნეებში ხეობისათვის დამახასიათებელი პროცესი იყო ზედა სოფლებში მკვიდრთა ვენახ-ხილიან დაბლობში გადმოსახლება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რკონიდან ბარნაბიშვილების ბარნაბიანთ-კარში გადმოსახლება. პარალელურად მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოდან და სამცხე-ჯავახეთიდან მიგრაციაც – სოფელ ჩოჩეთში მოსახლე თოიძეები და ნუგზარაშვილები გურიიდან მოსულან, სოფელ ახალციხეში მცხოვრები ბარნაველები, სვანიშვილები და მანძულაშვილები – სამცხიდან¹.

5. ხოვლეს ხევი. ხოვლეს ხევი პატარაა. იოანე ბაგრატიონი ამ ხევის სოფლებს „მდურის ხევი, აწ ხოვლის ხევად წოდებული“-ს სათააურის ქვეშ აერთიანებს. ვახუშტი ხოვლეს ხევში ცხარა სოფელს ჩამოთვლის, იოანე ბაგრატიონი – რვას (მასთან *აბანო* აღარ გვხვდება). ამ რვა სოფლიდან XVIII საუკუნის ბოლოს მოსახლეობა მხოლოდ სამ სოფელში (*ხოვლე, გრაკალი, დოესი*) იყო. „თეხის დასავლით არს ჴევი ხოვლესი, გამოსდის რაზმიოთის მთას, მოდის ჩრდილოდამ. ერთვის მტკვარს სამჴრიდამ; არს ვენახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი. თეხმიდამ ატენისწყლამდე მინდორი დოესისა, რომელი ირწყვის თეხის რუთი, და არს ფრიად მოსაგლიანი“². **სოფელმა ხოვლემ საქართველოს მისცა დიდი ივანე ჯავახიშვილი.** ეონოგრაფიული მასალებით, ხოვლეში მკვიდრი გვარები საქართველოს სხვადასხვა მხრიდანაა გადმოსული. ისევე როგორც ქართლის სხვა სოფლებში, ხოვლეშიც ბევრი იყო თავდაცვითი ნაგებობა (ციხე-გალავანი, კოშკი).

¹ ს. მაკალათია. თემის ხეობა, 1959, გვ. 12, 19.

² ვახუშტი, 1997, გვ. 58.

6. ატენის ხეობა. შიდა ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხეობაა ატენის (ტანას) ხეობა. მისი სიგრძე 30 კილომეტრია. მეცნიერები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ტანა/ატენი მომდინარეობს ძველი ქართული სიტყვისაგან „ტინი“, რაც სულხან-საბას განმარტებით არის „კლდე დიდი, მაგარი და დაუმშხალველი“ (სხვათა შორის, სოფელი „ატენი“ მეჯუდას ხეობის სათავეშიც იყო. აქ მეჯუდას ხეობის კიდევ ერთი სოფლის – *ბიეთი* – სახელიც მეორდება). ატენის ხეობა თემის ხეობის დასავლეთით მდებარეობს. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ამას დასავლით არს ჳეობა ატენის მდინარისა. ტანა ვამოსდის ჳამჳამს და საცხენისის მთას, დრისჳევაძედ დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამკრიდამ. ... აქა არს ციხე მაღალს კლდესა ზედა. და ჳეობა ესე არს ვენაჳოვან-ხილიანი“¹. ვენახოვანი და ხილიანი არე ბობნავამდე გრძედებოდა. ამ სოფლის ზემოთ კი კოწახურის ტყე ყოფილა. ხეობა მდიდარი იყო ვახისა და ხილის სხვადასხვა ჯიშებით. საქართველოში კი აქაური ღვინო საყოველთაოდ იყო განთქმული: „ღვინო აქაური უმჯობესი ყოველისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“. ვახუშტისავე სიტყვით ატენის ხეობაზე ყოფილა მცირე ქალაქი, რომელშიც ქართველებთან ერთად, „სომეხნი და ურიანი“-იც ცხოვრობდნენ. ქართული საისტორიო ტრადიციით, ქალაქი ატენი მეფე ფარსმანს აუშენებია 184 წელს. ატენის ხეობა საქართველოს ისტორიაში ცნობილია VII საუკუნეში აგებული სიონის მონასტრით. სიონის პირისპირ, დანახვისის ძირში იდგა ნათლისმცემლის მონასტერი: „დანახვისი დგას მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმიდის გიორგისა, მჭვრეტი ქართლისა“. მართლაც, აქედან მოელი ქართლი მოჩანს. ვახუშტი ბაგრატიონი ტანას ხეობაში 26 სოფელს უთითებს, იოანე ბაგრატიონი – 27-ს. მაგრამ, სამწუხაროდ, XVIII საუკუნის

¹ ვახუშტი. 1997, გვ. 59.

ბოლოს ორი სოფლის (*ქუახერელი, ხიდისთავი*) გარდა, ყველა ნასოფლარს წარმოადგენდა. ხეობის ნასოფლარებად ქცევა ძირითადად ლეკთა თარეშებმა გამოიწვია. ატენის ხეობა მიწისძვრას დაუნგრევია. ნასახლარ-ნასოფლარებად ქცეული ატენის ხეობის მოშენება XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო, როდესაც რუსეთის მეფის ხელისუფლებამ თავად გიორგის (ქსნის ერისთავს) გადასცა, იმ პირობით, რომ აქაურ ნასოფლარებში საკუთარ 50 კომლ გლეხს დაასახლებდა, რომელთაც უნდა დაეცვათ ატენის ხეობა და მიმდებარე ტერიტორიები ახლციხის საფაშოდან გადმოსული ლეკების თარეშებისაგან. ბუნებრივია, ეს 50 კომლი ერისთავმა ქსნის ხეობიდან გადმოასახლა. მაგალითად, მაშინდელი გადმოსახლებულები არიან *თინიკაშვილები, თოფჩიშვილები, გივაურები, ვანიშვილები, ქოქაშვილები...* შემდეგ მათ არაგვის ხეობების მთიანეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობაც დაემატა. ზემო ბოშურის „ღვთისმშობლის“ ეკლესიის ხის კანკელზე არის ასომთავრული წარწერა: „ძელო ცხოვრებისაო, აღიდე ორთავე ცხოვრებასა შინა პატრონი ფანასკერტელი ზაქარია“. **ატენის ხეობა გზებით დაკავშირებული იყო თრიალეთთან, თორთან, ძამისა და თეძმის ხეობებთან.** ამიტომაც ხეობაში ბევრი იყო ციხე-სიმაგრე და კოშკი. თრიალეთთან ატენის ხეობის მოსახლეობას მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი რომ გააჩნდა, ამას ადასტურებს 1923 წლის 27 ივლისს ატენის ხეობის სოფლების *ატენის, ბობნევის, ბიისის, ორმოცის, ზემო ბოშურის, ქვემო ბოშურის, ფეგვის-ხევის, ტუსრების, ყველაანთ უბნის, თავ-ხეობის* მოსახლეობის წარმომადგენელთა ერთობლივი მიმართვა ხელისუფლებისადმი (მოსახლეობის სახელით ხელს აწერენ: *გიო ჭივლაძე, ტატო ქერდიეოშვილი, ფილა პავლიაშვილი, ივანე ყველაშვილი, ივანე ფილიშვილი, დათა ლოცულაშვილი, მიხა თოფჩიშვილი, კოტე თინიკაშვილი, მიხა ქოქაშვილი, კოტე ბუთხუზი, ლევანა ვანიშვილი, ზერა შუღლიაშვილი...*). ისინი წერდნენ: „...გავითვალისწი-

ნეთ რა გზების საზოგადო მნიშვნელობა და კერძოთ გზის გაყვანა ატენის ხეობაზე, რომელიც შეაერთებს მჭიდროდ მოვლ წალკის, ატენის ხეობას და სხვა რაიონებს ქ. გორთან და რომ დღევანდელი გზის უქონლობა აუტანელ და გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს მცხოვრებთ – ამისათვის ვადგენთ: **გაყვანილი იქმნეს გზა ქ. გორიდან ატენის ხეობაზე წალკამდის**, რისთვისაც ჩვენ თავს მოვალეთ გავხდით გამოვიდეთ საჭირო სამუშაოხედ და გთხოვ მთავრობას, რომ მოგვაწოდოს საჭირო ტექნიკური ძალები და სამუშაო იარაღი“ (დოკუმენტი მოგვაწოდა *ნუგ ზარ ვანიშვილმა*).

ატენის ხევის მარცხენა მხრიდან წედისის ხევი უერთდება, რომელზედაც ამავე სახელწოდების სოფელი და ციხე მდებარეობდა. გადმოცემით, წედისის მოსახლეობის დიდი ნაწილი XVIII საუკუნეში ამოწყვეტილა, ნაწილი იმერეთსა და ფრონეების ხეობაში გახიზნულა. „საყურადღებოა, რომ იმერეთში გაქცეული წედისელები აქ მოდიოდნენ სალოცავად წედისის წმ. გიორგის ხატობაში“¹. ატენის ხეობაში არის სოფელი *წერეთი*, რომელსაც არც ვახუშტი და არც იოანე ბაგრატიონები არ მოიხსენებენ; ამ დროს ის უკვე დიდი ხნის ნასოფლარი იყო. ეს სოფელიც ლეკებს გაუნადგურებიათ. XIX საუკუნის ბოლოს აქ ღიახვის ხეობის სათავიდან ოსები დასახლდნენ. ამ სოფელზე ყურადღება იმიტომაც გავამახვილეთ, რომ მას უკავშირდება იმერელი თავადების *წერეთლების* წარმომავლობა. ქართლში წერეთლები გლეხები იყვნენ, რომლებიც ამავე სოფლიდან წარმომავლობდნენ. XIX საუკუნის აღწერის დავთრებში თავად წერეთლებისაგან განსასხვავებლად გლეხი წერეთელები კნინობითი ფორმით – *წერეთელა* – არიან ჩაწერილი.

7. საციციანო (ხვედურეთის ხევი, ძამის ხევი, გვერდისძირი). ვახუშტი ბაგრატიონი ატენის ხეობის აღწერის შემდეგ შიდა ქართლის გაღმა მხარის მომდევნო ხეო-

¹ ს. მაკალათია. ატენის ხეობა, 1957, გვ. 13.

ბებს აღწერს შემდეგი სათაურის ქვეშ: „აღწერა საციციანოსი, ხვედურეთ ზეით, დამხხერლომდე“. თუმცა პირველ რიგში *სკრის ხეებს* ახსენებს და შემდეგ გადადის ხვედურეთის ხეობის დახასიათებაზე. საციციანოში გარდა ხვედურეთის ხევისა, ძამის ხევი და გვერდისძირის სოფლებიც შეჰყავს. საციციანო სათავადოს სახელწოდება გახლდათ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს XV საუკუნის მეორე ნახევარში ტაოდან გადმოსახლებულმა *ფანასკერტელებმა*, რომლებსაც ამ მხარის ძველი ფეოდალების *ორბოდლელების* მამული გადაეცათ. ციციშვილების სათავადო ძირითადად მოიცავდა დღევანდელი ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. ვახუშტის დროს საციციანო 50-მდე სოფელს მოიცავდა. ძამის ხეობა სათავეს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობიდან იღებს. ვახუშტის სიტყვებით: „ყინცვისის დასავლეთ არს ძამის ვეობა. გამოსდის თორის მთასა, მოდის საგლონის ჭკალამდე აღმოსავლეთ, მას ქვეით დის ჩრდილოთ, მიერთვის მტკვარს სამკვირიდამ“¹. ძამას სათავეში აბუხალოსწყალი ეწოდება. სოფელ ზღუდერთან მარჯვნიდან ძამას იმერხევის (ღვანანას) წყალი უერთდება. მდინარის სიგრძე 42 კილომეტრია. ძამას სათავეებში მდებარეობს აბუხლო, რომლის დასავლეთით არის რვა გამოქვაბული: „აქ არიან ქვაბნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა მრავალნი. მას შინა ეკლესია კეთილი და კაცთა შეუალი სიმაგრით“². გამოქვაბულებს მისასვლელი ბილიკი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან აქვს. დასავლეთის ბილიკი მაღალი გაღავენითაა გამაგრებული. გამოკვეთილი კლდის პირველ ქვაბულთან წყარო იყო გამართული, რომელიც 1940 წლის მიწიძვრის დროს დამშრალა. გამოქვაბულთა კომპლექსი მოუნახულებია *სერგი მაკალათიას*, რომელიც ამ ნაგებობას შემდეგნაირად აღწერს: წყაროდან „შესასვლელი ჯერ პირველ ოთახშია, რომელიც მოცულობით პატარაა, შემდეგ – მე-

¹ ვახუშტი. 1997, გვ. 60.

² ვახუშტი. 1997, გვ. 60.

ორე ოთახში. ეს ოთახი კლდეშია გამოკვეთილი და გაჭვარტლულია. ამ ოთახიდან კარი გადის მესამეში, რომელიც ამოშენებულია აგურით, და აქვს მომრგვალებული ფორმა. შიგნით შეღესილი და შეთეთრებულია. ამ ოთახს არა აქვს გასაღვლედი. მეორე ოთახიდან გასაღვლედი ქვაბულის მოედანზე, რომლის განი უდრის 1,40 მ. მოედნიდან შესასვლელია მეოთხე ოთახში, აქედან კი – მეხუთე ოთახში. ორივე ოთახი დახურულია და კედლებში აქვს გამოკვეთილი სათოფურები, რომლებიც მიმართულია აბუხალოს ხეობისაკენ. მეოთხე ოთახი გამოდის ისევე განიერ მოედანზე, სიგანით 8 მეტრია და შედის მეექვსეში, ესეც დახურულია, სამხრეთის კედელი ამოშენებული აქვს კედის ქვით, მასში გამოჭრილი სამი სათოფურით. იმ ოთახიდან ვიწრო გვირაბი ისევე მოედანზე გადის და შემდეგ შედის მეშვიდე ოთახში, რომლის კედელი აგურისაა, მეოთხე კი კლდეა, მხოლოდ კარგად მოპირკეთებული. ოთახი შეღესილია და შეთეთრებული, შიგ გამართულია ქვის გრძელი საჯდომები. ამ ოთახიდან შესასვლელია მერვე ოთახში, რომლის კედლებიც აგურითაა ნაგები, შიგ კარგად გაღესილი და შეთეთრებულია. ... ამ ოთახის აღმოსავლეთის კუთხე მომრგვალებულია. ... ეს არის ქვაბულის ეკლესია. იგი მოხატულია. ... ეკლესიის დარბაზის შემდეგი ოთახი ჩამოქცეულია და მიუდგომელიც. ... აბუხალოს ქვაბული თავდაცვითი ნაგებობაა, სადაც მოსახლეობა თავს აფარებდა განსაცდელის ჟამს. ... ამ თავდაცვით ქვაბულს ვიწრო გზა ჩაუდიოდა სათიბებში და ყანებში, საიდანაც თივა და პური შემოჰქონდათ, აღმოსავლეთით კი გადასვლა შეიძლებოდა აბუხალოს ხეობაში. ეს თავდაცვითი ნაგებობა მტრისათვის ძნელი მისადგომი იყო. დღეს მნახველს აოცებს ქვაბულების გამოკვეთის ოსტატობა, მშენებლობის ტექნიკა და იქ შეხიზნულთა გულადობა და მამაცობა. აგურის ნაგებობათა და სამლოცველოს მოხატულობის სტილის მიხედვით აბუხალოს ქვაბული მიეკუთვნება მე-17-მე-18 საუკუნეებს და გამიზნული იყო უმთავარესად დაღეს-

ტნელი აბრაგებისაგან თავდასაცავად“¹. მოყვანილი ციტატა კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველი ცდილობდა და ყველა საშუალებას მიმართავდა, რომ მშობლიური კერა, უამრავი შემოსევის მიუხედავად, არ დაეტოვებინა. ამისაკენ კი მას უბიძგებდა მიწაზე მიჯაჭვულობა, რასაც განაპირობებდა სამიწათმოქმედო ყოფა (მემინდვრეობა და მევენახეობა-მებაღეობა). თუ დაუდგებოდა გაუსაძლისი პირობები, ის უცხო ქვეყანაში არ მიდიოდა, მხოლოდ სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გადავიდოდა საცხოვრებლად.

ისევე როგორც შიდა ქართლის გაღმა მხარის (მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარე) სხვა ხეობებს საციციანოში შემავალ ხეობებსაც გადასასვლელი გზები აკავშირებდა ქვემო ქართლთან, თრიალეთთან. თრიალეთის რეხადან გზა გუჯარეთშიც გადმოდის. „გვიან შუა საუკუნეებშიც, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის აუცილებლობის გამო, გაღმამხარ-თრიალეთის დაახლოების (თუ ერთიანობის) ტენდენცია სახეზეა. ციციშვილები, რომლებიც ფლობენ თითქმის მთელ გაღმამხარს (საჯავახოსა და სათარხნოს გამოკლებით), პრეტენზიას აცხადებენ თრიალეთზეც, სადაც ფლობენ რეხას“². საციციანოს ტერიტორიაზე ქალაქიც არსებობდა – მძორეთი (ახლანდელი ორთუბანი): „იმერხევის დასავლით, ძამაზედ არს მ ძ ო რ ე თ ი, მცირე ქალაქი“. ამ ტერიტორიაზე იყო აგრეთვე არა ერთი ციხე და ტაძარი. ტაძრებიდან შეიძლება დავასახელოთ საყოველთაოდ ცნობილი **ყინწვისის მონასტერი**, რომელიც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზეა აგებული და რომლის კედლები მოხატულია *თამარ მეფის, ვიორგი მესამის, ლაშა ვიორგის* პორტრეტებით. ყინწვისთან ახლოს ყოფილა *სარკის მონასტერი*. შეუძლებელია არ დავასახელოთ *სამწევრისის ტაძარი*,

¹ ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბ., 1961, გვ. 45-47.

² ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (შიდა ქართლი), თბ., 1983., გვ. 129.

რომლის აღმოსავლეთის ფასადზე X საუკუნის წარწერაა. წარწერიდან ვიგებთ, რომ სამწევრისის წინამძღვარს – *დომნიონოსს* და *გიორგი თუალაისძეს* სარწყავი არხი გაუყვანიათ. წრომშია ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი, რომელიც 624-634 წლებში ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ II-ის ბრძანებით აუგიათ.

7. ფრონეების ხეობა. თრიალეთის ქედიდან გამომდინარე ხეობებიდან, რომლებიც მტკვარს სამხრეთიდან ანუ მარჯვენა მხრიდან უერთდებიან, უნდა გადავინაცვლოთ იმ ხეობების მიმოხილვაზე, რომლებიც კავკასიონის მთებიდან იღებს სათავეს და მტკვარს ჩრდილოეთიდან ანუ მარცხენა მხრიდან უერთდებიან. საციციანოს მოპირდაპირედ ასეთია ფრონეების ხეობა. ხეობის სახელწოდება – ფრონეები – პირდაპირ მიუთითებს იმაზე რომ საქმე გვაქვს არა ერთ, არამედ რამდენიმე მდინარესთან. ფრონეები ეწოდება შიდა ქართლის ოთხ მდინარეს: *დვანის წყალს, ფცის წყალს, აღის წყალს* და *სურამის წყალს*. ოთხივე მათგანი გამოდის სურამის ქედის აღმოსავლეთი კალთებიდან – მშვილდაურას მთას. ოთხივე მათგანს ხალხი უწოდებს *დვანის ფრონეს, ფცის ფრონეს, აღის ფრონეს* და *სურამის ფრონეს*. დასავლეთიდან ფრონეების ხეობას ზემო იმერეთთან აქვს საზღვარი, აღმოსავლეთიდან საზღვარი გასდევს მდინარე დიდი ლიახვის წყალგამყოფ ქედს. ფრონეების ხეობას მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა – სამიმოსველო გზებით ისინი დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს (იმერეთსა და ამერეთს) აკავშირებენ ერთმანეთს¹. ლიხის მთაზე რამდენიმე უღელტეხილი-გადასასვლელი იყო; ესენია: პერანგას, ზემოჯვარ-კორტოხის, დედაბერასი, რიკოთის, სურამის, ციხისძირის. ერთი შეხედვით, ყველა ეს გადასას-

¹ ჯ. გვასალია. ფრონეების ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII, გვ. 3.

ელელი ადვილად გადასალახავია, მაგრამ მოლად ასე არაა. ზემო იმერეთის ტყიანი ხეობები მტრისათვის დიდ დაბრკოლებას ქმნიდა. დვანის ხეობიდან შეიძლება გადასვლა წონასა და კუდაროში (რაჭა). დვანის წყალზე მთაში იყო „ციხე საქართლისა, მაგარი“.

ეკლესიურად ფრონეების ხეობის სოფლები რუისის სამწყსოში შედიოდა. ჩვენამდე მოაღწია 1715 წლის რუისის სამწყსოს დაეთარმა, რომელიც ნაკლულია. ამ საბუთით ფრონეების ხეობაში 84 სოფელი იყო, რომლებშიც ერთად 1.839 კომლი იყო აღრიცხული. *ვახუშტი ბაგრატიონის* ფრონეების ხეობის სოფლების სიის მიხედვით აქ 98 სოფელი ყოფილა: დვანისწყალზე – 20, ფცისწყალზე – 46, ალისწყალზე – 12, სურამისწყალზე – 20. სოფლების იმავე რაოდენობას მიუთითებს *იოანე ბაგრატიონი* XVIII საუკუნის ბოლოს. XVIII საუკუნის დასასრულს დვანის წყალზე მდებარე ყველა სოფელში თუ მოსახლეობა მკვიდრობდა, ფცის წყალზე არსებული 46 სოფლიდან ის მხოლოდ 9 სოფელში იყო, დანარჩენები უკვე ნასოფლარებს წარმოადგენდა. ალის წყალზე მდებარე 12 სოფლიდან მოსახლეობა 4 სოფელში იყო, სურამის წყალზე შესაბამისად 20 სოფლიდან 5 სოფელში იყო მოსახლეობა. ფრონეების ხეობის ოთხივე წყალზე 1715 წელს მხოლოდ და მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, რაზედაც მათი გვარსახელები მიუთითებს. XVIII საუკუნის ბოლოსათვის, დემოგრაფიული თვალსაზრისით, აქ კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა. XIX საუკუნიდან დაბლობის ნაწილში ძირითადად იმერეთიდან მიგრირებული მოსახლეობა დამკვიდრდა. იმერეთის მოსახლეობის გადმოსახლება აქაც და ბორჯომის ხეობაშიც გამომწვეული იყო ძირითადად ადგილობრივთა ამოწყვეტის, ანუ, როგორც მოხრობელები ამბობდნენ, „**ძველი სოფლების გაცეცებისა**“ გამო. იმერეთიდან ფრონეების ხეობაში გადმოსახლებულები XX საუკუნის 30-იან წლებამდე სალოცავად წინაპართა სოფლებში დადიოდნენ. მთა-მთისწინეთში კი უპირატესად ოსების მიგრაცია გან-

ხორციელდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, რაც, ფაქტობრივად, აქ დასრულდა, ამავე საუკუნის 80-იან წლებში. ფრონეების ხეობის მთელ რიგ სოფლებში ისინი ქართველებთან ერთად თანაცხოვრობდნენ. ასეთ სოფლებშიც ქართველების რაოდენობა შემცირდა და საბოლოოდ ასპარეზი მთლიანად ოსური ეთნოსის წარმომადგენლებს დაეთმო. ქართველების ფრონეების ხეობაში კატასტროფული შემცირება გამოიწვია ძირითადად ლეკიანობამ, რაც, გარდა წერილობითი წყაროებისა, დასტურდება ეთნოგრაფიული მონაცემებით და 1804 წელს სოფელ აბისში აგებული ეკლესიის წარწერთაც: „ამ სოფლის მოსარჩენად აღვაშენე ესე ეკლესია ნათლისმცემლის დიდისა დიდებულისა **დიდხანს ლეკისაგან, ოსისაგან ხარაბა იყო** აღვაშენე მოსახსენებლად სულისა ჩვენისა ვინც იხილვოდეთ შენდობა ბრძანეთ ქკს უმბ“¹ *სერგი მაკალათიას* ფრონეების ხეობის სოფლებში ველზე მუშაობისას არაერთხელ დაუდასტურებია სოფლების ნასოფლარებად ქცევის მიზეზი: „ფრონეს სათავეში ძველი ქართული სოფლები ლეკიანობისაგან ამოწყვეტილა და აქაურ მებატონეებს გადმოუსახლებია ოსები, რომლებსაც დღეს უკავიათ მათი ნასოფლარები დაწყებული მუგუთიდან – ზემო წორბისამდე“². „უცის ფრონის სათავეში ძველი ქართული სოფლები ლეკიანობისაგან დაკლიდა, შემდეგ აქ გადმოსახლებულან ოსები, რომლებსაც უჭირავთ ძველი ნასოფლარები წკნელისი-ოქონიდან გომარეთამდე“³. 1715 წელს ფრონეების ხეობაში მკვიდრი გვარებიდან მხოლოდ თითო-ორულამ მოაღწია, მაგალითად, სოფელ აბანოში მხოლოდ სეფისკვერაძეები არიან დარჩენილი. ძალიანაში, წორბისში, ხრტანასა და ოჯორაში აღარც ერთი ძველი გვარი აღარაა – ამ სოფლებში მხოლოდ ოსები ცხოვრობენ; სადოლაშენში ძველი მკვიდრებიდან მხოლოდ *ძმორაშვილები* შემორჩნენ; ქვე-

¹ რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე, 1975, გვ. 165.

² ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, თბ., 1963, გვ. 21.

³ ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, თბ., 1963, გვ. 31.

მო ძვიმღეთში 1715 წელს არსებული გვარებიდან 1886 წელს მხოლოდ *გოგილაშვილები* აგრძელებდნენ ცხოვრებას; ერკნეთში აღარცერთი ძველი გვარი აღარ მკვიდრობდა და ეს სოფელიც 1886 წლისათვის ეთნიკურ ოსებს ჰქონდათ დაკავებული. დვანის ფრონეს ზედა ნაწილის სოფელ *ბეყმარში* 1715 წელს ცხოვრობდნენ: *ნებიერიძეები* (5 კომლი: „ნებიერიძე ივანე, ნებიერიძე პაპუნა, ნებიერიძე მღვდელი ივანე, ნებიერიძე შემაზა“), *გვიმრაძეები* (6 კომლი: „გვიმრაძე ბერი, გვიმრაძე შიო, გვიმრაძე მღვდელი ფილიმონ, გვიმრაძე ელიბა, გვიმრაძე ივანე, გვიმრაძე სოსია“), *გახელაძე* („გახელაძე ბერი“) და *ხარაულები* (3 კომლი: „ხარაული თამაზა, ხარაული ოთარი, ხარაული შიო“)¹. 1886 წლისათვის ამ გვარებიდან აღარც ერთი აქ არ მკვიდრობდა. ხარაულები ჯერ ფცის ფრონეს სოფელ ახალშენში გადმოსულან, შემდეგ კი უფრო დაბლობში – ქვენატკოცასა და შიდა ქართლის სხვა სოფლებში, აგრეთვე ქალაქ გორში დამკვიდრებულან. სხვათა შორის, 1715 წლის აღწერაზე დაკვირვება იმასაც გვიდასტურებს, რომ აქ ამ დროს მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი თავის დროზე დასავლეთ საქართველოდან იყო გადმოსული, აგრეთვე მთის სხვადასხვა რეგიონიდან. ამას ბეყმარის გვარებზე თვალის შევლელაც გვიდასტურებს. ნებიერიძეები იმერეთიდან იყვნენ გადმოსახლებული, გვიმრაძეები – რაჭიდან. ხარაულები ფრონეების ხეობის (ან ღიახვის ხეობის) მთიანი ნაწილის ოდინდელი მკვიდრნი არიან. ამას ღუნდის სახარების XIV-XV საუკუნეების ნუსხახუცურით მინაწერი ადასტურებს: „ქ. ღუნდისა ღვთის მშ-ლისა ხატნი და წიგნები წაჰვდა თათრობასა ბერციხეს და **ესე, ოთხთავი ხორაულსა ეპონა: სლ-სა ხორაულისა ივანაძსა და მისთა დედა მითსა შ-ნდნეს ღ-ნ ა-ნ**“². პრობლემას არ ქმის

¹ ე. თაყაიშვილი. რუისის სამწყსოს დავთარი, 1715. გორი, 2015, გვ. 25-26.

² ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 107.

ის, რომ 1715 წლის საბუთში *ხარაულია* დაფიქსირებული და XIV-XV საუკუნეების მიჯნის მინაწერში *ხორაული* – ცნობილია, რომ ქართულში **ა** და **ო** ხმოვნები ერთმანეთს ენაცვლებოდა. გვარს საფუძვლად უდევს ძველ საქართველოში გაერცვლებული მამაკაცის პიროვნული სახელი *ხარა*.

საგულისყურია, რომ ფრონეების ხეობაში XVIII საუკუნეში 14 სოფლის სახელი -ეთ სუფიქსით იყო ნაწარმოები, 13 სოფლისა – -ის სუფიქსით. -ურ (-ულ) სუფიქსიანი იყო 8 ოიკონიმი, -ევ სუფიქსიანი – 5 და -ან სუფიქსიანი – 4.

ვახუშტი ბაგრატიონი ფრონეების ხეობას ახასიათებს სამეურნეო თვალსაზრისით; ნიშანდობლივია აქაურ ქართველთა დახასიათებაც: „არამედ გორს ზეითნი ადგილნი ესენი მოსავლიანი, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა, ვენახით, ხილით და ყოველთა მარცვლითა. აკეთებენ მცირედს აბრეშუმსაცა. პირუტყვნი მრავალნი, აქლემს გარდა ყოველნი, არამედ არა ეგდენად, ვითარცა ადვსწერეთ სომხით-საბარათიანოსა, ზამრისათვის, რამეთუ არს სამ თვე თოვლი, და ზაფხულის ვერ სთიბენ თივას, საცნაფთა გამო მიწათა და მთათა შინა მცირეთა, არა საკმაოთა. ჰავითა მშვენი და საამო. სასმელი და საჭმელი აქაური უმეტეს გემოიანი სხვათა ადგილთაგან. კაცნი არიან ჰაეროვანნი, ამაყნი, მკნენი, შემმართებელნი, მხიარულნი, უხვნი, სტუმართმოყვარენი. ქალნი ეგრეთვე, ვითარცა სხვანი დავსწერეთ. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი მრავალნი“¹. ვახუშტის ამ ბოლო წინადადებას ადასტურებს 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარიც, რომლის თანახმად ფეოდალური გვარები ყველა სოფელში ცხოვრობდნენ: იმსნელიშვილები, ქუმსიაშვილები, მაზანაშვილი და მუჩაიძე – არადეთში, კალატოზიშვილი – სამებაში, ეგნატაშვილები – დირბში, ტატიშვილები – ქვემო ძვიმლეთსა და ზემო ძვიმლეთში, ხიმშიაშვილები – ფრი-

¹ ვახუშტი, 1997, გვ. 83-84.

ნევში, შალიკაშვილები, ყავარდელეები, ოქრომჭედლიშვილები და ილარიონასშვილი – დვანში, ლომაძეები და საყვარელიძეები – ნულში (ამ სოფელში ცხოვრობდნენ გლეხი ჭავჭავაძეები), სამადანიშვილები – მდავში, შალბელიქიშვილები – წორბისში, ჩინჩალაძეები – თერეგვანში, ჩუბინიშვილები – ახალშენში, გორგოშიანები – ღარისთავში, გოგიბაშვილები და ნაგლაძეები – ოქონასა და ტყისუბანში, ციმანკურიძეები – კნოლევში, ლაშხები, ჭონიაშვილები და ნადირაძეები – ბალთაში, დუჩიძეები, შალბელიქიშვილები და ჭიღლაძეები – ფათქინეთში, ლაშხები – მეტეხში, ბეჟანიშვილები – ჭვრინისში, დეკანოზიშვილები და სამადანიშვილები – ატოცში, მუსხელაშვილები და მონაგარაშვილები – ბრეძაში, გამცემლიშვილები და ხუციშვილები – ცერონისში, ბადრიაშვილები, ბაქრაძეები, ჭიჭიაშვილები, ალხაზიშვილები და ციმანკურიძე – ავლევში, რიკაძეები, საყვარელიძეები და მაჭავარიანები – ფრცაში, წაკვაძეები – აბისში, სიამარდაშვილები – საციხურში, კოკოლაშვილები – აბანოში, ბასხარაშვილები – მწყვდელისში, რიკაძეები – ტკოცაში, რამაზიშვილები – ფლევში, გომფარიშვილი – ქინძათში, გოგიბაშვილები – ნაბახტევში, ანჩაფიშვილები – ქემფერში, აბახაძეები – ოძისში, მურვანიშვილები – სურამში, არახიაშვილები – ბეკამში, ორჯონიკიძეები და მაჭავარიანები – ტეხერში, სავანელები და რუსაშვილები – მეორე სახუცო ტეხერში, ჩიკოიძეები – მესამე სახუცო ტეხერში, ჩხეიძეები – ციხისძირში, მდივანი – შოლისპირში, გუდაბრელები, ავალიშვილები – ქვიშხეთში, ბეჟიელები, ჩიკვაიძეები და ფასიტაშვილები – ტაშისკარში, ნათიშვილები – გორათში, ქოტიშვილები – შინდარაში, ამატაკიშვილები და თოფჩიაშვილები – ქარელში, ბექუტაშვილები და ოღმელები – ხაშურში, ხელუბანიშვილები – ოსიაურში, ქურციკაშვილები – სატივეში. რადგან გვარებს შევეხეთ, ორიოდე სიტყვა ფრონეების ხეობაში გავრცელებული მამაკაცის სახელების შესახებაც უნდა ითქვას. ყველაზე გავრცელებული პიროვნული სახელი

იყო ბერი (1715 წელს დაფიქსირებულია 250-ჯერ), გიორგი (205), დათუნა/დავით/დათია (121), ივანე (90), დემეტრე (77), მამუკა (53), სეხნია (60), ავთანდილ (53), პაპუნა (51), ზაქარია (35), პაატა (34), მახარა (24), ნასყიდა (22), გელია/გელიცა (11), ზაზა/ზაზუნა (11). კიდევ შეიძლება დავასახელოთ: ლეკვია, ღონენა, მგელი, ნადირა, სოსია, სესია, ღვთისია, თანდილა, საბა, იმედა, ხუცია, ხახანა...

ფრონეების ხეობაში 1715 წელს მკვიდრი გვარებიდან დღემდე საერთოდ ბევრმა არ მოაღწია – ისინი მტრების შემოსევებისაგან საერთოდ ამოწყდნენ; შეიძლება დავასახელოთ: ბარცყიაშვილი, ბაჩურიშვილი, ბისტოკაშვილი, ბეირაძე, გვეხიძე, ვიასელი, გვარამაული, გორგოშიანი, დულიური, ვირშელაშვილი, თვალიკაკაშვილი, თოლაძე, იალიცაშვილი, იონხაძე, კოხაჯელი, კროგალი, ლაყვაძე, ლაშიანი, ლობიოძე, კირმაძე, კიტრაძე, კოკაძე, ლავიაძე, ნადიაკვნევიშვილი, მედინაძე, მიხლანჯი, მონდობილაშვილი, ოქრუაძე, ოჭიკაძე, პენიაშვილი, პირბანაშვილი, პროპაძე, სოლაკაძე, უწყენაშვილი, ფშოტიძე, ქაბაბაძე, ქექიჭამაშვილი, ღვარძლაძე, ყავარდელი, შავკაბისტოშვილი, ჩიხიძე, ჩუსტანიძე, ჩხერელაშვილი, ძამისაძე, ძმათაშვილი, წაკვაძე, ჭაოშვილი, ჭაჭუნაშვილი, ჭედელაშვილი, ჯასტანიძე, ჯერიკაშვილი, ჯიბორაშვილი...

ფრონეების ხეობაში, დვანის წყლის სათავეში საინტერესო ტოპონიმი – **საქართლის ციხე** და **საქართლის მონასტერი**, რომელიც სოფელ ყორნისიდან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ზე მდებარებს. საქართლის ციხე ქართლ-იმერეთის სასაზღვრო ციხეა: „წორბის ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა, არს ციხე საქართლისა, მაგარი“. **„საქართლის ერისთავი“** ლაშა-გიორგის შეწირულობის წიგნშია მოხსენიებული. სამართლიანად მიუთითებს *ჯონდო გვასალია*, რომ „უეჭველია, ლაშა გიორგის სიგელის „საქართლის ერისთავი“ ვახუშტისეულ „საქართლის ციხეში“ იჯდა და მისი „შესავალი“ ქვეყნის ერისთავი იყო, ქართლის ერისთავის ხელქვეითი „ცოატი ერისთავი“. ამ სიგელით ირკვევა ასევე დიდი ერისთავის,

ქართლის ერისთავის მმართველობის ქვეშ მყოფი საქართლის ერისთავის არსებობაც“¹. ფრონეების ხეობაში ქართული საეკლესიო არქიტექტურის არაერთი შესანიშნავი ძეგლი იყო აგებული; შეიძლება დავასახელოთ: საბჭოთა პერიოდის რაიონულ ცენტრთან – ზნაურთან ძალიან ახლოს მდებარე *თიღვის გუმბათიანი ტაძარი*, რომელიც 1152 წელსაა აგებული. ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს ასომთავრული წარწერაა, რომლის მიხედვითაც მონასტრის აღმშენებელია დავით აღმაშენებლის ასული თამარი, რომელიც შირვანის შაჰზე იყო გათხოვილი; დაქვრივების შემდეგ კი საქართველოში დაბრუნებულა, მონაზვნად აღკვეცილა და თიღვის მონასტერი აუგია.

საინტერესო გადმოცემა აქვს დადასტურებული *სარკის წმიდა გიორგის* შესახებ სერგი მაკალათიას: „გადმოცემით სარკის წმ. გიორგის ხატი მტრის შიშით გადამალული ყოფილა დედოფლის მინდორში, რომელიც იქვე მდებარეობს და მას უჭირავს საკმაოდ დიდი ფართობი. მიწის მოხვნის შიშით ჩამოვარდნილა. ხატი ამოუთხრიათ, დაუკრავთ ღერჩოტაზე (გუთნის თავი) და ხარები გაფრენილან. სადაც ხარებს დაუსვენიათ, იქ აუგიათ ხატის საჯვარე. ბოლოს ხატი გაფრენილა საციციანოში (ღეთეთის მახლობლად) და აქ აუშენებიათ სარკის წმინდა გიორგის ეკლესია“².

გვიან შუა საუკუნეებში ფრონეების ხეობაში სათავადოები ჰქონდათ *ამირეჯიბებს, ფალავანდიშვილებს, ბავრაციონ-დავითიშვილებს*. რვა სოფელი ეკუთვნოდათ *აბაშიძეებს*. ყორნისიდან სამ კილომეტრში მდებარეობდა კომპლექსი, რომელსაც საბაჟო ეწოდება. მადლობზე მდებარე საბაჟო შემოხლდული ყოფილა ქვითკირის გალავნით. საბაჟოდან გზა გადადის რაჭა-ლეჩხუმში, ეს გზა ყორნისიდან გადიოდა ცხინვალში, აქედან კი გორსა და თბილისში. შემორჩენილია საბაჟოს კოშკი, რო-

¹ ჯ. გვახალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 19.

² ს. მაკალათია. ფრონეს ხეობა, თბ., 1963, გვ. 24.

მელსაც XV-XVI საუკუნეებით ათარიღებენ. წორბისიდან 8 კილომეტრშია დიდი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები, სადაც ნაპოვნია ქართული მრგვლოვანი ასოებით ამობურცულად შესრულებული ორი წარწერა. წარწერაში მოხსენიებულია ივანე ერისთავი. მიაჩნიათ, რომ ეს უნდა იყოს საქართლის ერისთავი. დათარიღებულია 960 წლით¹.

1924 წელს ფრონეების ხეობაში არსებული სავალალო მდგომარეობის შესახებ გიორგი ბოჭორიძე წერდა: „ძველი ქართული მოსახლეობის ადგილზე დღეს მთლიანად ოსობაა დასახლებული და ქართული მოსახლეობის მოსპობასთან ერთად, ქართული სახელწოდებანიც ნასახლართა, ციხეთა, ეკლესიათა, სოფელთა, ადგილთა და სხვ. უმეტეს წილად ჰქრებიან, ხოლო ნაწილობრივ საშინლად მახინჯდებიან დღევანდელი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ჩემი მოგზაურობისას გავიგე რამდენიმე სოფლის და ეკლესიის სახელი, რომლებიც ისე არიან დამახინჯებული, რომ დრო-ჟამის შემდეგ ადამიანი მათ ნამდვილ სახელს ვეღარც კი ამოიცნობს. ერთ სოფელს ერთმა ოსმა უწოდა კტანა, მეორემ – ოხტანა, მესამემ – ახტანა, როდესაც რომ, ქართველ გლეხთა სიტყვით, ნამდვილად იგი ყოფილა ვახტანა (იქ უწინ ვახტანგ მეფეს უცხოვრია)“².

8. ღიახვის ხეობა. *ვახუშტი ბავრაციონი* შიდა ქართლის ცენტრალური ნაწილის აღწერისას რამდენიმე გეოგრაფიულ ერთეულს გამოყოფს; ესენია: 1. *ვორსა და ღიახვის ზეითს*. 2. *დიდსა და პატარა ღიახვს ვანათამდე*. 3. *მდრან-დვაღეთს*, 4. *პატარა ღიახვს*. შიდა ქართლის მდინარეთაგან, რომლებიც მტკვარს ერთვიან, ყველაზე გრძელი და წყალუხვი ღიახვია. ის კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან იღებს სათავეს და 115 კილომეტ-

¹ ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 15.

² გ. ბოჭორიძე. ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, თბ., 2011, გვ. 341.

რის გავლის შემდეგ მტკვარს უერთდება ქალაქ გორთან. დიდი ღიახვი თავდაპირველად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართება, შემდეგ – სამხრეთ-დასავლეთისაკენ და სამხრეთისაკენ. კავკასიონი ამ მონაკვეთში შედარებით დაბალია და ქედზე ცხრა გადასასვლელია. ეს ცხრა გადასასვლელი კი გადადიოდა ცენტრალურ კავკასიონზე არსებულ საქართველოს კიდევე ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – *დვალეთში*. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დვალეთში კიდევე ორი გადასასვლელი იყო, ერთი თერგის სათავიდან – თრუსოდან *ხელადურის* გადასასვლელი და მეორე მთის რაჭიდან, რომელიც დვალეთის ჟღელეს ხეობაში გადადის, საერთო ჯამში, მთავარი კავკასიონის ქედზე სამხრეთიდან ჩრდილოეთით (დვალეთში) თერთმეტი გადასასვლელი იყო. ღიახვის ხეობიდან მთავარი გადასასვლელი კი *ხეკარა* იყო, რომელიც ხშირად ზამთარშიც კი არ იკეტებოდა. ხოლო დვალეთიდან ჩრდილოეთით ალაგირის ხეობაში მხოლოდ ერთი გადასასვლელი არსებობდა – *კახრის კარი*, რომელიც მხოლოდ ზაფხულში სამი-ოთხი თვის განმავლობაში ატარებდა მგზავრს. ასე რომ, მართალია, დვალეთი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა (ისევე როგორც *ხევი*), მაგრამ ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებით ის ფაქტობრივად დიდი ღიახვის ხეობის გაგრძელებას წარმოადგენდა და ქართველ მთიელ დვალეებს სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან ჰქონდათ. აქვე, დიდი ღიახვის ხეობის სათავეში არსებობდა **მადრან-დვალეთის** მცირე გეოგრაფიული ერთეული.

ვახუშტი ბავრატაიონი მადრან-დვალეთის შესახებ მოგვითხრობს: „ხოლო კვალად ქნოლოს (*ქნოლო* პატარა ღიახვის ხეობის სათავეშია – რ. თ.) ჩრდილოთ არს მთა დიდი კავკასი. ამ კავკასის ჩრდილოთკენ არს მადრან-დვალეთი. და იმზღვრების ესე მადრანდვალეთი: აღმოსავლეთით კავკასით, მთიულეთსა და მადრანდვალეთს შუათითა; სამკრით კავკასით. ქნოლო-მადრანდვალეთის

შორისით; ჩრდილოთ კავკასით და მთითა უმდაბლესითა, თრუსო-ზახასა და მადრანდვალეთს შორისით; დასაყლით მთით, ჩამოსულით კავკასიდამ, ჟბასა და მადრანდვალეთს შორისით. აქ მადრანდვალეთს გამოსდის დიდი ღიახვი თრუსოსა და ზახის კავკასსა“¹. მადრანდვალეთი სულ 9 მთური სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. ვახუშტი მადრანდვალეთის აღწერისას აღნიშნავს შიდა ქართლის მთაში, კონკრეტულად კი ღიახვის ხეობაში ოსთა მოსულობას და ხაზს უსვამს, რომ აქ მათ მოსვლამდე ქართველები ცხოვრობდნენო: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინათგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“². იოანე ბაგრატიონის მიხედვით, ამ ცხრა სოფლიდან ექვსი ქსნის საერისთავოში შედიოდა, ხოლო დანარჩენი სამი – მაჩაბლებს ეკუთვნოდათ. ვახუშტი კი მადრანდვალეთს მთლიანად ქსნის ერისთავებს აკუთვნებს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სოფლები როკი და ჟბა მადრანდვალეთის გარეთ მდებარეობდა.

ისევე როგორც ქართლის სხვა ხეობებს, ღიახვის ხეობასაც ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ვახუშტი ორ – მთისა და ბარის – ნაწილებად ჰყოფს. ამ შემთხვევაშიც გამმიჯვნელი ვაზის კულტურაა: „არამედ სვერს ზეით რომელი ღიახვის ჰეობა აღვსწერეთ, არს უვენახო, უხილო“³. ღიახვიდან რამდენიმე სარწყავი არხი იყო გაყვანილი. ამ წყლით მორწყული მიწა უხვ და გემრიელ მოსავალს იძლეოდა: „რომელნი ველნი ირწყვებიან ღიახვითა, პური მისი არს ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი და სკეტაკი“. ღიახვის ხეობა ქართლს არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა, არამედ

¹ ვახუშტი, 1997, გვ. 73.

² ვახუშტი, 1997, გვ. 73.

³ ვახუშტი, 1997, გვ. 80.

იმერეთთან და რაჭასთან. სამწუხაროდ ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში ქართველობა აღარ შემორჩა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ მათი ნასოფლარები მიგრირებულმა ოსებმა დაიკავეს. ვახუშტი ბაგრატიონი დიდი ლიახვის ხეობაში 50 ქართულ სოფელს უთითებს და 10 ოსურ სოფელს (*გუფთა, სვერს უკან სოფელი, ხოსო, პატარა ჭავა, ქეშელთა, სხლები, ჭავა, ხეწე, მუგუთი, კოშკა, როკა, ჟბა*). ქეშელთის გასწვრივ მიწერილი აქვს ბ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქეშელთის ხეობაში ორი სოფელი იყო, ე. ი. გამოდის 11). მას თუ დავამატებთ მადრან-დვალეთის 9 სოფელს, 20 ოსურ სოფელს მივიღებთ. სოფლების სახელწოდებათა აბსოლიტური უმრავლესობა ქართულ სახელს ატარებდა. ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა პატარა ლიახვის ხეობაში. აწერის ხევს ზემოთ 17 ოსური სოფელი იყო (*ზონკარი, სიათა, გნახური, ინაური, წიფორი, შუაცხვირსა და შამბიანში* – 2-2 სოფელი, *ჩაბარუხეთში* – 3, *ქნოდოში* – 5).

1899 წლის გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში შემდეგი საინტერესო ფაქტია მოთხრობილი. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართლში განთქმულია ფლავისმანური ღვინო – „ღუღური“: „სოფელი, სადაც „ღუღური“ მოდის სააგარაკო ადგილს წარმოადგენს და მთელ ქართლშია ცნობილი. როცა ამ რეგიონში ქოლერა, შავი ჭირი მძვინვარებდა, აქ ერთი არ გამხდარა ავად“.

პატარა ლიახვის ზედა ნაწილის მოსახლეობა მისდევდა ხითხურობას; ისინი ამზადებდნენ საოჯახო და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, რომლის ნაწილი ხეობის გარეთაც გაჰქონდათ – ცხინვალის, დუშეთისა და გორის ბაზრებზე. მოგვიანებით ეს ხელობა-საქმიანობა ოსებმაც დაიწყეს, რამაც ტყის მასობრივი განადგურება გამოიწვია.

ლიახვის ხეობა, დვალეთთან ერთად ეკლესიურად ნიქოზის საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა. ნიქოზი დიდი ლიახვის დაბლობში მდებარე სოფელია: „ლიახვის გაღმა არს ნიქოზის ეკლესია ღვთაების, დიდი გუმბათია-

ნი, აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გვამი წმიდისა რაქდენისა. **ზის დღესაც მწყემსი კავკასიანთა დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა**, გლოლა-ღებოთურთ. და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს ადგილს, შვენიერი. ამ ნიქოზის ჩრდილოთ, დიდის ლიახვის კიდუხედ, არს მცირე ქალაქი ქცხილვანი“¹.

ისტორიულად ლიახვის ხეობაში ორი ქალაქი არსებობდა, ორივე ვენახიან-ხილიან არეში – გორი და ცხინვალი. ორივე მათგანს მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული საქართველოს ისტორიაში. ყველაზე ძველი დოკუმენტი, რომელშიც *ქრცხინვალია* მოხსენიებული, 1392 წლისაა. ესაა „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი“, რომლის თანახმადაც საქართველოს სხვადასხვა მხარის სხვადასხვა სოფლები და გლეხები ყოფილან კათალიკოსისათვის შეწირული: „ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა“². შიდა ქართლში, მდინარე დიდი ლახვის ბარში მდებარე ქალაქი ცხინვალი არა მხოლოდ XVIII საუკუნეში, არამედ XIX საუკუნის ბოლოსაც ეთნიკური ოსებით დასახლებული არ ყოფილა. აქ საუბარია არა ჯგუფურ, რაიმე კომპაქტურ დასახლებაზე, არამედ ინდივიდუალურ, თუნდაც რამდენიმე კომლის მკვიდრობაზე. **ისტორიულად ცხინვალში ცხოვრობდნენ ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხები**. ამ უკანასკნელთა შორის კი იყვნენ სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების ქართველებიც, რომლებიც ჩვეულებრივ სომხებად იწოდებოდნენ. XIX საუკუნის რუსულ აღწერებში არა მხოლოდ ეთნიკურობისა და სარწმუნოების გრაფები იყო, არამედ საოჯახო საღაპარაკო ენისაც. ამ დავთრების თანახმად, ცხინვალის ყველა მკვიდრის (ებრაელებისაც და სომხებისაც) მშობლიური ენა ქართული იყო. XX საუკუნეში ცხინვალში შემორჩენილ სომეხთა საფლავის ქვებზე ყველა წარწერა მხედრული ასოებით იყო შესრულებუ-

¹ ვახუშტი 1997, გვ. 78.

² ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 179.

ლი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ცხინ-ვალში ეთნიკური ოსების ინტენსიური დასახლება მოხდა. უკვე 1926 წელს ქალაქში 1.152 ოსი იქნა აღრიცხული. ამ დროს ქართველები კვლავ უმრავლესობას წარმოადგენდნენ – მათი რაოდენობა 1920-ს შეადგენდა. შემდეგ მოდიოდნენ ქართველი ებრაელები (1.770 სული), სომხები (827 სული), რუსები (114 სული).

ქალაქი გორი მდინარე მტკვარზე მდებარეობს, იქ, სადაც ლიახვი მეჯუდასთან ერთად მას უერთდება. გორი შიდა ქართლის ცენტრში მდებარეობს, ამიტომაც ქალაქს ჰქონდა ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. გორი პირველად საისტორიო წყაროებში XII საუკუნეშია ნახსენები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის მაშინ იქნა დაარსებული. გორი სამეფო ქალაქი იყო, მეფეს უშუალოდ ემორჩილებოდა, მაგრამ, ამავე დროს ის დიდი ფეოდალების ამილახურების სამურაო ქალაქიც იყო. სომხური წყაროებით გორის ქალაქად გადაქცევა დავით აღმაშენებელს უკავშირდება, როდესაც მან აქ ანისიდან სომხები გადამოსახლა. ვახუშტი ბაგრატიონი კი აღნიშნავდა, რომ „არამედ არარს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ“. 1426 წლის ალექსანდრე მეფის სიგელის თანახმად, მეფე ავთანდილ ზედგინიძეს სამემკვიდრეოდ უმტკიცებს გორის მოურავობას. სულ მალე, 1465 წელს ზედგინიძეები უფრო წინაურდებიან და იღებენ ამოლახვრობასაც, რაც შემდეგ მათ მემკვიდრეობით სახელად (გვარსახელად) იქცა. თუმცა ამ თანამდებობაზე ამილახურებს მუდმივად მეფე ამტკიცებდა. გორის შუა საუკუნეების ძეგლთაგან ჩვენამდე არის მოღწეული გორის ციხე. ციხე აკონტროლებდა შიდა ქართლის ვრცელ მონაკვეთს. ამიტომაცაა, რომ შემოსული მტერი ყოველთვის ცდილობდა დაუფლებოდა გორის ციხეს. შუა საუკუნეებში გორის ციხე საბოლოოდ როსტომ მეფეს შეუკეთებია. განსაკუთრებით ზრუნავდა გორის ციხის გამაგრებაზე ერეკლე II, რადგან გამუდმებული ლეკიანობის დროს ის ხალხის საიმე-

დო თავშესაფარს წარმოადგენდა. ციხე წყლით მარაგდებოდა. მის შუა მოედანზე დაცულია ქვითკირის ხარო, რომელშიც მეციხოვნეები ხორბალსა და სურსათს ინახავდნენ. გორის ციხის შესახებ აკაკი წერეთელს ლექსი აქვს გამოთქმული: „მოგზაურო ვერა ჰხედავ // გორის ციხეს მაღალ სერზე, // ჭირ-ნახულს და გამარჯვებულს // სუყოველთვის ქართლის მტერზე“¹. გორთან ახლო, სამხრეთ-დასავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ გორაზე *გორიჯვარი* დგას. *გორისჯვრის წმიდა გიორგის* გარშემო გაღვანი ერტყა. ამდენად ის არა მხოლოდ სალოცავი, არამედ თავდასაცავი ნაგებობაც იყო. გორისჯვრის სასწაულმოქმედ წმიდა გიორგის მლოცველი მძიმე სენისაგან განკურნებასაც შესთხოვდა. გორიჯვრობას შიდა ქართლის სოფლებიდან აუარებელი მლოცველი იყრიდა თავს. ამ სალოცავს ღოცულობდა ამ სტრიქონების ავტორის გვარიც სოფელ დიდმიდან. დამისთევით მოსული მლოცველი სხვადასხვა წესს ასრულებდა. მლოცველი ძირითადად მამლებს ხატის სახელზე იქვე შეაფრენდა. ხოლო ვისაც გორიჯვარის მიზეზი ჰქონდა გამოსული, აუცილებლად ყოჩით ან ზვარაკ-მოხვერით მოდიოდა².

ღიახვის ხეობის სოფლებში არსებული არაერთი ტაძარი, ეკლესია, ციხე და კოშკი XIX საუკუნეში უკვე დანგრეული იყო, რის მიზეზსაც მრევლის ამოწყდომა ან სხვაგან გადასახლება წარმოადგენდა; აგრეთვე მტერთა ხშირი თავდასხმები, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი გუფთის შესახებ წერდა: „გუფთას არს ნაციხვარი, მუგუთს აღაშენა ციხე მაჩაბელმან, შემუსვრეს ურუმთა“. აჩაბეთიდან დასავლეთით მდებარეობს *თირის მონასტერი*, რომელიც ადრე ქვითკირის გაღვანით ყოფილა შემოსახდვრული. მიეკუთვნება XIII-XIV საუკუნეებს. მეცნიერები განსაკუთრებით გამოარჩევენ მონასტრის ორნამენტებს. ეკლესიაზე არის წარწერაც, რომელშიც მოხსე-

¹ ს. მაკალათია. ღიახვის ხეობა, 1971, გვ. 105.

² ს. მაკალათია. ღიახვის ხეობა, 1971, გვ. 107-108.

ნიებულები არიან მისი აღმშენებელნი მროველი ეპისკოპო-
ზი *ფილიპე, არდაშელ და ელისბარ თაქთაქიძეები*. თი-
რის მონასტერი ამ გვარის განსასვენებელი ყოფილა.
ტოპონიმი „თირი“ ქართულია. ეს სიტყვა ქართულ ენაში
ნიადაგის გარკვეულ სახეს აღნიშნავს, ის რბილი ქვის
შემცველს ნიშნავს. თირის მონასტრის სამრეკლოზეცაა
წარწერა (XIV საუკუნე): „თავხელიძეთა სიაოშ და რა-
ტის და ასათს და ხელის და მახაბელსა და მშობელთა
მათ შ-ნ (შეუნდვენ) ღ-მ (ღმერთმა)“. X საუკუნეში იყო
აგებული *საბაწმინდის გუმბათოვანი მონასტერი*, რომე-
ლიც XIV საუკუნეში განუახლებიათ.

ღიახვის ხეობაში ქართული კულტურის ძეგლები
სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარების შემდეგ. გ. ბოჭორიძე, რომელმაც
1924 წელს აქ იმოგზაურა კულტურის ძეგლების გადარ-
ჩენისა და შესწავლის მიზნით, აღნიშნავდა: „დიდად სამ-
წუხაროდ, ისტორიულ ძეგლთა და ნივთთა ნაწილი გა-
ნადგურდა რევოლუციის დროს. ცნობილი ტბეთის ისტო-
რიული ეკლესია მთლიანად არის დანგრეული. ეს ძალი-
ან დიდი დანაკარგია ისტორიისა და მეცნიერებისათვის.
ყოფილი ისტორიული ძეგლის ადგილზე დღეს დგას შე-
ნობის მსგავსი, ირგვლივ შემოძარცვული, გაშიშვლებუ-
ლი დუღაბი, რომელიც აერთიანებდა და იჭერდა ძეგლის
გარეთა და შიგნითა ქვებს. საკურთხეველის ფრესკებიანი
კედლების გადარჩენილი ნაწილი ხმამაღლა ღაღადებს
თავის მწარე ხვედრზე. ამ დიდებული ძეგლის ფრესკე-
ბით, წარწერებით და ორნამენტით დამშვენებული ქვები
ცხინვალშია წადებული და მათგან აშენებულია აბანო;
შენობის საძირკველში ჩადებულია ჩვიდმეტი ორნამენტი-
ანი, წარწერებიანი და ფრესკებიანი ქვა, ეზოში კი (მდ.
ღიახვის ნაპირზე) თორმეტი ასეთი ქვა ყრია. დანგრეუ-
ლია ორი ძველი ნაგებობა ყორნისში, ასევე სხვა ადგი-
ლებში“¹.

¹ გ. ბოჭორიძე. ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები,
თბ., 2011, გვ. 349.

პატარა ლიხვის სათავე ციხე-კოშკებით იყო გამაგრებული. ვახუშტის რუკაზე დატანილი აქვს *ბეყოს ციხე*. დიდი ციხე ყოფილა აწერის ხევშიც, რომლის კედლების სისქე 1,5 მეტრია. ციხესთან ახლოს ღვთისმშობლის ეკლესიაა, რომლის დღეობაც აპრილში მოდიოდა. აქვე *ლომისას* ნიშიცაა¹. პატარა ლიახვის ხეობის სოფელი გერი ცნობილია თავისი სალოცავით – წმიდა გიორგი. გერისთობა არა მხოლოდ ამ ხეობის, არამედ მთელი შიდა ქართლის ერთ-ერთ დიდ სალოცავად ითვლებოდა. აქ და მიმდებარე სოფლებში ადგილობრივი ქართველები ფაქტობრივად აღარ ცხოვრობდნენ, ხეობის ზედა ნაწილი ეთნიკურ ოსებს ჰქონდათ დაკავებული. აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ XVIII საუკუნის ბოლოს გერის მოსახლეობა კვლავ ქართული იყო. გერის წმიდა გიორგის ხატობა, გარდა გერისა, არბოშიც იმართებოდა. გერი ამ ხატის მთის საბრძანისი იყო, არბო კი – ბარისა². გერისთობა სამ კვირას გრძელდებოდა; ის 27 აგვისტოს იწყებოდა. პირველ კვირას *თავგერითობას* უწოდებდნენ, მეორეს – *შუაგერითობას* და მესამეს – *გერის ბოლოს*. სხვადასხვა შესაწირთან ერთად მლოცველს მოჰქონდა სანთლისაგან გაკეთებული ადამიანის გამოსახულებაც. პატარა ლიახვის ხეობაზე, ცხინვალიდან 6 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ერედვში არის წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც 906 წელსაა აგებული: „ქრციხინვალის აღმოსავლით პატარა ლიახვისაკენ, არს ერედვს ციხე და ეკლესია მას შინა, წმიდა გიორგისა, სასწაულიანი“. „მინაშენის შესასვლელი კარის მარცხნივ მთავსებულია მთლიანი ქვისაგან გამოთლილი მრგვალი სვეტი, რომელზედაც გამართულია ოთხკუთხა ქვა (ქუდი). მასზე ამოკვეთილა კვერცხის ფორმის ბურთულები, რომლებსაც ძუძუს უწოდებენ“³. 1,30 მეტრის სიმაღლის სვეტზე ამოკვეთილია 906 წელს შესრულებუ-

¹ ს. მაკალათია. ლიახვის ხეობა, 1971, გვ. 53.

² ს. მაკალათია. ლიახვის ხეობა, 1971, გვ. 61.

³ ს. მაკალათია. ლიახვის ხეობა, 1971, გვ. 61.

ლი ასომთავრული წარწერა, რომელშიც საუბარია კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზე; ნახსენები არიან აგრეთვე ქართლის ერისთავი ივანე ტბელი, ნიქოხელი ეპისკოპოსი სტეფანე და აღმშენებელი თევდორე თაფლაისძე. ეკლესიაში გამოქანდაკებულ კვერცხის მსგავს ბურთულებთან (ძუძუს ქვებთან) სალოცავად მოდიოდნენ რძედაძმრალი ქალები და ღვთისმშობელს რძის მიცემას ევედრებოდნენ, სანთლებს უნთებდნენ და ზედ ერბოს უსვამდნენ. სხვათა შორის, ასეთი *ძუძუქვები* საქართველოში სხვაგანაც იცოდნენ (ქართლში – სოფელ ბრეთში, ჯავახეთში – სოფელ მურჯახეთში). ერედვში იცოდნენ კავთობაც, მცხეთისჯვრობაც. სხვათა შორის, გერისთობას ასევე ღოცულობდნენ აქ მიგრირებული ოსებიც. ისინი მას „ჯერი-ძუარ“-ს უწოდებენ. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ **ბოლო დროს ოსმა კალმოსნებმა „ჯერი-ძუარი“ სამსრეთელი ოსების ცენტრალურ სალოცავად გამოაცხადეს, ანალოგიით იმისა, რომ ქართველებს, საგვარო, სასოფლო, სათემო და ცენტრალური (მთავარი) სალოცავები ჰქონდათ.**

დიდი და პატარა ღიახვის ხეობების სიძველეები აღწერა *იოსებ მეგრელიძემ*, რომლის ინტერესის სფეროში ქართული წარწერების მოძიებაც შედიოდა; ქართული წარწერები დააფიქსირა არა მხოლოდ ეკლესია-მონასტრებზე, არამედ საფლავის ქვებზედაც. მატერიალური კულტურის ეს ძეგლებიც ქართველი ხალხის წარსულის შესასწავლად ერთ-ერთი წყაროა. ნიმუშად რამდენიმე მათგანი შეიძლება მოვიყვანოთ. სოფელ მერეთში არსებულ საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა ყოფილა: „მომიხსენიე, უფალო, საფლავსა ამას შინა მდებარე აღდგომელაანთ რძალი ელისაფეთი. მხილველნო, შენდობას ვითხოვ. ჩყკო (=1829 წ.)“¹; „მომიხსენე მე, უფალო, მიწა შენი *იოსებ წიწას ძე ტატიური*. აღვსრულდი უშიგლოძეთ

¹ ი. მეგრელიძე. სიძველეები ღიახვის ხეობაში, წიგნი მეორე, თბ., 1997, გვ. 23.

ჩუპე წელსა (=1885-ს)¹. შიდა ქართლში მცხოვრები ოსების საფლავის ქვებზეც ქართული წარწერები ყოფილა ამოკვეთილი, მაგალითად, სოფელ წუნარში ასეთი ეპიტაფია ყოფილა: „ღმერთო, მეც ღირსი გამხადე, მამყოფე, სადაც სამოთხე შენია, რადგან სიკვდილი ძნელია. მოწამენი ვარ, უფალო, სიკვდილი სულის მტერია, სალომე არჯევან ფარასტავეის ასული, სიმონ ჯიოშვილის მეუღლე, 1902 წ.“². საერთოდ, შიდა ქართლის მთის ოსურ სოფლებში XIX საუკუნეში საფლავის ქვებზე ქართული ასოებით ოსური ტექსტების დაწერა იშვიათი არ იყო. ასეთი ფაქტები XX საუკუნის შუა ხანებში ი. მეგრელიძეს აქვს დადასტურებული: „**ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობის კიდევ უფრო კონკრეტული ფაქტი ისაა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიგ ოსთა საფლავის ქვებზე ოსური სიტყვები ქართული ასოებით წერია. სამხრეთ ოსეთში ჩვეულებრივი იყო ამავე ასოებით მიმოწერა**“³. მდინარე ფაწასთან ქეშელთის შეერთების ადგილას, მთის კონცხზე X-XI საუკუნეების ეკლესია ამჟამად ნანგრევებად არის ქცეული. მასზე ასომთავრული და ნუსხური წარწერებია; ერთ-ერთი მათგანი ასე იკითხება: „საყდარო დიდებისაო, შეიწყალე თედორე... სულსა გიორგისა განუსვენე. წმიდაო ეკლესიაო შეიწყალე ივანე კალატოზი“⁴.

როგორც ქვემო ქართლში, ისე შიდა ქართლში ისტორიულად, ქართველებთან ერთად სხვა ეთნიკური ერთეულებიც მკვიდრდებოდნენ. ქვემო ქართლში მოსული ეთნიკური ერთეულებიდან შეიძლება გამოვყოს თათრები

1 ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, წიგნი მეორე, თბ., 1997, გვ. 27.

2 ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, წიგნი მეორე, თბ., 1997, გვ. 71.

3 ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, წიგნი მეორე, თბ., 1997, გვ. 271.

4 კ. ხარაძე. შიდა ქართლის ჩრდილოეთი მხარის ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 2020, გვ. 96.

(ახლა აზერბაიჯანელებად ჩაწერილები) და სომხები, შიდა ქართლში კი – ოსები. ქვემო ქართლში უცხო ეთნიკური ჯგუფები ძირითადად სამხრეთიდან მიგრირდებოდნენ, შიდა ქართლში ეს გადმოსახლება ჩრდილოეთიდან ხდებოდა. ლიახვის ხეობა ის გეოგრაფიული ერთეული იყო, სადაც ოსები კომპაქტურად დასახლდნენ და ხშირად აქედან გადადიოდნენ საცხოვრებლად სხვა ხეობებში. თუმცა ლიახვის ხეობაში დასახლებამდე ოსები უფრო ადრე საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – დვალეთში დასახლდნენ, რომელიც მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა და რომელიც ხევთან, მთიულეთთან და გუდამაყართან ერთად, ქართლის მთიანეთში შედიოდა. დვალეთში ოსების დასახლება XVI საუკუნეში მოხდა, თუმცა მათი აქ მიგრაცია XVI საუკუნის შემდეგაც გრძელდებოდა. ოსების დვალეთში მოსვლისას ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ შეთხელებული იყო საქართველოს სხვადასხვა მხარეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა) გადასახლების და შავი ჭირის ეპიდემიის გამო. ადგილზე დარჩენილი ქართველი მთიელი დვალეები მოსული ოსების ეთნიკურ-ენობრივ გარემოში თანდათან გაოსდნენ. თუმცა მათი გაოსება ერთჯერადად არ მომხდარა და ზოგიერთ თემში ადგილობრივ მოსახლეობას ქართული ენა XIX საუკუნის ბოლოსაც ჰქონდა შენარჩუნებული (მაგალითად, ზახაში). დვალეთი რუსეთის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად შეიერთა, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და, შესაბამისად, 1858 წლამდე ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე როგორც ნარას „უჩასტოკი“, თბილისის გუბერნიის გარის მაზრაში შედიოდა.

თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები წარმოიქმნა თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის სათავე) XVII საუკუნის შუა ხანებში. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით XVII საუკუნის პირველ ნახევარში

შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახეების ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აყრილი და ბარში იყო საცხოვრებლად წასული. მთიან ხეობებში ქართველები აქა-იქა იყვნენ დარჩენილი.

შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან; ისინი თანდათან მოიწვევენ სამხრეთისაკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახელებული ორი ხეობის მთიან ზოლს მთლიანად. აქ აღნიშნულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად. XVIII საუკუნის მოელ მანდილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში ფაქტობრივად არსად არ იყვნენ განსახლებული. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორის ხეობის სათავეში (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეში (ჟამური). ჟამურში ოსთა მიგრაცია ხდებოდა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან დიდი ლიახვის, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (ჟამურში). XVIII საუკუნის დასაწყისში მცირე რაოდენობით ოსური მოსახლეობა ჩნდება მეჯუდას ხეობის სათავეში. აქ ისინი პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან გადმოვიდნენ.

XVIII ბოლოსათვის ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): კუდარო (მდ. ჯეჯორის სათავე) – გუფთა (მდ. დიდი ლიახვის ხეობა) – აწერისხევის ზემოთ (მდ. პატარა ლიახვის ხეობა) – მეჯუდის ხეობის სათავეში ორი

სოფელი – ჟამური (ქსნის ხეობაში) – ღუდა (მდ. თეთრი არაგვის სათავე) – თრუსო (მდ. თერგის სათავე). **XVIII საუკუნის ბოლოსათვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლეხურას ხეობაში, მეჯუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის დროს, ისე XVIII საუკუნის დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ „უვენახო-უხილო“ ზონაში ანუ „მთის ადგილებში“ ცხოვრობდნენ.**

XVIII დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ღიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათწლეულში ხდება ოსთა გაჟონვითი, ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისათვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ღიახვის მთიანი მონაკვეთიდან.

ოსების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში შემოსახლებულები გარკვეული ხნით აქ მკვიდრობის შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად.

XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ღიახვის ხეობიდან, თუმცა, თვალშისაცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტები ფრონეების ხეობის ქართველთა ნასოფლარებში დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. პატარა და დიდი ღიახვის ხეობიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდას ხეობაში. ლეხურას ხეობაში ოსე-

ბის მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (უამური, ჭურთა) ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს ლეხურას, მეჯუდას და ფრონეების ხეობებში ოსთა დასახლკარებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან, ვიდრე 1880-იან წლებამდე.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩნდება თითო-ორი ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთისწინეთის არაერთ სოფელში ოსთა ერთ თაობაზე მეტს არ მოუხდა ცხოვრება. მთისა და მთისწინეთის ამა თუ იმ სოფელში მცირე ხნით მკვიდრობის შემდეგ ოსები უფრო სამხრეთით ეშვებოდნენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია XIX საუკუნის მსახლეობის აღწერის მასალებზე თვალის გადევნებით. XIX საუკუნის დასაწყისში მთისწინეთის სოფლებში დასახლებულნი, ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე რომ, XVIII საუკუნის ბოლოდან და XIX საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს მაღალმთიანეთის სოფლებიდან დაბლობის მიმართულებით ოსთა თანდათანობითი, ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა, რასაც უდავოდ მიესადაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარებული ტერმინი „ჩამოწოლა“. იმდენად დიდი მოძრაობითობა, მიგრაციისადმი მიდრეკილება ახასიათებდათ ოსებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში დასახლებულნი, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად. 1886 წლის საოჯახო სიებით, მდინარეების დიდი და პატარა ღიახვის ხეობების 76-ზე მეტი მთის სოფლიდან XIX სა-

უკუნის 60-70-იან წლებში 1.340 კომლზე მეტი ოსი აყრილა და ბარის სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულა. საილუსტრაციოდ ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისია – სოფელ კოშკში ფიქსირებული იყო 169 კომლი ხიზანი, რომელთაგან 113 ოჯახი უკვე ამ სოფელში აღარ მკვიდრობდა და ბოლო ათი წლის განმავლობაში ბარის სხვადასხვა სოფელში იყო გადასახლებული.

ლიახვის ხეობაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იმდენად გაძლიერდა ლეკიანობა და ეს ლეკები ხშირად ჯარითაც გადმოდიოდნენ, რომ 1772 წელს ერეკლე II-მ აქ სამდევროები შექმნა: „ბელთიდამ მოკიდებული, – საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი და პატარა ლიახვის გამოღმართი. გვერდის ძირი და ვაკე გორით, ბერშოეთამდის, – რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთს სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი“. „თუ სამაჩაბლოსაკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდი ლიახვის გაღმა სადმე, ამ დიდის ლიახვის მდევარი, და პატარა ლიახვის გაღმართი – მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვაჩნია, საჩქაროდ გაცვივდნენ და როგორც სარქადრებმა ამჯობინონ, ისე შეებმენ“¹.

9. მეჯუდას ხეობა. წერილობით ძეგლებში *მეჯუდას* ხეობაც გვხვდება. ამ მდინარეზე მდებარეობს ხეობის ყველაზე დიდი სოფელი მეჯურისხევი. მდინარე სათავეს იღებს ძირისის მთის კალთებიდან და გორთან ახლოს უერთდება ლიახვს. ისევე როგორც სხვა მდინარეების დახასიათებისას ვახუშტი მეჯუდას მდინარის შესახებაც წერს: „არს ბიყრამდე მეჯუდა ვენახოვანი, ხილიანი. ამიერ და იმიერ დაბნები მრავალნი; თესლითა, მარცვლითა მოსავლითა ნაყოფიერი“. მართლაც, ისტორიულად მეჯუდას ხეობა „მრავალ დაბნებიანი“ ყოფილა. ვახუშტი მეჯუდას მრწყევლ 31 სოფელს ასახელებს. კიდევ ცალკე გამოყოფს მდინარის სათავეში მდებარე 8 სოფელს და „ოსის სოფელი ბ“, რომლებსაც საერთო სათაურის ქვეშ

¹ ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965: 427.

(ისროლიდ ჳევი) აერთიანებს: ბიყარი ბ (ე. ი. ბიყარი ორი იყო – ზემო და ქვემო), მერე, აკანათური, ბენდერი, ისროლის ჳევი ბ (ეს სოფელიც ორი იყო), აშატურთკარი“. ამრიგად, მეჯუდას ხეობაში 44 სოფელი ყოფილა, რომელთაგან XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ სამ მათგანში ცხოვრობდნენ ოსები. XVIII-XIX საუკუნების მიჯნაზე მეჯუდას ხეობაში ოსური სოფლების რაოდენობა გაზრდილა – იოანე ბაგრატიონი 5 ოსურ სოფელს უთითებს. 1781 წლის ქსნის აღწერა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ უშუალოდ ისროლის ხევის ორი სოფლის სახელწოდება (როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის უწერია „ისროლის ჳევი ბ“). აღწერის დავთარში ვკითხულობთ: „ისროლის ხევს ატენილამ“ და „ისროლის ხევს ჯავახეთილამ“. *ისროლის ხევის სოფელ ატენში* უცხოვრიათ: *სალუქაშვილებს, ელიაურებს, ასტამაძეებს, ხახაშვილს, გენგიურს, სოფელ ჯავახეთში კი – ციცაგებს, გინტურებს, კვირიკაშვილებს, ჟამურელს, დვალიშვილებს* (XIX საუკუნის აღწერის დავთრებში აქ დაფიქსირებულია სოფელი დვალიანთკარი), *ფოსურებს, ოდიშვილებს*¹. იმავე იოანე ბაგრატიონის თანახმად მეჯუდას წყლით მრწყველ სოფლებში გორიდან აყობებით სოფელ ღრომის ჩათვლით (*ბერბუკი, სვენეთი, ყვავის საყდარი, თორტიზა, ვარეჯვარი, რეხა, ახრისი, ხელთუბანი, კვარხითი, ზედუღეთი, სობისი, კირბალი, ბერშეთი, წინაგარა, ზურტი, ტყიურეთი...*) მოსახლეობა მკვიდრობდა, მთის სოფლები კი ნასოფლარებად იყო გადაქცეული: *ბიეთი, ანდორეთი, ივრეთი, გორეთი, მოხისი...* ბოლო დრომდე ქართველები მხოლოდ მის უკიდურეს სათავეში (*ისროლისხევში*) შემორჩნენ. 1814 წლის მოსახლეობის კამერალურ აღწერაში მეჯუდას ხეობის ნასოფლართა შორის ჩამოთვლილია: *ღრომი, ანდორეთი, ბიეთი, ივრეთი, გორეთი, კოსტანაური, ბიყარი*. დღეს ამ სოფლებში ძირითადად პატარა ღიახვის ხეობის ზემო წელიდან

¹ ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, თბ., 1967, გვ. 205-206.

მიგრირებული ოსური მოსახლეობა მკვიდრობს, რომლებიც აქ ძირითადად XIX საუკუნის შუა ხანებში დამკვიდრდნენ (დროში 1886 წლის საოჯახო სიებით მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ). შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა იყო ვილდაში (ქართველთაგან მკვიდრობდნენ ელიაურები), არკინარეთში (ქართველთაგან ბეგიაშვილები). 1814 წელს ოსებით იყო დასახლებული: ტბა (6 კომლი), მერია (13 კომლი), არდისი (10 კომლი), აშატური (17 კომლი), წყლები (8 კომლი), ე. ი. მეჯუდას ხეობის უკიდურეს ზემო წელში აღნიშნულ დროს ოსების საერთო კომლობრივი რაოდენობა 54 იყო. საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ახლა მეჯვრისხევში მოსახლე ბეგიაშვილები ბიყარში ცხოვრობდნენ, რომლებიც აქ უფრო ადრე პატარა ლიახვის ხეობიდან – ქნოდოდან გადმოსახლებულან. ბეგიაშვილების ბიყარიდან გადასახლების შემდეგ, აქ ოსები დასახლდნენ. ბიყარში სხვა გვარის ქართველებსაც უცხოვრიათ, რაზედაც მიუთითებს 1781 წლის აღწერა – სოფელ მეჯვრისხევში დასახლებული არიან: „ბიყრელი ჯიხვიშვილი ბერუა“, „ბიყრელი ფიდიური“, „ბიყრელი ხუტაურისშვილი პაპუნა და ღვინია“¹. 1781 წლის მეჯვრისხევის აღწერაში ერთი კომლი „ვილდელი ხარება“-ა ნახსენები. 1781 წლის მეჯვრისხევის აღწერაში ჭალისუბნელი *ფსიტძეების* ოთხი კომლია მოხსენიებული. ეს სოფელიც მეჯუდას ხეობის ზემო წელშია. სოფელ ივრეთში უცხოვრიათ *ინაურებსა* და *მილაძეებს*. სოფელ მახისტან არსებობდა სოფელი *ვეშაპური*, რომელშიც თავის დროზე გვარად *ვეშაპურები* ცხოვრობდნენ. ვეშაპურები მახისში XVII საუკუნის მეორე ნახევრის საამილახვროს დავთარშიც არიან მოხსენიებული. მახისში ცხოვრობდნენ აგრეთვე *ვაკაურები*, რომ-

¹ ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967, გვ. 225.

ლებიც 1818 წელს უკვე ფლავში იყვნენ გადასახლებული. სოფელი ბენდერი *ხახუტასშვილების* იყო, რომლებიც მეჯვრისხევში XVIII საუკუნეში გადმოსახლებულან. ისროლისხევში უცხოვრიათ დღეს არცევში მოსახლე *ნადირაშვილებსაც*, აგრეთვე *ბერუაშვილებს*, *დათიაშვილებს*, *ნინიკაშვილებს*, *ფიდიურებს*, მერიაში – *ბარათაშვილებს*. დრომის ძირძველი მკვიდნი იყვნენ: *ბიძინაძეები*, *ნინიკაშვილები*, *ხამაშურიძეები*, *პატაშვილები*, *იჩითები*, *ბერიულები*, *ანდორეთის – კურბლიშვილი*, *მარტაშვილი*, *ბერიძე...* 1771 წლის ერთ-ერთი არხის თანახმად, მეჯუდას ხეობიდან „სოფლეურად აყრილან“ და ქართლის ბარის გარდა, კახეთშიც გადასახლებულან.

მეჯუდას ხეობის სოფლების სახელწოდებებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მათი აბსოლიტური უმრავლესობა ქართული ტოპონიმი იყო, რომელთაგან 11 მათგანი - ეთ სუფიქსით ბოლოვდებოდა. სოფელი ბიეთი კი სამხრეთ საქართველოშიც არსებობდა. შიდა ქართლის ბარში, მეჯუდასა და პატარა ლიხვს შორის გარკვეული მონაკვეთი *გვერდისძირის* სახელს ატარებდა. ეს მიკრორეგიონი (*აძვი*, *ქვეში* (ქვეში ქვემო ქართლშიცაა), *დუდეთი*, *ქიწნისი*, *მარანა*, *ფლავი*, *ფლავისმანი*, *არცვეი*, *შატათგორი/შაკათკარი*, *იკორთა*, *ოტრევი*, *მერელა*, *ლაფახი*, *სნეკვი*) ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდა. იკორთაშია 1172 წელს აგებული ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი იკორთის მონასტერი. ტაძარზე შემორჩენილია მზის საათი. XVI-XVII საუკუნეებიდან იკორთის მონასტერი ქსნის ერისთავთა საძვალედ იქცა. აქ დაკრძალული არიან ბახტრიონის ბრძოლის გმირები – შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი.

10. ლეხურას ხეობა. ლეხურას ხეობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიედინება და კასპთან მარჯვნიდან უერთება მტკვარს. „ხოლო წლევის მთას გასჭრის მდინარე რეხულა; ქალოთ-ქვითკირს ქვეით დის ლეხურა სამჯრით, ერთვის კასპს მტკვრის ჩრდილოთ“. როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ლეხურას თავდაპირველი სა-

ხელწოდება *რეხულა* იყო, რომელიც აქ არსებული სოფლის რეხასაგან იღებს სახელს და რომელიც სოფელ ჭაღლას ზემოთ მდებარეობდა. მდინარის სიგრძეა 43 კილომეტრი. მთავარი შენაკადებია *წოდლის ხევი* და *უსისტყის ხევი* (ახლანდელი *ტორტლა*). ხეობა შედიოდა საამილახეროში. მხოლოდ მთაში, ხეობის დასაწყისში არსებული ორი სოფელი – *ქალოთი* და *ქვითკირი* – ქსნის საერისთავოს ეკუთვნოდა (რომელიც ქსნის ერისთავებს აზნაურ *ღაზნელების* ამოწყვეტის შემდეგ ერგოთ, ხოლო დანარჩენი ღეხურას ხეობა – ამილახერებს). ვახუშტი ღეხურას ხეობის 35 დასახლებულ პუნქტს უთითებს. ამას თუ დავამატებთ ქსნის საერისთავოში შემავალ ორ სოფელს – *ქალოთსა* და *ქვითკირს* – სოფლების საერთო რაოდენობა 37 გამოდის. -ეთ სუფიქსიანი 6 ტოპონიმი იყო (*ივკეთი, მხურვალეთი, მძორეთი, ტბეთი, ხანდოეთი, ქალოთი*), -ის სუფიქსიანი კი – 5 ტოპონიმი: *ფუნავისი, სამთავისი, ცხვილოსი, ბენისი, ცხინურისი. იოანე ბაგრატიონთან* ცხვილოსი სხვილოსითაა შეცვლილი. სხვილოსი რეხასთან ერთად ადრე შუა საუკუნეებში ხეობის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 957 წელს მოხსენიებული არიან მისი მფლობელები – დაჩი და ივანე სხვილოსელები. აქ მათ საკმაოდ გამაგრებული ციხე ჰქონდათ. ამილახერები სხვილოს ციხე-გალავანში XVII საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდნენ, შემდეგ კი უფრო დაბლა, ქვემო ჭაღლაში გადასახლდნენ.

ორივე ბაგრატიონთან რატომღაც ქსნის ხეობის სოფლები ბოლი და ახმაჯი ამ ჩამონათვალშია შეყვანილი. იოანე ბაგრატიონის დროს, XVIII საუკუნის ბოლოს ღეხურას ხეობის სოფლების უმეტესობა ნასოფლარად იყო გადაქცეული. მოსახლეობა იყო მხოლოდ კასპში, მხურვალეთში, სამთავისში, ჭაღლაში. სოფლებში მოსახლეობა ღეკიანობის დროს ამოვარდნილა. საერთოდ, შიდა ქართლიდან მოსახლეობის გაწყვეტისა და აერა-გადასახლების არაერთი ფაქტია დადასტურებული XVIII საუკუნის საისტორიო საბუთებში. ხშირი იყო შემთხვევე-

ბი, როდესაც მემამულეები საკუთარ ყმა-გლეხებს ეძებდნენ, პოულობდნენ და მათ დაბრუნებაში სამეფო კარს სთხოვდნენ დახმარებას. მიწათმომქმედთა შემცირებაში განსაკუთრებული როლი დადესტნელ მთიელებს მიუძღოდნენ. დემოგრაფიულ ვითარებას ლეკიანობასთან ერთად ოსიანობაც ამწვავებდა, მაგალითად, 1789 წლის არზაში ფალავენდიშვილის ყმა ივანე კობერიძე ერეკლე II-ეს არზით მიმართავს, რომელშიც წერს: „**ოსისა და ლეკისაგან წამხდარი კაცი გახლავარ**“¹. ვითარებას ისეთი ფაქტებიც ართულებდა, რომ ქართლში დასახლებული ოსები ქურდობდნენ, ადამიანებს იტაცებდნენ. 1792 წლის არზით თავადი თეიმურაზ ფავლენიშვილი მეფეს მიმართავდა: „ტბეთს ჩვენს მამულებს შუა ერთი გორა არის, ირგვლივ ჩვენი მამულები ახვევია და ის გორაც ჩვენია, მით დროში იმაზედ კაცი არ მდგარა. ... **ახლა ბეჟია ნამურაძემ ნათხოვარსავით ოსები და ოსის მიმყოლნი კაცნი დააყენა ჩემს მამულში, ხდენითა და ქურდობით აღარას უშვებენ**“². 1799 წლის იესე დიასამიძის არზიდან: „...**ლეკმა რომ წაგვახდინა, შვიდი კომლი კაცი ლეკებმა დახოცეს და იმათი ცოლ-შვილი დაატყვევეს**“³. პაპუნა ორბელიანი აღნიშნავდა: „**ქართლი გათავებული იყო ლეკისაგან**“. ქართლს არანაკლები ზიანი მიაყენა შავი ჭირის ეპიდემიამაც, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1799 წლის არზა *ვახუშტი ჯავახიშვილისა* გიორგი XII-სადმი: „**ჭირისაგან სამოცდაცამეტი სული დამეხოცა. ... ოთხიოდ კომლი კაცი მამირჩა და ისინიც ასე, რომ ზოგს ძმა და ზოგს შვილი მოუკვდათ**“⁴.

ლესურას ხეობაშია *სამთავისის ტაძარი*, სადაც სამთავისელი ეპისკოპოსის კათედრა იყო. ეს საეპისკოპოსო ცნობილია VI საუკუნიდან. ახლანდელი ტაძარი აგებუ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, 1985, გვ. 21.

² ქართული სამართლის ძეგლები, VIII, 1985, გვ. 160.

³ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, 1985, გვ. 528.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, 1985, გვ. 531.

ლია XI საუკუნეში, რომელიც ცნობილია თავისი მაღალხარისხოვანი ჩუქურთმებით.

როგორც აღვნიშნეთ სოფელი *რეხა* ხეობის ცენტრი იყო. დღეს ასეთი სახელწოდების სოფელი აღარ არსებობს. *სერგი მაკალათიას* მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, რეხელები ლეკიანობისაგან ამოწყვეტილან, ნასოფლარი კი დაუკავებიათ ქსნის ხეობის სოფელ კორინთიდან გადმოსახლებულებს და აღორძინებული სოფლისათვის *საკორინთლო* უწოდებიათ¹. ლეხურას ხეობაშია სოფელი *ზახორი*. სოფლის ეს სახელი, როგორც ვარაუდობენ, მომდინარეობს მამაკაცის სახელისაგან. მართლაც, აქ 1564-1579 წლების საბუთში მოხსენიებული არიან ლეხურას ხეობის მფლობელები *დავით* და *ზახორ დაზნელები*. ლეხურას ხეობაშია *არმაზის მონასტერი*, რომელიც აგებულია 864 წელს. ამ სახელს მცხეთის არმაზთან აქვს საერთო.

ლეხურას ხეობაზე, ქვემო ჭაღის ზემოთ, 1814 წლის აღწერით მხოლოდ ერთი ქართული სოფელი იყო – **ქოლოთი**. დანარჩენ სოფლები ნასოფლარებს წარმოადგენდა. მხოლოდ ერთ სოფელში – **ქვითკირში** ცხოვრობდნენ ოსები. 1814 წელს ისინი აქ 11 კომლის (52 სული) რაოდენობით იყვნენ. თუმცა 1814 წლის აღწერით ისიც ირკვევა, რომ ქვითკირში საკომლოები ჰქონდათ ქართველებსაც: *ფსუტურებს, ხარხელებს, საღარაშვილებს*². ქოლოთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ; ესენი იყვნენ: *მესტუმრე* (3 კომლი), *ლოთეშვილი* (1 კომლი), *ჩხიტაური* (2 კომლი), *კეკელაშვილი* (3 კომლი), *ხარხელი* (6 კომლი), *სარაული* (3 კომლი), *ხომიზური* (4 კომლი). სოფელ ქოლოთიდან მოსახლეობის ნაწილი უფრო ადრე აყრილა და ბარში გადასახლებულა, განსაკუთრებით სოფელ მეჯვრისხევში. მოხრობელთა სიტყვით, **ქოლოთელები ქართლის ბარის სხვადასხვა სოფელში „დაიღადნენ“** (ე. ი. წავიდ-წამოვიდნენ). ეთნოგრაფიული მონაცემე-

¹ ს. მაკალათია, ლეხურას ხეობა, თბ., 1964, გვ. 42

² სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 367.

ბით, სანამ ქოლოთელები ბარში დასახლდებოდნენ, მათ აქ პატარ-პატარა ვენახები ჰქონდათ. „ორკომობაა ებ, აქაც და იქაც რომ ვცხოვრობდით. ასეთ ორკომობას ბევრი ეწეოდა. მამულის მოძრაობა ჰქონდათ“. *ჯულიეტა რუხაძის* მიერ 1948 წელს ჩაწერილი მასალებით, **ქოლოთელებს ღვინო ქსნის ხეობის სოფელ ყანჩავეთიდანაც მოჰქონდათ: „ჩვენ ჭირნახულს მივცემდით და ის ღვინოს მოგვცემდა“**. ამ ღვინით, ისინი გუთანს რომ გამოუშვებდნენ, ღვთის ვედრებას აწყობდნენ და მაშინ სვამდნენ. ქოლოთელები გარდა მეჯვრისხევისა, გორში, ზერტსა და ჯარიაშენშიც არიან დასახლებული. ქართველებს უცხოვრიათ ღვინოს ხეობის უკიდურეს ზემო წელის სოფელ წოდლაშიც. მეჯვრისხევის 1781 წლის აღწერით ირკვევა, რომ აქ მოსახლე გვარები – *ჩიტაშვილები, ხადელაშვილები, იარდალაშვილები, ხაშუშიძეები, მწიკვლაურები* – წოდლიდან ყოფილან გადმოსახლებული. ღვინოს ხეობის სოფელ წირის მკვიდრნი ყოფილან *ბიბილაშვილები*. 1781 წლის მეჯვრისხევის აღწერაში დასახლებულია „ზურაბ ბოქაულთუხუცის ყმა მწირელი ბიბილაშვილი თევდორე“. XVII საუკუნის მეორე ნახევარში წირში ცხოვრობდნენ *იოსებიძეები, აბრიაშვილები*. ამავე დროს წირის მკვიდრებად დასახლებული არიან: *აბრიაშვილი, მოხვეიშვილი, მთიულიშვილი, ფიდიური*; წოდლაში უცხოვრიათ *ჭეხაშვილებს, იჩითებს, ძაბილონაშვილებს, ჟამიტაშვილებს, ცხილონში – მეფარიძეებს, მჭედლიძეებს*. ზახორის მკვიდრები ყოფილან *ევანისელეები, ხარებაშვილები, ნადირაშვილები, ბადილაშვილები, ძამაშვილები, გოგიტაშვილები, ქავთარაშვილები, მინდიაშვილები*. წირიდან არიან წარმომავლობით ქსოვრისელი *ქინძაძეები*, რომლებსაც სალოცავში ვაჟი აუცილებლად წირში უნდა გაერიათ.

XX საუკუნის დასაწყისში ღვინოს ხეობაში ქვემო ჭაღის ზემოთ თითქმის მთლიანად ოსები მოსახლეობდნენ. მათი აქ მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოხდა. აქ ოსებით დასახლებული სოფლებია:

ზახორი, არმაზი, იკეთი, ქვითკირი, ნადაბური, წირი, წოლდა, წუბენი, ცხილონი, ველურა, ჭაჭამური...

ზემოთ ვნახეთ, რომ 1715 წელს ფრონეების ხეობაში მკვიდრი გვარების უმრავლესობამ ჩვენამდე არ მოაღწია. ანალოგიური მდგომარეობა ფიქსირდება ლეხურასა და მეჯუდას ხეობებში. XVII საუკუნის მეორე ნახევრის საამილახვროს დავთარში აღრიცხულია ორივე ამ ხეობაში მცხოვრები გვარები (ეს დავთარი არასრულია). ირკვევა, რომ თითქმის \$60 გვარმა არ მოაღწია ჩვენამდე; ეს გვარებია: *აბრიაშვილი, ამზიაშვილი, ასადური, ბალათრიშვილი, ბაცქარელი, ბახტიაშვილი, ბერიული, ბეხურემაშვილი, ბზურიული, ბიბნიაშვილი, ბიშიაშვილი, ბიძინაძე, ბობოცქვიტაშვილი, ბუკურწიშვილი, ბლუთიძე, გაგუჩიძე, გვერდელაშვილი, გიშელაშვილი, გულბეგაშვილი, დიდიშვილი, დომედაშვილი, ესიკაშვილი, ზიალაშვილი, თამთაშვილი, თოდუაშვილი, კეჭაშვილი, კიკნაშვილი, კორწყელიაური, კურბლიშვილი, კოუჭიშვილი, მახუტაშვილი, მგლისჯოვი, მელინწყაური, მუხურელი, ნავსახარაშვილი, ნიქოხელიძე, ნუშიაშვილი, საგზაშვილი, სარგულაშვილი, სარეველაძე, სარყაული, ფარდულაშვილი, ფარველიძე, ქათანაშვილი, დოდორაშვილი, შავნადირაშვილი, შეენიერიშვილი, ჩანლანიძე, ჩახპარაშვილი, ცქანტურაშვილი, ძაღნაშვილი, ძმობილაშვილი, ჭეხნავიძე, ჭუხარაძე, ხუნდაური, ხუტიკაშვილი, ჯანდილაშვილი, ჯვარისკაცი, ჯიღინაშვილი და სხვა.*

11. ქსნის ხეობა. ქსნის ხეობამ და აქ წარმოქმნილმა ფეოდალურმა ერთეულმა – ცხრაზმის (ქსნის) საერისთავომ (სათავადომ) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. მდინარე ქსანი სათავეს 2.919 მეტრზე მდებარე ყელის ტბიდან (ტბის სიგრძე 3 კილომეტრია, სიღრმე – 63 მეტრი. 8 თვის განმავლობაში გაყინულია) იღებს და მტკვარს ერთვის მარცხნიდან; მისი სიგრძე 84 კილომეტრია. ყველაზე მაღალმთიანი სოფელი ბაგინი (ქამურში) ზღვის დონიდან 2.000 მეტრზეა (ახლა ის ნასოფლარია). გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ბო-

ტანიკური მონაცემების გათვალისწინებით, ქსნის ხეობის მთისწინა ზოლი ახალგორიდან იწყება და კორინთამდე აღწევს; კორინთასთან არსებული *ზებაყურის* მთის ზემოთ კი მთაა. ქსნის ხეობას ჩრდილოეთით კავკასიონის მთები აკრავს, სამხრეთით მდინარე მტკვარი, აღმოსავლეთით – არაგვის ხეობა, დასავლეთით – მდინარე ლეხურა და მდინარეების მეჯუდას და პატარა ლიახვის სათავეები. ხეობის მთისწინა და მთის ზოლი უფრო მცირე ტერიტორიული ერთეულებისაგან შედგებოდა. აქ გამოყოფენ *ჯამურს*, *ქარხოხს*, *ცხრაზ(ძ)მას*, *ჭურთას*, *ცხავატს*, *ალეგ-საფერშეთს*. შესაბამისად საკუთრივ მდინარე ქსნის გარდა, ხეობა მოიცავს მის შენაკადებს: *ცხრაძმულას*, *ჭურთულას*, *ცხავატურას*, *ალეურას* და სხვა წვრილ ხეობებს. ამასთანავე უნდა გაეხვას ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ერთეული – ქსნის საერისთავო აღნიშნული ხეობისა და მისი შენაკადების გარდა, მოიცავდა ქოლოთ-ქვითკირს (ლეხურას ხეობის სათავე), მეჯუდის, პატარა ლიახვის ხეობებს, მადრან-დვალეთს და გვერდისძირს. XIV საუკუნიდან ქსნის საერისთავოში შედიოდა არაგვისპირი, ხადა, თრუსო. ეს გეოგრაფიული ერთეულები XVI საუკუნიდან არაგვის ერისთავთა გამგებლობაში გადავიდა. ჯამურზე ქსნის ერისთავებს მუდმივი დავა ჰქონდათ ქსოვრისში მცხოვრებ აზნაურ რატიშვილებთან, რომელთა გვარიც ერისთავების განაყოფი იყო. სხვათა შორის, რატიშვილებს მამულები გარდა ქსოვრისისა, ჰქონდათ აგრეთვე ყანჩაეთში და კაბენის მონასტერიც მათი საძვალე იყო¹.

ქსნის ხეობამ ადრიდანვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება, რის მიზეზიც რამდენიმე ფაქტორი იყო: ა) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებული სოციალური სტრუქტურა (აქ ბარის მსგავსი ფეოდალური ურთიერთობები არსებობდა); ბ) პირველხარისხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლე-

¹ ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 1983: 74.

ბის სიუხვე და სოფელ საძეგურში აღმოჩენილი ძვირფასი არქეოლოგიური მონაპოვარი – ე. წ. ახალგორის განძი; გ) დიდმნიშვნელოვანი საისტორიო წყაროს – ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეანის „ძეგლი ერისთავთა“-ს შექმნა; დ) ჩვენამდე მოღწეული XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრები; ე) ხეობის ეთნიკური შემადგენლობა.

ისევე როგორც სხვა ფეოდალური ერთეულები, ქსნის საერისთავოც შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია, თუმცა, ქართლის სხვა სათავადოებთან შედარებით ის თითქმის ყველაზე ადრე წარმოიქმნა – XIII საუკუნეში. „ძეგლი ერისთავთა“-ში დასახელებული თარიღი ქსნის ერისთავების აქ დამკვიდრების შესახებ რეალური ვითარების ამსახველი არაა. ცხრაზმის // ქსნის ერისთავებს თავდაპირველად რეზიდენცია და საძვალე ქსნის ხეობაში ჰქონდათ, შესაბამისად – *ქვენიფნევსა და ლარგვისში*, მაგრამ შემდეგ ტერიტორიული გაფართოებისდაკვალად მათ საერისთავოს რეზიდენციისა და საძვალის ადგილი შეიცვალეს, ქვენიფნევიდან სასახლე უფრო დაბლობში – *ახალგორში* გადაიტანეს, ხოლო საძვალე ქსნის ხეობის გარეთ – *იკორთაში* (გვერდისძირზე).

ახალგორიდან სამხრეთით რამდენიმე სოფელი საამილახვროში შედიოდა (სოფლები: *ბოლი, ახმაჯი, ლამისყანა*), ქსნის ხეობის დაბლობის ძირითადი ნაწილი კი მუხრან-ბატონების სამფლობელოს წარმოადგენდა. იოანე ბაგრატიონი ქსნის ხეობის სოფლების სრულ სიას არ გვთავაზობს, მაგალითად, ასახელებს მხოლოდ ქარჩოხის თემს. მაგრამ მასში შემავალ 7 სოფელს არ ჩამოთვლის; ასევე ჭურთაში მიუთითებს მხოლოდ ქართველთა და ოსთა სოფლების რაოდენობას; ჟამურის თემშიც მხოლოდ სოფლების რაოდენობას (9) იძლევა; ასახელებს ცხრაძმას მისი 7 სოფლით და ა. შ. სხვა მეზობელი ხეობებისაგან განსხვავებით, XVIII საუკუნეში ქსნის ხეობა მჭიდროდ იყო დასახლებული – იოანე ბაგრატიონს „მოსახლენის“ გარეშე არც ერთი სოფელი არა აქვს

დასახელებული. აღნიშნულს 1774 და 1781 წლების აღწერის დავთრებიც ადასტურებს. გვიან ფეოდალურ პერიოდში ქსნის ხეობისა და საერისთავოს ცენტრს იოანე ბატონიშვილი „ყასაბა ქალაქს“ უწოდებს. როგორც ცნობილია, აქ ქართველებთან ერთად XVII საუკუნეში მოსული სომხებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც ქართულენოვანნი იყვნენ. სომეხთა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა ქსნის დაბლობში მდებარე სოფელ მუხრანშიც. ვახუშტი ბაგრატიონის დროს ოსური კომპაქტური მოსახლეობა ჟამურის თემში იყო: „**არს კსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ჟამურისა არს ციხე, ბერციხედ წოდებული, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე**“¹. ვახუშტი ბაგრატიონი პირდაპირ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჟამურში ახლა არიან ოსები მოსახლენი, რაც პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ ისინი მოსული არიან და ადრე აქ ქართველები ცხოვრობდნენ. ამას ჟამურის ტოპონიმებიც ადასტურებს – თვით ჟამ-ურ-ი -ურ სუფიქსით წარმოებული ტოპონიმია და ციხის სახელწოდება – ბერციხე, სოფლის სახელი „ბაგინი“ (ბაგინი სამხრეთ საქართველოში, ლიგანის ხეობაშიც არსებობდა). ხოლო ჭურთის, ცხრაძმის და ქსნის აქეთ-იქით მდებარე სოფლების მოსახლეობის შესახებ აღნიშნავს, რომ „ამ სამთა კეობათანი არიან, ვითარცა დავსწერეთ მთიულნი, მათგან მიმზგავსებულნი“. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ ქსნის ხეობაში ეთნიკური ვითარება ერთგვარად შეცვლილი იყო. იოანე ბაგრატიონის თანახმად ოსური სოფლები წარმოქმნილი იყო *საფეშეთში* (2 სოფელი), *იფნევთან*, *ცხრაწყაროსთან*, *ჭურთაში* (8 სოფელი. აქ 1781 წლისათვის არსებული ქართველთა მხოლოდ ორი სოფელიდა იყო დარჩენილი, რადგან ორი სოფელი, რომელშიც *ბუჯიძეები/ბუჯიაშვილები* და *დორეულები* ცხოვრობდნენ, აყრილი იყო; ქართლში, კახეთში, ერწო-თიანეთში იყვნენ გა-

¹ ვახუშტი, 1997, გვ. 71.

დასახლებული). ოსები ცხოვრობდნენ აგრეთვე ძაბოეთსა და მუჯუხში. ქსნისა და მტკვრის შესართავის მიდამოებში სხვა ეთნიკური ჯგუფებიც ცხოვრობდნენ; ესენი იყვნენ ასირიელები (აისორები) და დღეს ახერბაიჯანელებად ჩაწერილი ყარაფაფახები, რომლებიც აქ საკმაოდ გვიან იყვნენ დასახლებული.

ქსნის ხეობის მოსახლეობაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის 1774 წლის აღწერის დავთარი. ზოგიერთი სოფელი მასში მოსახლე გვარის სახელს ატარებდა: *იღურთ კარი* (ცხოვრობდა 15 კომლი იღურიძე), *ბუჯიანთ კარი* (11 კომლი ბუჯიძე), *დორეულთ კარი* (13 კომლი), *ქენქანთ კარი* (15 კომლი. კიდევ 12 კომლი სოფელ ხარბალში და კიდევ 6 კომლი ჭორჭოსში მკვიდრობდა), *მიდელანთ კარი* (11 კომლი მიდელაშვილი), თინიკაანთ კარი (10 კომლი თინიკაშვილი, 4 კომლიც კორინთაში ცხოვრობდა), *პავლიანთ კარი* (10 კომლი პავლიაშვილი), *შატაკთ კარი* (4 კომლი შატაკიშვილი), *ჩიტიანთ კარი* (7 კომლი ჩიტიშვილი, იყვნენ უკან უბანშიც)... ბევრი იყო სხვა დიდი გვარიც: *შერმადინები* (შველიეთში, მოჭალეთში, საქორეთში), *ბუთხუზები* (გავაზში), *წიპტაურები* (კვერიათში), *კარელიძეები* (ვაკეში), *ბალხამიშვილები* (ჭორჭოსში, წინ უბანში), *ბაშარულები* და *თეხელაშვილები* (დაბაკეთში), *ყველაშვილები* (მახიარეთში, აბუთ კარში), *ოდიშვილები* (ზოდეხში), *ბერიანიძეები* (დადიანეთში), *ზარიძეები* (ღარგვისის მონასტერში), *ბუნტურები* (ცხაოტში, 24 კომლი. აქვე იყვნენ *მელთაურები*, *ჟივიძეები*, *ყურაულები*), *წითურაულები*, *ჭოჭალები* (შემდგენდროინდელი *ჩოჩელები*), *ნავროზაშვილები*, *კობაურები*, *ჭაღისურები*, *მილაძეები*, *სულაშვილები* – საძეგურში, *შულღიაშვილები* – გეხევრეთში, *ნათაძეები*, *ხუციანიძეები*, *ჯორელიძეები*, *ზანდუკელები*, *სისოურები*, *მილაძეები*, *ღუნაშვილები*, *ხელვარიძეები* – ალევში, *ფსუტურები*, *კანკალაშვილები*, *მამლიძეები*, *ჯაბაურები* – ნახიდში, *უთნელიშვილები* (ქურთაში), *მირბედაძეები*, *ქუტაშვილები*, *ხრიკულები*, *ძელყორაშვილები* – წირქოლში, *გერი-*

ტიშვილები, ზანგურაშვილები, გიგაურები, ნიაურები, ფიცხელაურები (აზნაურები) – იკოთში...

ქსნის ხეობაში წარმოქმნილი საერისთავო XIII საუკუნემდე ქართლის საერისთავოში შედიოდა, რასაც ვახუშტის ერთი ცნობაც ადასტურებს: „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვა, ქსნისა სხვა“. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში სრულიად სამართლიანად ქსნის საერისთავოს აღმავლობა მონღოლთა შემოსევების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებასთანაა დაკავშირებული¹. თავდაპირველად ქსნის საერისთავო ცხრაზმის საერისთავოს სახელს ატარებდა, რადგან ფეოდალური ერთეულის ცენტრს ცხრაზმა წარმოადგენდა. ის პოლიტიკური მემკვიდრე იყო ადრეფეოდალური ცხრაზმისხევის ხევისუფლისა². საყურადღებოა, რომ იოანე ბაგრატიონი ქვენიფნეველების ქსნის ხეობაში დაკმვიდრებას რუსუდანის მეფობას უკავშირებს. ისინი მაშინვე შესდგომიან საერო და სასულიერო ნაგებობების მშენებლობას, რომლითაც ასე მდიდარია ქსნის ხეობა და საერთოდ, საერისთავო. ერისთავ ქვენიფნეველებს ქვენიფნევიში პქონდათ აგებული სასახლე – აქ ლარგველ შალვას ძეს „ტფილური წესითა დარბაზოვანი“ აუშენებია. ამ სასახლის ნანგრევები გვიანობამდე იყო შემორჩენილი. ჩიხის გაღავანი კვადრატულია, თითოეული მხარის სიგრძე 60 მეტრია. ქვენიფნევი თავისი ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით კონტროლს უწევდა ქსანზე განმავალ, მაგისტრალს და ხეობის ზედა ნაწილის დაცვის ორგანიზაციის საკითხს წყვეტდა³. ქსნის ხეობაშია ყანჩაეთის კაბენის სამონასტრო კომპლექსი, ხოფას სამონასტრო კომპლექსი, ლარგვისის მონასტერი,

¹ ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 63.

² ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 63.

³ ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 66.

წირქოლი (VIII საუკუნე, აქაა X საუკუნის ლეონ მეფის საამშენებლო წარწერა)... ხოფას კომპლექსის აგება XIII საუკუნითაა დათარიღებული. ქსნის ხეობის ციხეებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ *ხადის ციხე*, რომელიც ყანაურას ჩრდილოეთ შენაკად ხადის ანუ ციხის ხევზე მდებარეობს. ადრევე გადალურ პერიოდში იყო აგებული *ქარხოხის ციხე*, რომელსაც ადგილობრივები *ცხმორის* ციხეს უწოდებდნენ. ის მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ხეობის ერთ-ერთ ძირითად ბასტიონს წამოადგენდა. ქარხოხი, უკანუბნის, ციხისოფლის, წინუბნის (საფეშეთი) ციხეებთან ერთად, არაგვის ხეობიდან გადმოსასვლელებს კეტავდა. ქსნის ხეობის ვიწროებიდან გამოსასვლელ ადგილზე, მაღალ მთაზე იდგა წირქოლის ციხე. ქამურში ბერციხის გარდა იდგა აგრეთვე კორას, ალავერდის და სხვა ციხეები.

ეკლესია-მონასტრებზე საუბრის დროს აუცილებლად უნდა ვახსენოთ „ლომისას“ ეკლესია // სალოცავი, რომელიც ქსნისა და არაგვის ხეობების წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს და რომელიც მთიულთა და ქსნისხეველთა საერთო სალოცავი იყო. როგორც ქსნისხეველებს, ისე მთიულებს *ლომისაში* საკუთარი დეკანოზი ჰყავდათ. მთიულთაგან დეკანოზად აუცილებლად *ბურდულის* გვარის უნდა ყოფილიყო, ქსნელებიდან კი – *პავლიაშვილის* გვარისა.

ქსნის ერისთავები ხშირად არ ემორჩილებოდნენ საქართველოს სამეფო ხელისუფლებას. ერისთავ გიორგის (ყულარაღასის) განდგომის ერთ-ერთი მცდელობის დროს 1777 წელს ერეკლე მეორემ სათავადო გააუქმა, მამულების დიდი ნაწილი კი უფლისწულებს გადასცა. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ქსნისხეველთა ბრძოლა საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გიორგი V ბრწყინვალეს მიერ ქართლიდან ოსების განდევნა. „ძველი ერისთავთა“ თანახმად, ცხრაზმის ერისთავს ვირშელს და მისი დროშის ქვეშ მდგომ ცხრაზმელ მეზობლებს, განსაკუთრე-

ბული ერთგულება გამოუჩენიათ გიორგი V-სადმი, ოსებისაგან ქალაქ გორის განთავისუფლებისათვის წარმოებულ სამწლიან ომში“¹.

შიდა ქართლის სხვა ხეობებთან ერთად, ლეკები ქსნის ხეობასაც არ ინდობდნენ. ისტორიკოს ვალო ლუნაშვილს სოფელ ძეგლევში ასეთი გადმოცემა ჩაუწერია: „ძეგლევის ზემო უბნის თავზე არის თითქმის დანგრეული ღვთისმშობლის ეკლესია, ამ ეკლესიასთან დაკავშირებით საინტერესო გადმოცემა მოგვიყვება 65 წლის ადგილობრივმა მკვიდრმა ვალოდია ქისიევმა. ერთხელ ლეკები შემოსევიან ძეგლევს, მამაკაცები სამუშაოდ ყოფილან წასულნი, ქალებისა და ბავშვების ამარა მიტოვებული სოფლის ქვემო და შუა უბანი ადვილად დაურბევიათ მომხვდურებს, ზემო უბანში მცხოვრებ ერთ ფეხმძიმე ქალს მოუსწრია თოფის აღება და ღვთისმშობლის ეკლესიაში შესვლა. ქალის ეკლესიაში შესვლა ვერ შეუძინნავთ ლეკებს და ეკლესიის წინ იოლი გამარჯვების აღსანიშნავად ქრისტიანობისა და ქართველების დამამცირებელი ზემი გაუმართავთ, ეს უკვე ვეღარ აუტანია ეკლესიაში შეხიზნულს და სროლა აუტეხია. ღვთისმშობლის ეკლესიიდან გამოსროლილ ტყვიას ლეკი მოუკლავს, დანარჩენები კი დაუფრთხია, შეშინებული ლეკები გაქცეულან. ფეხმძიმე ქალს კი ეკლესიაში უმშობიარია“².

ქსნის ხეობა ოდითგანვე რომ საერთოქართული კულტურის ფერხულში იდგა, კარგად ჩანს საძეგურისა და ყანჩაეთის მონაპოვრიდან, რომელსაც ანტიკური პერიოდით – ძვ. წ. VI-IV საუკუნით – ათარიდებენ. 1908 წელს საძეგურში მპოვებული განძი (ოქროს სამკაულები, ბალთები, ყელსაბამები და სხვა ნაირგვარი სამკაულები, ცხენის რახტის ოქროს სამკაულები, ვერცხლის

¹ ვ. ლუნაშვილი. ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, თბ., 1997: 67-68.

² ვ. ლუნაშვილი. ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, თბ., 1997: 142.

სასმისები და სხვა) და ყანჩაეთის განძი (ჭურჭელი, იარაღები, რიტუალური დანიშნულების საგნები – დროშის ნაწილი, შტანდარტი, ცხვრის ქანდაკება, ბრინჯაოს სხვადასხვა სახის ზანზალაკები...) არა სამარხეულ, არამედ „ხატის განძს“ მიეკუთვნება¹.

ზემოთ ქსნის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებს (ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები) შევეხეთ. შიდა ქართლის სხვა ხეობებშიც, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ხელისუფლებამ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ჩარჩოებში მოაქცია, ანალოგიური ძეგლები ბევრია; ბევრია აგრეთვე ნაეკლესიარი, ნამონასტრალი, ნაციხარი, ნაკოშკარი. ნაგებობებზე არა ერთი და ორია ქართული ასომთავრული, ნუსხური და მხედრული წარწერები. ქართული ეპიგრაფიკა თარიღდება როგორც ადრე, ისე განვითარებული და გვიან შუა საუკუნეებით. შეიძლება დავასახელოთ ზემო დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის XI საუკუნის, ბიეთის მონასტრის IX საუკუნის, ერედვის წმიდა გიორგის ეკლესიის 906 წლის, იკორთის 1172 წლის, თირის სამონასტრო კომპლექსის XIII-XIV საუკუნეების, თიდვის 1152 წლის, ლისას ცხრაკარას ეკლესიის XIII საუკუნის, სოხთას (ფაცას ხეობა) ეკლესიის X-XI საუკუნეების, არმაზის წმიდა გიორგის ეკლესიის 864 წლის, ყანჩავეთის IX საუკუნის წარწერები. არის ქვაჯვარები და სტელები. შიდა ქართლის მთიანეთში ბევრი იყო ზურგიანი კოშკი, რომელთა ძირითადი ნაწილი IX-X საუკუნეებით თარიღდება და რომლებიც მხოლოდ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, შიდა ქართლის ხეობების მატერიალური კულტურა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია².

¹ ი. ვაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

² დაწვრილებით იხილეთ: შიდა ქართლი I, თბ., 2002; შიდა ქართლი II, თბ., 2004; შიდა ქართლი III, თბ., 2004; შიდა ქართლი IV, თბ., 2008;

12. „**მუხრანისა სამთავრო**“. ქსნის ხეობის დაბლობ ნაწილში არსებობდა კიდევ ერთი სათავადო – *სამუხრანბატონო*, რომელიც XV საუკუნეში შეიქმნა და რომლის ცენტრიც ამავე ხეობის სოფელი მუხრანი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი „მუხრანისა სამთავრო“-ში 50 სოფელს მიუთითებს. ქსნის საერისთავოსაგან განსხვავებით, XVIII საუკუნის ბოლოს აქ სოფლების უმეტესობა ნასოფლარებად იყო გადაქცეული, მაგალითად, კარგად ცნობილი *გოროვანი*, *წეროვანი*, *სხალტბა*, *ციხისძირი*, *ნასპარსევი*, *ნასტაკისი*, *ძალისი*... მხოლოდ *ქანდას*, *აღაიანს*, *ჩანგილარს*, *შიოსუბანს* „და თვით *მუხრანს*, *ქსოვრისს*, *დამპალას*, *მჭადიჯუარს*, *წილკანს* აქვს მიწერილი „მოსახლენი“. ყველა ეს ნასოფლარი ლეკთა თარეშების შედეგი იყო. მჭადიჯვრის ციხეზე 1756 წელს შესრულებული სახლთუხუცეს კონსტანტინეს წარწერაა: „**მოხრებული იყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან და თვინიერ ციხეთა არსად გვედგომებოდა კაცთა, სოფელი და დაბაც ოხერქმნილი იყო**“¹. ბევრი ნასოფლარი აღარც აღორძინებულა და მათი ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა აღარც ხერხდება. ვახუშტის დროსაც ბევრი სოფელი და მათი სახელწოდება დაკარგული იყო. მაგალითად, ერთ-ერთი ძველი სოფლის – **თეკენას** – ადგილმდებარეობა გაარკვია *ჯონდო გვახალიაშ*. „თეკენას ანუ *ყვავის-საყდარს* დღეს წილკან-ნატახტარის მოსახლეობა უწოდებს ნასაყდრალს, რომელიც ნატახტრიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს 1,5-2 კმ.-ზე“. აქვე ახლოს მანვე მოახდინა სოფელ *კუნლიანის* ლოკალიზაცია. ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში მუხრანი ქართლის მეფეთა დომენი იყო.

გარდა სამუხრანბატონოსი, ქსნის ხეობას ესაზღვრებოდა აგრეთვე არაგვის საერისთავო, საამილახვრო. სამუხრანოს აღმოსავლეთიდან არაგვი ესაზღვრებოდა, სამხრეთით მტკვარი, დასავლეთიდან ქსნისა და ლეხუ-

¹ ს. მაკალათია. ქსნის ხეობა, თბ., 1968: 42.

რას წყალგამყოფი („გორა ოკამისა“). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მუხრან-ბატონების სათავადო მტკვრის გასწვრივ მდებარე ტერიტორიას მოიცავდა ძეგვის წყლის შესართავიდან „დიღმის იწრომდე“ (დიღმის იწროებს უწოდებდნენ ადგილს დღევანდელ გელოვანის პროსპექტზე, მანამ, სანამ ვეფხისა და მოყმის ძეგლამდე მივალთ. აქ თრიალეთის ქედის ბოლო მონაკვეთი ძალიან დაახლოებული იყო მტკვართან). როგორც ზემოთაც აღინიშნა „სამთავრო“ მოიცავდა აგრეთვე ქსნის ხეობის ქვემო ნაწილს, ნარეკვავის აუზს, არაგვის ხეობის მარჯვენა სანაპიროს ქვემო ნაწილს. საგულისყოფო ფაქტია, რომ დიღმისა და დიღმის ხეობის მოსახლეობა სამუხრანბატონოს „ზემო მხარს“ უწოდებდა; აქაური ადამიანი მათთვის ზემომხრელი იყო.

საერთოდ, გვიან ფეოდალურ პერიოდში სათავადოთა სისტემა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში უარყოფით როლს თამაშობდა. ამის შესახებ წერდა *მამუკა ერეკლეს ძე მუხრან-ბაგრატიონი* 1724-1725 წლებში – ესაა ყანჩაეთის უამგულანის მინაწერი: „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი... ერთმანეთის მტერნი და მოქიშპენი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაზარა. თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც რას უზამდნენ, ვერც რას სხვა მტერი წაართმევდა რასმე. ამათ საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათაფებულა და წამკვდარა. მაგრამ ამ საქმეს არც (მოჰკლებიან) და არც მოუშლიათ“.

„მუხრანისა სამთავრო“ მცხეთას ესაზღვრებოდა. აქაა ბევრი საეკლესიო და საერო ნაგებობა: *შიოსუბანი, მჭადიჯვარი, წილკანი, სხალტბა, შიომღვიმე...* შიომღვიმის მონასტრის მიდამოებში მრავალი ქვაბია ამოკვეთილი. შიოს ბრძანებით, აქ VI საუკუნეში აშენებულა *ნათლისმცემელის* ეკლესია, ხოლო XII საუკუნეში *დავით აღმაშენებელმა* ააშენა ღვთისმშობლის დიდი ეკლესია. აქ

უკვე თამარის მეფობისას, 1202 წელს სხალტბიდან წყალსადენი გამოუყვანიათ. შიომღვიმის მონასტერი ცალკე ფეოდალური სენიორია იყო, რომელშიც XII საუკუნისათვის 15-მდე სოფელი შედიოდა¹. XIV საუკუნეში შიომღვიმე ამილახვრების საკუთრებაში გადავიდა, ხოლო XV საუკუნიდან ის მუხრანბატონების საკუთრება გახდა. მიუხედავად ამისა, ამილახვრების ზოგი წარმომადგენელი გარდა სამთავროს ტაძრისა, შიომღვიმეშიც იკრძალებოდა.

მუხრანის „ქვეყნის“ ტერიტორიაზე გარდა შიომღვიმისა, წილკნისა და სამთავროს საეპისკოპოსოებიც არსებობდა.

მუხრანის მხარეს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა შიდა ქართლის მეზობელ ტერიტორიულ ერთეულებთან, ამასთანავე „... ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული თრიალეთთან. ჯერ ანტიკურსა და შემდეგ განვითარებულ შუა საუკუნეთა ხანაში მუხრანისა (ბარის) და თრიალეთის (მთის) კავშირმა დიდი როლი შეასრულა ჯერ ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოშობასა, ხოლო შემდეგ საქართველოს გაერთიანებაში“².

13. არაგვის ხეობის დაბლობი/ბაზალეთი. ისტორიულად არაგვის ხეობა საზღვარს წარმოადგენდა ქართლსა და კახეთს შორის. ხეობის მარჯვენა მხარე თუ ქართლს ეკუთვნოდა, მარცხენა მხარე – კახეთს. შიდა ქართლში შედიოდა არაგვის ხეობის მთისწინის პატარა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები *ქართალი* და *ხანდო*, ასევე უფრო ჩრდილოეთით არსებული მთიულეთი (წარმოქმნილი იყო უფრო ძველი ხადასა და ცხავატის გაერთიანების შედეგად) და გუდამაყარი. არაგვის ხეობის მარჯვენა მხარის მთისწინეთისა და ბარის მოსახლეობა

¹ ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 103.

² ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 107.

ქართლურ დიალექტზე საუბრობდა. მარცხენა მხარე კი ისტორიული კახეთის საკუთრება იყო და ზოგჯერ მის მოსახლეობასა და სოფლებს ერწო-თიანეთს მიაწერდნენ. ჩვენ არა გვაქვს საშუალება გავარკვიოთ მარცხენა მხარის მოსახლეობის დიალექტური კუთვნილება, რადგან აქ ძველი მოსახლეობა ფაქტობრივად უმნიშვნელო რაოდენობითაა შემორჩენილი.

არაგვის ხეობის დაბლობი ისტორიულად მიკროერთეულებად, მცირე ტერიტორიულ ერთეულებად იყოფოდა. მაგალითად ბაზალეთის ორგვარი გაგება არსებობდა: 1) ტერიტორია ბაზალეთის ტბის გარშემო და 2) თითქმის არაგვის ხეობის მთელი დაბლობი ნაწილი პავლეურ-ციხისძირიდან მოყოლებული, ანუ მთელი „**დაბალი საერისთავო**“ (1791 წლის ერეკლე II-ის გაცემულ ერთ საბუთში გვხვდება „**ვაკე საერისთო**“). არაგვის ხეობის განუყოფელი ნაწილი იყო *ხორხი/ხორხის ხეობა*, რომელიც ჟინვალთან ერთვოდა თეთრ არაგვს. ირკვევა, რომ არაგვის ხეობის დაბლობში (ბაზალეთში) ძირძველი მოსახლეობა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობითაა შემორჩენილი. დროთა განმავლობაში „დაბალი საერისთავოს“ // „ვაკე საერისთოს“ მოსახლება ივსებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ფშავი, ხევსურეთი) გადმოსახლებულებით. სრულ ჭეშმარიტებას შეესაბამება ერთი მთხრობლის სიტყვები: „**არაგვისპირში ისეა ხალხი აქერჯრელებული, რა ვიცი, ვინ ვინაა**“.

ვახუშტი ბაგრატიონი, ისევე როგორც სხვა ხეობებს, არაგვისპირსაც ახასიათებს: „მისაქციელიდამ და ოხერხიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი; და ოხერხიდის ჩრდილოთ არს ბოდორნას ქვაბნი გამოკვეთილნი და ციხე მაგარი. ... ჩრდილოთ ამისა, არანისთან, ზანდუკელისკვეი. მას ზეით ვეძათკვეის კვეი. ამ კვეისა

და არაგვის კიდევად არს ანანური“¹. დასავლეთი საზღვარი ალგვისა და ლორწობნის კლდის ძირში გადიოდა.

ბაზალეთის „ქვეყანაში“ ვახუშტი 41 სოფელს ჩამოთვლის, რასაც ხანდოს 9 სოფელსაც უმატებს. იოანე ბაგრატიონი სათაურის ქვეშ – „არაგვის საერისთოს სოფლები ვაკისა“ – 42 სოფელს ასახელებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ღუშეთს „ყასაბა ქალაქს“ უწოდებს. ყველა ამ სოფლის სახელი, გარდა ერთისა (არღუნი), ქართულია. ოთხ-ოთხი -ეთ და -ის სუფიქსებით ბოლოვდება; 6 ტოპონიმი -ურ (-უღ) სუფიქსს ირთავს; არის -კარი-თა და -ხევი-თ ნაწარმოები ტოპონიმებიც. სა-პრევიქსით ნაწარმოები ორი ოიკონიმიც: საკრამული და საშაბურო.

არაგვის საერისთავო თავდაპირველად არაგვის ხეობის ვაკის ნაწილში – ბაზალეთ-არაგვისპირში – წარმოიქმნა. მთიანი მხარეების დაქვემდებარების შემდეგ კი გაჩნდა ტერმინი „დაბალი საერისთავო“. ტერიტორიული გაფართოვების მიუხედავად, საერისთავოს ბირთვს ბაზალეთ-არაგვისპირი წარმოადგენდა, რაც მხარის მაღალი ეკონომიური მდგომარეობითა (განვითარებული მემინდვრეობა-მევენახეობა) და ბაზალეთის პლატოს ხელსაყრელი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდგომარეობით იყო განპირობებული². არაგვის ერისთავები თავდაპირველად იყვნენ შაბურისძეები, შემდეგ კი – სიღამონიძეები. XVI საუკუნეში მთელი არაგვის ხეობა, მთა და ბარი, თერგის ხეობასთან ერთად, არაგვის ერისთავთა დაქვემდებარებაში იყო. არაგვის ერისთავები ფლობდნენ აგრეთვე დვალეთის ზახას ხეობას. არაგვის ერისთავების საძვალე იყო ბოდორნის ღვთისმშობელში, რომელიც უკანასკნელად 1717 წელს არაგვის ერისთავის შვილს ნინოწმინდელ ეპისკოპოსს მიტროფანესა და სახლთუხუცესს ქაიყუბთ კობიაშვილს გადაუკეთებიათ. მთისა და ბარის

¹ ვახუშტი, 1997, გვ. 66.

² ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 79.

შესაყართან იყო ანანურის გუმბათოვანი ტაძარი. სასახლე ერისთავებს დუშეთში ჰქონდათ. სხვათა შორის, 1781 წლის აღწერით, ცალ-ცალკე დასახლებული პუნქტები იყო *დუშეთი*, *ზენდუშეთი*, *სასახლის დუშეთი* და *წინდუშეთი*. 1743 წელს აჯანყებული ყმა-გლეხების მიერ ბეჟან არაგვის ერისთავის მოკვლის შემდეგ ერეკლე II-ემ საერისთავო გააუქმა.

ამრიგად, ზემოთ ძირითადად მიმოვიხილეთ, როგორც ქვემო ქართლის, ისე შიდა ქართლის ხეობები ცალ-ცალკე მეტ-ნაკლებად შეევეხეთ ამ ხეობებში არსებულ ფეოდალურ ერთეულებს – სათავადოებს და საერისთავოებს: *ქსნის საერისთავოს* (XIII საუკუნე), *საციციანოს* (XIV საუკუნის მიწურული), *სამილახეროს* (XV საუკუნე), *სამუხრანბატონოს* (XVI საუკუნე). შიდა ქართლში არსებობდა კიდევ ერთი მსხვილი სათავადო *სამახაბლო*, რომელიც ღიახვის ხეობაში მდებარეობდა, რომლის ცენტრიც იყო სოფელი აჩაბეთი. აჩაბეთიდან მომდინარეობს ღიახვის ხეობის ფეოდალთა გვარი მაჩაბელი. ეს გვარი პირველად XIV საუკუნის ბოლოსაა მოხსენიებული. მათ ღიახვის ხეობა სამფლობელოდ მეფისაგან 1514 წელს მიუღიათ. თავიდანვე ისინი ღიახვის ხეობასთან ერთად დვალეთის ჟღელეს და ზროგოს ხეობებსაც ფლობდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი ტერმინს – „სამაჩაბლო“ არ იყენებს; ის დიდი ღიახვის ხეობის ცენტრალურ ნაწილს „**ქრცხინვალის კეობის**“ სახელით მოიხსენიებს.

ქართლში მსხვილი სათავადოების გვერდით იყო აგრეთვე შედარებით წვრილი ფეოდალური ერთეულებიც; ესენი იყო: *ვაღაჟანდიშვილების*, *ვაკვლენიშვილების*, *ხერხეულიძეების*, *დავითიშვილ-ბაგრატიონების*, *ამირაჯიბების*, *ავალიშვილების*, *ხიდირბეგიშვილების*, *ღიასამიძეების*, *შაღიკაშვილების*, *სიამარდიშვილების*, *თაქთაქიშვილების*, *თარხნიშვილების* სათავადოები. ისევე როგორც ქართლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მიგრირებულია დასავლეთ და სამხრეთ საქართველოდან,

თავადაზნაურების მნიშვნელოვანი ნაწილიც შესაბამისად აქედან იყო მიგრირებული. სამხრეთ საქართველოდან წარმომავლობენ თავადები: *ავალიშვილები, ამილახვრები, ამირეჯიბები, დოლენჯიშვილები, თაქთაქიშვილები, როჭიკიშვილები, შალიკაშვილები, ფალავანდიშვილები, ციციშვილები, ჯავახიშვილები, აზნაურები: ბუნიათიშვილები, გოვიბაშვილები, ზედვინიძეები, თაზიშვილები, თუხარლები, ლარაძეები, მახვილაძეები, მუსხელიშვილები, რჩეულიშვილები, ტატიშვილები, უთნელიშვილები, ქარუმიძეები...*

ქართლის ქალაქები. ორიოდე სიტყვით ქართლის ქალაქებსაც უნდა შევეხსოთ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს დედაქალაქი თბილისი ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის მიჯნაზე მდებარეობს. ძველი დედაქალაქი მცხეთა კი შიდა ქართლში მდებარეობს. ზოგიერთი ქალაქის შესახებ ძალიან მოკლედ უკვე აღვნიშნეთ. შიდა ქართლში საქალაქო ცხოვრების აყვავება დაკავშირებულია X-XI საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაწინაურებასთან. ამ დროს წარმოქმნილა ქალაქები: *ატენი, გორი, სურამი, ალი, ზოვრეთი, ჟინვანი*¹. თუმცა ჟინვალის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ მეცნიერებმა ეს თარიღი ადრეფეოდალურ ხანაში გადაიტანეს². XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბაგრატიონი რამდენიმე ქალაქს მიუთითებს: „დუშეთი, მოსახლენი, ყასაბა ქალაქი“, „ანანური, ყასაბა ქალაქი“, „ახალგორი, ყასაბა ქალაქი“, „გორი, ყასამჩა ქალაქი“, „ქრცხინვალი, ყასაბა ქალაქი“, „სურამი, ყასაბა ქალაქი“. ეს ე. წ. *ყასაბა ქალაქები* შიდა ქართლში მდებარეობდა. ქვემო ქართლში კი არც ერთი ასეთი ქალაქი არ იყო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან აქ საგარეო ფაქტორების გამო, სასოფლო ცხოვრებაც ჩამკვდარი იყო. ბატონიშვილი შიდა ქართლში ნაქალქარსაც მიუთითებს: „ურბნისი, მო-

¹ III. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, 1959: 44.

² ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 131.

სახლე, ძველი ნაქალაქევი“. საქალაქო ცხოვრების დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს სამხრეთით ოსმალეთის იმპერიის წარმოქმნაც იყო. ზოგმა ქალაქმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა. პარალელურად შემცირდა თბილისის მოსახლეობა. XVI საუკუნეში ქვემო ქართლში დმანისის დაცემა დაიწყო. ვახუშტი ჟინვანის შესახებ აღნიშნავდა: „ციხე შენი და მაგარი, და იყო ქალაქი და აწ უქმ არს“. გვიან შუა საუკუნეებში საქალაქო ცხოვრება დაეცა შიდა ქართლის ქალაქებში: ახალქალაქში, ატენში, ზოვრეთში; ისინი მცირე ქალაქებად იქცნენ. თბილისის შემდეგ XVII-XVIII საუკუნეებში ქართლის მნიშვნელოვანი ქალაქი იყო გორი. 1639 წლის ერთ-ერთ საბუთში თბილისისა და გორის გვერდით დასახელებულია ქალაქები სურამი, ცხინვალი, ალი და ახალდაბა. ვახუშტი ტფილისსა და გორს დიდ ქალაქებად მიიჩნევს, მცირე ქალაქებად ასახელებს თამარაშენს, ცხინვალს, სურამს, ალს, ახალქალაქს, მძოვრეთს, ატენს, ახალგორს. ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ანანურისა და დუშეთის ქალაქებად გადაქცევას XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაცხოველებით ხსნიან¹. დუშეთი ქალაქად ერეკლე II-ემ 1784 წელს გამოაცხადა. საყურადღებოა, რომ შიდა ქართლის დასახელებულ ქალაქებში ქართველებთან ერთად მუდმივად ცხოვრობდნენ ურიები (ებრაელები) და სომხები, რომელებიც ბუნებრივია ვაჭრობითა და ხელოსნობით იყვნენ დაკავებულნი. საბუთებში ქალაქ გორის მცხოვრებლებად ფრანგებიც/კათოლიკეებიც არიან დასახელებული. შიდა ქართლის ზოგიერთი ქალაქი ზეგანზე – მთისა და ბარის მოსაზღვრე ზოლში – იყო განლაგებული. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული *ნიკო ბერძენიშვილს*: „მთისა და ბარის შუა ტერიტორიული ზოლი, ზეგანი, ორი მეურნეობის დაახლოების სარბიელია. ზეგანით ახერ-

¹ ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს... (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 134.

ხებს ბარი მთიანეთზე გავლენას, ზეგანიოვე ეზიარება მთა ბარის ურთიერთობას“¹. ზუსტად ასეთი შუამავალი რგოლი იყო ღიახვის ზემო წელსა და შიდა ქართლის ბარს შორის ქალაქი ცხინვალი. გვიან შუა საუკუნეებში შიდა ქართლის ქალაქების უმრავლესობა სამეფო ქალაქებს წარმოადგენდა, რაც ადრინდელი ტრადიციის გაგრძელება იყო. შიდა ქართლის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი მისი დაარსებიდან გორი იყო, რასაც განაპირობებდა ის, რომ ის უმდიდრესი მხარის ცენტრში, აგრეთვე გზასაყარზე მდებარეობდა: სამხრეთიდან – ატენი, საიდანაც ქვემო ქართლსა და თრიალეთში შეიძლება გადასვლა, დასავლეთიდან – ღიხის ქედი (დასავლეთ საქართველოში გადასასვლელი გზა), სამხრეთ-დასავლეთით – სამხრეთ საქართველოში შესასვლელი გზა ტაშისკარის გავლით, აღმოსავლეთით – მუხრანის მდიდარი „ქვეყანა“, ჩრდილოეთით – ღიახვისა და დვალეთის გზით კასრის კარით ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელი.

ამრიგად, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი ხეობების მიხედვით მიმოვიხილეთ, რადგან ერთი ხეობა ფაქტობრივად ერთი „ქვეყანა“, ერთი სამეურნეო ერთეული იყო, ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების უმრავლესობა. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვა ქართული წყაროების საფუძველზე აცხადებდა: „უძველესი დროიდან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრივ უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას – სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსავლიანობა“. ქართლის ხეობებში ბარიდან მთაში და

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 241.

მთიდან ბარში გადანაცვლება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა; ერთი ხეობის მთის და ბარის ნაწილში მცხოვრებნი ეკონომიკურადაც მჭიდროდ იყვნენ ერთმანათთან დაახლოებული და დაკავშირებული. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ერთ ხეობის აყოლებით მცენარის ვეგეტაცია სხვადასხვა დროს ხდებოდა, შესაბამისად, მოსავლის აღების დღეებიც ერთმანეთს არ ემთხვეოდა¹. ამ მხრივ ქვემო ქართლი და შიდა ქართლიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. პირველში მოსავალი უფრო ადრე მოდიოდა, ვიდრე მეორეში. ქართლის ხეობების დახრილობა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას ქმნიდა; ის ხელს უწყობდა მცირე სარწყავი არხების მოწყობას, რაც ქართლელ მიწისმომქმედს ინტენსიური მეურნეობის გაძღვლის საშუალებას აძლევდა.

ერთი შეხედვით შიდა ქართლი და ქვემო ქართლი თითქოსდა ერთმანეთს მოწყვეტილი იყო, განასკუთრებით, თუ დღევანდელ ისეთ საკომუნიკაციო საშუალებას – სამიმოსვლო გზას – მივიღებთ მხედველობაში. მაგრამ ისტორიულად ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ორი ერთეული მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. რამდენჯერმე აღვნიშნეთ ე. წ. „საცხვრე გზის“ შესახებ, რომლის საშუალებითაც ძალიან მოკლე გზით ხდებოდა შიდა ქართლიდან ქვემო ქართლში გადასვლა და პირიქით. თუმცა საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ

¹ საყურადღებოა, რომ საქართველოში იყო დასახლებული პუნქტები, რომლებშიც მოსავალი სხვადასხვა დროს მოდიოდა. საამისოდ კლარჯეთის ცენტრი ართვინი (ადრინდელი სახელწოდება – ლიგანი) შეიძლება დავასახელოთ. 1889 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№148) ვკითხულობთ: „ართვინის შუას ზევით ზაფხული გრილია და ზამთარი სუსხიანი, შუას ქვევით ზაფხული ცხელი და ზამთარი ზომიერი, ამიტომაც აქ მხარობს ზეთისხილი და სხვა ნაყოფიც ადრე მოდის, ვიდრე ზედა ქალაქის ნაწილში. მაგალითად, ქვედა ქალაქში ყურძენი მკათათვის დამლევს მწიფდება და ზედა ქალაქში კი აგვისტოს გასვლამდე არ მოდის“ (იხ.: ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე, თბ., 2020, გვ. 28).

ეს გზა მხოლოდ ლოკალური დანიშნულების არ ყოფილა. ის აგრეთვე აკავშირებდა კახეთსა და ტაო-კლარჯეთს. მცხეთიდან კახეთში ძალიან მოკლე გადასასვლელი გზები არსებობდა ერწო-თიანეთის გავლით. ახატნიდან და ძაგნაკორადან ერწოში შედიოდნენ, ხოლო ბოდავიდან – ზემო თიანეთში და აქედან კვეტერის გავლით ახმეტაში. ასევე არსებობდა ძველი დროისათვის შესაბამისი სამიმოსვლო გზები შიდა ქართლის გაღმა მხრის ხეობებიდან ქვემო ქართლის მეზობელ ხეობებში. ასე რომ, თრიალეთის ქედი არა მარტო ყოფდა ერთმანეთისაგან შიდა ქართლსა და ქვემო ქართლს, არამედ აკავშირებდა კიდევაც. ამ მიმართულებით ხშირი იყო მოსახლეობის მიგრაციებიც. ამ მხრივ საინტერესო ფაქტი აქვს დადასტურებული ნიკო კეცხოველს; ის მკითხველს აუწყებს, რომ კლდეკარის ერთ-ერთი გორაკიდან ჩანს თეძამი, ალგეთი, ვერეს ხევი, მანგლისი, დიდგორი, ლასტის ციხე, ბევრეთი, დიდმის ხეობა, დიდომი... და თბილისი.

ამავე დროს, ქართლს ეკუთვნოდა სრულიად მთიანეთის მომცველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიც – ჭართალი, ხანდო (ეს ორი მიკროერთეული მთიდან ბარში გარდამავალ ზოლს ეკუთვნის), მთიულეთი და გუდამაყარი – არაგვის ხეობაში, ხევი და თრუსო – თერგის ხეობის ზემო წელში და დვალეთი – კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით.

IV. ქართლი – საქართველოს ცენტრი, ქართველი ერის შემკრები და გამაერთიანებელი

ზემოთ ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველო სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისაგან (ლოკალური/ტერიტორიული ერთეულისაგან) შემდგარი ქვეყანა იყო. ასეა დღესაც. ქართველთა განსახლების არეალი სწორედ ამ მხარეებს მოიცავდა და მოიცავს. ამ ფაქტორითაა განპირობებული ქართველი ერის ეთნიკური სტრუქტურაც. წარსულსა და აწმყოზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ დროის კვალობაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა – ქვეყანას არაერთი ტერიტორიული ერთეული ჩამოსცილდა (ჩამოაცილეს), შესაბამისად გაქრა არაერთი ეთნოგრაფიული ჯგუფიც. ბუნებრივია, იგივე შეიძლება ითქვას ქართული ენის დიალექტების შესახებაც. ქვეყნის საზღვრებიც მნიშვნელოვნად დავიწროვდა. ჩვენს დროში კი საფრთხე შეექმნა საქართველოს ცენტრს – ქართლს – შიდა ქართლი ოკუპირებულია და ძირძველი ქართული მოსახლეობაც გამოდევნილი.

ქართლი იყო და არის საქართველოს ცენტრი; აქედან მომდინარეობს ქართველთა აღმნიშვნელი ენდოეთნონიმი „ქართველი“ და ყველა ქართველის მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთეულის, სახელმწიფოს სახელწოდება „საქართველო“. რა თქმა უნდა, საერთო ეთნონიმიცა და ქვეყნის საერთო სახელწოდების წარმოქმნამდე ქართული ეთნოსიც არსებობდა და – ქართველთა განსახლების არეალიც. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ, **არა მხოლოდ ქართველებისათვის, არამედ სხვა ეთნოსებისთვისაც, საერთო სახელწოდების წარმოქმნა ჩვეულებრივი გვიანდელი მოვლენაა.** თუმცა ტერმინ „საქართველოს“ წარმოქმნამდე, ქართველებს კარგა ხნით ადრე ასეთი გამაერთიანებელი სახელწოდება ჰქონდათ; ეს იყო ორი სიტყვისაგან შემდგარი – „ყოველი ქართლი“. მაგალითად, მემატინე ჯუანშერისათვის ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, როგორც იყო კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი ქართლში შემავალია. უფრო მეტი, წყა-

როში ეს მხარეები არა ჩვეულებრივ ტრადიციული ტერმინი – „ქვეყანით“ არიან მოხსენიებული, არამედ „ხევით“: ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, დაჩი მეფემ „იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოკრებულ იყვნეს **ყოველნი ჳევენი ქართლისანი, თჳნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა**“¹. ბუნებრივია, დასახელებული ერთეულები – კლარჯეთი, კახეთი და ეგრისი – ქართლად მას შემდეგ იქნა გააზრებული, რაც ისინი საერთო სახელმწიფოს – ქართლის შემადგენლობაში შევიდნენ (თუმცა კლარჯეთი თავიდანვე ქართლადაც იწოდებოდა, უფრო სწორედ, არსიან-ქართლად), ე. ი. მომავალი საქართველოს მხარეები ჯერ კიდევ საკმაოდ ადრე კონცენტრირებული იყვნენ ცენტრალური პროვინციის – ქართლის გარშემო. ამათანავე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მემპტიანე ეგრისში მოელ დასაფლვით საქართველოს გულისხმობს, ხოლო კლარჯეთში – სამხრეთ საქართველოს. ფრიად საყურადღებოა ტერმინი „შუა-ქართლი“, რომელსაც ლეონტი მროველთან ვხვდებით: „შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა **ქუეყანასა ქართლისასა**. და პოვა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი **შუა-ქართლს**: *წუნდა, ხერთვისი* მტკვრისა, *ოდრკე*, მოკიდებული კლდესა დადოსსა, *თუხარისი* მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი, *ურბნისი, კასპი* და *უფლისციხე*, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი... და *რუსთავი*, და დედა-ციხე *სამშვლდე*, და *მტუერის ციხე*, რომელ არს *ხუნანი*“². ამრიგად, ქართლის ქვეყანაში ცალკე გამოიყოფოდა შუა ქართლი, რომელიც შიდა ქართლთან (ურბნისი, კასპი, უფლისციხე, მცხეთა) და ქვემო ქართლთან (რუსთავი, სამშვილდე, მტუერის ციხე/ხუნანი) ერთად, მოიცავდა სამხრეთ საქართველოსაც – ჯავახეთს (წუნდა, ხერთვისი), სამცხეს (ოდრკე), კლარჯეთს (თუხარისი კლარჯეთში ტაოს საზღვარზე იყო).

¹ ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბ., 1955, გვ. 205.

² ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბ., 1955, გვ. 17-18.

წყაროს ამ ცნობით **შუა-ქართლი** ქართველთა განსახლების შუა ნაწილია სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. აღმოსავლეთით და დასავლეთით მიმდებარე საქართველოს ტერიტორიები დანარჩენი ქართლი იყო.

აღარ შეგუდგებით „ქართლის“ სახელწოდების წარმოქმნის სხვადასხვა თეორიების ჩამოთვლას – ეს ამ ნაშრომის მიზანს არ შეადგენს. ჩვენი მიზანია მხოლოდ იმ მიზეზებზე ყურადღების გამახვილება, რამაც განაპირობა ქართლის ერთიანი საქართველოს ცენტრად, ქართველთა შემკრებად და გამაერთიანებლად გადაქცევა.

ასე რომ, თავდაპირველად თავისი განსახლების არეალში ქართული ეთნიკური ერთეული სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულისაგან შედგებოდა და ამ ლოკალურ ერთეულებს თავთავისი სახელწოდება გააჩნდა. რა განაპირობებდა ამას? – პასუხი მარტივია – გეოგრაფიული ფაქტორი. მაგრამ თანდათან იმავე გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა ეთნიკურ ქართველთა შეკავშირება, რაც, თავის მხრივ, აპირობებდა ერთიანი სახელმწიფო ორგანიზაციისაკენ სწრაფვას. ამ სწრაფვის დასასრულს ემთხვევა ერთიანი, საერთო სახელწოდების – „ქართველისა“ და შემდეგ „საქართველოს“ წარმოქმნა.

კითხვა ჩნდება – რაღა ქართლი აღმოჩნდა შემაკავშირებელი, რაღა ქართლის გარეშე მოხდა საერთო ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის წარმოქმნა? ქართულ სალიტერატურო ენას რატომ მაინც ქართლური დიალექტი დაედო საფუძვლად და არა სხვა რომელიმე?

ქართლი საქართველოს შუაგულში მდებარეობდა და მდებარეობს. მაგრამ ეს კიდევ არაფერს არ ნიშნავდა. ამ ფაქტორთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ღანდშაფტსაც, ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორსაც ჰქონდა. მანამ, სანამ ამ მოვლენაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველო და ქართველთა განსახლების არეალი მოიცავდა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილს, სადაც ქართველთა სხვადასხვა თემები, ტერიტორიული ერთეულები მდებარეობდა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში

ესენი იყო *ქართლი* და *კახეთი* (*ჭერეთ-კახეთი*), მთაში – *ფხოვი*, *თუშეთი*, *დვალეთი*, *წანარეთი* (შემდგენლობითი *ხევი*, *მნა* და *თრუსო*), *ხადა* და *ცხავატი* (გვიან ამ ორი ტერიტორიული ერთეულის გაერთიანების შედეგად მივიღეთ *მთიულეთი*), *გუდამაყარი*... დასავლეთ საქართველოში – *ეგრისი* (*სამეგრელო*), *არგვეთი* (*იმერეთი*), *თაკვერი* (გვიანდელი *რაჭა* და *ლენხუმი*), *აფხაზეთი*, *გურია*, მთაში – *სვანეთი*... სამხრეთ საქართველოში – *არტაანი* (*ხრდილთან* ანუ იგივე *პალაკაციოსა* და *ფოსოსთან* ერთად), *კოლა*, *ერუშეთი*, *სამცხე*, *ჯავახეთი*, *აჭარა*, *შავშეთი* (*იმერხევთან* ერთად), *კლარჯეთი* (მისი შემადგენელი ნაწილი იყო *ლივანი*), *ტაო* (რომელიც წარმოადგენდა *ოლთისის*, *პარხლის*, *თართომის* და *ასისფორის* ერთობლიობას. ქართული წერილობითი ძეგლები ტაოს ხშირად ორ ნაწილად – *იმიერ ტაო* და *ამიერ ტაო* – ყოფენ), *ლაზეთი* (*ჭანეთი*)... ქართლსა და *სამცხეს* შორის *თორის* ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე არსებობდა, ხოლო ქართლსა და *ჯავახეთს* შორის – *თრიალეთი*. ყველა დასახელებული ტერიტორიული ერთეული/თემი სამი მდინარის – მტკვრის, რიონისა და ჭკროხის აუზებში მდებარეობდა. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, აქ მოხდა ქართველთა ეთნოგენეზი¹.

დაგუბრუნდეთ ისევ ქართველთა განსახლების არეალს. თუ შევადარებთ ამ ტერიტორიულ ერთეულებს, აღმოვაჩენთ, რომ თითქმის ყველა დასახელებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ფიზიკური გეოგრაფია ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. განსხვავებულდნენ ისინი ზღვის დონიდან სიმაღლით, ღრმა და შედარებით არაღრმა ხეობებით, მთების დახრილობით, ტყის საფარით, სახვნელი მიწის რაოდენობით, დაცულობის თვალსაზრისით, მზის რადიაციით. ასე რომ, ყველა ლოკალური ერთეულის ღანდშაფტი, ფაქტობრივად, განსხვავებული იყო. დავიწყოთ აღმოსავლეთიდან. კახეთისა და

¹ მ. ქურდიანი. ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო-ქართველური ეთნოსის ტომობრივი შემადგენლობა. – ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002, გვ. 57-86).

ქართლის ლანდშაფტი (განსაკუთრებით ქვემო ქართლის) და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო ყველაზე ნაკლებ თავდაცვის საშუალებებს ჰქმნიდა. ქართლსა და კახეთს თუ შევადარებთ ერთმანეთს, უფრო მეტად დაუცველი მეორე იყო (1753 წლის ერეკლე II-ის განჩინებაში კახეთის შესახებ ვკითხულობთ: „**ქამის შლილობისაგან და სოფლის მიმოკვეთებისაგან ურჯულთა და წარმართთაგან ჩვენი ქვეყანა ბევრჯელ უშენ და ოხერ ყოფილიყო მეფის აღექსანდრეს აქეთ მეფე იმამყულიხანამდე**“¹). კახელები ხშირად შიდა ქართლს აფარებდნენ თავს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის *ნიკოლოზ ალავერდელის* წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ოდეს ქამთა ვითარებისაგან კახეთი ღვეთ დაიპყრეს, ჩვენ ქსნის ჴვეზედ ქსნის ერისთავის მამულში დაეიხიზნეთ და შენ, სალთხუცესი ზარაპი თან გარდმომყევ... და სხვა ძმები წმინდის გიორგის ტაძარს არ მოშორდით ... და უშჯულოთაგან მრავალი განსაცდელი მოითმინეთ“². ქართლი, თავის მხრივ, ასევე განსხვავებული იყო – შიდა ქართლში უფრო მეტად იყო ტყიან ხეობებში თავშეფარების საშუალება, ვიდრე ქვემო ქართლში. ეს უკანასკნელიც სანაპირო „ქვეყანას“ წარმოადგენდა. ასევე განსხვავებული სურათი გვქონდა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – სანაპირო „ქვეყნებში“ ტაოსა და კოლა-არტანში შემოსულ მტერს (აგრეთვე მიგრანტებს) გაბატონების უფრო მეტი საშუალება ჰქონდა; შავშეთ-იმერხევის, კლარჯეთ-ლიგანის, აჭარის ვიწრო და ღრმა ხეობები ადგილობრივ მკვიდრთ თავდაცვის მეტ საშუალებას აძლევდა (ოდრხოს მცხეთოსის ძის წილი ტერიტორია (ზემო ქართლი, გვიანდელი მესხეთი/სამცხე-საათაბაგო) – „ტასისკართიგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, **ქვეყანა კლდოვანი**“ – იყო). რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ფაქტობრივად, ის ყველა მხრიდან ყველაზე მეტად მიუდგომელი და დაცული იყო. ზემო იმერეთის ლანდშაფტი (უსწორ-მასწორო რელიეფი და ტყე), ფაქ

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 421.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 793.

ტობრივად, შეუძლებელს ხდიდა ქართლიდან და სამცხიდან მტრის შესვლას. *ივანე ჯავახიშვილი*ც აღნიშნავდა, რომ **იმერეთის მოსახლეობის მდგომარეობა სახარბიელო იყო და რომ ტყით დაბურვილობა ქართველებს მტერთან ბრძოლას უადვილებდა**¹. იმერეთის ეს მდგომარეობა კარგად აქვს შენიშნული 1818-1819 წლებში ფრანგ მოგზაურს *პოლ გიბალსაც*: «густые леса и разрознность населения создавали условия к тому, что **имеретинцы могли избежать чужеземного гнета**»². ქართლი და კახეთი კი, ამ მხრივ, შემოსული მტრისათვის ხელმისაწვდომი იყო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ამოწვევტას ან სხვაგან გადასვლას იწვევდა. დემოგრაფიულად გაპარტახებულ ქართლსა და კახეთს, დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ნაშატი მოსახლეობა ავსებდა. ასეთი მიგრაციული მიმართულება ერთჯერადი აქტი არ ყოფილა – ის საქართველოს მთელი ისტორიისათვის იყო დამახასიათებელი. ხანდახან იმერეთიდან ქართლში გადასახლება მასობრივ ხასიათსაც კი იღებდა. მაგალითად, 1722-1738 წლებით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში აზნაური წერს: „ასე და ამა პირსა ზედან, რომე საქმე გამიჭირდა, რაც გლეხი მყვანდა, ყველა ქართლს წამივიდა“³. ზემოთ დასახელებულმა ფრანგმა მოგზაურმა ეს პროცესიც კარგად შეამჩნია: «Из Имеретии ежегодно выезжает много сельских жителей, чтобы обустроится в Картли и Кахети, и они там процветают. Те, кто успешно устраивается подобным образом, никогда обратно не возвращаются»⁴.

საქართველოს ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ფაქტობრივად, განსაკუთრებულ და გან-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, თბ., III, 1941, გვ. 197-198.

² Обозрение Крыма, Новороссии и Кавказа в дневнике путешествия из Одессы в Тифлис Поля Гибаля, 1818-1819, Москва, 2017, стр.343.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 455.

⁴ Обозрение Крыма, Новороссии и Кавказа в дневнике путешествия из Одессы в Тифлис Поля Гибаля, 1818-1819, Москва, 2017, стр. 360.

სხვაეებულ სამეურნეო ფორმებს ქმნიდა. ჯერ კიდევ *ივანე ჯავახიშვილმა* აღნიშნა, რომ არცერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო – ისინი ამ მხრივ ერთმანეთს ავსებდნენ; რაც ჰქონდა ერთს, არ ჰქონდა მეორეს. ერთ მხარეს თუ საკმარისი რაოდენობით ჰქონდა სახნავ-სათესი მიწები, მეორეს ამის დეფიციტიც გააჩნდა, სხვაგან საკმარისზე მეტი რაოდენობით იყო საძოვრები და სათიბები. **ურთიერთშემავსებლობა საქართველოსი და ქართველი ერის ისტორიის თანმდევი მოვლენა იყო.** საამისოდ შეიძლება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გავიხსენოთ, რომელიც *წმიდა ნინოს* საქართველოში შემოსვლასთანაა დაკავშირებული – IV საუკუნის დასაწყისში, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით ჯავახეთში საზაფხულო საძოვრებზე დიდი რაოდენობით იყვნენ ქართლელი, მცხეთის ირგვლივ არსებული სოფლების მკვიდრი მწყემსები: „მთათა ზედა ჯავახეთისათა... ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარვანა“, მწყემსებთან, რომლებსაც აქ საქონელი მოერეკათ, „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“. ჯავახეთის საძოვრებით ქართლელი (კახელებთან ერთად) მთელი ისტორიის მანძილზე სარგებლობდნენ, რასაც ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავდა: „რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არგენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტავნი ქართლისა, კახეთისანი“. სამხრეთ საქართველოს საძოვრების ქართლელთაგან გამოყენება ქართლში ინტენსიური მეურნეობის განვითარების წინაპირობა იყო (ექსტენსიური მეურნეობისათვის ქართლს თავისი საძოვრებიც ყოფნიდა). საგარეო და სხვა ფაქტორთა გამო, ქართლში მარცვლეულის მოუსავლიანობის შემთხვევაში (გავიხსენოთ XIII საუკუნის ბოლო პერიოდის მოვლენა, როდესაც „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა“) მსხველად სამცხე მოველინა, „სადა იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“.

ასე რომ, ურთიერთშემავსებლობა, სხვადასხვა მხარეთა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ისტორიის სიღრმიდან მომდინარეობს. რაც მთავარია, საქართვე-

ლოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად დაყოფა და ამ მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ქართველი ხალხის კონსოლიდაციისათვის მტკიცე საფუძველს წარმოადგენდა.

რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ირგვლივ ხდებოდა სხვადასხვა ქართული მხარის კონსოლიდაცია? ამ კითხვაზე პასუხი რთული არაა; ეს იყო ქართლი. რატომ მაინცდამაინც ქართლი? რატომ მოისწრაფოდა მისკენ სხვადასხვა მეზობელი თუ არამეზობელი მხარის მოსახლეობა? ყველაფერს რომ თავი დაეხრებოთ, ქართლის პრიმატს, მის გარშემო კონსოლიდაციას ქართველი ხალხის ენდოეთნონიმი – „ქართველი“ და ქართველთა განსახლების ტერიტორიისათვის, ქართველთა სახელმწიფოსათვის საერთო სახელწოდება – ჯერ „ყოველი ქართლი“ და შემდეგ „საქართველოც“ ადასტურებს. ქართლის პრიორიტეტულობას დანარჩენ მხარეებთან შედარებით შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები განაპირობებდა. ეს იყო მისი ცენტრალური მდებარეობა, ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე. ქართლი აკავშირებდა ერთმანეთთან აღმოსავლეთ (კახეთ-ჰერეთი და მთის რეგიონები) და დასავლეთ საქართველოს – ქართლზე გადიოდა უმოკლესი გზები, რომელებიც სამხრეთ საქართველოსაკენ მიემართებოდა [ქართლზე და მის დედაქალაქ მცხეთაზე გადიოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი გზაც. *ცხვრის გზა* თრიალეთ-ჯავახეთისაკენ დიდმის მინდვრიდან იწყებოდა და გაივლიდა მუხათგვერდის ტბას, ჭილიტბის სერს, ზემო დიდგორზე, მანგლისის ყელზე (შუბათსა და ბოტისს შორის), კლდეკარს თრიალეთზე და აქედან ჯავახეთში. (ჯავახეთიდან კი მოკლე გზები მიემართებოდა როგორც კოლა-არტაანში, ისე შავშეთ-კლარჯეთ-ტაოში). დიდმიდან მანგლისის დიდგორამდე ეს გზა სულ 13-15 კილომეტრის მომცველი იყო. ამის შესახებ *ნიკო ბერძენიშვილი* აღნიშნავდა: „ჯავახეთ-თრიალეთიდან ჭილიტბის სერით, კარსნის მთაზე მოდიოდა. ეს იყო ... ყველაზე მარჯვე და უმოკლესი გზა იბერიის დედაქალაქსა და მეს-

ხეთს შორის. ამავე მიმართულებას ჰგულისხმობს *მირიან მეფის* და *ნინოს* მიერ საბერძნეთიდან მოწვეული საეკლესიო მისიონის მარშრუტი: ერუშეთი, მანგლისი, მცხეთა¹. რა თქმა უნდა, ეს გზა ჰქონდათ გაგლიღი მცხეთის მიდამოების სოფლების მკვიდრ მესაქონლეებს, რომლებიც წმიდა ნინოს ჯავახთში შეხვდნენ]. ქართლით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები – კახეთიდან და აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებიდან სამხრეთ საქართველოში სამეურნეო-ეკონომიკური მიზეზით მიმავალთ აუცილებლად ქართლი უნდა გაეველოთ. გარე სამუშაოზე კახეთსა და სამცხეში მიმავალ სვანებსაც ქართლი უნდა გაეველოთ (ენგურის სათავიდან ჯერ გადადიოდნენ ცხენისწყლის ხეობის სათავეში, აქედან რიონის ხეობის სათავეში (დევანდელი მთის რაჭა), შემდეგ ღიახვის ხეობით შიდა ქართლში აღმოჩნდებოდნენ, ბოლოს – ქვემო ქართლში, თრიალეთსა და ჯავახეთში). შიდა ქართლიდან „კახეთ-ჰერეთიც, „აფხაზეთიც“ და ტაო-კლარჯეთიც ერთნაირად ხელმისაწვდომი იყო. ცხადია, ამ მხარეთა დამაკავშირებელი უმოკლესი სავაჭრო სამიმოსვლო მაგისტრალები ქართლზე და, კერძოდ, შიდა ქართლზე გადიოდა². გარდა ზემოთ აღნიშნული შიდა და ქვემო ქართლის მიჯნაზე გამავალი „ცხვრის გზისა“, რომელიც თრიალეთის ქედს გასდევდა და რომელიც მრავალი განტოტებით უკავშირდებოდა მის გარდღივარდმო მდებარე „ქვეყნებს“, ქართლისათვის (და, რა თქმა უნდა, დანარჩენი საქართველოსათვის) არსებითი იყო გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც არაგვისა (დარიალის კარი) და ღიახვის ხეობებზე (აქედან ხომ რამდენიმე გადასასვლელი იყო დევალეთში, საიდანაც კასრის-კარით ალაგირის ხეობაში იყო გასასვლელი) გადიოდა და საიდანაც ჩრდილოეთით დაკავშირება ხდებოდა არა მარტო ქართველებისა, არამედ რო-

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 212.

² დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980: 214.

მაელებსა და პარტელებსთვის, ბიზანტიელებსა და სპარს-არაბებისათვის¹. ამ ფაქტორების გამო იყო, რომ სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულები ერთმანეთს შორის თითქმის ორი საუკუნე იბრძოდნენ „ქართლსა ზედა“ დასაუფლებლად. ჩვენი აზრით, „ქართლსა ზედა“ ბრძოლა უფრო ადრე, საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დროსვე იყო დაწყებული. საამისოდ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ძვ. წ. IV საუკუნეში არიან-ქართლიდან (კლარჯეთიდან) აზოს თავისი ხალხით მცხეთაში მოსვლა და შიდა ქართლში (უფრო სწორად შიდა და ქვემო ქართლის საზღვარზე), ფაქტობრივად, პირველ მეფედ დაჯდომა. გავისხენოთ როგორ ახასიათებს გრიგოლ ხანძთელის პირით *გიორგი მერჩულე* კლარჯეთს: „რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანა უდაბნოთა მათ... და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მათათა მიერ, და ჳევნებისა, და წყალთა მათგან საშინლად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა, და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საჳნავი, არამედ დიდითა შრომით როჳიკისა მისლვაჲ აქუს კარაულისა ზურგითა, და მცირედ ვენაჳნი ჳირით და ურვით დაუნერგვან და ეგრეთვე მტილები, ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხვი“.

ასე რომ, სრულიად გასაზიარებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „შიდა ქართლი ადრევე გადაღურ ხანაში ეკონომიურად უადრესად დაწინაურებულ მხარედ ვივარაუდოთ განვითარებული ინტენსიური სოფლის მეურნეობით, კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობით და, რა თქმა უნდა, ასეთი მდიდარი კუთხის ხელში ჩაგდება, ყოველი სამთავროსათვის სახარბიელო უნდა ყოფილიყო“². თქმულს დავამატებ, ქართლის სამეურნეო-ეკონომიკური წარმატების საფუძველი მხოლოდ მევენახეობა-მეღვინეობა არ იყო. ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მემინდვრეობას (ქართველები პურის

¹ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის..., 1980, ტკვ. 214.

² დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის..., 1980, გვ. 216.

მჭამელი ხალხი იყო). აქ ხომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში და შემდეგ ადრე შუა საუკუნეებში სარწყავი მიწათმოქმედება არსებობდა.

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, აჭარა) სახვნელ-სათესი მიწის დეფიციტს განიცდიდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1818 წლის მონაცემები, ქართლში ერთ კომლს საშუალოდ 40 დღიური სახვნელი მიწა ჰქონდა (გლეხი მხოლოდ მის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მიწის ნახევარს ამუშავებდა, რადგან მეორე ნახევარს ასვენებდა). იმავე დროს ზემო იმერეთში მცირემიწიანობა იყო. სოფელ ბჟინევში ცხოვრობდა 19 კომლი, რომელთაგან მხოლოდ ერთ ოჯახს გააჩნდა სამი დღიური სახნავ-სათესი, ორ-ორი დღიური სამ ოჯახს ჰქონდა, დღიურნახევარი – ორ ოჯახს, თითო დღიური – სამ ოჯახს, ნახევარი დღიური – ხუთ ოჯახს, მეოთხედი დღიური – სამ ოჯახს. სოფელ ხუნევში 19 კომლი მკვიდრობდა, რომელთაგან მაქსიმუმის 2 დღიურის მფლობელი მხოლოდ 10 კომლი იყო¹. ეს კი იწვევდა იმერელთა და დანარჩენ დასავლეთქართველთა მუდმივ მიგრაციას ქართლისაკენ (და კახეთისკენაც). იმერლები ქართლში დროებითაც მიგრირდებოდნენ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს. შემორჩენილია 1651 წლის ნუსხა, რომელშიც ქართლში მცხოვრები ოთხი კომლის სახვნელი მიწებია ჩამოთვლილი. ნასყიდა და სეხნია ეჯუბაშვილებს, სახლკართან და ხუთი დღის ვენახთან ერთად, 27 დღის სახვნელი ჰქონიათ. თანდილა, თევდორე და ბერუა შელვაშვილებს – „ასის დღისა“, თევდორეს – „ოცდა ოთხის დღისა“. ხოლო მეოთხე კომლს ასეთი მონაცემები აქვს: „სოლთანისვილი ზაქარა, დოხორია, ნაღება; სამათ არიან ერთ საკომლო-ზედ. მათი სახლკარი და ვენახი იქნების ოთხის დღისა; ბიბლიანთ უბანს, რუს პირს, ბერდიას წისქვილთან ოთ-

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 544, გვ. 19, გვ. 87-88).

ხის დღისა; გარდიგარდმო რეხის გზაზედ რუს პირს ორის დღისა; რუს პირზედ გორის გზა რომ ჩაივლის შვიდი დღისა; საყდართან ხუთის დღისა; დიდისა რუს პირს ექვსის დღისა; ოთხის დღისა ბოსტნების რუხედა; გარდიგარდმო შალგვეთხედა რვა დღისა; ძეძნარიანი ექვსის დღისა; სამი დღისა მოკლე მიწაში; ჩვენს რუხედა ცხრა დღისა; ორის დღისა ისიც ჩვენს რუხედა; იქივ სოფელში ნაფუხარი ოთხის დღისა; სახატო ვენახი ორის დღისა. იქნა სამოცდა ჩვიდმეტის დღისა¹.

ქართლის სამეურნეო უპირატესობა სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან (დასავლეთ და სამხრეთ საქართველოსთან) კარგად აქვს შენიშნული ნიკო ბერძენიშვილს: „რას ნიშნავს, რომ პურეულის უძველესი ჯიშები დას[ავლეთ] საქართველოში არის შერჩენილი, ხოლო მისი შემდგომი განვითარება იქ აღარ ჩანს და პურეულით მდიდარია საშუალო საუკუნეებში არა დასავლეთ საქართველო, არამედ აღმოსავლეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ პურეულის განვითარება იქ ზღვარდადებულია ბუნებრივი პირობებით, ექსტენსიურია, ხოლო ადამიანის შრომა საშუალო საუკუნეების ტექნიკის განვითარების პირობებში უძლურია რაიმე ეფექტი მოგვცეს ამ მიმართულებით, მაშინ როცა აღმ[ოსავლეთ] საქართველოში ესევე შრომა შეუდარებლად უფრო დიდ ეფექტს იძლევა. პური დას[ავლეთ] საქართველოში მხოლოდ ზეგნებშია და ისიც შეზღუდული ოდენობით, ჭაღები მისთვის სრულიად გამოუსადეგარია; ამავე დროს აღმოს[ავლეთ] საქართველო უხვად აჯილდოვებდა მშრომელს იმავე საშუალო საუკუნეთა საწარმოო ტექნიკით შეიარაღებულს. რაც უფრო ექსტენსიური იყო სოფლის მეურნეობა, დას[ავლეთ] საქართველოს მეურნეობითი შესაძლებლობანი, მისი ბუნების სიუხვე შეუდარებლად დიდი იყო, ხოლო რაც უფრო ინტენსიური ხდებოდა მეურნეობა, სულ უფრო აშკარა ხდებოდა აღმოსავლეთის უპირატესობა, სადაც ადამიანს შრომა გაუდიოდა. დას[ავლეთ]

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 6.

საქართველოს ბუნება კი შეუდარებლად მეტ წინააღმდეგობას და ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობას უწევდა საშუალო საუკუნეების ადამიანს და ზღვარს უდებდა შემდგომ განვითარებას. (შესანიშნავი მოწმობა ხანძოელიდან: ეს ქვეყანა გაუსაძლისიაო, მის წინააღმდეგ ბრძოლა არც ივარაუდება, კლარჯეთი მთიანია და მწირი, მაგრამ დიდი შრომით იქ უდაბნო სამოთხედ იქცევა...)¹. შიდა ქართლს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი ახასიათებდა – ორგანობინადრობა. მაგალითად, მეჯუდასა და ლეხურას ხეობის მთიან ნაწილში მცხოვრებთ სახლი, ყანა, ბოსტანი, ბაღი და ვენახი ბარში, მეჯვრისხევშიც ჰქონდათ (ნიშანდობლივია, რომ 1781 წლის აღწერაში მეჯვრისხევში მკვიდრ ყველა ოჯახის უფროს მიწერილი აქვს: *ბიყრელი, ქოლოთელი, ჭალისუბნელი, წოდელი, ჭურთელი, ისრაელისხეველი, ბენდერელი, ივრეთელი, შველიეთელი, გავაზელი, საძვეურელი, წოდელი...*)². ე. ი. ოჯახს ჰქონდა ორი სახლი თავისი სამეურნეო კომპლექსებით: მთაში მესაქონლეობასა და მთურ მიწათმოქმედებას ეწეოდნენ და ბარში, სადაც ბარული მეურნეობის ყველა ფორმა არსებობდა. ბუნებრივია, მეურნეობის ასეთი ფორმა გაუყრელ, დიდ ოჯახად ცხოვრებას განაპირობებდა. შუა საუკუნეებში ორგანობინადრობა ძირითადად ერთი საფეოდალოს ფარგლებში ხდებოდა (მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი მთისა და მთისწინეთის სოფლები და ბარში მდებარე მეჯვრისხევი ქსნის საერისავოში შედიოდა). მეურნეობის ეს ფორმა, ცხოვრების ეს წესი მათ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც შეინარჩუნეს, მთაში მცხოვრებმა გლეხებმა უკვე თავად დაიწყეს მიწების შექმნა³. ორგანობინადრობის ტრადიცია XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე გააჩნდა იმერეთის ხანის წყლის ხეობის მოსახლეობასაც სამცხე-

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 249-250.

² ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 224-226.

³ რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 27-28.

ში, აგრეთვე ერწო-თიანელებს ახმეტასა და მის მიდამოებში¹. როდის უნდა წარმოქმნილიყო ორგანიზაციული საქართველოში? – ჩვენი აზრით, ცხოვრების ეს წესი ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისის პარალელურად უნდა გაჩენილიყო; ეს დრო კი გვიანი შუა საუკუნეებია.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მიგრაციას ორი მხარე აქვს. იყო კი იმისათვის მზად ქართლი, რომ იმერეთის (და სხვა მხარეების) მოსახლეობა მიეღო? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი არსებობს, რის მიზეზებზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ. მიგრაცია დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთის მიმართულებით და მთიდან მთისწინეთსა და ბარში საქართველოს ხანგრძლივი ისტორიისათვის თანმდევი მოვლენა იყო. მაგრამ ის მხოლოდ მუდმივი გადასახლების სახით არ ხდებოდა. საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელი იყო დროებითი მიგრაციებიც, მხედველობაში გვაქვს გარესამუშაოზე სიარული. ქართლისა და კახეთისაკენ დროებით სამუშაოზე მოისწრაფოდა არა მხოლოდ იმერეთის, არამედ სხვა მხარეების მოსახლეობაც. განსაკუთრებით ამ თვალსაზრისით გამოირჩეოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა. სვანები საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ჩამოდიოდნენ გარე სამუშაოზე, არამედ აღმოსავლეთსა (ქართლი, კახეთი) და სამხრეთ საქართველოშიც. იმერეთში ტერმინიც კი არსებობდა **ნაქართლი**, რომელიც ისეთ კაცს ეწოდებოდა, რომელიც ქართლში სამუშაოდ დაიარებოდა. იმერეთში, რაჭასთან ერთად, სავარცხლებსაც ამზადებდნენ, რასაც ქართლსა და თბილისში ჰყიდდნენ – ამას ეთნოლოგ *ჯუანშერ სონლუღლაშვილის* მიერ ქართლში ჩაწერილი ლექსიც მოწმობს: „გეტყობა იმერელი ხარ, // ზურგზე გკიდია გიდელი, // შიგ სავარცხლები

¹ რ. თოფჩიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 182.

გიწყვია, // ქალაქში გასაყიდელი“. ქართლსა და კახეთში იმერეთიდან სამუშაოდ მეჭურეებიც დადიოდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში „თავ მამკალს“, მკაში მოთავეს, საუკეთესო მომკელს „თაბაგარი“ რქმევია – თაბაგარი ხომ ზემო იმერეთის მკვიდრი გვარია. ეს ფაქტორი კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ქართული ეთნიკური ერთობის კონსოლიდაციას და ქართველი ერის ჩამოყალიბებას. უფრო მეტი – სვანურ ენაზე მეტყველთათვის ქართული ენაც მუდმივად სასაუბრო ენა იყო, რასაც საეკლესიო ენასთან ერთად სწორედ სამეურნეო-ეკონოკიკური კავშირებიც განაპირობებდა.

ასე რომ, ქართველთა განსახლების არეალის არც ერთი ტერიტორიული ერთეული კარჩაკეტილი არ ყოფილა, მათ შორის, მთიანეთიც. გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემო და ლანდშაფტი ამ მხარეებს ამის საშუალებას არ აძლევდა. ამაზე ყურადღება ნიკო ბერძენიშვილმა გაამახვილა: „კარჩაკეტილი“ სვანეთი გაუგებრობაა. რა ჰქონდა სვანებს კარჩასაკეტი. ისინი ხომ ყოველთვის ბარზე იყვნენ დამოკიდებული. მათი მეურნეობა (მესაქონლეობა) სწორედ ამ ურთიერთობის ინტენსიურობას მოითხოვდა. არა მარტო მოსახლეობის ნამატი იძულებული იყო ბარად ჩასულიყო და იქ დაჯდომა ეცადა, მთაში დარჩენილიც კი იძულებული იყო ბართან კავშირი არ შეეწყვიტა და ბარით თავი ერჩინა. ამის შედეგია, რომ ბარელები სვანში მიწის მუშას, არხების ოსტატებს ჰგულისხმობენ... მთა მართალია, ბარელისათვის მიუდგომელი და „ჩაკეტილი“ იყო, მაგრამ **მთისათვის ბარი არასოდეს ჩაკეტილი არ ყოფილა...**¹. აღნიშნულს მხოლოდ ერთს დავსძენთ – მისი ნათქვამი საქართველოს მთიანეთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეზე ვრცელდება. **მთიელებისთვისაც ბარი, და, პირველ რიგში, ქართლი გამაერთიანებელი იყო. მთიელთა ასეთი სამეურ-**

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 427.

ნეო-ეკონომიკური კავშირები გარკვეული წინაპირობა იყო ბარში ჩამოსახლებისა.

საქართველოს სხვადასხვა მხარეთა მოსახლეობის ქართლისაკენ მიგრაცია რომ ისტორიის სიღრმეში წარმოქმნილი და მუდმივი მოვლენა იყო, ამას ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებს. ახო მცხეთაში მოდის (თუ მოჰყავთ) მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან ერთად „არიან-ქართლიდან“, ანუ, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, კლარჯეთიდან. ვისაც შავშეთ-კლარჯეთის ლანდშაფტი უნახავს, მისთვის ეს ცხადი იქნება, რადგან იქ მიწათმოქმედებისათვის ვარგისი სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა უაღრესად შეზღუდულია. უფრო ადრეც, ახომდეც ხდებოდა ეს მიგრაციები სამხრეთ საქართველოდან. ამის დამადასტურებელი კი ტოპონიმი მცხეთაა, რომელსაც საფუძველი მიგრირებულმა სამცხელებმა ჩაუყარეს (სხვათა შორის, ტოპონიმი *მცხეთა* დასავლეთ საქართველოშიცაა, კერძოდ, ლეჩხუმში). ახლა ისიც გავიხსენოთ, ვინ იბრძოდა და იღწვოდა საქართველოს გასაერთიანებლად, ქართლი თუ განაპირა ტერიტორიული ერთეულები? რატომ შემოდის ეგრისის მმართველი ქუჯი ფარნავაზთან კავშირში „ყოველი ქართლის“ სამეფოს შემადგენლობაში? (ქუჯი ფარნავაზს მიმართავს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გამართებს უფლობა ჩემი“), რატომ იბრძვიან ქართველთა ერთ სახელმწიფოში გასაერთიანებლად ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო და აფხაზეთის დასავლეთ ქართული სამეფო? რატომაა ამ დროს კახეთის სამეფო განზე გამდგარი და რატომ არა აქვთ ქართლის მმართველთ ინტერესი ქართული მხარეების გასაერთიანებლად და სწრაფვა ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ? პასუხი მარტივია – დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოს მმართველ ფეოდალებს ქართლის ნაყოფიერი მიწების ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებთ; მათ სამიწათმოქმედო მეურნეობის ფართოდ განვითარების საშუალებას ლანდშაფტი და კლიმატი არ აძლევდა (საამისოდ ბაღვაშ-ორბელთა, თმოგველთა, თორელ-ჯავახისიშვილთა, ქაშიბაძე-ბარათაშ-

ვილები, ფანასკერტელ-ციციშვილათა, შალიკაშვილთა ისტორიის გახსენებაც საკმარისი იქნება). კახეთს/ჰერეთ-კახეთს კი მარცვლელეული კულტურებისათვის საჭირო სახნავ-სათესი მიწები საკმარისზე მეტი რაოდენობით ჰქონდა და ამიტომაც საქართველოს გაერთიანებისათვის მისი მესვეურნი თავს არ იწუხებდნენ.

ქართველთა კონსოლიდაციიდან მთის გამოთიშვაც შეუძლებელია. ზემოთ სვანების შესახებ უკვე აღვნიშნეთ. ანალოგიურად გარე სამუშაოზე გასვლა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულე-ბით რაჭველებისა და ლეჩხუმელებისათვისაც ჩვეულებ-რივი მოვლენა იყო, რომელშიც ჩართული იყვნენ აღმო-სავლეთ საქართველოს მთიელებიც. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ. ესაა 1660 წლის ბახ-ტრიონის აჯანყება. მტერთა ქმედებებით კახეთის მოსახ-ლეობა ამ დროს უკვე დემოგრაფიული თვალსაზრისით დიდ კრიზისს განიცდიდა (მოსახლეობის ბრძოლაში გაწვევტა, მწარმოებელი მოსახლეობის დიდი რაოდენო-ბით აყრა და სპარსეთში გადასახლება). თითქოს დანარ-ჩენ კახეთსაც აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ბედი უნდა გაეზიარებინა, მაგრამ მხსნელად კახეთს მთის მო-სახლეობა მოევლინა. რამ აიძულა მთიელები ბახტრიო-ნის აჯანყების მონაწილენი გამხდარიყვნენ და ფაქტობ-რივად კახეთისათვის ქართული ეთნიკურობა შეენარჩუ-ნებინათ? – იმ სამეურნეო-ეკონომიკურმა კავშირებმა, რომელიც მთასა და ბარს შორის არსებობდა, რაშიც სა-ხელმწიფოს ჩართულობა საკმაოდ დიდი იყო. მთიელები კარგავდნენ საარსებო საშუალებას – ბარის საზამთრო საძოვრებს. საზამთრო საძოვრების გარეშე კი ადგილობ-რივი მთური სამეურნეო საშუალებებით არსებობა შეუძ-ლებელი იყო. ამას ემატება ის ვენახები, რომლებიც მთიელებს და მათ ჯვარ-ხატ-სალოცავებს სახელმწიფოს მიერ ჰქონდათ ბოძებული. თუ გადავხედავთ, კახეთის მოსახლეობას, აღმოვაჩინოთ, რომ აქ ადგილობრივი ძვე-ლი კახური მოსახლეობის შთამომავალნი მცირე რაოდე-ნობით არიან. კახეთში თავმოყრილია საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახ-

ლეობა, განსაკუთრებით, მთიელები და დასავლეთ საქართველოდან მიგრირებულები. XVIII საუკუნის საისტორიო საბუთები კახეთში ქართლიდან მოსახლეობის მიგრაციაზე თვალყურის გადევნების საშუალებასაც იძლევა (მაგალითად, 1771 წლის არხით ირკვევა, რომ მეჯუდას ხეობის მოსახლეობა მეჯვრისხევს ზემოთ თითქმის მთლიანად აყრილა)¹. იმ დროს ქართლს ხომ თავად ჰქონდა დემოგრაფიული პრობლემა, რაღაზე მიგრირდებოდნენ ისინი კახეთში? მიზეზი მრავალია; ეს იყო ყიზილბაშობა და ოსმალთა, აგრეთვე ლეკიანობას პლიუს ოსიანობა (ფრონეების ხეობის ქართველთაგან დაცლის მიზეზი სწორედ რომ ოსიანობა იყო). მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ისიც, რომ მცენარის ვეგეტაცია კახეთში საკმაოდ ადრე იწყება, ვიდრე შიდა ქართლში. მაგრამ კვლავ კითხვა ისმის – ანალოგიური დემოგრაფიული ფაქტი მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში მოხდა? – ეს პროცესი მოსახლეობის მიგრაციისა მუდმივად მიმდინარეობდა. კითხვა გაჩნდება – როგორ ურიგდებოდა ქართლის ფეოდალური საზოგადოება ყმა-გლეხების სხვა მხარეში გადასახლებას? აღნიშნული საბუთების სიმრავლე სწორედ იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ თავდა-ახნაურობა კახეთში გადასახლებულებს ეძებდა. როგორც ირკვევა, კახეთის მოსახლეობა ქართლიდან გადასახლებულ-გადახვეწილებს იცავდა. ამის დამადასტურებელი ფრიად საყურადღებო ფაქტია აღწერილი 1788 წლის არხაში: „... საქართველოს პატრიარქის ჭირი მოსცეს მათს მონას ციციშვილს ზაზას. ამას მოვახსენებთ, რომ ერთი კომბლი კაცი მყვანდა, წავკისიდან ამეყარა, ხაშმხედა ჩავიდა. აგერ ერთი კვირეა ჩავედი მე, ხაშმელებმა ხიზანი საყდარში შეიყვანეს და კაცები იარაღით წვერზედ აგზავნეს, იქაური ღვდლები ქომაგად ყავსთ იმ ჩემს კაცებს“². 1762 წელს შიდა ქართლელი თავადი ზა-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VII, თბ., 1981, გვ. 18, 27, 42, 43, 49, 59, 61, 103, 123, 191, 225, 339, 486, 614, 644, 726, 781. 806).

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 143.

აღ დავითიშვილი მეფე ერეკლე მეორეს მიმართავდა: „ღმერთმან ასე თქვენს მტერს გაუჭიროს, როგორც მე საქმე მიჭირდეს. ხომ მოგეხსენება, ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია. აღარც ყმა დაგვრჩომია, რაც ლეკს მოურჩა, დაიფანტნენ. ერთი კაცი მყვანდა სურამს, ისიც ხომ დამეკარგა, აღარავინ მყამს“¹. მოყვანილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ ქართლის თავადაზნაობა გვიან შუა საუკუნეებში მწარმოებლის, ყმა-გლეხის კრიზისს განიცდიდა – ქართლში სერიოზული დემოგრაფიული პრობლემა იყო, მიუხედავად იმისა, რომ აქ დასავლეთ საქართველოდან ინტენსიური მიგრაციული პროცესი მიმდინარეობდა.

კახეთის მსგავსი ანალოგიური ვითარება იყო ქართლშიც. ამ პროცესს შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში სხვადასხვაგვარად უნდა შეეხედოთ. ქვემო ქართლის სამხრეთ საზღვართან არსებობამ და განსხვავებულმა ლანდშაფტმა ფაქტობრივად განსაზღვრა მისი ბედი. ძველი ქართული მოსახლეობა აქ შედარებით მცირე რაოდენობით შემორჩა, ბევრი კი სომხურ-გრიგორიანული კონფესიის მიმდევარი გახდა. სასაზღვრო ზოლთან სიახლოვე და ლანდშაფტი აქ ქართული მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებას ფაქტობრივად ხელს უშლიდა. ადგილობრივ მოსახლეობას ქვემო ქართლში ღრმა და ტყიანი ხეობების არარსებობის გამო თავის შეფარების ისეთი საშუალება არ ჰქონდა როგორც შიდა ქართლში. აგრეთვე ქვემო ქართლის ლანდშაფტი ნახევრად-მომთაბარე თურქულენოვან მოსახლეობას უფრო იზიდავდა, ვიდრე შიდა ქართლი. რაც შეეხება შიდა ქართლს, აქ ძველი ისტორიიდან დაწყებული მიგრაციული პროცესები არ შეწყვეტილა. შეიძლება დაბეჭდითით ითქვას, რომ აქაც ადგილობრივი ძველი ქართლები უმნიშვნელო რაოდენობით არიან შემორჩენილი. ისევე როგორც კახეთი, შიდა ქართლიც შიდა მიგრაციულმა

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 102.

პროცესებმა იხსნა. შიდა ქართლში ეს მიგაციული ტალღები სხვადასხვა მიმართულებისა იყო. აქ მიგრირებოდნენ არა მხოლოდ მთიელები და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, არამედ მტერს გამორიდებული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაც. ამ თვალსაზრისით საქართველოს ეს ცენტრალური ტერიტორიული ერთეული შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დავყოთ – გორიდან აღმოსავლეთით ძირითადად საქართველოს მთიდან ჩამოსახლებულთა შთამომავლები სჭარბობენ, გორიდან დასავლეთით კი – დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულთა შთამომავლები. თუმცა ქართლში დიდი რაოდენობითაა ჯავახეთიდან მიგრირებულთა შთამომავლებიც (ჯავახეთი როგორც ქვემო ქართლთან, ისე შიდა ქართლთან მოკლე გზებით იყო დაკავშირებული). დასავლეთ საქართველოდან ქართლში მოსახლეობის უწყვეტი მიგრაციის დასადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი. დავთარში შეტანილია ძირითადად დღევანდელი ხაშურისა და ქარელის რაიონების სოფლები, აგრეთვე ფრონეების ხეობა, რომელიც საბჭოთა პერიოდის ზნაურის რაიონს მოიცავდა. გვარსახელებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ **შიდა ქართლის რუისის სამწყსოში შემავალი მოსახლეობა XVIII საუკუნის დასაწყისში ძირითადად დასავლეთ საქართველოდან იყო მიგრირებული.** მაგალითად, სოფელ ძაღინაში ცხოვრობდნენ ჭიღლაძეები, დონაძეები, ლექუნიძეები, ბარბაქაძეები, ორბელაძეები, ჯეგაძეები, გოგრიჭიანები, მეგრელი..., თიღვაში – ბურნაძეები, წერეთლები, მუმლაძეები, ხიხაძეები, სამხარაძეები, ლანჩავაშვილები, კილაძეები, აღვსებაძეები, ბასანიძეები, ჩუბინიძეები..., ოქონასა და ტყისუბანში – ნაგლაძეები, შუკაკიძეები, ნაკაშიძეები, ჯმუხაძეები, სალარიძეები, მრაჭველები, მეფარიძეები, ოსაძეები, კაპანაძეები, მიროტაძეები..., ქალეთში – ნებიერიძეები, ქიფსუტიძეები, ფოფხაძეები, ბოჟაძეები, ნადირაძეები... მაგრამ სულ რაღაც ერთი საუკუნის შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში დავთარში მოხსენიებული გვარები აღნიშნულ სოფლებში უკვე აღარ მოსახლეობდნენ (მხოლოდ თითო-ორილა გვარიღა

იყო შემორჩენილი, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით). სოფელთა ნაწილი ნასოფლარად იქცა, ნაწილში კი უკვე ახალი მიგრანტები მოსახლეობდნენ, რომლებიც ასევე დასავლეთ საქართველოდან იყვნენ მიგრირებული. ფრონეების ხეობის ზედა წელის ნასოფლარებში კი XIX საუკუნის დასაწყისიდან ძირითადად დვალეთიდან გადმოსახლებულმა ოსები დასახლდნენ.

დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, ქართლში (და კახეთშიც) მოსახლეობა რომ ხშირად იცვლებოდა ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ყველაზე დიდი 40 ქართული გვარი დასავლურქართულია¹. რამ გამოიწვია მოსახლეობის ცვლა? – საგარეო ფაქტორმა (ოსმალობამ, ყიზილბაშობამ და, განსაკუთრებით, ლეკიანობამ). საგარეო ფაქტორი (ოსმალეთის იმპერიასთან საზღვარი) ხელს უშლიდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციას თორის მხარეში. რუსეთის მიერ ახალციხის შემოერთებამ თორის პრომლემაც გადაწყვიტა. იმერეთისა და სხვა მხარეების მოსახლეობამ ინტენსიური დასახლკარება დაიწყო ბორჯომის ხეობაში². ასე რომ, დასავლეთ საქართველო და საქართველოს მთიანეთი მუდმივად ამარაგებდა ქართლს მოსახლეობით. საქართველოს მხარეები ერთმანეთს ავსებდნენ. თავდაპირველად ქართლისაკენ სწრაფვას ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა, შემდეგ მიგრაციას ქართლში ხელს უწყობდა საგარეო ფაქტორი, კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება. შეიძლება ითქვას, რომ ქართლი (და, საერთოდ, აღმოსავლეთი საქართველო) გადაარჩინეს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარეებმა, ამ მხარეების ნამატმა მოსახლეობამ, იმ მხარეებმა, სადაც მტერი ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების გამო საერთოდ ვერ შედიოდა.

¹ რ. თოფჩიშვილი. სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010, გვ. 244.

² რ. თოფჩიშვილი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის შესახებ ისტორიული თორის მხარეში (ბორჯომის რაიონი). – გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, V, თბ., 2019, გვ. 303-348.

კითხვა ისმის: შიდა ქართლისა და კახეთის მიმართულებით მთიელთა და დასავლეთქართველთა გადმოსახლებანი მხოლოდ ერთჯერადად მოხდა, თუ ის მუდმივი პროცესი იყო? – ასეთი მიგრაციული პროცესები არ შეწყვეტილა საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში – ქართლი, კახეთთან ერთად, გადაარჩინა იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობამ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში კონცენტრირდებოდნენ ცენტრალური პროვინციის გარშემო, რომლის ლანდშაფტი და სახენელ-სათესი მიწის დიდი ფართობები იზიდავდა თითქმის ყველა ქართველს და შეიძლება ითქვას ყველა კლასის წარმომადგენელს (როგორც გლეხს, ისე ფეოდალს). **ქართლის ამ როლს განსაზღვრავდა შემდეგი მიზეზები: ცენტრალური მდებარეობა, საფარული მიწები, მოკლე დამაკავშირებელი გზები, რომლებიც მიემართებოდა კახეთისაკენ, დასავლეთ საქართველოსაკენ და სამხრეთ საქართველოსაკენ. ქართლის ბარზე და მთიანეთზე გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზაც.**

სამართლიანდაა შენიშნული, რომ „ბუნებრივ-გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, ქართლის მეწინავეობას მეურნეობრივი მრავალფეროვნება, მძლავრი სამიწათმოქმედო და მეტალურგიული ბაზის არსებობა განაპირობებდა“¹.

კიდევ ერთი კითხვა გაჩნდება: რატომ ვერ უზრუნველყო ზემოთ დასახელებულმა მოსახლეობამ ქვემო ქართლის, კახეთის აღმოსავლეთ ნაწილის დასახლება-ათვისება, ანდა რატომ შემოვიდა დაცარიელებულ ადგილებზე უცხო ეთნიკური ერთობა, მაგალითად, როგორებიც ოსები არიან? სანაპირო „ქვეყნები“ ამ მხრივ ნაკლებად მიმზიდველი იყო – მტერი პირველად აქ შემოდინდა და მწარმოებელს თავის შეფარების ნაკლები საშუალება ჰქონდა. რატომ ვეღარ მოეველინა მშველელად და-

¹ ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი. ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014, გვ. 15.

საელეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა? დადგა დრო და დასავლეთ საქართველომ, უფრო სწორად, იმერეთმა და რაჭამ, ეს მისია ვედარ შეასრულა და „მშველელის“ როლში სხვა, უცხო ეთნოსი მოგვევლინა. ესენი ოსები იყვნენ, რომლებმაც ჯერ დვალეთი და შიდა ქართლის მთიანეთი დაიკავეს, მოგვიანებით კი აქედან ბარის სოფლებშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით დასახლდნენ. რატომ მიეცათ ოსებს თავისუფლად დასახლების შესაძლებლობა? თუ ვახუშტი ბაგრატიონს გავიხსენებთ, ის ოსთა მიერ შიდა ქართლის მთიანეთის დაკავებას იმას მიაწერს, რომ ეს უკანასკნელი გეოგრაფიული ერთეული ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიერ ერთჯერადად მიტოვებული იქნა და ოსებს აქ ნასოფლარებზე დასახლება უხდებოდათ: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაჲთგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“¹.

ამჟამად, რომ შიდა ქართლის ბარში დემოგრაფიული თვალსაზრისით იმდენად კრიტიკული ვითარება შეიქმნა, რომ ქართველი ფეოდალები იძულებული იყვნენ შიდა ქართლის მთასა და დვალეთში მცხოვრები თავიანთი ყმები ჯგუფურად და ერთდროულად ბარში ჩამოსახლებინათ. კითხვა ჩნდება: რატომ აყარეს შიდა ქართლის მთიელები სახელმწიფომ და თავად-აზნაურობამ? რატომ აღარ იქნა გამოყენებული მეორე რეზერვი, რომელიც დასავლეთ საქართველოდან მოემართებოდა, საიდანაც მუდმივად ხდებოდა ჭარბი მოსახლეობის აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებში გადასახლება? რატომ ვედარ მიეშველა დასავლეთ საქართველო (განსაკუთრებით იმერეთი, რაჭა) მთას?

¹ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, თბ., 1973 გვ. 363-364.

მიზეზი საგარეო ფაქტორი იყო. ცნობილია, რომ ქართველ ერს აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა *თემურ-ლენგის* შემოსევებმა (1386-1403 წწ.). მერვე ლაშქრობის დროს (1403 წ.) თემურ-ლენგმა იმერეთსა და რაჭაშიც მოახერხა შესვლა და სპარსელი მემბტიანეს აღნიშვნით, დაახლოებით შვიდასი დაბა, ყანა და მონასტერი იქნა დარბეული და გაძარცვული“. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, იმერეთმა და რაჭამ მოსახლეობის დიდი დანაკლისი განიცადა. ასე რომ, კარგა ხნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს აღნიშნულმა მხარეებმა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობით უზრუნველყოფა ვეღარ შეძლო, რამაც გამოიწვია დვალეთიდან და შიდა ქართლის მთიანეთიდან ბარში მოსახლეობის ერთდროული ჯგუფური გადასახლება. ამ ფაქტმა კი, თავის მხრივ, ხელ-ფეხი გაუხსნა ჩრდილოეთიდან შემოსულ ოსურ ეთნიკურ ერთობას, რომელსაც მიგრაციისას ფაქტობრივად წინააღმდეგობა აღარ ხვდებოდა. აღნიშნული დემოგრაფიული ვითარების შექმნაში დიდი როლი 1348 წლის ეპიდემიამაც ითამაშა, რომელიც „დიდი სიკვდილობა“-ს სახელითაა ცნობილი.

ცნობილია, რომ ყველა ეთნოსს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური სტრუქტურა გააჩნია. ორიგინალური ეთნიკური სტრუქტურის მატარებელი იყო ქართული ეთნოსიც – საკუთრივ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტერიტორიულ ერთეულებს გარდა, მასში მეგრულად და სვანურად მეტყველი ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულებიც შედიოდნენ და შედიან. ქართული ეთნოსის ამ სტრუქტურის შექმნაც გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა. სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობას ადგილობრივი ლანდშაფტი აიძულებდა მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირურობითობა ჰქონოდა საქართველოს დანარჩენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან. ამ განაპირობა მხარეების მოსახლეობა მუდმივად მისწრაფოდა საქართველოს ცენტრალური მხარისაკენ – ქართლისაკენ. აქ სახვნელ-სათესი მიწისა და საძოვარ-სათიბების დიდი რაოდენობა იყო. ქართლის ცენტრალურმა მდებარეობამ და ლანდშაფტმა განაპირობა ქართლური

დიალექტის ყველა ქართველის სალიტერატურო ენად გადაქცევა. არნოლდ ჩიქობავა ხაზს უსვამდა: ამა თუ იმ ერის დამწერლობას თუ რომელი დიალექტი დაედება საფუძვლად, „სახელდობრ, რა დიალექტს მიეცემა უპირატესობა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისას, ამას განსაზღვრავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის (და არა დიალექტის ენათმეცნიერული თვისებები): საკითხს ისა წყევტს, თუ რა დიალექტის წარმომადგენლები თამაშობენ წამყვან როლს სათანადო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში“¹. ქართლის ტერიტორია მეგრულად და სვანურად მეტყველთა განსახლების არეალი რომ ყოფილიყო, ქართული ეთნოსის სალიტერატურო, სახელმწიფო და საღვთისმეტყველო ენა ან მეგრული იქნებოდა, ან სვანური. ასე რომ, ქართველთა ეთნიკური სტრუქტურა გეოგრაფიული გარემოს შექმნილია – მის სტრუქტურულ ერთეულებს ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ, გეოგრაფია მათ ეკონომიკურ მიზიდულობას განაპირობებდა. ეს კი ეთნიკური კონსოლიდაციის საფუძველი იყო².

ქართლური დიალექტის შესახებ სხვა ამონარიდიც უნდა მოვიშველიოთ: „დადგენილია, რომ ქართლი ისტორიულად წარმოადგენდა საქართველოს ცენტრს ყოველ მხრივ, რის გამოც ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის მეტყველებას წილად ხვდა ყოფილიყო სალიტერატურო ენის ბაზა, მის საფუძველზე წარმოშობილიყო დამწერლობა და დაწერილიყო სახელმწიფოებრივი და ისტორიული მნიშვნელობის საბუთები“³. ხანდახან პოლიტიკური და კულტურული ცენტრის სხვა მხარეებში გადანაცვლებაც კი არ ცვლიდა ამ საყრდენს.

ქართული სამწერლობო, სახელმწიფო და საღვთისმეტყველო ენის საყრდენი ქართლური დიალექტი საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე იყო განფენილი, ამ ფაქტორ-

¹ არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 115.

² რ. თოფჩიშვილი. გეოგრაფიული გარემო და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა, თბ., 2018, გვ. 100.

³ გრ. იმნაიშვილი. ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974, გვ. 6.

რის გამო იყო, რომ ის ცალკეული კუთხეების მიხედვით ერთგვარად განსხვავდება. ამას ხეობებში ცხოვრებაც განაპირობებდა. ამ განსხვავებას მეზობელ დიალექტთა გავლენა და აქედან მიგრაციული პროცესებიც განაპირობებდა. მიუთითებენ, რომ ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად მდიდარია ქართლის ცენტრალური ნაწილის მეტყველება. მას შედარებით ნაკლებად ემჩნევა სხვა კილოების გავლენა და უფრო შემონახულია ქართლისათვის დამახასიათებელი ნიშნები¹. ქართლის ცენტრალურ ნაწილს გარდა, გამოიყოფა კიდევ სამი კილოკავი: 2) ქართლის დასავლეთი ნაწილი, 3) ქართლის სამხრეთი ნაწილი (ქვემო ქართლი მთლიანად) და 4) ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი².

ამრიგად, ქართლი იყო ქართველთა შემკრები და გამაერთიანებელი, რასაც განსაზღვრავდა ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური ფაქტორები, რაზედაც თავის მხრივ, დამოკიდებული იყო თოთოეული მხარის და საერთოდ ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარება. საქართველოს ცენტრში მდებარე ქართლს მოკლე გადასასვლელი გზები აკავშირებდა დანარჩენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან. ამავე ფაქტორებმა განაპირობა ქართული ეთნიკური ერთეულის ერთად (ნაციად) ჩამოყალიბება, ქართული სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენის ფორმირება, დედაქალაქის ქართლში არსებობა. ქართლის (აგრეთვე კახეთის) ეთნიკური გადარჩენაც მის ირგვლივ (ახლოს და შედარებით დაშორებულმა) მდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობამ მოახდინა.

¹ იქვე, გვ. 16.

² ქართული ენა. ენციკლოპედია, თბ., 2008, გვ. 506.

V. „...რომელი ზნეობა და ქართლის წესი იყო“
(ქართლელთა ტრადიციებისა და
წეს-ჩვეულებების შესახებ)

სათაურში გამოტანილი სიტყვები XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანს ეკუთვნის. არა მარტო პაპუნა ორბელიანი, არამედ შუა საუკუნეების ყველა ქართველი ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, რომ „ზნეობა“ და „წესი“ ენასთან და ტერიტორიასთან ერთად, ქართველობის განმსაზღვრელი იყო. ამ დასკვნამდე მისასვლელი რთული არ იყო, რადგან მეზობელ ეთოსებთან თუ ეთნიკურ ჯგუფებთან დაპირისპირებაში ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ქართული ზნენი და ჩვეულებანი სხვაგვარი იყო, განსხვავდებოდა მათგან. ამავე დროს, არც ის იყო უცხო, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრთა ტრადიციებიც ზოგჯერ განსხვავებული იყო და ამ განსხვავების მიზეზსაც ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და ლანდშაფტი წარმოადგენდა. პაპუნა ორბელიანის სიტყვები სათაურში იმიტომაც გამოვიყენეთ, რომ ის ხაზს უსვამს ქართლელთა ზნესა და წესს. ეს ტრადიციები მუდმივი არ იყო; საუკუნეების განმავლობაში ისინი იცვლებოდა და ამ ცვლილებაზე ზემოქმედებულ ფაქტორებთან ერთად, საგარეო ფაქტორი, მუსლიმურ გარემოცვაში ცხოვრებაც მოქმედებდა.

ისტორიულ საქართველოში გარკვეული ზნეობრივი ნორმები არსებობდა როგორც ფეოდალებში, ისე გლეხებში, თუმცა იყო მთელი რიგი ტრადიციებისა, რომელიც ქართული საზოგადოების ამ ორ ფენას საერთო ჰქონდა. ამასთანავე, ქალმა „ქალური საქციელი“ იცოდა, კაცმა – „კაცური საქციელი“. უცხოს ყოველთვის აჩვენებდნენ იმას, „რომელი ზნეობა და ქართული წესი იყო“. ამავე დროს, მეფე-პოეტი არჩილი ზნეობის კლასიფიცირებასაც ახდენს; ის ცალ-ცალკე გამოპყოფს „სამღეთო“

და „სამხედრო“, „მშვეებლის“ (მლხენელის) და „მოვაგ-
 ლახის“ (გაჭირვებუკლის), „ლაშქრობის“ და „ნადირო-
 ბის“ ზნეობას¹. ამ ნორმების დამკვიდრებაში ქართლს
 განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ქართლში, და, საერ-
 თოდ, საქართველოში, ქართული ტრადიცია განუსაზ-
 ღვრელ ჭამა-სმას გმობდა; გადამეტებული გლოვა ტრა-
 დიცია არასდროს არ ყოფილა; კარგ ზნედ მიიხნეოდა
 შრომისმოყვარეობა, აგრეთვე უმცროსის უფროსისადმი
 მოწიწება და პატივისცემა. მიუღებელი იყო ადამიანს
 ჯდომისას ფეხი ფეხზე გადაედო, ადგომისას ხელით
 დაბჯენა და საზოგადოებაში ჯოხის მხარზე გადადება,
 ჯდომისას კედლისათვის ზურგის მიყუდება, თავის უკი-
 დურესად დახრა, სკამზე ნახევრად დაჯდომა, მამაკაცე-
 ბის მიერ ერთმანეთის გადაკოცნა. ხაზგასმით უნდა აღი-
 ნიშნოს, რომ გლეხსაც და დიდებულსაც ჰქონდა საგ-
 ზაო, საშინაო და გამოსასვლელი/სასტუმრო ტანისამოსი.
 დასახელებული ზნეობრივი ნორმების გარდა, ქართლე-
 ლებს საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული
 ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ჰქონდათ შექმნილი,
 რომელიც მათ ცხოვრებას აწესრიგებდა. ეს ტრადიციები
 ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროს შეეხებოდა,
 სამეურნეო ყოფას, მატერიალურ კულტურას, სოციალურ
 ურთიერთობებს, სულიერ კულტურას. ბევრი მათგანი
 ქრისტიანობით იყო ნასაზრდოები, ბევრიც ქრისტიანო-
 ბამდელი ყოფა-ცხოვრებიდან იყო გადმოსული, დიდი ნა-
 წილი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით იყო განპირო-
 ბებული. იშვიათი არ იყო უცხოთა გავლენა, განსაკუთ-
 რებით მეზობელი ისლამური სამყაროსი. უცხო წეს-ჩვეუ-
 ლებანი განსაკუთრებით ზედა ფენაში იკიდებდა ფეხს.
 სწორედ ამით იყო განპირობებული მეფე-პოეტის არჩი-
 ლის მიერ ლექსად თქმული „საქართველოს ზნეობანი“,
 რათა ქართველებს წინაპართაგან ნაანდერძევი და თაო-

¹ დაწვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი. ზნეობრივი ნორმები შუა
 საუკუნეების საქართველოში. – თსუ საქართველოს ისტორიის
 ინსტიტუტის შრომები, XIII, თბ., 2018. გვ. 476-509.

ბიდან თაობაზე გადაცემული ცხოვრების წესი, ტრადიციები დაეცვათ, რათა არ გათქვეფილიყვნენ სხვებში.

შიდა ქართლი და ქვემო ქართლი ხეობების პრინციპით იყო მოწყობილი. თითქმის ყველა ხეობას გაჩნდა თავის მთა, მთისწინა ზოლი ანუ ზეგანი და ბარი. რელიეფური სხვაობა, ბუნებრივია, ერთ ხეობაში მცხოვრები ხალხის ერთგვარად განსხვავებულ სამეურნეო ფორმებს აყალიბებდა. მაგალითად, „ქსნის ხეობა ერთ-ერთი საინტერესო ხეობაა მეურნეობის დარგთა განლაგების თვალსაზრისით. აქ მთლიანობაშია მოცემული ხეობის ბარი//მინდორი, მთის ძირა ზოლი და მთა. ამის მიხედვით ქსნის ხეობაში განასხვავებენ **მინდვრის ხალხს, ტყის ხალხს** და **მთის ხალხს**¹. მთაში უპირატესად მესაქონლეობას მისდევდნენ, ბარში – მემინდვრეობას, მევენახეობას და მებაღეობას, ხოლო გარდამავალ ზოლში (მთისწინეთში) მეურნეობის ორივე დარგი თანაბრად იყო განვითარებული.

ქართლელთა სამეურნეო ყოფა და კულტურა

ქართლი ოდითგანვე მიწათმოქმედების ღრმა ტრადიციების ქვეყანა რომ იყო, ამას იბერიის შესახებ *სტრაბონის* ცნობა ადასტურებს. ხოლო ქართველი *თეიმურაზ ბაგრატიონი* (1782-1846) წერდა: „მოუთხოვრებნი ჩვენნი და სხვათაცა მემამაციანენი: ვინაჲდგან **მცხოვრებნი გიორგიისანი არიან მხნენი და დაუშრომელნი მუშაკობასა შინა მიწისასა** და მრავლისა ნაყოფისა შემკრებლობისათვის უაღმატებულესისა შრომისა, და უგანრჩეულესისა სახვნელთა მიწისათა, ვითარ იგი აქვთ ჩვეულება უმეტეს ზემოთა ქვეყანათა გიორგიისათა რვითა ანუ ცხრითა უღლეულთა და ჳარითა და დიდ-დიდთა კამბეჩთა მიერ ჳვნისა, რომელნიცა მარღვეველნი უმტკიცესისა ქვეყნისა, კნინდა გულადმდე ქვეყნისა, სახნის-საკ-

¹ მ. მაკალათია. მეცხოველეობა. – ქსნის ხეობა, 1975, გვ. 62.

ვეთნი გადმოაბრუნებენ ბელტთა ზრქელთა, ვითარცა რა ლოდითა უმძიმესთა, აგრეთვე **სხვათაცა შინა მუშაკობითა: მკათა, ლეწვათა, წნეხათა ყურძნისათა და ფერად-ფერადთა შინა მუშაკობითა განსხვავდებიან სხვათა ყოველთა ნათესავთა აზიურთა, გინა ევროპისათა**¹. ქართველი კაცის მიწისადმი დამოკიდებულებას 1786 წლის ერთი საბუთიც ადასტურებს: „...თქვენ რომ დამასახლეთ, მემკვიდრეებთან დავიწერე; ცოტაოდენი მიწა მიბოძეთ, მე ის მამული გავაკეთე, ვაზი ჩაყარე. რადგან მოყალნეებთან ყალანსა ვწევ, **სახნავი მიწა არ მაქვს. უხნავი კაცი რას ვარგა.** გვევდრებით, ბეთაღმანი მამულები არის, ამდენი თქვენი წყალობა დამემართოს, რომ **სახნავი მიწა მიწყალობით, რომ მეც უხნავი არ დავრჩე.** ჩემს ამხანაგებს არ გამოვერჩიო. ღმერთი გადღეგრძელებსთ, **უხნავი ვერ დავრჩები. გლეხი კაცისა ხენა არის**“².

ქართლი დაწინაურებული მიწათმოქმედების ქვეყანა რომ იყო, ამას ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა: „საქართველოს მთელი ჩრდილო მთიანეთის მცირე მოსავლიანობის გამო, **ჩვენი სამშობლოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის უადრესი მნიშვნელობა ქვემო და ზემო ქართლს ენიჭებოდა.** სწორედ აქ იყო საუკეთესო მოსავლიანი მიწები: საქართველოს საკვები მცენარეების ნამდვილ ბედელს ჯავახეთი, შიდა-ქართლი და ქვემო ქართლი, შემდეგში ბორჩალოდ, საბარათიანოდ და საორბელოდ წოდებული თემი წარმოადგენდა. უამათოდ თვით საქართველოს დედაქალაქ ტფილისსაც არსებობა უჭირდა“³. ქართლში მემინდვრეობის კულტურის უპირატესობას უბრალო გლეხის ტრადიციული დალოცვაც კარგად ადასტურებს: **„გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთნის დვედს, ცის ნამს და მიწის მოსავალს“.** მოჰყავდათ სხვა-სახვა ჯიშის მარცვლეული კულტურები: *იფქლი, დიკა,*

¹ მითითებულია: გ. ჩიბაია, შრომები, III, თბ., 2001, გვ. 458.

² ქართული სამართლის ძეგლები, VII, თბ., 1981, გვ. 693.

³ ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფ., 1930, გვ. 421.

დოლის პური (XIX საუკუნეში ქართლის ყანების თითქმის 80% დოლის პურით იყო დათესილი), ასლი, თავთუხი (უფრო მეტად ქვემო ქართლში ითესებოდა)... უძველესი დროიდანვე მიწათმოქმედების დაწინაურება სარწყავ სისტემებთან იყო დაკავშირებული. მიწათმოქმედება (მემინდვრეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა) აქ მესაქონლეობის მაღალ კულტურასთან ერთად იყო განვითარებული. როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში ქართლში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზური მეურნეობის სახით იყო წარმოდგენილი. ქართლში იყო სახვნელი იარაღის განსაკუთრებული რთული კონსტრუქციული სახეობა – „დიდი ქართული გუთანი“, რომელშიც 9-10 უღელ ხარ-კამეხს აბამდნენ. ქართლის ბარში ფართოდ იყო გავრცელებული დიდი გუთნით მუშაობასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანება. გამართული ხის გუთანი ძვირადღირებული სახვნელი იყო. მხოლოდ გლეხების შედარებით მცირე რაოდენობას (10-12%-ს) გააჩნდა საკუთარი, ყოველმხრივ გამართული გუთანი.¹ რვა უღელი გამწვევი ძალიდან ხუთი უღელი მაინც ხარი უნდა ყოფილიყო და სამი უღელი კამეხი. ხარის შენახვა კი გლეხს ძალიან ძვირი უჯდებოდა. მხოლოდ დიდ ოჯახებს შეეძლოთ საკუთარი ძალებით გამართული გუთნისა და მუშახელის საჭირო რაოდენობის გამოყვანა. ამიტომ ქართლელი გლეხების უმრავლესობა ხვნის დროს მიმართავდა შრომით გაერთიანებას, რამდენიმე ოჯახი რიგრიგობით ხნავდა მიწას. ასეთ გაერთიანებას ქართლში *მოდგამი* ეწოდებოდა. მოდგამში ხვნის პროცესს ხელმძღვანელობდა *გუთნისდგა*, რომელსაც, ჩვეულებრივ, გუთანი ეკუთვნოდა. *მეხრეები* კი თავიანთი შრომითა და გამწვევი ძალითაც მონაწილეობდნენ. გუთნისდგას „გუთანი ეჭირა“. რვა უღელი გამწვევი ძალის პირობებში ოთხი მეხრე იყო საჭირო

¹ თ. გელაძე. შრომითი გაერთიანების ძველი ფორმების ტრანსფორმაცია შიდა ქართლში. – შიდა ქართლი (ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1987, გვ. 34.

– ორი დღის მეხრე და ორი ღამის მეხრე. დღის მეხრეებს ევალებოდათ ხენის დროს საქონლის გაძღოლა; ღამის მეხრეების დამატებითი საქმიანობას შეადგენდა ხარკამეხის მოვლა-პატრონობა გუთნის გამოშვებიდან გუთნის შებმამდე. მოდგამის წვევრებისათვის რიგის მიხედვით ხნავდნენ. პირველად გუთნისდედის მიწა იხვნებოდა. მოდგამით მუშაობის დროს პირველ დღეს *გათრეულას* უწოდებდნენ. ამ დღეს გუთანს გაათრევენ სახვნელად განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე. ამავე დროს ხდებოდა გუთნის შემოწმება. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ გათრეულათი ძირითადად გუთნსდედა სარგებლობდა. მაგრამ მანიათ, რომ უფრო ადრე გათრეულას დახმარების ხასიათი ჰქონდა და გათრეულას უხნავდნენ ხელმოკლე ოჯახებს. ზოგიერთ სოფელში გათრეულას უხნავდნენ იმ ოჯახს, რომელიც ხენის დაწყების წინა დღეს ვახშამს გამართავდა. შენიშნულია, რომ „მოდგამი“ შრომითი გაერთიანების რთული ფორმაა (დუშეთისა და თიანეთის რაიონებში მას „ანბახს“ უწოდებდნენ). ხოლო უფრო მარტივ სახეს წარმოადგენდა „ნაცვალგარდა“. პატარა ღიახვის ხეობაში ნაცვალგარდას „რიგრიგასაც“ უწოდებდნენ. *ნაცვალგარდას*, გარდა ხენისა, მიმართავდნენ ბარვაში, თოხნაში, მკასა და ახოს გატეხვის დროს. რიგრიგა და ნაცვალგარდა გულისხმობდა ორი ან რამდენიმე გლეხის შეამხანაგებულ მუშაობას თანაბარი ძალითა და იარაღებით¹. ნაცვალგარდაში უფრო ერთნაირი მდგომარეობის ხალხი მონაწილეობდა; მასში მხოლოდ ქალები ან მხოლოდ მამაკაცები ერთიანდებოდნენ. დახმარების ეს ფორმა ძირითადად გამოიყენებოდა ახოს აღების, თოხნის, მარგველის, მკის, სიმინდის რჩევის, დაფშვნის დროს.

„მოდგამის წვევრების დაპურება იმ ოჯახს ევალებოდა, რომლის მიწაც იხვნებოდა იმ დღეს. ხენის დროს ჭამა ორჯერ იყო მიღებული – სადილი და სამხარი. ეს

¹ გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 79-80.

იყო ჯერ ი. ქართლის ზოგიერთ ნაწილში იცოდნენ *სამხრის კუდიც*, რომელიც იმართებოდა სამხარსა და სამუშაოს დამთავრებას შორის. . . . თუ სახნავ-სათესი მინდორი სოფელთან ახლოს იყო, ჯერი ოჯახის წევრს, მეტწილად ქალს მიჰქონდა¹. ზოგიერთ სოფელში მიწებს ორ ჯერად ხნავდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ტრადიციულად მიღებული იყო მოეხნათ აგრეთვე მენახირის, მეველისა და მჭედლის მიწები. იყო შემთხვევები, როდესაც ყველა გუთნეული ერთ დღეს გადიოდა მამასახლისის მიწების მოსახნავად². აგრეთვე სოფლის ყველა გუთნეულს ერთი ან რამდენიმე დღე უნდა ეხნა მიწათმფლობელისათვის.

ხის გუთანს ძირითადად თლიდნენ იფნის, თელისა და მუხის ხისაგან. დიდი ქართული გუთანი სხვადასხვა ნაწილისაგან შედგებოდა: *სახნისი* (წამოცმული იყო კბილაზე), *მანჭოები* (ჰქონდა ველის მანჭო და კვალის მანჭო), *ფრთები* (დაკრული იყო კვალის მანჭოზე), *კაკაბი*, *ფამფალაკი* (ფამფალაკი ღერძი იყო, რომელსაც *შოლტას* ეძახდნენ. შოლტაზე გამობმული *ღველი* და გუთნეული ეწეოდა), *გოგორები* (კვალის გოგორა დიდი იყო, ველის გოგორა – პატარა), *ჯამბარა* (ჯამბარათი იყო ერთმანეთზე შეთვისებული გუთანი და შოლტა). გუთნის ნაწილებმა ქართლელ მხენელ-მოესველს შემდეგი ლექსი ათქმევინა: „(სახნისის ჩივილი) სახნისმა თქვა: ქვეშქვნებ დავალ, // მზისა შუქი მენატრება. (ეს საკვეთელმა გაიგონა) ჩემზედ მეტი შენ რა გხვდება, // მეტისმეტი წინ ძლოლითა // წინ კბილი არ მრჩებაო. (ეს ჯამბარამ გაიგონა) ჩემზედ მეტი თქვენ რა გხვდებათ, // ავდარია, მე დავლპები, // დარი ცეცხლათ მომედება. (გუთანი. გუთნისდედა სიმღერას) – მოხან და მოხან გუთანო, // ქვემო ქართლელო თელაო. // ანგრეთი ბელტი გადადევ, // დიდი კამბეჩის ტელაო. // კარგი პური მოიყვანე, // რომ გამო-

¹ თ. გელაძე. შრომითი გაერთიანების ძველი ფორმების ტრანსფორმაცია..., თბ., 1987, გვ. 37.

² იქვე, გვ. 39.

ვადლოთ ყველაო. // ცოცხალი შენით დაიარებაო – // კვდარი შენით დაიმარხებაო“¹. ქართლშივეა შექმნილი ხალხური ლექსი „თედოს გუთანი“: „შეაბა თედომ გუთანი // გათლილი თელის ხისაო. // გოგორებს ივნის ხუნდი აქვს // და ღერძი წიფლნარისაო, // ფრთების ფიცარი – მუხისა. // მანჭეები – ურთხმელისაო, // შიგ სახელური უყრია, // ისიც გათლილი ხისაო, // სახნის-საკვეთი კარგი აქს // ნაჭედი მჭედელისაო, // გადის-გამოდის თავ-ბოლოს, // ისმის დიღინი ხმისაო. // ზედ მესრეები უსხედან, ვით ძმები ერთ მამისაო. // რვა უღელ-ხარი გაუბამს, // როგორც ლომები მთისაო, // უჭირამს თედოს გუთანი, // ფიქრამს, რაღაცას სჯისაო, // გულს განიზრახავს, თუ დადგა // კარგი ამინდი, დარია, // შარშანდელზედა მეტსა ხნამს, // სხვა რაღა მაქვსო ვაღია“².

ქართლში კარგი მოსაველის მისაღებად შემუშავებული ჰქონდათ მთელი რიგი ქმედებები; ესენია: ღრმად მოხვნა, რწყვა, მიწის ნაკელით განოყიერება, მიწის დასვენება. 1947 წლის ქართლის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში გიორგი ჩიტაიას ჩაუწერია: „მამულსაც უნდა პატივისცემა. წინათ ნარეკავის იქით რაც არი, იმას მოვხნავდით, აქეთა მხარეს კი დავასვენებდით – საქონელი დაგვიდიოდა; მეორე წელიწადს იქით დავასვენებდით და აქეთ მოვხნავდით. მიწა ისვენებდა, აღარ გამოიღალებოდა. მიწას 1 წელიწადი როგორ არ უნდა დეესვენა“³. სახნავი მიწების დამატების მიზნით ქართლში იცოდნენ ახოს აღება, რაც ითვალისწინებდა ტყის გარკვეული მონაკვეთის მოჭრას, ფესვების ამოძირკვას, დაწვას და შემდეგ მოხვნას. მაგრამ ქართლელი გლეხები ითვალისწინებდნენ ეკოლოგიურ ფაქტორს, განსაკუთრებით თუ ახოს დაფრდებულ ადგილზე იღებდნენ. ნიკო კეცხველს წიგნში „ცხრათვალა მზის ქვეშ“ აღწერილი აქვს ნიზბურას ხეობის ერთ-ერთი ახო. „ახო 30 ნაბიჯის სიგა-

¹ შინამრეწველობის... ტომი IV, ნაწილი II, თბ., 1987, გვ. 113.

² იქვე, გვ. 118-119.

³ გ, ჩიტაია. შრომები, ტომი III, თბ., 2001, გვ. 446.

ნე მაინც იქნებოდა. მერე დატოვებულია 5-10 ნაბიჯის სიგანის ტყე. მას მოსდევს მეორე ახლ. მასაც დატოვებული აქვს ტყე. და ამგვარად ვიღებთ 4 ახლს. ტყის ზოლი ჩამორეცხვის საშუალებას არ იძლეოდა“.

ურთიერთდახმარება სხვა არაერთ სფეროშიც იცოდნენ, მაგალითად, მატყელის და ბამბის ჩეჩვის და ძაფის დართვის დროს. შინამრეწველობის მასალებში ასეთი საინტერესო ფაქტია დადასტურებული, რომელიც ჩაწერილია 1935 წელს სოფელ დილომში 100 წლის მთხრობელ პელაგია ლახურაშვილისგან: „**ჯარები** ჰქონდათ, ისხდნენ და **ართამდნენ**, ქირით ართამდნენ. ბამბას წამოიღებდნენ ქალაქიდან, გადასცვლიდნენ სამოსელზე. თუ მოიწონებდნენ, ნართში წონა-ნახევარს აძლევდნენ, თუ არადა – პირდაპირა. მოჰქონდათ ის სამოსელი, ვისაც უნდოდა, ღებამდა და საცვლებს კერავდა, საბნებს კერავდა სამზითოსა. იმ ჯარებს დაიდგამდნენ დედაკაცები თუთებ ქვეშა და *რიგრიგას* ეძახდნენ, დამღეროდნენ ხოლმე, ერთად გააკეთებდნენ საქმესა. **ჭიკებს** ვეძახდით, ესლა რომ *თითისტარებს* ეძახიან, და თან მღეროდნენ, რიგრიგას ამბობდნენ ხოლმე: „რიგრიგასა, რიგრიგასა, რიგ მოდებულსააო. // ვინც რომ რიგრიგა ჩაშალოს, რიგი მოედოსო“. ვინც რიგს ჩაშლიდა, მეორე დღეს იმას თავში ჩასვამდნენ და თავიანთა გარჯიდნენ. მეორე დღეს ასწონიდა ყველა თავისას, შენ შენსასა, მე ჩემსასა და წაიღებდნენ ქალაქსა გასაცვლელადა. სასწვრით, გირებით იწონებოდა, *გირვანქას* კი არ ვეძახდით, *ჩარექს* ვეძახდით. ჩარექი ორგირვანქა-ნახევარი იყო. თან ართამდნენ და თან გართობილები იყვნენ დედაკაცები. თან **ჩარხს** ატრიალებდნენ და ბზრიალი გაჰქონდა **ჯარას**. მერე წაიღებდნენ ქალაქს... [ქალაქიდან] მოიტანდნენ თავიანთი ცოლშვილისათვის საცვლებს... როცა წაიღებდნენ გადასაცვლელად, ეგრე ეტყოდნენ, ლექსად: „გენაცვალე, გეყურებანე, // შენ რომ ნართი გამატანე, // ერთი წონა დამაბარე, // ორი წონა მოგიტანე“.

შიდა ქართლის სოფელ *ჯარიაშენში* ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, სხვადასხვა საქმიანობაში ურთიერთდახმარებას განსხვავებული სახელები ჰქონდა, მაგალითად, ხვნის დროს დახმარებას თუ მოდგამს უწოდებდნენ, ბარვაზე და თოხნაზე – რიგ-რიგას, ხოლო სახლის მშენებლობის დროს – „*ხელისაპყრობა*“.

ქალების საქმიანობას შეადგენდა აგრეთვე ღებვა, კერვა, ქარგვა და ქსოვა: *შალის, ჯეჯიძის, ყაითნის, ჩახსაკრავის, ზონრის, ჭილოფის*. ამ უკანასკნელს ჭაობის ჩაღისაგან ქსოვდნენ.

ქართლელ ვლექსს, მოსავლის გაზრდის მიზნით, საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ჰქონდა ხვნის სხვადასხვა წესი. მაგალითად, იცოდნენ *ნაღარაზე* და *ნაზურგზე* ხვნა. „ნაღარათ ხვნა სწორხაზოვნად ყანის გვერდებიდან ოთხკუთხად შემოყოლებული ხვნაა, ხოლო ნაზურგით ხვნა სწორხაზოვნად ზედიზედ მიყოლებული ხვნაა. მიწა რომ ერთ წელიწადს ნაზურგზე მოიხვნება, მეორე წელიწადს ნაღარზე უნდა მოიხნას“¹. ისევე როგორც სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, ქართლშიც მიწის დასვენების პრაქტიკა არსებობდა. სახნავ მიწას პირველ წელს საძოვრად დააგდებდნენ, შემდეგ სათიბად, მერე ისევ მოხნავდნენ და ა. შ. ქართლში იმის მიხედვით, თუ მიწა რამდენი ხნის ნასვენი იყო, ასხვავებდნენ: *ნარბილს* (ერთი წლის ნასვენი), *რცხალს* (ორი წლის ნასვენი), *ნახხატს* (სამი წლის ნასვენი), *ყამირს* (ოთხი წლის ნასვენი), *კორდს* (დიდი ხნის ნასვენი)². ქართლში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აგრეთვე მიწათმოქმედებაში ნიადაგის განოყიერებას. მემინდვრებაში მას ფართო ხასიათი არ ჰქონია; საქონლის პატივი ძირითადად ბაღ-ბოსტნებში და ვენახებში შეჰქონდათ. მინდორში კი იცოდნენ საბალახოდ საქონლის შეშვება.

¹ გ. ჩიტიია. შრომები ხუთ ტომად, IV, 2001, გვ. 415.

² თ. ოჩიური. ნიადაგის განოყიერება. – საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური ატლასი. მასალები. თბ., 1980, გვ. 44.

ქართლში მოწვეული მოსავალი *კვერიოთ* იღვეწებოდა. გაღვეწვას წინ *მკა* უსწრებდა. მკის დროს დაშველები (მამითადი) იცოდნენ. მკაში ერთი გატანა *სვე* იყო (ნაპირის მომკელს *მესვეური* ეწოდებოდა). გარდა მომკელები-სა, მკის დროს აქტიურები იყვნენ *მეხელეურები*, რომელთა მოვალეობას შეადგენდა მომკილი ყანის მეძნეურთან მიტანა; *მეძნეურს* კი ძნის შეკვრა ევალებოდა. მკიდნენ ნამგლით. ნამგლებს სხვადასხვა სოფლებში მჭედლები ამზადებდნენ. რადგან ქართლის მთაში ზოგიერთ ადგილას ნამგლით პურეულის აღებაში ქალებიც მონაწილეობდნენ, მათთვის თავისებურ, მოკლე და მსუბუქ ნამგლებს ჭედავდნენ. მკის დროს მარცხენა ხელის სამ თითზე (შუა, უსახელო და ნეკზე) ხის *სათითეებს* იკეთებდნენ. სათითეს უკეთებოდა ე. წ. *საქარე*, რომ მუშაობის დროს თითი გრილად ყოფილიყო. მკელს მარჯვენა მკლავზე „სამკლავე“ ჰქონდა წამოცმული. *სამკლავე* ან მოქსოვილი იყო, ან ქსოვილისაგან (ზოგჯერ ტყავისაგან) შეკერილი. მკელი შუბლზე იკეთებდა დაბამბული ნაჭრისაგან შეკერილ *საოფლეს*, რომელსაც ბაწრებით კეფაზე იკრავდნენ. საოფლე მკის დროს თვალებს ოფლისაგან იცავდა.

მემინდვრეობაში მკის შემდეგი ეტაპი იყო აღებული ყანის გადაზიდვა კალოსთან. ბარში გადაზიდვა *საძნეურმებით* ხდებოდა, გარდამავალ ზოლში – *ბოლოთრიათი*. გადმოზიდულ ყანას კალოს პირზე ძირებად დგამდნენ. გლეხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კალოსათვის ადგილის შერჩევას. მთავარი იყო, რომ კალოზე ნიავი მუდმივად ყოფილიყო. კალოს სიგრძე-სიგანე 15-დან 20 მეტრამდე უნდა ყოფილიყო. კალოს „ზოგი თეთრ მიწას აყრიდა, გამაგრდებაო, ზოგი სტკეპნიდა, ზოგიც *კაბდოთი* მოასწორებდა, წყალს რო დაასხამდნენ, ყინულივით მოსწორდებოდა, ზოგი ფეხით მოსტკეპნიდა, ბავშვები კი *სახეკელათი* სცემდნენ“¹.

¹ გ. ჩიტაია. შრომები, ტომი III, თბ., 2001, გვ. 427.

კალობის დაწყებამდე მღვდელსაც იწვევდნენ, რომ კალო ეკურთხებინა. *კევრში* ძირითადად ხარებს აბამდნენ. ერთ კალოზე შეიძლებოდა ერთზე მეტ კევრს ემუშავა. კევრების რაოდენობა დამოკიდებული იყო კალოს სიდიდეზე. ქართლში ყოფილა შემთხვევა ერთ კალოზე ოთხი კევრის ტრიალისაც. ერთ ხეობაში დადასტურებულია პურეულის ღეწვის სხვადასხვა წესი. მაგალითად, ქსნის ხეობის მთიან ნაწილში თუ კალოს ღეწვა საქონლის ფეხით ხდებოდა, გარდამავალ ხოლში და ბარში – კევრით. კევრის სიგრძე ორ მეტრამდე აღწევდა, სისქე 6 სანტიმეტრი იყო. წინა ნაწილისაკენ კევრის სისქე იკლებდა; მას თავი აღმა ჰქონდა ახრილი. გარდამავალ ხოლში კევრი შედარებით ნაკლები ზომის იყო.

კალოდან მარცვალა ძირითადად სახლებში გადაჰქონდათ. ზოგიერთ სოფელს ხორბლეულის შესანახი *ორმოები* კალოზევე ჰქონდა და გაღეწილ-გამოხვავებულ ხორბალს *არნადებით* პირდაპირ ორმოებში ყრიდნენ. ჰქონდათ *ხაროებიც* (განსაკუთრებით მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლებში). ხაროები ქვითკირით ჰქონდათ ნაშენი, რომელიც წაკვეთილი კონუსის ფორმის იყო. მისი სიგრძე საშუალოდ 2,5 მეტრი, ძირის დიამეტრიც – 1,5 მეტრი და პირთან სივიწროვე 0,5 მეტრი ყოფილა. ქართლში ორმოს *ბადიშ* აფარებდნენ, ზემოდან კი მიწითა და ნაკელით ილესებოდა. ხორბალს ინახავდნენ *ბელელშიც*, რომელიც ფიცრულ ნაგებობას წარმოადგენდა. ის წმინდა ნაგებობად მიაჩნდათ. ბელელის ბოძზე იცოდნენ სანთლის ანთება. ბელელს თვალი რომ არ სცემიყო, მასში იცოდნენ ნახშირის ჩაგდებაც. გარდა ხორბლისა, ბელელში ჩირსაც ინახავდნენ. ბელელი ორგვარი იყო – საბძლური გადახურვით და დიდი ყუთის ფორმის. ქართლში ხორბლის შესანახ საშუალებად *ნაკელით შეღესილ გოდრებსაც* გამოიყენებდნენ. ნაკელში ნაცარს ურევდნენ. ხორბლის შესანახად იყენებდნენ აგრეთვე *ქვევრებს, კიდობანებს* და *ნაქსოვ ჯვალთ ცომ-*

რებს¹. იტერესმოკლებული არ უნდა იყოს 1936 წელს შიდა ქართლის სოფელ *მოხისში* ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა: „**ხაროს აგება**. ჯერ მიწას მოვთხრიდი დაბლა **გვამგაგდებულს** (გვამიანს) და მაღლა უფრო მოყვანილს (შევიწროებულს). შემდეგ ქვიტკირს ამოვაშენებთ. როგორც ის არის მოთხრილი იმ ზომასზე აშენდება, ხოლო შიგნითა პირი კი მიწასზეა მოწყობილი. შიგნიდან კირით ავლესავთ სუფთად, რომ პური არ გავიდეს და არ დაიკარგოს. ძირზე ქვას დავყრით და გადავლესავთ კირით. თუ კარგი შემნახავია კაცი, მაშინ დაბლა მზეს [ბზეს] დაუყრის, რომ არ გაღვივდეს პური ქვეშიდან. ნაპირებიდან ნათიბ თივას მიუდებთ, რომ პური კიდეზე არ მივიდეს, ნესტიანი არ გახდეს. მაღლა თავი რომ მოყვანილია, ის კარების არის, სასინათლო. სხვა კარები არა აქვს. მერე რომ პურს ჩავყრით, გაივსება, მერე კიდევ ბზეს დავაყრით. ქვებს რომ უშენებთ ხაროსა, ისე უშენებთ, რომ ფიცარი დაეფაროს შიგ და მერე მიწას დავაყრით. ძალიან თავს შეუდგამთ მიწას, რომ წყალი აქით-იქით წავიდეს. [სხვათა შორის, ხაროს სხვა ფუნქციაც გააჩნდა; ეს იყო პატიმრის ხაროში ჩაგდება. 1789 წლის ერთ თავდებობის წიგნში ვკითხულობთ: „ქესე სათავდებო წიგნი მოგართვით თქვენ ბატონს *ამილახორს* *ოთარს...* ჩვენ ქუბიას შვილმა თევდორემ და ზუაშვილმა შიომ; – ასე რომე, ჩვენი მოყვრები, რუისის ეკლესიის ყმანი *ბეჟუაშვილი გოგია* და *გოდერძა* მათის სიმაღლის **კელმწიფის ბრძანებით დაჭერილი გყვანდათ, ხაროში გყვართ**, ჩვენ შემოგეხვეწენით ამათს აშვებას“².

ორმოს გაკეთება. იმის ძირი, *გვამი* გადგმული პქონდა, მაღლიდან თანდათან ვაპატარავებდით და კარებს უკეთებდით სიგრძე-სიგანით. ერთ არშინს უკეთებდით

¹ გ. ჯალაბაძე. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986, გვ. 280-283.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 153.

ჩასასვლელად. ამოვთხრიდით და ამოვიღებდით მარტო მიწას, მიწის კედელი ჰქონდა. როცა ჭირნახულს ჩასაყრელად გავამზადებდით, იმას მიუწყობდით ბევრ თივას გვერდზე, გარეშამო ნაპირზე. რომ არ წამხდარიყო მარცვალი, ზევიდან მზეს დავაყრიდით და ფიცარს დავაფარებდით. ამოვიღებდით პურის მარცვალს და იქვე გავაკეთებდით *ცხრილზე*, თუ კარგი ამინდი იქნებოდა, და გავგზავნიდით წისქვილში. მერე ისევ თავს დავხურავდით, რომ არაფერი ჩაცვენილიყო შიგა, და მეორე წლამდი თავდახურული იყო, მინემ ახალი მოსავალი არ მოვიდოდა. ორმოში შეიძლებოდა ორ წელიწადს, სამ წელიწადს შენახვა პურისა, ხაროშიც ეგრე, ბედელში კი შვიდ წლამდე შეიძლება შენახვა“¹.

ქართლში მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებით გარკვეული რწმენა-წარმოდგენები არსებობდ, მაგალითად, უქმე დღეებში და კვირაობით არ მუშაობდენ. „**სამუშაო დღეს სოფელში რომ ვინმე გარდაცვლილიყო, გუთნეული უნდა მოშლილიყო**“ – „არ შეიძლებოდა მიწის გადაბრუნება“². აგრეთვე ხენის პირველ დღეს, გუთნეული რომ სოფელს გასცდებოდა, გუთნისდედას ხარებისა და გუთნისათვის ნაკურთხი წყალი უნდა გადაეხსა.

ქართლში მკის დამთავრების დროს მესვეური პურის საუკეთესო თავთავისაგან კრავდა *ჯვარს*, რომელიც ყანის პატრონთან – დიასახლითან მიჰქონდა. ამ ჯვარს დედაბოძზე კიდებდნენ. იცოდნენ თავთავისაგან შეკრული ჯვრის ბედელში ჩაგდება (მაგალითად, ატენის ხეობაში), პურს ბარაქა მიეცემო. დიასახლისი კი *მესვეურს* მამლით ასაჩუქრებდა, რომელსაც *ჯვრის მამალი* ერქვა; მამალს ვახშმად კლავდნენ და მის თავს მესვეურს მიართმევდნენ. ქართლშივე სცოდნიათ აგრეთვე ახალ წელს

¹ მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ივანე ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტომი I, თბ., 1976, გვ. 229-230.

² თ. გელაძე. მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები. – ქსნის ხეობა, 1975, გვ. 94.

ბასილის კვერებზე ჯვრის ამოჭრა, რომელთაგან ერთს დასათეს თესლში ურევდნენ, მეორეს საქონელს აჭმევდნენ, ხოლო მესამეს კი ხენა-თესვის დაწყების დროს პირველ ხნულში დებდნენ და ბარაქიან წელიწადსა და კარგ მოსავალს შესთხოვდნენ. ხენა-თესვის დროს ხნულში ადამიანის გამოსახულებიანი ბასილა კვერის ჩადებაც იცოდნენ. ასევე სცოდნიათ ახალ წელს გამომცხვარი ბასილის კვერიდან ამოჭრილი ჯვრის ცომში შერევა, რაც პურის ბარაქიანობისათვის კეთდებოდა¹.

კალთზე პირველი განალეწი ხორბლეულიდან იღებდნენ „პურის ზედაშეს“. მის შესახებ გიორგი ჯალაბაძეს საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა ჩაუწერია ატენში: „პურის ზედაშე ძველად ყველა ოჯახს გააჩნდა. ამადლების სახელზე იღებდნენ საზედაშე პურს, ჩაყრიდნენ გოდორში, რომელიც ნეხვით იყო გაღესილი. ამადლების დღეობა რომ მოვიდოდა ერთი კვირით ადრე დაფქვავენდნენ საზედაშე პურს და იმის ნამცხვარი მიჰქონდათ დღეობაში წრომში ეკლესიის კარზე. გოდორში ორი ფუთი მაინც ჩადიოდა. შემდეგ ხუციშვილის ოჯახს პურის ზედაშე ამოუკვეთია და საზედაშე გოდორი გარდატენში ღვთისმშობლის კარზე მიუტანია და იქ დაუტოვებია. ასევე ამოუკვეთია ერბოს ზედაშე და ბოლოს ღვინისაც“².

ქართლის მთისწინეთსა და მთიანეთში, კერძოდ ქსნისა და ღვინურას ხეობებში, ეთნოლოგთა მიერ დასატურებული იქნა ე. წ. ხატის მიწები (ანალოგიურად ხევსურეთისა): ხატის ტყე, ხატის ყამირი მიწები, ხატის სახნავ-სათესი მიწები, ხატის სათიბები, ხატის საძოვრები და ხატის ვენახები. აქ ხატის მიწებს ამუშავებდნენ კოლექტიურად, ან სარგებლობდნენ მორიგეობით (ხატის სასარგებლოდ ვადიანი ნატურალური გადასახადით), ან

¹ ჯ. რუხაძე. ხალხური აგრარული დღესასწაულები დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 165.

² გ. ჯალაბაძე. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986, გვ. 1986, გვ. 280-284.

ამუშავებდნენ უმიწაწყლოები და ღარიბები, რომლებიც „ხატის ბეგარას“ იხდიდნენ.

ქართლი დღესაც განთქმულია ვაზის სხვადასხვა უნიკალური ჯიშით, რომლებიც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომა-საქმიანობის შედეგად არის მიღებული-გამოყვანილი. ქართლის სხვადასხვა კუთხეში გამოყვანილი იყო მხოლოდ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ვაზის ჯიშები (72 ჯიში), რომლებსაგანაც განსაკუთრებული ხარისხის ღვინოები დგებოდა; შეიძლება დავასახელოთ: *გორული, რქაწითელი, მწვანე, თითა, ბუდეშური, თეთრი საფერავი, ბუზის ყურძენი, ჩინური, არავისპირულა, კასპურა, მსხვილმარცვალა//განჯური, საფერავი (შავი), ადრიანი/ანდრეული (შავი), დანახარულა, შავკაპიტო//თავკვერი, დირბულა, იმერულა, ფრანგულა (შავი), ძელ-შავი//„ძველ-შავი“, მტრედის-ფეხა, ხარისთვალა, გაღმამხრული, დიდმური/საბატონო¹ ... განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ატენური. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ღვინო აქაური (ქართლის გაღმა მხარე იგულისხმება – რ. თ.) უმჯობესი ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“².*

ქართლში ატენის ხეობა ერთადერთი მიკრორეგიონი იყო, სადაც კედლიანი ტერასები არსებობდა. აქ ვენახები ხეობის ორივე მხარეზე ქვის კედლებით შემაგრებულ ტერასებზე იყო განლაგებული. ამ ტერასებს ატენის ხეობაში *ბაქნებს* უწოდებენ. ნიშანდობლივია, რომ ატენის ხეობაში ტერასები სამოსახლოებთან ერთად ერთ კომპლექსში იყო წარმოდგენილი. აქაური ბაქნები საკმაოდ დიდი ხნის წინ იყო აგებული. საერთოდ ტერასების შენება ძალიან შრომატევადი საქმიანობა გახლდათ., საჭირო იყო ბევრი მუშახელი, რისთვისაც მეზობლები და

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, ტფ., 1934, გვ. 415-426.

² ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 345.

ნათესავეები დროებით შრომით გაერთიანებებს ქმნიდნენ, აგრეთვე ტერასის აგებას ერთ წელიწადში ფაქტობრივად ვერ ახერხებდნენ. ატენის ხეობის ბაქნებზე/ტერასებზე ძირითადად ვენახი ჰქონდათ გაშენებული. ბაქნების სიმაღლე ერთიდან ორმეტრნახევრამდეა, სიგრძე კი ოც მეტრამდე აღწევდა. ძველად ბაქნებზე ხეივნები ჰქონიათ მოწყობილი. გავრცელებული ვახის ჯიშები აქ იყო *ატენური მწვანე, თავკვერი, ჩინური, ბუდეშური*. ტერასებზე ხეხილი განაპირა ადგილებში ჰქონდათ. ატენური ტერასები ირწყვებოდა¹. ქართლში ტერასების ნაშთები ქსნის ხეობის შენაკად *ცხავატურის* მარჯვენა ნაპირზე იყო შემორჩენილი. აქაც მზვარე ტერასებზე ძველად ვენახები ჰქონიათ გაშენებული. ქართლშივე უკედლო ტერასებიც არსებობდა, რასაც სხვადასხვა აღმნიშვნელი სახელწოდება ჰქონდა. სოფელ დილოში ასეთი უკედლო ტერასებს *ტახტ* უწოდებდნენ. სხვაგან კი *ლარა მამულების* სახელით იყო ცნობილი (მაგალითად, ბაზალეთში).

ქართლში ვენახში მხოლოდ ვახი როდი ჰქონდათ მოშენებული. ვახებს შორის ეთესათ ლობიო, ცერცვი, ოსპი, მუხუდო... ხოლო ნაპირებზე ჩაყოლებული ჰქონდა სიმინდი, სარის ლობიო. იქვე ყორეებზე გოგრა იყო გაშვებული.

ქართლი განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო მეხილეობით. მეურნეობის ამ დარგს, ისევე როგორც სხვა სფეროებს, ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება: „შარდენის სიტყვითაც, მე-XVII ს-შიც საქართველო უადრესად ნაყოფიერი ქვეყანა იყო, რომელშიც **ყოველნაირი მარცვლეული, ბოსტნეული და ხილეული მოდიოდა**, მეტადრე სარწყავ ადგილებში. პური ისევე კარგი ყოფილა, როგორიც სხვაგან დედამიწის ზურგზე იყო. **ხილეულიც საქართველოში ყოველგვარი და საუცხოო ჰქონი-**

¹ ლ. ბერიაშვილი. ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში. – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. მასალები (მემინდვრეობა), თბ., 1985, გვ. 23-24.

ათ¹. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ ტფილისში „გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლისა ხილითა და ყვავილითა სავსე“ იყო. ვენახებითა და ბაღებით ყოფილა შემორტყმული ქალაქი გორიც. ბაღ-ვენახები ქართლში ჩვეულებრივ ღობეებით ჰქონდათ შემოფარგლული. ქართლში ხეხილის გაკულტურულების ძველი და მდიდარი ტრადიცია არსებობდა. ბოტანიკოს ნიკო კეცხოველს ამის ასეთი ფაქტი აქვს მოთხრობილი – ქვემო ქართლში ფოლადაურის, ალგეთის, ქციის ხეობებში მრავალ ადგილას გლეხებს ტყე-ბაღები ჰქონდათ შექმნილი, რასაც შემდეგნაირად ახდენდნენ: როდესაც ტყეს ჩეხავენ და ძირკვავენ, პირველ ხანებში ტოვებენ ყოველგვარ ხილუულს – უმთავარესად კი ვაშლს, პანტას, ტყემალს, ბალაძეშარას და ზღმარტლს. ამის შემდეგ ვიდებთ ბაღნარს, სადაც ხეები ურთიერთისაგან დაცილებულია 20-30 მეტრით. გაახოვებული ადგილი იხვნება ან იბარება და ითესება – პირველ ორ-სამ წელს კარტოფილი, შემდეგ კი ხორბლეული. ამ პირველი ეტაპის შემდეგ, მეორე ეტაპზე ხდება ხილულის პირველადი გადარჩევა. 2-3 წლის შემდეგ იჩეხებოდა მწკლარტე და მწარე ნაყოფის მომცემი ხეები. ასეთი ხეებისაგან განთავისუფლების შემდეგ, დარჩენილი ხეები ბარაქიანად იხამდნენ. მესამე ეტაპზე ხდებოდა მეორე ეტაპზე გადარჩეულ ხეებზე დაკვირვება და შერჩევა ნაყოფის სილამაზის, გემოსა და გამძლეობის უნარის მიხედვით. ასე ქმნიდა ქართველი გლეხი ტყისაგან ბაღებს. სულ ბოლოს ხდებოდა ნაკლები სილამაზისა და გემოს ხეების გადაბეღვა და მათზე შესაფერისი ჯიშის მცენარის დამყნობა კვირტითა და კალმით². ქართლში ასეთი შერჩევითა და მოვლა-მოშინაურებით ახდენდნენ აგრეთვე ჭაღლისა და ტყის პირებში ბაღების შექმნას. ამ გზით ბევ-

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, ტფ., 1934, გვ. 113.

² ნ. კეცხოველი. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 153-154.

რი ვაშლნარი, სხალნარი, შინდნარი და თხილნარი ყოფილა შექმნილი¹.

ქართველ გლეხს ხეხილის გამრავლების სხვადასხვა ხერხი ჰქონდა შემუშავებული, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს *მოშინაურება*, *დამყნობა* (სულხან-საბა ორბელიანი „მყნას სხუა ხეს სხავზე შებმას“ უწოდებს), *გადაწვენა*//*გადაწიდნვა*, *ტოტებით გამრავლება*, *თესლთესვა*... ნიკო კეცხოველს ნიჩბისის ხეობაში ტყიდან ჯონჯოლის გადმოტანის საინტერესო ფაქტი აქვს დადასტურებული: „ჯონჯოლი ტყიდანაა ჩამოტანილი. ჩემს ბიჭს ჰქონდა შეგუებული კაი მსხმოიარე ძირები და სწორედ იმის ნაბარტყი ჩამოიტანა ამ ათი წლის წინ. მეზობლებმა კი ამის ნაბარტყი წაიღეს, ღამისაა სულ დამიობლონ ძირები“.

ქართლელი მებაღეები ბაღ-ვენახების გაშენებისას ძირითადად დაკუთხვის წესს მისდევდნენ, რაც განპირობებული იყო ხეხილის მწკრივად გამრავლებითა და რწყვის სისტემის თავისებურებებით. ცდილობდნენ ხეხილი სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის დაქანებულ ადგილებზე გაეშენებინათ. საყურადღებოა, რომ ქართლში XIX საუკუნემდე მხოლოდ ხეხილის ბაღებს იშვიათად მართავდნენ, ბაღი ვენახთან ერთად ჰქონდათ – ვენახს ბაღები გარშემო ჰქონდა შემორტყმული. ასე რომ, ბაღ-ვენახები ერთად ჰქონდათ გაშენებული. ქართლელმა გლეხმა კარგად იცოდა, რომ აუცილებელი იყო ხეხილის მოვლა. საამისოდ კი მთელი რიგი წესები ჰქონდა შემუშავებული. გლეხმა კარგად იცოდა, რომ „თუ ხეხილს არ მოუარე, უკანუკან მიდის და თავის წინაპარს ემსგავსება“². ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას გასხვლას ანიჭებდნენ. გამომუშავებული ჰქონდათ ხილის შენახვის წესები; იცოდნენ მისი ტოტები-

¹ დ. პავლიაშვილი. მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1982, გვ. 38.

² დ. პავლიაშვილი. მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში..., გვ. 71.

ნად და აჯაგენის წესით შენახავა, რომელსაც მარანში ან სხვენში კიდებდნენ. ზემოთ ნათქვამი იყო, რომ მარცვლეულს ორმოებსა და ხაროებში ინახავდნენ. ტრადიციული იყო ხილის (ვაშლის, მსხლისა და კომშის) ორმოში შენახვაც. მხოლოდ აუცილებელი იყო გარკვეული რაოდენობის ხილის ჩალაგების შემდეგ ფენებად თივის დაგება. იყო ისეთი ჯიშის ვაშლიც, რომელიც ხეზე ფაქტობრივად არ მწიფდებოდა და მისი დამწიფება ხდებოდა მხოლოდ ორმოში ჩალაგება-შენახვის შემდეგ. მაგალითად, სოფელ დიდომში ასეთი ჯიშის ვაშლს *ხომანდულს* უწოდებდნენ. ხილის ხმელად შენახვის ტრადიციაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული – ამზადებდნენ *ჩირს, კერკს, ტელაპს...* იცოდნენ გახურებულ ქვაზე, სახლის სახურავზე, ლასტზე, ცხელ ნაცარში გაშრობა-გახმობა. გახმობის წინ ზოგიერთი ხილის (მსხალი, ქლიავი) გათუთქვასაც ახდენდნენ. ჩირს ქართველები, ჩურჩხელასთან ერთად, ფართოდ იყენებდნენ საკვებად ომის დროს. ვაშლს ხალხი ნაყოფიერებისა და დოვლათიანობის სიმბოლოდაც მიიჩნევდა. ქორწილის დროს ნეფე-დედოფალს ყოველთვის წინ უდებდნენ *ჯვრის პურს*, რომელზედაც სამი ცალი წითელი ვაშლისაგან ჯვარი იყო გამოსახული.

ქართველი ხალხის ბებადეობა-მეხილეობისადმი შემოქმედებით დამოკიდებულების დამადასტურებელია ის უამრავი ხეხილის ჯიში, რომლებიც ქართლში არსებობდა. ვაშლის ჯიშებიდან შეიძლება დავასახელოთ: *აბილაური, ბორა, თეთრი ადრეულა, ქართული სინაპი, ვოგიაანთ კიტრა, ნისკარტა, კიტრა, ყვითელი კიტრა, ქაშა კიტრა, რაკრაკა კიტრა, მჟავე კიტრა, ძუძუ-ქაღა, ზერტულა, ხანდაკურა, კეხურა, ყირიმულა, თურაშაული, ვორული სინაპი, ქაშავაშლა, სირმა ღურჯი, მერეთულა, წითელი ვაშლი, ყრუაღა, ძუძუ ვაშლა, ხომანდული*. ქართლში მრავალფეროვანი მსხლის ჯიშებიც არსებობდა. ვახუშტიც ხომ აღნიშნავდა: „მსხალი და ვაშლი მრავალგვარი“-ო. მსხლის ჯიშებიდან *გულაბის, ხეჭეჭურის*

დასახელებაც საკმარისია; სულ კი 33 ჯიშზე მეტია დასატურებული. იგივე ითქმის კომშის, ლელვის, ატმის, ჭერამისა და გარგრის, ნუშის, ტყემლის, ქლიავის, კვრინჩხის, ბროწეულის, ბალის, ალუბლის, თხილის, ფშატის, ზღმარტლის, შინდის, კაკლის, თუთის და სხვათა შესახებ. თუთას, გარდა საკვებისა, სამკურნალოდაც იყენებდნენ, განსაკუთრებით ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ **მისწრება იყო თუთის უნიკალური ჯიშისაგან – ხართუთისაგან – ბაქმაზის/მაშარაფის და მურაბის გაკეთება. ის ყელის ტკივილის უებარი წამალია. ხართუთის/მაშარაფის ხეები ქართლში ფაქტობრივად აღარ არსებობს; მხოლოდ რამდენიმე ძირია შემორჩენილი სოფელ დიდლმში. სულ რაღაც სამი-ოთხი ათეული წლის წინ სოფელში სამას-ოთხასწლოვანი ხართუთის ხეები იყო შემორჩენილი. მისი ნაყოფი მუქი შავია, მოტკბილ-მომჟავო. არ იბერტყება. მხოლოდ ხელით უნდა მოიკრიფოს. ეთნოლოგ დავით პავლიაშვილს თავის დროზე სოფელ დიდლმში ჩაუწერია: „თითო-ოროლა მაშარაფის ხე ყველას გვედგა და რაკი ისე დიდი იზრდება, რომ ვერც კი ვლევდით, მისგან არაყსაც კი ვხდიდით ხოლმე“-ო. მათივე გადმოცემით, „მაშარაფი“ ანუ ხართუთა ძველად ძალიან გამრავლებული ყოფილა და მართალია ის ცოტა გვიან შემოდისოდა, მაგრამ გვიან შემოდგომამდეც არ იღვოდა და თუ კარგად არ დაშავდებოდა, ხელითაც კი ვერ მოგლეჯამდი“-ო¹.**

საქართველოს თითქმის ყველა მხარეში განვითარებული იყო მებოსტნეობა, მაგრამ განსაკუთრებულ მაღალ დონეს მუდრუნობის ამ დარგმა ქართლში – თბილისის სანახებში მიაღწია. თბილისის საგარეუბნო ზონაში მებოსტნეობის განვითარებას თავისი მიზეზები ჰქონდა;

¹ დ. პავლიაშვილი. მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში., გვ. 151. ქართლში მეხილეობის კულტურის შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი დავით პავლიაშვილის დასახელებულ წიგნში, რომელიც მეხილეობის მიმდევარმა ქართველმა სპეციალისტებმა შეიძლება ის პრაქტიკული მიზნითაც გამოიყენონ.

ეს იყო თბილისის ბაზარი და ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის აღნიშნულ პროდუქტებზე. საბაზრო დანიშნულება თბილისის სანახებში ჰქონდა კრწანისში, დიდუბეში, დიღომში, ავჭალაში, გლდანში... აქ მიწათმოქმედების სისტემაში საბოსტნე ნაკვეთების ოთხი სახე მოწოდება: ვაკეზე, ფერდობზე, ჭაობზე და ჭალაზე. ფერდებზე ბოსტნები „ტახტებზე“ (ხელოვნურად ტერასების სახით მოსწორებული ადგილი) ჰქონდათ მოწყობილი. ბოსტანში აუცილებლად *კვლები* ჰქონდათ გაკეთებული, რომლებსაც ერთმანეთისაგან *ბაზოები* მიჯნავდა. ბაზოებზეც ითესებოდა სხვადასხვა მწვანილი: ჭარხალი, ოხრახუში... კვლებს თავსა და ბოლოში ღობიო გასდევდა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ერთ მწკრივად, რომ ჩრდილი სხვას არ მისდგომოდა. ასეთი საბოსტნე ადგილები თუ მორწყვას საჭიროებდა, ჭაობებში მოწყობილ ბოსტნებს, პირიქით, საწრეტი არხები სჭირდებოდა. ბოსტნის დამუშავებისას შრომის შემდეგი პროცესები სრულდებოდა: *ბარვა, თოხნა, დაკვალვა, დაბაზოება, დაშარვა, დაფუშტვა, თესვა, რგვა, ფოცხვა, მარგვლა, შალთვა, მოსავლის თოხნა, მორწყვა* და სხვ. მებოსტნეობის სამუშაოების შესრულების პროცესში არსებობდა სეზონური შრომითი გაერთიანებები: ნაცვალგარდა ანუ რიგრიგა, დაძახილი, ულამი... ბოსტანში მიწას მხოლოდ ბარით ამუშავებდნენ. ბოსტნის მოვლაში ქალებიც იყვნენ ჩართული – ისინი მარგლავდნენ და შალთავდნენ. ბოსტანში პატივი შეჰქონდათ არა მხოლოდ ხელით, არამედ წყლის საშუალებითაც. რწყავდნენ დილით ადრე ან საღამოს. სიცხეში რწყვისას ბოსტნეული იხარშებოდა, ავადდებოდა („ქაზლდებოდა“). ქართლის მოსახლეობა ფართოდ გამოიყენებდა აგრეთვე გარეულ მწვანილ-მხალეულს: *ნაცარქათამა, დანდური, ბაღბა, ხაჭმაჭიჭა, ჭინჭარი, სატაცური, სვინტრი, ღოღო, დანძილი...* XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან თბილისის სანახებში მებოსტნეობა-მებაღეობამ სასაქონლო ხასიათი მიიღო, რამაც გამოიწვია მება-

დე-მეზოსტნეების დაქირავება. ასეთ დაქირავებულთა შორის ბევრნი იყვნენ დასავლეთ საქართველოდან გადმოსულები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დაქირავებას მეურნეობის ამ სფეროში თბილსსა და მის შემოგარენში ადრეც ჰქონდა ადგილი. XVIII საუკუნეში დადასტურებულია სპარსელთა „ჰამშარებად“ ანუ ჯგუფებად შემოსვლა. თბილისის სანახებში მოსავლის გადიდების მიზნით რაციონალურ საშუალებებთან ერთად ირაციონალურ საშუალებებსაც მიმართავდნენ. მაგალითად, ბოსტნეულს არ დათესავდნენ, ახალ მთვარეზე, სანამ არ „გამოხუთმაფათდებოდა“, რადგან მოსავალს ჭია შეჭამსო. ბოსტნეულის თესვის დროს მთესველი არ ჭამდა „თეთრეულს“: მაწონს, რძეს, ყველს, დომხლის შეჭამანდს, მაწვნის შეჭამანდს, კარაქს და სხვ. ამავე დროს, ხმას არავის გასცემდა, ხოლო მის მიერ მოპნეული თესლი სხვას უნდა გადაეფარცხა. მეზოსტნეები მაისის თვეში „სამხოს“ კლავდნენ ცა-ღრუბლის სიმწვიდის და კარგი მოსავლის უზრუნველყოფის მიზნით. თბილისის სანახებში ბაზარზე გამოსატან ბოსტნეულს (მწვანილს) *კაპიჭით* კრავდნენ. ცნობილი იყო სამი სახის კონა, რომელთაგან ერთ-ერთს *დიღმური* ეწოდებოდა. კაპიჭით შეკრულ ბაზარში წასაღებ მწვანილს გოდრებსა და კალათებში აწყობდნენ. სხვათა შორის, სოფელ დიღომში ყველაზე ძველ მეზადე-მეზოსტნეებად თოფჩიშვილების გვარი მიიჩნეოდა, რომლებიც ადრიდანვე სოფლის მეურნეობიდან მხოლოდ და მხოლოდ ძირითადად მეზოსტნეობასა და მეზადეობას მისდევდნენ, რითაც ისინი თბილისის ბაზრებთან იყვნენ დაკავშირებული. ხოლო მეზოსტნეობიდან ძირითადად მწვანილი მოჰყავდათ და ამის გამო თოფჩიშვილებს *მემწვანილეებს* ეძახდნენ. ხოლო დანარჩენი მეზადე-მეზოსტნეები მისდევდნენ პამიდურის, კიტრის, სტაფილოს და ჭარხლის მოყვანას¹. მწვანილთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სიტყვებიც უნ-

¹ ჯ. სონდულაშვილი. მეზოსტნეობა თბილისის სანახებში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1959.

და გავიხსენოთ: ძველად ქართველს გემრიელი და მწონი პურის ჭამა უმწვანილოდ ვერ წარმოედგინა და მწვანელი, აუციელებლად სუფრის კუთვნილებასა და მშვენებას შეადგენდა ... ეს გარემოება ნაბახტევის ეკლესიის მე-15 ს. პირველი ნახევრის კედლის მხატვრობითაც საუცხლოდ მტკიცდება: სერობის სურათის ჩვეულებრივი კომპოზიციის მაგიერ, როდესაც სუფრაზე პური, თევზი და ღვინო იყო ხოლმე დახატული, იქ მწვანელიც, ბოლოკიც და ხახვიც პხატია¹.

ქართლში არა მხოლოდ ბოსტნები ირწყვებოდა. აქ ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ *სარწყავ* და *ურწყავ* მიწებს. ურწყავად ის მიწები იყო დარჩენილი, სადაც წყალი არ უდებოდა. შუა საუკუნეების საისტორიო საბუთებში, მიწის გასხვისების დროს თითქმის ყოველთვის აღნიშნულია სახნავი მიწის მდგომარეობა, მაგალითად 1716 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „...ასე რომ დიდად დაგვეჭირა ... და მოგყიდეთ... გლეხი და საკომლო... მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, მითითა და ბართთა, უცმართთა და საცმართთა, ველითა, ვენაჭითა, წყლითა და საგუბრითა, **ურწყავითა** და **სარწყავითა**, სახლითა, კართა, ქვევრითა, მარანითა...“². ქართლში რწყვის დამახასიათებელი თავისებურება იყო მდინარიდან გადმოყვანილი სარწყავი წყლის თვითდინების გამოყენების წესი. დახრილი გეზის შერჩევისათვის ხალხი მიმართავდა ფართო სათავის მოწყობას. წყალი თვითდინებით მიდიოდა. რუს დიდი ქართული გუთნით ჭრიდნენ, გუთნითვე ხდებოდა წყლის უფრო მცირე სადინარების – ნაკადულების, ეტების და საქცევების გაჭრა. არხის გეზის მიმართულების დასადგენად ქართლში დამოწმებულია გზაზე დატვირთული სახედრის გატარება და შემდეგ მის ნაკვალევზე გუთნით

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, 1936, გვ. 140.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1940, გვ. 171.

კვალის გატარება და რუს გაჭრა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არხის/რუს სათავე ნაგებობის სათანადოდ მოწყობას, რაზედაც მთელი სოფლის მამაკაცები ბარებით და ნიხბებით სათანადოდ ირჯებოდნენ. გზადაგზა საყოფელების საშუალებით გაყვანილი იყო ჩვეულებრივი რუები ამა თუ იმ სოფლის ან ამა თუ იმ უბნისათვის. ამ რუებიდან სათანადო ადგილებზე გადაყვანილი იყო მცირე რუები – ნაკადულები, რომლებიც უშუალოდ ცალკე სარწყავ ნაკვეთებში შედიოდა. გაზაფხულით რუს მთელი სიგრძის გაწმენდას სოფელი ერთობლივად ახდენდა: წმენდნენ შლამისაგან და შიგ მოხვედრილი ნაგვისა და სხვადასხვა საგნებისაგან. სარწყავი წყლის განაწილება საგანგებო პირების – *მერუეების* – საქმე იყო. მის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე რუს წესრიგში მოყვანა და წყლის დადგენილი წესით განაწილება. მერუეე თითოეულ მომრწყველს ერთ სარწყავ წყალს აძლევდა. გარდა ერთი სარწყავი წყლისა, წყლის საზომ ერთეულად მიღებული იყო აგრეთვე „საწისქვილი“ (წყლის რაოდენობა, რომელიც ერთ თვალ წისქვილს აბრუნებდა). ქართლის სოფლებისათვის იშვიათი არ იყო გვალვიან პერიოდში „თოხების ტრიალი“ – ჩხუბი წყლის „დამხეგებელსა“ (მომპარავსა) და მას შორის, ვისაც გარკვეული დროით რიგით წყალი ეკუთვნოდა. შუა საუკუნეებში წყლის მომპარავისათვის განსაკუთრებული სასჯელი იყო დაწესებული. წყლის უჯეროდ წაყვანისათვის „გლენი, რომელიც წყალს მოიპარავს, უნდა დაარბიონ და აიკლან“ – წერია XVIII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში. ქართლში ყოფილა შემთხვევები წყლის ქურდთან რამდენიმე კაცის მიჭრისა და მისთვის ხარის დაკვლისა, ქვეყრის ახდისა და იქვე დრეობისა.

ქართლში ბადები წელიწადში ერთხელ ირწყვებოდა, სიმინდის ყანები – სამჯერ (დათესვის შემდეგ, მერე თოხნაზე და ტაროში შესვლის წინ), პურისა და ქერის ყანები – ორჯერ (დათესვის შემდეგ და თავთავის გაკეთებამდე). რწყვის დროს წყალში მიწის განოყიერე-

ბის მიზნით იცოდნენ წყალში ნაკელის ჩაყრა¹. სადაც შესაძლებელი იყო სარწყავად იყენებდნენ წყაროს წყლებსაც (მაგალითად სოფელ დილომში ასეთი წყაროები იყო: „თელა წყარო“, „პეტას წყარო“, „თეთრანთ წყარო“, „კიჭიჭურები“). საამისოდ წყაროებთან ხშირად მოწყობილი იყო მოზრდილი აუზები, რომლებსაც საბანაოდ იყენებდნენ ხოლმე. შიდა ქართლში სარწყავი არხები/რუები კედლებზეც ჰქონდათ გაყვანილი. ასეთი რუ არსებობდა სოფელ დილომში, სადაც ბატონიანთ დიდ ეზოს გზის მხარეს გრძელი ქვის ღობე/კედელი გასდევდა. ამ კედელის ღობეზე ზემოდან რუ იყო გაკეთებული. დიდი არხების გაყვანის საქმეს სამეფო კარი აწესრიგებდა. საამისო ცნობა „დასტურლამალში“ (1703-1724) გვაქვს დაცული: „ურბნისის რუ საქაშეთამდი შინდელთ გამოიღონ; იქიდამ საქაშელთ და თვალათუბნელთ შირშაბნის საყდრამდი; იმას აქათ ვარიანელთ; სასირეთელთ და არაშენდელთ რუისის თავამდინ გამოიღონ; იმას აქეთ გორის გზა რომ მლაშის წყალს შეეყრების იქამდინ ურბნელთ უნდა გამოიღონ“². შეიძლება დავასკვნათ, რომ მორწყვას ქართლის სამეურნეო განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მორწყვამ ქართლის მიწათმოქმედება ინტენსიური გახადა, გლეხს საშუალება მისცა უფრო მეტი მოსავალი მოეწია. *ნიკო ბერძენიშვილს* თუ დავესესხებით, მორწყვის საქმე ხელს უწყობს საერთო შეგნებას, დისციპლინას, ორგანიზებულობას, მცირე სასოფლო არხები ამა თუ იმ სოფლის სიდიდე-სიმცირესაც განსაზღვრავდა და დასახლების ტიპსაც. XVII-XVIII საუკუნების რამდენიმე საბუთში აღნიშნულია, რომ ამა თუ იმ სოფლის რუს გატანას ან აღდგენას სამეფო ხელისუფლება ახდენდა. 1770 წლის არზაში, რომელიც მარაბდელებს მიუციათ *ერეკლე II*-სათვის, ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწი-

¹ მ. გუგუშიძე. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961.

² ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 274.

ფის ჭირი მოსცეს ერთობლივ მარაბდას მოსახლეთა. შარშან თქვენგან წყალობა დაგვემართა და რუ გამოგვიტანეთ. ზოგი თქვენი წყალობა იყო და თქვენს წყალობას გარდა ზოგი ჩვენს დავხარჯეთ, მაგრამ ხელი ვერ დაუშთავერეთ, ისიც თარაქამის საქონელმა წაგვიხდინა. ამას გევედრებით, რომ ჩვენ შეძლება არა გვაქვს, ორმოციოთ მუშა თარაქამიდამ გვიბოძოთ, რაღაც ნახნავი გვაქვს მოურწყობით არ წაგვიხდეს, იმათი შესამატიცა ვართ, ყარაულნიცა. იმათი საქონელი მუდამ ჩვენშია“. არზახე ერეკლე მეფეს მიუწერია: „ქ. ჩვენი ბძანება არის, მერე ეს რომელიც მოვიხსენებიათ, ეს კი არ გარიგდება, მაგრამ თქვენ იმ რუს გამოტანას ეცადენით, გააკეთეთ და რასაც დახარჯავთ, ნავროზ უკან ჩვენ გიბოძებთ“¹. ფრიად საგულისყურია 1749 წლის შიდა ქართლის სოფელ *ბერბუკის* გაღავნისა და რუების კეთების დანახარჯის ანგარიში, რომლის მიხედვითაც „ოთხს დღეს რუზე მუშამ იმუშავა ოთხმოცდათორმეტმა, მუშამ ერთ შაურათ“². XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში შიდა ქართლის სოფელ *ჯარიაშენში* სასმელი წყლის გამოყვანისას *დაძახილი* მოუწევიათ: „სოფლის საერთო საქმე რომ კეთდებოდა, მაგალითად წყლის გამოყვანაზე, მაგასაც დაძახილი ერქვა, დაძახილი აზნაურმა *დათიკო სრესელმა* მოაწყო. ამ დროს ბოლშევიკები ახალი შემოსული იყვნენ. დაძახილი შეეხო *ადეს, ახალუბანს, მუმლაანს* და *ჯარიაშენს*. ის სოფლები დაგვეხმარნენ; მე რო ვთხრიდი, სხვა ყრიდა მიწას, მესამე მიღს აწყობდა. ერთდროულად კეთდებოდა ყველაფერი. წყალი მარტო *ჯარიაშენში* გამოიყვანეს. აძველები, ახალუბნელები და მუმლაანელები მხოლოდ გვეხმარებოდნენ. იმათ რო გაუჭირდებოდათ, ჩვენ ვეხმარებოდით. ეს სოფლები მომიჯნავეები ვიყავით. ახალუბანს მამული არ ჰქონდა და აქა

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ 74.

² ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 93.

ხნაენენ სრესელების მამულს. ზოგი სადალოდ იღებდა, ზოგი იჯარით, ზოგი სანახევროდ. როცა მუშაობა დამთავრდა, თავისი ხარჯით სრესელმა დაკლა ხარები, ღვინოც იმათი იყო. სოფელზე ზრუნავდა და ეს კაცი 1924 წელს დახვრიტეს“ (გიორგი მიხეილის ძე გოგიაშვილი. 85 წლის, 29. 06. 1988).

ზემოთ როგორც ითქვა, ქართლში სახვნელი მიწა სარწყავიც იყო და ურწყავიც. აქედან გამომდინარე მიწათმომქმედი გარკვეულად ცის ნამზეც, წვიმაზედაც იყო დამოკიდებული, მითუმეტეს გვალვის დროს, როდესაც სარწყავი წყლის ნაკლებობაც აშკარა იყო. ეთნოლოგ *მიხეილ გეგეშიძეს* შიდა ქართლის სოფელ ხურვალეთში ჩაუწერია: „მოელი გაზაფხული გაეწვალდებოდა, მოგხნამდით, დავთესამდით და ერთი ისლა გვევალდებოდა რო დაგვეფარცხა, ამის მერე ჩვენს ნათესებს ღმერთს მივაბარებდით, რო იმას შეენახა და ეპატრონა. ჩვენ არა შეგვეძლო რა, ღვთის ამარა ვიყავით“. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ შიდა ქართლის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში... გვალვის საწინააღმდეგო რაციონალური ... საშუალებების პარალელურად დამოწმებულია ირაციონალური, ე. ი. რელიგიური, საშუალებების ფართოდ გამოყენება წარსულში“¹.

ქართლში ბოსტნეულისა და ხილის შენახვის დიდი ტრადიცია არსებობდა; იცოდნენ დაჩირვა, ტყლაპის გაკეთება; ნიორს, ხახვს ერთმანეთზე ფოჩებით გადააწნავდნენ, რასაც *გალას* უწოდებდნენ. ნიორიც და ხახვიც ასე უფრო დიდხანს ინახებოდა. ყურძენს აკიდობად და ჯაგნებად ასხმულს ინახავდნენ. **იცოდნენ მსხმოიარე ვაზის მიწაში ჩაწვენაც**: „გავთხრიდით მიწას. დაუფენდით თივას და ჩავაწვენდით ვაზს. ზევიდან გადავაფარებდით ფიცარს და დავაყრიდით თივას ზევიდან და დავაყრიდით მიწას. რომ არავის არ ეცნო, დავახორავებდით სარსა. იანვარი რომ მოვიდოდა, ახალწელიწადს პატრო-

¹ მ. გეგეშიძე. სარწყავი მიწათმომქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა), თბ., 1961, გვ. 52.

ნი გაატანდა ყვერულს მორბედსა. დაკვლავდით ზოგი იქვე და ზოგი ღვინოს დაუსხავდით ვახს და მიულოცავდით და ვეტყოდით: „აი, მოგვილოცია. ასეთივე წითელი მოსავალი მოგვეღოს“. პატივს დაუყრიდით გოდრით ძირში და ვეტყოდით: აი, შენი მოცემული ღვინო შენვე მოგილოცე და შენვე მოგვეცი მრავალი ღვინო; აი, პატივი მოგეცი, ძალა მიომატეო“¹. მიუთითებენ, რომ ასე ყურძენი გაზაფხულამდე ინახებოდა. ყურძენს ინახავდნენ ნახერხშიც.

ძველად საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა სელის ზეთი. ამ მხრივ, ჯავახეთსა და თრიალეთთან ერთად, გამორჩეული იყო ქვემო ქართლი. მართალია, ქართლის მოსახლეობა ცხოველურ ცხიმებს მიირთმევდა (სელის ზეთს აქ ძირითადად მარხვის დროს გამოიყენებდნენ), მაგრამ სელის ზეთი მათ უფრო საქონლისათვის სჭირდებოდათ. უსვამდნენ კამეჩებს, გამოიყენებოდა სამკურნალო მიზნით. შუა საუკუნეებში საბარათიანოს სოფლის გამოსავალში კომლზე ლიტრა ზეთის გამოსაღები იყო გათვალისწინებული.

ქართლში მესაქონლეობაც სათანადოდ იყო განვითარებული, როგორც მსხვილფეხა, ისე წვერილფეხა მესაქონლეობა. მსხვილფეხა მესაქონლეობა მიწათმოქმედების ინტერესებისადმი იყო დაქვემდებარებული. მეურნეობის ეს დარგი უფრო მეტად ქვემო ქართლში იყო დაწინაურებული, რადგან აქ უფრო მეტი იყო ნაყოფიერი ბალახეულობით მდიდარი ალპური საძოვრები. აქვეა მტკვრისა და მტკვარში შემდინარე ხეობების დაბლობის საზამთრო საძოვრები. ვახუშტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვემო ქართლში ყველანაირი პირუტყვი ჰყავდათ, „თვინიერ აქლემისა პირუტყენი მრავალნი“. მეცნიერები განსაკუთრებით გამოყოფენ მსხვილფეხა მესაქონლეობის როლს ქვემო ქართლის ეკონომიკაში. ქვემო ქართლის ქართული და არაქართული, განსაკუთრებით

¹ შინამრეწველობის... ტომი III, ნაწილი II, თბ., 1986, გვ. 131.

მუსლიმური მოსახლეობის, მესაქონლეობის ფორმები ერთმანეთისაგან გასხვავებული იყო. ამ უკანასკნელთათვის თუ ნახევრადმომთაბარული (სხვათა შორის, **მომთაბარის აღმნიშვნელი სიტყვა ძველ ქართულში „მესხეში“ იყო**) ფორმა იყო დამახასიათებელი, ქართველებისათვის ორი ძირითადი ფორმა იყო დამახასიათებელი: ბარული // დაბლობის – მთისწინა ზოლში და ალპური – მთიანეთში¹. ქვემო ქართლის მესაქონლეობის განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა თბილისთან სიახლოვე. ბარულ მეურნეობის პირობებში ხშირად, როდესაც თბილი ზამთარი იყო, საქონელი ტყისპირებში ჰყავდათ გაშვებული. სხვა შემთხვევაში კი საქონელი ბაგურ კვებაზე ჰყავდათ და მას ძირითადად თივით კვებადნენ. ალპური მესაქონლეები ზაფხულში იყენებდნენ მთის საძოვრებს. საზაფხულო საძოვრებზე ხშირად მენახირეებს ქირაობდნენ, რომლებიც ძირითადად თათრები იყვნენ. ელის თათრები მომთაბარეობდნენ თრიალეთის საძოვრებზე; ისინი ოჯახებით გადაადგილდებოდნენ.

ცნობილია, რომ ქართველი ხალხის მეურნეობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედებაა, მაგრამ მის განვითარებას მესაქონლეობის არსებობა უწყობდა ხელს. „მიწის მხენელის მარჯვენა ხელი საქონელია. უამისოდ საქართველოში მიწის მხენელი უხსოვარი დროიდანვე ვერ მოხნავდა მიწას. მარჯვენა ხელს კი ვინ არ გაუფროთხილდება თუ არა ხელი?“. ამიტომაც იყო მიწათმოქმედი გლეხის დალოცვა ასეთი: „გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთნის ღვედს, ცის ნამსა და მიწის მოსავალს“. ისტორიულად ქვემო ქართლში კამეჩიც მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყოლიათ, რადგან ხართან ერთად ხენაში მასაც გამოიყენებდნენ.

¹ თ. ცაგარეიშვილი. მესაქონლეობის ისტორიისათვის ქვემო ქართლში, თბ., 1987, გვ. 22.

² შ. დედაბრიშვილი. ციტირებულია წიგნიდან – თ. ცაგარეიშვილი. მესაქონლეობის ისტორიისათვის ქვემო ქართლში, თბ., 1987, გვ. 52.

ამ დაქვემდებარების გამო იყო, რომ მეწველი საქონელი მცირე რაოდენობით ჰყავდათ, რის გამოც მიმართავდნენ შრომითი გაერთიანების ისეთ ფორმას, როგორიცაა *ხანულობა* (გარდა ქართლისა ხანულობა/ჯერით წველა იცოდნენ აგრეთვე სამცხე-ჯავახეთში და გარე კახეთში). ხანულობის ტრადიცია ქვემო ქართლში დაწვრილებითა აღწერილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. *სულხან-საბა ორბელიანი* ხანულს განმარტავს, როგორც „რძის მოხიარე დიაცნი“. ქვემო ქართლში ერთი ძროხის პატრონი ხანულობის პერიოდში ხუთი ძროხის მეწველს იღებდა ერთ წველაზე. „დახანულეული ერთმანეთში დაინაწილებდნენ რიგს: კენჭს ყრიდნენ, ვის მოუწვედა პირველი „ხანული“ და შემდეგ ამ რიგის მიხედვით გადაუტანდნენ ერთმანეთს რძეს. მაგალითად, თუ ერთი კვირა იყო დათქმული, ამ რიგით პირველს ერთი კვირის მანძილზე ყველა მიუტანდა რძეს, მეორე კვირას – მეორეს, შემდეგ მესამეს და ა.შ.“¹ ხანულობით მცირერიცხოვანი პირუტყვის პატრონი ყველისა და ერბოს მარაგს იქმნიდა. ქართლში იკვებებოდნენ რძითა და რძის პროდუქტებით (კარაქი, ერბო. ყველი, მაწონი, ხაჭაპო). მცენარეული ზეთები აღმოსავლეთ საქართველოსათვის ფაქტობრივად უცნობი იყო; აქ ძირითადად ერბოს იყენებდნენ, ზამთარში – ღორის ქონს. იცოდნენ „რძიკორკოტი“ ანუ რძის შეჭამანდი, მაწვნის კერძი, რძის ფლავი. ისევე როგორც კახეთში, ქართლშიც პოპულარული იყო მშრალად მოხარშული ხორცი – „ხაშლა-მა“. თბილისის სანახევებში ტრადიციული იყო „ბოზბაში“ – საქონლის ხორცის წვნიანი. ძირითადად „ბოზბაშს“ ქელეხში აკეთებდნენ.

ქართლის მთიან ხეობებში მცხოვრებთ ცხვარი ბარის საზამთო საძოვრებზე დაჰყავდათ. ქსნის ზემო წელში მცხოვრებნი საზამთრო საძოვრებად ძირითადად ქსნის ხეობის ბარს გამოიყენებდნენ, რომელსაც ზოგა-

¹ თ. ცაგარეიშვილი. მესაქონლეობის ისტორიისათვის... 1987, გვ. 94.

დად მინდორიც ეწოდებოდა. ხეობის ქვემო წელის გარდა, ცხერის საზამთრო საძოვრებად ქართლის ბარის სხვა სოფლებიც გამოიყენებოდა¹.

მესაქონლეობასთან დაკავშირებით ქართლელ გლეხებს გარკვეული რწმენა-წარმოდგენები ჰქონდათ ჩამოყალიბებული. მიუთითებენ, რომ ქვემო ქართლში პირველ მოგებულ ხბოს არ ინახავდნენ. მას ორი-სამი კვირისას *სახლის ანგელოზს* სწირავდნენ².

ქართლის მთას, მთისწინეთსა და ბარს შორის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა. მთებში მცხოვრებთ ხშირად ბარში მიწის ნაკვეთები გააჩნდათ. მაგალითად შეიძლება მეჯუდას ხეობის სათავეში – ისროლისხევში მცხოვრებნი დავასახელოთ. აქურ მკვიდრთ ასეთი მამულები გააჩნდათ მეჯვრისხევში. ისროლისხეველ *გინტურებს* ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი დროისათვის, რომლებიც დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ, მეჯვრისხევშიც ჰქონდათ სახლი, ყანა, ბოსტანი, ბაღი და ვენახი. ოჯახს ჰქონდა ორი სახლი თავისი სამეურნეო კომპლექსებით: მთაში, სადაც ძირითადად მესაქონლეობასა და მთურ მიწათმოქმედებას ეწეოდნენ და ბარში, სადაც ბარული მეურნეობის ყველა ფორმის მიმდევარი იყვნენ³. ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ ისროლისხევის მკვიდრი სხვა გვარებიც. ფეოდალიზმის პერიოდში თუ მეჯუდას ხეობის მთაში მცხოვრებთ ბარში ფეოდალებისაგან ჰქონდათ მიცემული (მეჯვრისხევიც და ხეობის სათავეც ქსნის საერისთავოში შედიოდა), უფრო მართებული ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ თავადს ისინი ორ ადგილას ესხდა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მთაში მცხოვრებმა გლეხებმა უკვე თავად დაიწყეს ბარში (ამ შემთხვევაში მეჯვრისხევსა და მის მიმდებარე

¹ მ. მაკალათია. მეცხოველეობა. – ქსნის ხეობა, 1975, გვ. 62.

² თ. ცაგარეიშვილი. მესაქონლეობის ისტორიისათვის..., 1987, გვ. 49.

³ ბ. გამყრელიძე. ქართველი ხალხის სამეურნეო ტრადიციები და თანამედროვეობა, თბ., 1993, გვ. 24.

სოფლებში) მიწების შექმნა. ქართლის ამა თუ იმ ხეობის ზედა, მთიან, „უვენახო და უხილო“ ადგილებში მცხოვრებთ არც თუ იშვიათად ხეობის დაბლობ, ვენახიან და ხილიან ზოლში ვენახები ჰქონდათ. ამის დამადასტურებელია შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ქსნის ხეობის მთიან ნაწილში, ლარგვისის ხეობაში ჩავიწერეთ: „ვენახები ჰქონდა ჩვენს სოფელს ადრე წირქოლში. მე ვერ მოვესწარი იმ ვენახებს, გადმოცემით ვიცი. ადრე მოჰქონებიათ ხატშიც და სახლებშიც იქიდან ღვინო“ (სიკო თედოს ძე იღურბე, 61 წლის, სოფელი დორეთკარი, 15. 07. 1983). ლარგვისელ გლეხებს კი ვენახები გარდა წირქოლისა, უფრო ქვემოთ – *ლამისყანაში*, *ოკამში* და *თეზშიც* ჰქონიათ. ქსნის ხეობის ზემო წელში მდებარე სოფელ *შველიეთში* ჩაწერილი მასალით კი „მშველიეთში არ გვარობს ვაზი. მაგრამ ისეთი კომლი არ იყო, რომ ქვევრები არ ჰქონიყო ჩაყრილი. თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა კორინთაში და ქვემო ბოლში ვენახები. იქ ვენახებს თვითონ ჩვენი ხალხი უვლიდა“ (ივანე გიორგის ძე შერმადინი, 59 წლის, სოფელი მშველიეთი, 16. 07. 1983). სოფელ *ზოდეხის* მკვიდრთ კი ვენახები *ქსოვრისში* ჰქონიათ. ბარიდან მოტანილ ღვინოს ზოდეხის კვირაცხოვლის მარანში არსებულ ქვევრებში ასხამდნენ. ქსოვრისიდან მოტანილ ღვინოს *კულუხს* უწოდებდნენ. ალევის ხეობაზე მცხოვრებთ „ცოტ-ცოტა ვენახები ყველას ჰქონდა კორინთაში“. პატარა ღიახვის ხეობის სოფელ *ბელთის* მკვიდრთ სოფელ *კარბიდან* ყოველწლიურად 30 კოკა ღვინო მოჰქონდათ.

ქართლში მეთევზეობაც იყო განვითარებული. თევზაობდნენ *მაშხალით*, *ბადით*, *სოლიხით* (ტარიანი მრგვალი ბადე), *ფაცერით* (ლასტი), *კოკოხით*. იცოდნენ კონით თევზაობა. კონით თევზაობას უწოდებდნენ ზამთრობით თევზის საჭერი კოკოხებით (გოდრებით) თევზაობას. „დასტურლამაღის“ მიხედვით დიდმის საბატონოს გამოსადებისათვის გლეხებს სხვა გამოსადებსა და ვაღდებულებებს გარდა ევალებოდათ „ყარაიახედ პირველად კო-

ნის ჩადგმა“. ყარაიაზე მეფეს მეთევზეთა ნიხრიც კჳონდა დაწესებული და დანიშნული ჰყავდა მეკონეები და მათი უფროსები: „... ეს კონი გაბაშვილს უნდა ებაროს. ერთი კათალიკოხის აზნაურშვილი – თაზიშვილი, ამ ანჩისხატის დეკანოზის შვილი მესხიშვილი, ამ ორში ერთ-ერთი იდგეს. ამ კონს რაც ქვთ შევსება მოუნდება, ელის კაცმა უნდა შეავსოს“ (დასტურლამალი). მტკვრის ხეობაში ყველგან იცოდნენ პატარა მდინარეებში გოდორის ჩადგმა, ჩანჩქერ ადგილას. ბუნებრივი წყალვარდნილის ძირში ჩასდგამდნენ დიდ გოდორს, რომელშიც ქვებიც იყო ჩაწყობილი. გოდორში ჩასული თევზი მალლა ველარ ამოდიოდა. სადამო ხანს ჩადგმულ გოდორს დილით იღებდნენ. ქართლში ყველგან იცოდნენ ფაცვერით თევზაობა. სულხან-საბას განმარტებით, ფაცვერი „თევზის მახეს“ ნიშნავს, ხოლო *პეტრე უმიკაშვილი* მას ასე განმარტავს: „ფაცვერი – თევზის დასაჭერად მდინარე წყალში ჩათხრილი ორმო, ან გოდორი, ზემოდან დახურული ფიხით, რომელსაც გზა აქვს დაყოფებული თევზის ჩასასვლელად“. ქართლში იცოდნენ აგრეთვე თევზის ჭერა ყინულში, ხელაობა, თევზის ჭერა მდინარის ცოტის მოწყვეტით, საქონლის ნაკელით და სხვა. თბილისში თევზი მეზობელი სახანოებიდანაც შემოჰქონდათ, რახედაც, ბუნებრივია, ბაჟი იყო დაწესებული. მაგალითად, 1619 წლის ორბელიანთა ყმათა შემოსავლის ნუსხით ირკვევა, რომ ბოლნისზე და თრიალეთზე გამავალ ქარავანს ხიზილალაზე და თევზზე ერთი შაური უნდა გადაეხადათ. თბილისში „თევზის დუქნებიც“ იყო. ის დიდი რაოდენობით იყიდებოდა ბაზრებში, ქუჩებშიც. ეთნოლოგ *ჯუანშერ სონღულაშვილის* მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალით, „ზამთარში ოჩხის თევზი შემოჰქონდათ თბილისში ცხენის საპალნეებით ხრამიდან, იორიდან, არაგვიდან, მტკვრიდან და სხვა მდინარეებიდან. მე ჯავახეთში მინახავს, როცა ზამთარში ოჩხებს გახსნიდნენ, წყლისპირასვე ხარშავდნენ, აცივებდნენ და გოდორში ალაგებ-

დნენ და ისე მოჰქონდათ ცხენის საპალნეებით თბილისში გასდაყიდად¹.

საქართველო მეფუტკრეობით გამორჩეული ქვეყანაა. განვითარებული იყო მეფუტკრეობა ქართლშიც; შეიძლება ითქვას, რომ ამ მხარის თაფლი, განსაკუთრებით მთისწინეთისა, საუკეთესო გემოვნებითი თვისებებით ხასიათდება. *ვახუშტი ბაგრატიონი* ბამბაკის ხეობას ახასიათებდა სიტყვებით: „თაფლი მრავალნი“; გამოარჩევდა ქციის ხეობის თაფლს. მეფუტკრეობის განვითარებას ბუნებრივია ხელს უწყობდა ქართველთა ქრისტიანული ეკლესიაც, რომელსაც სანთლისათვის ბევრი ცვილი სჭირდებოდა. იკორთის XV საუკუნის ტყავის ზატიკზე, 1615 წლის მინაწერის თანახმად, იკორთის მთავარანგელოზის ყმებს ედოთ გადასახადი ნახევარი ლიტრა ცვილი. ქართლში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, თაფლი საჭირო იყო გოზინაყის მოსამზადებლად. სხვათა შორის, ქართლში ფართოდ იყო გავრცელებული თაფლიანი ნამცხვრიც; იცოდნენ ქვევრის შიდა კედლებზე გამდნარი სანთლის გამოვლევაც. ცხინვალში მცხოვრებ დედოფლის ყმებს სანთლის მირთმევაც ევალებოდათ. ეთნოლოგმა *ალექსი რობაქიძემ* გაარკვია, რომ მეფეს ქარხანაც ჰქონდა, სადაც სანთლის ჩამოსხმა წარმოებდა. ქართველ ხალხში მეფუტკრეობის მაღალი დონის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მათ შეყინული თაფლისათვის განსაკუთრებული სიტყვა – „კიპრუჭი“ – ჰქონდათ შექმნილი.

ქართლელთა მატერიალური კულტურა

ქართლში იყო გავრცელებული ქართული ხალხური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში – ერდოიან-გვირგვინიანი სახლი, რომელსაც დარბაზსაც უწოდებდნენ;

¹ ჯ. სონდულაშვილი. მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 52-53.

დარბაზულ საცხოვრებელს გვირგვინისებური გადახურვა ჰქონდა. დარბაზული საცხოვრებლის გავრცელების არეს ქართლთან ერთად სამცხე-ჯავახეთიც წარმოადგენდა. ასეთი ტიპის ნაგებობა ძირითადად დამრეც ადგილზე შენდებოდა და ის თითქმის მიწაში იყო ჩამჯდარი, განსაკუთრებით უკანა მხარე. დარბაზული ნაგებობის კედლები თუ ქვით იყო აშენებული, სახურავი ხის დიდი მორებით კეთდებოდა. ქართლში დარბაზი ზოგჯერ მხოლოდ საცხოვრებელს მოიცავდა, უფრო მეტად კი ერთ კომპლექსში იყო წარმოდგენილი საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი: საქონლის სადგომი – *გომური*, სადვინე ოთახი – *მარანი* და პურის საცხობი – *სათონე*. დარბაზული საცხოვრებელი სახლის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსები ერთმანეთთან დერეფნით იყო დაკავშირებული. დერეფნიდან იყო შესასვლელი დარბაზსა და გომურში. გომურიდან მარანში იყო შესასვლელი. როდესაც დარბაზზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, თვალწინ წარმოგვიდგება მისი კონსტრუქცია. დარბაზის ჭერი ძაბრისებურია, რომელიც გვირგვინით ადგას მას თავზე. ხის კონსტრუქციას, რომელიც ზემოთ თანდათან ვიწროვდებოდა, ქართლში *გვირგვინს* უწოდებდნენ. გვირგვინი ცენტრალურ ნაწილში აღმართულ მსხვილ ოთხ ბოძს/სვეტს ეყრდნობა. ოთხი სვეტის თავზე ჯერ ხის ბალიშები ეწყობოდა, რომელზედაც ასევე ოთხი საწარბე ძელი იყო განლაგებული. საწარბე ბალიშებზე უკვე კარგად გათლილ *ნიყურებს* კიბისებურად ალაგებდნენ. ნიყურებისაგან შედგენილი საფეხურები ერთმანეთზე წრეობრივად ეწყობოდა; ზემოთ გვირგვინი თანდათანობით ვიწროვდებოდა. ბოლოს ოთხკუთხეოვანი ერდო უკეთდებოდა, საიდანაც სინათლე შემოდის და კერიდან კვამლი გადიოდა. გვირგვინის ასაკები ნიყურების რაოდენობა განსაზღვრული არ ყოფილა. გვირგვინის საფეხურთა რიცხვი მის სიმაღლეს განაპირობებდა. დარბაზის ცენტრალურ ნაწილს დედაბოძი წარმოადგენდა. დარბაზი დედაბოძის გარეშე წარ-

მოუდგენელი იყო, ის კი არა და ზოგიერთ დარბაზს ორი-სამი დედაბოძიც კი ჰქონდა. დედაბოძი და სვეტები ჩვეულებრივ მოჩუქურთმებული იყო მნათობთა სიმბოლური გამოსახულებებით, ადამიანის, ცხოველების სტილიზებული სახეებით. ხშირად გვხვდებოდა გამოსახული ადამიანის ხელი, ჯვრები, გეომეტრიული ორნამენტი. დედაბოძთან ახლოს, ერდოს მოპირდაპირე მხარეს კერა იყო მოწყობილი. კერა წმინდა ადილად იყო მიჩნეული. გარდა ცეცხლის დასანთები ადგილისა, კერა შეშის თავის დასადებად განკუთვნილ ქვის ან რკინის სადგამსაც ეწოდებოდა. კერის თავზე ჭერში ჩამოკიდებული იყო ჯაჭვი, რასაც ბოლო მოკაუჭებული ჰქონდა. მოკაუჭებულ ნაწილს *ნაჭა* ეწოდებოდა. მასზე ქვაბებს კიდებდნენ. XIX საუკუნეში სამცხურ და ჯავახურ დარბაზში თუ კერას ბუხარი ჩაენაცვლა, ქართლურ დარბაზში ის ბოლო დრომდე შემორჩა. ქართლური დარბაზის კედლებში ჭურჭლისა და სხვადასვა ნივთების შესანახად განკუთვნილი *წალოები* და *განჯინები* იყო დატანებული – კედლის სისქე ამის საშუალებას იძლეოდა. დარბაზული სახლის სახურავზე ჯერ კოჭებია გადებული, შემდეგ – ღია ადგილები ნაფოტებით არის ამოვსებული და ბოლოს მიწაა დაყრილი და დატკეპნილი. დარბაზის ვაკე სახურავზე მხოლოდ ერდოიანი გვირგვინია რელიეფურად ამოხნეკილი¹.

საინტერესოდ აქვს აღწერილი XIX საუკუნის ქართლელის საახალწლო დარბაზი *ნიკო ხიზანაშვილს* (*ურბნელს*): „ღიად, სასიამოვნო და სანუგეშო სურათს წარმოადგენს ამ ბრწყინვალე დღეს ქართლელის დარბაზი: ჩუქურთმა დაყრილი დედა-ბოძი, სუფთა კერა და ორი დიდი აქეთ-იქით დასმული ქვა გაჩაღებულის შუაცეცხლითა, ფარდაგ-ხალიჩითა და სპეტაკის ჭილობით დაფენილი მიწის იატაკი, დასუფთავებული ქვითკირის კედლები თავისის თახჩებით, სადაც ფერად-ფერადად აჭრე-

¹ ლ. ბოჭორიშვილი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურა, I, სამშენებლო ხელოვნება, თბ., 2011, გვ. 5-9.

ლებული სკივრები სდგას, ბოძებზე ჩამოკიდებული თოფ-
იარაღი, ერთის სიხარულითა და გრძნობით გამსჭვალუ-
ლი ჯალაბობა...“¹. მიიჩნევენ, რომ ერდლიან-გვირგვინიანი
ნაგებობა ძირითადად დიდი ოჯახის საცხოვრებელს
წარმოადგენდა. იყო შემთხვევები, როდესაც ერთ დიდ
ოჯახს ორი დარბაზული ნაგებობაც – *ერთობის სახლი*
– ჰქონდა.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ქართლში დარბა-
ზულ ნაგებობებზე უფრო მეტად მაინც ჩვეულებრივი ბა-
ნიანი სახლები იყო გავრცელებული, დედაბოძი ბანიან
სახლსაც ამშვენებდა. დედაბოძებზე უმეტესწილად
ჯვრები და ბორჯღალები იყო გამოსახული. ეს სახლები
უმეტესად ქვითკირით იყო ნაშენები. ეთნოგრაფიული მა-
სალებით დადასტურებულია, რომ ქსნის ხეობაში „საშუ-
ალო ზომის სახლისათვის 40 ურემი ქვა იყო საჭირო, 10
ურემი ქვიშა, 20 კოდი კირი“². აქვე ისიც დადასტურებუ-
ლია, რომ დედაბოძებისა და თაფხეებისათვის უპირატე-
სად მუხის ხე იყო გამოყენებული. 8-10 მეტრიანი ხის
მორების ტრანსპორტირება კი ადვილი საქმე არ იყო.
ბუნებრივია, მსხვილ და გრძელ მორებს ტყიდან სოფ-
ლამდე რამდენიმე უღელი ხართა და კამეჩით მიათრეე-
დნენ. ამ დროს მუშახელიც საკმაო რაოდენობით იყო
საჭირო. დიდ ოჯახებს მუშახელის პრობლემა არ ჰქონ-
დათ. სხვა შემთხვევაში კი აუცილებელი იყო ურთიერ-
თდახმარება. შრომითი დახმარების ამ ფორმას ქართლის
უმეტეს ნაწილში *ულამი* ეწოდებოდა.

ქართლში დაბაზული სახლები ყველას არ ჰქონდა.
მის გვერდით არსებობდა აგრეთვე „დარბაზი“, „ბანიანი
სახლი“, თბილისთან ახლოს – მოქალაქის სახლი. საც-
ხოვრებელი სახლის ამ ტიპებს გლეხის ქონებრივი და
სოციალური მდგომარეობა განსაზღვრავდა. სოფელ დი-

¹ ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი). ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ.,
1940, გვ. 146.

² მ. ჩართოლანი. საცხოვრებელი ნაგებობანი. – ქსნის ხეობა,
1975, გვ. 38.

დომში დარბაზიანი სახლი და დარბაზი (ერთობის სახლი) ძირითადად შექმნილ გლეხებს ეკუთვნოდათ, რომლებსაც „ლიტრიანებს“ უწოდებდნენ. დარბაზები „ნახევარლიტრიან“ გლეხებსაც ჰქონიათ. ყოფილან „ჩარეჩიანი“ და „ნახევარჩარეჩიანი“ გლეხებიც, რომელთაგანაც პირველები ბანიან სახლებში და მეორენი „გომურებში“ ცხოვრობდნენ. ნახევარჩარეჩიანები ძირითადად დარიბები და ეულები/ხიზნები იყვნენ¹.

იცოდნენ ახლად აშენებული სახლის დალოცვა, რისთვისაც იწვევდნენ მეზობლებს, ნათესაგებს. სახლის დალოცვა იყო ოჯახის პირველი ბედნიერება და საღვინო სუფრა. ამ დროს ოჯახის წევრებს ღვინისა და ქორწილის დაკეცებას უსურვებდნენ. აღღებულად კერას, სახლის საძირკველს და სტუმარ-მასპინძელს. სახლის დალოცვამდე კი აუცილებელი იყო *სახლის ანგელოზის* გამოწვევა. ეს იყო ახალ ბინაში ძველი საცხოვრებელი ალაგიდან ანგელოზის მოწვევა. სახლის ანგელოზის მოწვევა ოჯახის უფროსი დიასახლისის მოვალეობას შეადგენდა, რომელიც დააცხოვდა ქალებს, დაკლავდა ქათმებს, საღვინო ღვინოს, ყველს, პურს, ტკბილეულს დააწყობდა ხონჩაზე; ხონჩის კიდებზე მიაკრავდა ანთებულ სანთლებს და ასე წავიდოდა ძველ საცხოვრებელ ადგილას, შემოუვლიდა და ხეწნითა და მუდართით მიმართავდა სახლის ანგელოზს: „ჩვენო ოჯახის ანგელოზო, თუ არა გაწყენინეთ რა, წამობრძანდით ჩვენთან ახალ სახლში, დაიფარე ჩვენი ოჯახი ყოველი ბოროტებისაგან და თუ გაწყენინეთ რამე გვაპატიეთ და გვიპატრონეთ“. სახლის ანგელოზის გაწვევასთან დაკავშირებით იმართებოდა „პურ-მარილი“. საერთოდ, **სახლში, ანგელოზის კუთხე იყო მარჯვენა წინა კუთხე, სადაც ანთებდნენ სანთელს. სტუმრიანობისას უმეტეს შემთხვევაში პირველ რიგში სახლის ანგელოზს მოიხსენიებდნენ და დალოცავდნენ.**

¹ ჯ. სონდულაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წიგნი I, თბ., 1969, გვ. 206-207.

შუა საუკუნეების საქართველოში კრამიტი იწარმოებოდა; კრამიტით გადახურული სახლები მცხეთაში ჯერ კიდევ I საუკუნეში ბევრი იყო და ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავდა: „იბერიის მთელ ფართობზე ყოფილა გავრცელებული საერთოდ აგურისა და კრამიტის ნაგებობა. ამ ცნობას მცხეთის სამთავროს არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს“, მაგრამ ქართლური არც ბანიანი და არც დარბაზული საცხოვრებელი ნაგებობები კრამიტს არ საჭიროებდა. შუა საუკუნეებში ეკლესიები, ციხეები და სახლებიც ძირითადად მაინც *ფიქლით* ყოფილა გადაფარებული. XV საუკუნის დასაწყისის ლარგვისის მონასტრის ეტრატის პარკლიტონზე *გრიგოლ ბანდასძის* მინაწერიდან ირკვევა, რომ ქართლში გადასახურად *სიძსაც* გამოიყენებდნენ: „მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონისა და საფლავსა ჩემსა ზედა აღვაშენე კ ა რ ი ს ბ ჭ ე და დაეხატე ხელითა ჩემითა... ავაგე ზედა ს ა მ ყ ო ფ ი ს ა ხ ლ ი, ბ ე ღ ე ლ ი; ს ა წ ო ლ ი, დ ე რ ე ფ ა ნ ი, ს ა მ რ ე კ ლ ო და ბ ო ს ე ლ ი და **დავბურე ყოველი სიპითა**“. სასახლეებს, ეკლესიებს კრამიტით და *ლორფინებით* (ქვის ფილებით) ხურავდნენ. 1687 წლის ნიკოლოზ კათალიკოზის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „ქალაქს საყდარი ლორფინით გარდავსჭედე“¹.

ქართლის დარბაზებსა და ბანიან სახლებს, ბუნებრივია, განათება სჭირდებოდა, რადგან მათ სინათლის მხოლოდ ერთადერთი წყარო ჰქონდათ; ეს იყო *ერდო*. ნავთის ლამპები მხოლოდ XX საუკუნეში განნდა: „ნავთს ვინ დაინახავდა **უწინა, ქონი იყო, ქონის სანთლები იცოდნენ. ... მკვარი იცოდნენ**: გაღმა მხრიდან გამაჰქონდათ უწინა“².

¹ ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 590.

² მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ივანე ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად, ტომი I, თბ., 1976, გვ. 206.

ქართლში გლეხის კარმიდამოში სამეურნეო ნაგებობები იდგა. ასეთ ნაგებობებს შორის უპირველეს ყოვლისა *მარანი* უნდა დასახელდეს. მარანი საღვინე სახლის ძველი სახელწოდებაა, ღვინოს ქართლში დახურულ შენობაში – მარანში ჩაყრილ ქვევრებში ინახავდნენ. სულხან-საბას განმარტებით „მარანი საღვინე სახლია“. გლეხი მარნის ასაშენებელ ადგილს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. აუცილებლად ის სახლის აღმოსავლეთით უნდა მოეწყოთ ან ნაგებობებს შორის, რადგან დილით ამოსულ მზეს ძალა აქვს. როგორც ეთნოლოგი *ნინო (თალიკო) თოფურიას* ატენის ხეობაში დაუდასტურებია, „შემოტრიალებულ, დასავლეთის მზეს ძალა აქვს და მარანს რომ უქურებდეს, ღვინოს წაახდენს“¹. რადგანაც ატენის ხეობაზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ეთნოგრაფიულ ყოფაში ღია მარნები სივრცისათვის ქოხწალამწაფარებული კქონიათ. ქართლში მარანი ქვის ნაგებობა იყო. ადრე ამ ნაგებობას ვენახებშიც აგებდნენ. მარნები ძირითადად ბანიანი გადახურვის იყო. კედლებში დატანებული კქონდათ თახჩები, რომელშიც დგამდნენ ჩაფებს, სასმისებს. გვიან შუა საუკუნეებამდე წერილობით ძეგლებში უფრო ხშირად „ჭურმარანი“ და „ქვევრ-მარანია“ დაფიქსირებული [1562 წლის წყალობის წიგნი: „და მოგიბოძეთ ... სოფელი *ჩოჩეთი* მისითა სახლითა, ეკლესიითა, **ჭურ-მარნითა**, მითითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენაჭითა, საკნავითა, მინდორითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათიბითა, საკმარითა და უკმარითა...“] (ქართლში მარნის ეკლესიის გვერდზე გაკეთებაც იცოდნენ). საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ის დღესაც ამ სახელწოდებითაა ცნობილი. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში მარანი ნაგებობის სახით არაა წარმოდგენილი და ხეებით დაჩრდილულ, ზოგჯერ კი გვერდებლია ნაგებო-

¹ ნ. თოფურია. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 7.

ბას ეწოდება. მარნის იატაკში სხავდასხვა ზომის ქვევრები იყო ჩაყრილი, ერთ-ერთ კედელთან კი *საწნახელი* იყო მოწყობილი. ქართლში ძირითადად ქვითკირის საწნახლები ჰქონდათ. ქვითკირის საწნახელი შენდებოდა რიყის ქვისა და ქვიშაშერეული კირისაგან. საისტორიო საბუთებში, როდესაც საწნახელის აშენებაზეა საუბარი, რა თქმა უნდა, ქვითკირის საწნახელი იგულისხმება. მაგლითად, 1687 წლის *ნიკოლოზ კათალიკოზის* შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „ყორანთაის თავს ერთი სოფელი ავაშენე და ყორანთას კაი მარანი დავდგი მისის მორთულობით და ქვევრებით და კაი საწნახელიც ავაშენე“; „კიდევ აღაიანში საწნახელი ავაშენეთ“¹. ამავე საბუთში საუბარია საწნახლის დადგმაზე: „აგრევე გომს კაი მარანი ავაშენე და ორი საწნახელი დავდგი“. საწნახლის დადგმაზე როდესაცაა საუბარი, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ერთ მთლიან ქვაში ამოდარული ან ხის საწნახელი იგულისხმება, ასე რომ, ქართლში იცოდნენ ხის საწნახელიც. ხის საწნახელი ძირითადად ცაცხვისა და თხილისაგან მზადდებოდა, ჰქონდათ ერთი მთლიანი ქვისაგან გაკეთებული საწნახელიც. ასეთ საწნახელს *მჭადაქვის* ჯიშისაგან აკეთებდნენ მხოლოდ ქვის ოსტატები – ქვისმჭრელები. საწნახელის გვერდით ედგათ *საქაჯავი*. სოფელ დიდლოში საქაჯავი *გოვორებითაც* იყო, რომელსაც სოფელში ატარებდნენ და ქაჯავდნენ ჭაჭას². მარნები სხავდასხვა სიდიდისა იყო; შესაბამისად მარნის ზომაზე იყო დამოკიდებული მარანში ჩაყრილი ქვევრების რაოდენობა. საწნახელთან ახლოს ყველაზე დიდი ქვევრი – „დედაქვევრი“ ჰქონდათ ჩაგდებული. საწნახელთან ყველაზე ახლოს ჩაგდებული ქვევრი განსხვავდებოდა დანარჩენი ქვევრებისაგან, ის საგანგებო ფორმისა იყო და მას *თადარი* ეწოდებოდა. დარიდან გადმოსული ყურძნის ნაწური მილით თავდაპირველად

¹ ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 591.

² ჯ. სონდულაშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წიგნი I, თბ., 1969, გვ. 198.

თადარში ჩაედინებოდა. ძალიან ხშირად თადარი ორი ჰქონიათ – თეთრი ღვინისათვის ცალკე და შავი ღვინისათვის ცალკე. თადარში 20-25 კოკა ღვინო ჩადიოდა. თადარში ჩასული წვენი შემდეგ სხვადასხვა ქვევრში გადაჰქოდათ. *გიორგი ჩიტაია* 1939 წელს შიდა ქართლში ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში სოფელ *დისევში* გამოაგლინა შემდეგი ფაქტი: „საყურადღებოა, რომ ქვევრებსაც საგანგებო სახელები ეწოდება იმის მიხედვით თუ რომელი რომელ ხატისათვის იყო განკუთვნილი და რომელ დღეობაზე უნდა გაეხსნათ. ასე მაგ., სოფელ დისევში ქვევრებს ეწოდებოდა: *საგერიოთო, საივნემახარობლო, სახითიშობლო, საუსანეთო, საკვირაცხოველო, საანგელოხო*“⁴.

მარანში ქვევრები ზომის მიხედვით ჰქონდათ ჩაყრილი. იცოდნენ ქვევრის გასანთვლა. იშვიათად – გაქონვაც. სოფელ დილომში *ჯუანშერ სონღულაშვილს* მარანში საზედაშე ქვევრებიც აქვს დადასტურებული, რომლებიც სხვადასხვა სალოცავისადმი იყო განკუთვნილი: „დიდგორის“. „წმიდა გიორგის“, „ხვითიშობლისა“ და „სვეტიცხოვლის“. ასეთი საზედაშე ქვევრები მთლიანად ქართლისათვის იყო დამახასიათებელი. მარანში ჰქონდათ დაცული *ტიკები, რომბები, საარაყე ქვაბი*; აქვე ინახავდნენ ზამთრის მარაგს: ხახვს, ლობიოს, აჯაგნულ წიწაკას, მწნილებს, ნივრის გალებს, ერბოსა და ქონის ქილებს... მარანს საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა. *კერა ბარდაველიძე* წერდა: „ქართლელთა წარმოდგენით, მარანი წმიდა ნაგებობა იყო. სახატო დღეობების ღვინის ზედაშეები მარნის მარჯვენა კუთხეში ინახებოდა. ბავშვის მონათველა მარანში სრულდებოდა. ახალწელს დილით მარანს მიულოცავდა, საახალწლო ხონჩა, რომელსაც ადგილობრივ *საკვლევარს* ან *აბრამიანს* ეძახდნენ, ნათლისღებამდე მარანში უნდა ყოფილიყო. სოფელ ქსოვრისში დიდ ოჯახებს ზოგს ზედაშეები თავთავის მარ-

⁴ გ. ჩიტაია 2001, გვ. 413.

ნებში ედგათ და ზოგს ხატში ჰქონდათ მიწაში ჩაფლული. მარანი წმინდათ იყო დაცული. შიგ მარტო სუფთა ქალი შევიდოდა, *უზიზღარი* ვერ შევიდოდა. ზედაშესთან მარტო ხნიანი დედაბერი მოვიდოდა, ახალგაზრდა ვერა¹. **ზედაშე იყო სალოცავისათვის შეწირული ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილიდან მიღებული პირველი ნაწური ღვინო.** ზედაშის დაყენებისა და შეწირვის მიზანი ყურძნისა და ღვინის ბარაქიანობაზე, დოვლათიანობაზე ზრუნვა იყო. ამიტომაც ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილს, პირველ ნაწურ თავღვინოს ზედაშედ ასხამდნენ.

იცოდნენ *პურის ზედაშეც*: „პირველი კალო რო გაგვიღეწია, შაგვინახია ერთი ფუთი ხთისთვინა. მას ზედაშე ერქვა და *თავეუელიც*“². „თავეუელათ ინახამდნენ კარგ პურს, ზოგი ერთ ფუთს ჩაფერიდა, ზოგი სამ კოდსაც შადნახამდა. ქილაში ან გოდორში, ორმოცე გადთხრიდნენ კარზე და იქ შეინახავდნენ, ფოთოლს მოაკრავდნენ გარშემო, მიწამ არ გააფუჭოსო³. „ქართლში, მეჯუდას ხეობაში სოფელ *მეჯურისხევისათვის* უსანეთობა საერთო დღეობა იყო. ... სოფელ მეჯურისხევის მცხოვრებლებს უსანეთობისათვის ღვინის, პურის და ერბოს ზედაშეები ჰქონდათ შეთქმული. ღვინის ზედაშეები ზოგიერთ ოჯახს სალოცავის გალავანში ჰქონდა ჩაგდებული, ზოგიერთა კი – ოჯახში“⁴. სოფელ ბერშუეთში ყველაზე დიდი დღეობა *სამებობა* იყო და სოფლის მკვიდრთ ამ სალოცავისათვის სამივე ზედაშე – ღვინის, პურის და ერბოსი – ჰქონდათ შეთქმული. ასევე სამ ზედაშეს აყენებდნენ ქვემოჭალელები ჯვარპატიოსანისათვის. ამ სოფელში ზოგიერთი ოჯახი ოთხ კოკა საზედა-

¹ მითითებულია წიგნიდან: ნ. თოფურია. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 36.

² ჯ. რუხაძე. 2010: 110.

³ ჯ. რუხაძე. 2010: 108.

⁴ ნ. თოფურია. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 71.

შე ღვინოს ინახავდა. სახედაშე პურს კი გოდორში ინახავდნენ, რომელსაც ღვინოსის წინ ხსნიდნენ და *ლავაშს* და *ნახუქს* აცხობდნენ. **წმიდა სალოცავებისადმი ღვინის, პურისა და ერბოს ზედაშეები პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართლელთა ძირითადი საკვები სწორედ ეს სამი და მათაგან გაკეთებული კერძები იყო.**

ეხოს უკანა მხარეს ქართლელ გლეხს საქონლის სადგომი – **გომური** ედგა. გომურის იატაკი ხის მორებით იყო მოგებული.

ქართლელები, ისევე როგორც ყველა ქართველი, ძირითადად მიწათმოქმედების პროდუქტებით იკვებებოდნენ, განსაკუთრებით პურით. აღებულ ხორბალს წისქვილში ფქვავდნენ. ქართლის სოფლის აუცილებელი ატრიბუტი იყო *წყლის წისქვილი*. საშუალო და დიდი ზომის სოფელში რამდენიმე წისქვილი ჰქონდათ. აქ *მეწისქვილის* ინსტიტუტიც არსებობდა, ბარში ძირითადად ე. წ. *ღარის წისქვილი* იყო გავრცელებული. ქართლში წისქვილი ქვითკირისა იყო. პურს ქალები ჩვეულებრივ ვერტიკალურ საცხობში – *თონეში* აცხობდნენ, რომელსაც ძირითადად *ფიხით* ახურებდნენ. ცომს ხისაგან გაკეთებულ ვარცლში ზედდნენ. ფქვილი აუცილებლად *ჯერ საცერში* და შემდეგ *სამტკიცში* უნდა გაეცრათ. გამტკიცული პურის გამოცხობა იცოდნენ სადღესასწაულოდ. თონეში აცხობდნენ: *მრგვალ პურს, შოთს, ლიკანს, უხას, ნახუქს, ლავაშს*. პურის ჩაკვრამდე *ჯერ ლავაშს* აკრავდნენ. ლავაშის ცომს *ლაფათაზე* გადადააკრავდნენ და ისე ააკრავდნენ თონის კედელზე. „ლავაშს ვაცხობდით. ლაფათას ვეტყვით, გამოვკვრავდით, როგორც პატარა ბალიშს, ზედ დავადებდით ლავაშსა და ზედ თონეზე მივაკრავდით“¹. ლაფათაში ჩვეულებრივ ჭაობის სუფთა ჩაღა პქონდათ ჩაყრილი. **უნა საქორწილო პური იყო, რომელიც საქორწილო სუფრაზე მიჰქონდათ. იზილებოდა შაქრითა და რძით, ოღონდ თხელი ფორმის.** „როცა

¹ შინამრეწველობის... ტომი III, ნაწილი II, თბ., 1986, გვ. 130.

პურის ცხოვრებას მოვრჩებით, უნდა შავინახოთ ცომი ორი გირვანქისტოლა და ვიდრე მეორე გამოცხოვრებამდე, ეძახიან *პურის ხაშს*. თუ ხაში არ გადაავახლოთ, მეორე დღეს პური გამოცხოვრებისათვის ის არ ივარგებს. თბილ წყალს უხამთ, ფქვილს დაუმატებთ, ცოტას მოვზელამთ და მეორე დღემდის კარგი საფუვარი დადგება. უსაფუვრო ცომისაგან *ხშიადს* მაშინ ვაცხოვბთ, თუ გვეჩქარება ან ფქვილი ცოტა გვაქვს¹. ცომის მოზილვისას ქართლში დადასტურებულია საინტერესო ლექსიკური ერთეული *შეცოლქმარება*. ეს სიტყვა შინამრეწველობის მასალების შემკრებთ დადასტურებული აქვს სოფელ *თამარაშენში*: „პირველში რომ აურევთ პურის ცომს. მერმეთ ფქვილს გადავყრით პურისას და პურის ცომს აურევთ, მოვზელავთ, რომ *შევაცოლქმარებთ* (წყალსა და პურის ცომს შევათვისებთ) პურს ერთად, მერმედ ვზელავთ“². ცნობილია, რომ *ქართლის პური ძლიერი წებოვანებებით გამოირჩეოდა და პურის თონის კედლებიდან ჩავარდნა, დაკუტება იშვიათად ხდებოდა*. იცოდნენ ახლად გამომცხვარი ლავაშის, პურისა და ნაზუქის მეხოვლებისა და ნათელმირონებისათვის მიწოდება. ქართლის სოფლებში პურის ცხოვრებას დროს განსაკუთრებული და სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. აქვე შეიძლება გავიხსენოთ გამოთქმა: „პური ქართლისა, ღვინო კახისა, ყველი თუშისა და ერბო ფშავისა“.

გარდა პურისა ხორბლისაგან ქართლში *ვაფებსაც* ამზადებდნენ, რომელთაგან *წანდილსა* და კორკოტს უფრო რიტუალური საკვების დანიშნულება ჰქონდა. პირველი თუ მთლიანი მარცვლისაგან იხარშებოდა, მეორე – კანგაცლილი და დაღერდილი მარცვლისაგან. მართალია, ქართლში პური დიდხანს ინახებოდა და გვიან ობდებოდა, მაგრამ დაძველებულ პურს არასოდეს არ გადაავადებდნენ, მას ხარშავდნენ და ისე მიირთმევდნენ. ასეთ მოხარშულ პურს *ხარშოს* უწოდებდნენ. გამომხმარ დაძ-

¹ იქვე, გვ. 124.

² იქვე, გვ. 127.

ველებულ პურს ცეცხლზეც *გახუხავდნენ* ხოლმე. ერიდებოდნენ თონიდან ამოხდილი ცხელი პურის ჭამას. ხორბლის ფქვილის გარეშე არ კეთდებოდა *თათარა*, რომელსაც *ბადავისა* და ფქვილის ნარევით ხარშავდნენ. ცხელ თათარაში ავლებდნენ აკინძულ ნიგოზს, რომლის გამოშრობის შემდეგ უგემრიელესი ჩურჩხელა მიიღებოდა. პოპულარული იყო ღვინოში ჩამბალი პურიც, რასაც *ბოდლოწოს* უწოდებდნენ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მიცვალებულის შესანდობრის დროს აუცილებლად პურის ნატეხი ღვინიან ჭურჭელში უნდა ჩაეწოთ, ან ღვინო პურზე უნდა დაეწვეთებინათ.

თონეში, გარდა პურის გამოცხობისა, იცოდნენ აგრეთვე ლობიოს მოხარშვა. პურის გამოცხობის შემდეგ ცხელ თონეში ქოთნით ლობიოს ჩაღვამდნენ, გაშემო ნაცარს შემოაყრიდნენ; მეორე დღეს დილით ლობიო უკვე მზად იყო, მას მხოლოდ შეკმაზვა უნდოდა, კმაზავდნენ ნიგვზით, ხახვით და მწვანილით. გოგრასაც თონეში წვავდნენ, გამოჰყავდათ ჩირი (წინასწარ დარჩეულ და დათუთქულ ხილს – ხის ჩხირზე აასხამდნენ და პურის ცხობის შემდეგ განელებულ თონეში ჩაკიდებდნენ). ქართლები საკვებად საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ ტყისა და ველის მცენარეებს; ამზადებდნენ *მხალს*, რასაც წერილობით ძეგლებში „**საზრდელი გლახაკთაი**“-ს უწოდებდნენ. მხალეულში შედიოდა: *ჭინჭარი, ღოღო, ბაღბა, სატაცური, ნაცარქათამა*. ისინი მზადდებოდა როგორც ხახვით, ქინძით, ისე ნიგვზით. ქართლში საკვებად ფართოდ გამოიყენებოდა მწვანილები, ბაღჩეული კულტურები (იცოდნენ გოგრის თონეში შეწვა), ხილკენკროვნები (პანტა, მაჟალო, ასკილი, შინდი, მაყვალი...); ამზადებდნენ ჩირს (ზოგიერთ მათგანი თონეშიც გამოჰყავდათ). ძირითადი საკვები კი მაინც პური და ფაფები იყო. **პურის ჭამა/პურობა ზოგადად ნიშნავდა სადილობას.** როდესაც იტყოდნენ – „პური ეჭამოთ“, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ პური უნდა ეჭამათ. ბავშვობისას, როდესაც ვთამაშობდით და დედა დაგვიძახებდა: „თამა-

ში გეყოფათ, ეხლა პური უნდა ვჭამოთ“, ეს ნიშნა იმას, რომ ოჯახს უნდა გვესაძილა. სუფრაზე კი ყველას ტრადიციულად თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. **პური წმიდა საკვებად ითვლებოდა, მას განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდნენ. სუფრაზე, ღვინოსთან ერთად, პირველად პური მიჰქონდათ. პური აუცილებლად ხელით უნდა გადაეტეხათ, ძირს დავარდნის შემთხვევაში, აიღებდნენ და აკოცებდნენ.** პურის ცხობა გარკვეულ რიტუალსაც წარმოადგენდა. პურის ცხობის დროს *სათონესთან* მამრობითი სქესის წარმომადგენლებს მისვლა ეკრძალებოდათ. ქართლები ძველად ფართოდ იყენებდნენ პარკოსნებსაც (ოსპი, ცერცვი, მუხუდო, უგრეხელი...), რომელსაც გვიან ლობიო ჩაენაცვლა. ფართოდ მიირთმევდნენ რძესა და რძისაგან მიღებულ ნაწარმს (*მაწონი, ყველი, კარაქი, ერბო, დო, ხაჭაპი*), რასაც, ჩვეულებრივ, *თეთრეულს* უწოდებდნენ. ქართლში საჭმელად მცენარეულ ზეთს იშვიათად გამოიყენებდნენ, სხვადასხვა კერძების მოსამზადებლად აქ ძირითადად კარაქსა და ერბოს აძლევდნენ უპირატესობას. ყოველდღიურად ხორცს არ ჭამდნენ. მიირთმევდნენ საქონლის, ღორის, ცხრის, თხის, ღორის ხორცს. ამ უკანასკნელს მხოლოდ ზამთარში ჭამდნენ. ღორს ჩეულებრივ საშობადო კლავდნენ. ტრადიციული ხორცის კერძები იყო *ხაშლაძა, მწვადი, ყაურმა. ბოზბაშს* ამზადებდნენ თბილისის სანახევებში და მისი გაკეთება ძირითადად ქელეხში იცოდნენ. იცოდნენ ხორცის ჩაყაურმება, დამარილება, თონეში გამოყვანა¹.

შუა საუკუნეებში ქართლში ჰქონდათ *საყინულეები*, რომლებიც საკმაოდ გვიან ხანობამდე იყო შემორჩენილი. განსაკუთრებით ბევრი საყინულე არსებობდა თბილისის ახლო-მახლო, როგორც შიდა ქართლის, ისე ქვემო ქართლის სოფლებში. საყინულეები ქართლში თავადებსაც ჰქონიათ: მუხრან-ბაგრატიონებს – მუხრანსა და თბი-

¹ საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, 2010, თბ., 541-561.

ლისში, ამილახურებს – ფხვენისში, თაქთაქიშვილებსა და მაჩაბლებს – ქვემო ხვითში, ფალავანდიშვილებს – ნიქოზში, ფავლენიშვილებს – ერედვში, თარხან-მოურავებს – ახალქალაქში... შიდა ქართლის ველზე თოვლ-ყინულს ძირითადად ორმო-თხრილებში ინახავდნენ, იქ, სადაც მზე ნაკლებად ხვდებოდა. პატარა ნაგებობები (15-20 კვადრატული მეტრის მოცულობით) ცალკეულ ოჯახებს ჰქონდათ, ხოლო დიდი ორმო-თხრილები (200-300 ურემი თოვლისა და ყინულის ტევადობისა) საბაზროდ ჰქონდათ განკუთვნილი. მეორე სახის ნაგებობები „კლდე-ნაკვეთები“ ჰქონდათ თბილისის სანახებში. ისინი კეთდებოდა მდინარეებისა და ტბების მახლობლად, მთის ჩრდილოეთ მხარეს. ასეთი საყინულისათვის ფლატე ჰქონდათ გამაგრებული და წინიდან მას კედელი ჰქონდა ამოშენებული. ორმო-თხრილების ძირზე გაშლიდნენ ნახერხს ან ბზეს, რის შემდეგაც აწყობდნენ ყინულს. გარკვეული სიმაღლის შემდეგ კვლავ ბზეს ან ნახერხს დააყრიდნენ და მეორე პირზე უფრო მეტ ყინულს აწყობდნენ. სამი-ოთხი პირი ყინულის ჩაწყობის შემდეგ, კვლავ ნახერხსა და ბზეს აყრიდნენ; შემდეგ კი მიწას წააყრიდნენ. ბოლოს ორმოს ფიცრის სახურავს უკეთებდნენ. თუ ყინვიანი წელიწადი არ იყო, სუფთა თოვლს ტყიდან ეზიდებოდნენ. ეს ტრადიცია დადასტურებულია სოფელ ლისსა და სოფელ დიღომში. ოთხკუთხა ყინულს ტბებზე და მდინარეებზე სჭრიდნენ. თბილისის ბაზარზე გასაყიდად ყინული ექვსჯალა პატარა ურემებით მიჰქონებიათ. თბილისის სანახებში ყინულის საჭრელად დადიოდნენ შემდეგ ტბებზე: ლისის ტბა, შიოს ტბა, მუხათგვერდის ტბა, ჭაჭაურები, ძეგვის ტბა, ჩახერგილის ტბა...¹.

საქართველოს სოფლების დასახლების ტიპებს შორის საკმაო განსხვავება იყო, რასაც ლანდშაფტი, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვნება და საგარეო ფაქტორი განსაზღვრავდა. **ქართლის სოფელი,**

¹ ჯ. სონდულაშვილი. მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 107-112.

როგორც შიდა, ისე ქვემო ქართლში იყო შეჯგუფული ხასიათის, სახლები ერთმანეთთან ძალიან ახლოს იდგა. თუმცა საკუთარი პატარა ეზო-კარმიდამო ყველა მათგანს ჰქონდა. ადრე სოფლები უფრო შემაღლებულ და ტყისპირა ადგილებში იყო გაშენებული, ქართლის სოფლებში ბევრია გვიან შუა საუკუნეებში აგებული კოშკები და ციხე-სიმაგრეები, რომელთა აგება მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიელების თარეშებით – „ლეკიანობით“ (და „ოსიანობითაც“) იყო განპირობებული. სხვათა შორის ამავე პერიოდში აქვს მაღალი გაღავნები გაკეთებული ქართლის ეკლესია-ტაძრებსაც. მაგალითად ასეთი გაღავანი კოშკებით ჰქონდა ერთაწმინდის ტაძარს, რომელშიც ლეკთა თარეშის დროს თითქმის მთელი სოფელი შედიოდა.

ქართლში, ისევე როგორც კახეთსა და ბარის სხვა რაიონებში, ძირითად სატრანსპორტო საშუალებას *ქართული ორბორბლიანი ურემი* წარმოადგენდა. ქართლსა და კახეთში მას ორი ქვესახეობა გააჩნდა: *საბარო ურეში* და *საძნე ურეში*. მათ შორის განსხვავებას ჭაღების/ჭაღლების სიმაღლე ქმნიდა. საძნე ურემს ისინი შედარებით მაღალი ჰქონდა. „ორბორბლიანი ურემი სამი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა: *უბე, ღერძ-ბორბლები* და *უღელი*. ურემის უბე ეწოდებოდა მთლიან ნაკეთობას, რომელზედაც უშუალოდ თავსდებოდა ტვირთი. იგი ღერძ-ბორბლებზე იყო შედგმული, ხოლო „თავით“ უღელს ეყრდნობოდა. ურემის ასეთი კონსტრუქცია დამყარებული იყო ღერძზე წონასწორობის პრინციპზე, თუმცა წინა ნაწილი ცოტა უფრო მძიმე იყო. უბის ძირითადი ნაწილი იყო ორი გრძელი, ოთხკუთხად გათლილი ხე – *ხელნა*, რომელიც წინა ნაწილით ერთდებოდა და იქმნებოდა ტოლფერდა სამკუთხედის მსგავსი მოწყობილობა“¹. ხელნები უშუალოდ უღელს უერთდებოდა. ხელნე-

¹ მ. გეგეშიძე. ტრანსპორტის ისტორიისათვის საქართველოში (მასალები საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის), თბ., 1954 (ხელნაბეჭდი), გვ. 9.

ბის გაყოფებით დამწკრივებული იყო ვერტიკალურად ჩასმული ხეები – *ჭალები* (ჭავლები). წინა და უკანა ჭაფლებზე კოფოები იყო ჩამოდებული. ქართლში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, დამოწმებულია შედგენილი ანუ „ფერსო-სოლებასხმული“ ბორბალი, რასაც *თვალი* ეწოდებოდა. თუმცა აქ არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოყენებული ყოფილა ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი ბორბალიც, რომელსაც *გოვლ-რას* უწოდებდნენ (ანალოგიური ბორბალი ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი შავშეთი). ურმის საბრუნ მოწყობილობაში ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იყო ღერძი, რომელიც აერთებდა ორ თვალს და რომელზედაც დაყრდნობილი იყო ურმის უბე. **ხის ღერძიან ურემში ერთი თვალი ყრუდ იყო ღერძზე დამაგრებული ანუ „გახეშილი“, ხოლო მეორე თვალი თავისუფლად ბრუნავდა. ასეთი მოწყობილობა აუცილებელი იყო ურმის ვიწრო ადგილზე მოსაბრუნებლად.** თვალი/ბორბალი რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა; ესენი იყო: ა) *მორგვი* – თვალის მსხვილი გული, რომელიც შუაში გახვრეტილი იყო ღერძის გასაყრელად. მორგვს ირგველივ სოლების ჩასასმელად განკუთვნილი ნაჩვრეტები ჰქონდა შემორიგებული. ურემში გამწვევი ძალა ძირითადად ხარი იყო. ბ) *ფერსო* – ხის დიდი რკალი; თვალის შინაგანი ნაწილები ფერსოთი იყო შემოფარგლული; გ) *სოლები*; დ) *რკინის საღებე*. ურემს ყოველგვარი ტვირთის გადასატანად იყენებდნენ, საჭიროების შემთხვევაში მას სხვაგვარ ფორმას აძლევდნენ, მაგალითად ბზის გადატანის შემთხვევაში, ურემს შიგნიდან *ღახტებს* ჩაუყუდებდნენ. შორეული მოგზაურობისას, მაგალითად დღეობაში წასვლისას, ურემს ხის ტოტების კამარას გაუკეთებდნენ, ზემოდან ფარდავს გადააფარებდნენ. შიდა ქართლის სოფელ ნოსტეში მცხოვრები *ხიზამბარელები* ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრაში სალოცავად ჩარდახიანი ურმებით მიდიოდნენ – „ჭალა-ზეწრებზე თხილის წნელის ნაქსოვს გადააკრავდნენ“. მეურმეს ურემი ისე უნდა დაეტვირთა, რომ ის

არც თავმძიმე ყოფილიყო და არც თავმსუბუქი. მეურმეთა მიერაა შექმნილი სიმღერა „ურმული“.

ქართლში შინამრეწველობისა და ხელოსნობის არაერთი ცენტრი იყო. კერამიკის წარმოებით გამოირჩეოდა ქსნის ხეობის სოფელი *ცხავატი*, სადაც ძირითადად ჭურჭელი (*ქოთანი, ჭინჭილა, ქილა, ერბოს ქილა/საზედაშე, ქვაბი, საზედაშე ქილა, სურა, კოკა, ხელადა, ჩაფი, სადღვებელი, ღვინის დასალევი ჯამი, ქოცო, კეცი, ფურნის ძირი, ზარფუში, სახელსაქმო ქოთანი*), სანთლის ჩასაყრელი, თონე და წყლის მილი მზადდებოდა. ცხავატი კერამიკული წარმოების ერთადერთი ცენტრი იყო, სადაც ქვევრის შენება მორგვზე იწყება და მორგვზევე მთავრდება¹. რაც შეეხება თორნეს, ბუნებრივია, ის მორგვის გარეშე შენდებოდა, ცხავატური თორნეები 14, 18 და 25 პურიანი იყო. ცხავატელი მეთუნეები გასაყიდ თონეს თუ სამ ან ოთხ ნაჭრად ანაწილებდნენ, სახლში მოხმარებისათვის განკუთვნილს მოლიანს აგებდნენ. ცნობილია, რომ საქართველოში და, კერძოდ, ქართლშიც ძირითადად ღვინის ზედაშე იცოდნენ. ამა თუ იმ სალოცავის სახელზე დაყენებული საზედაშე ღვინო ქვევრებში ინახებოდა. მაგრამ ქართლში (და სხვაგან) იცოდნენ ერბოსი და ხორბალ-პურის ზედაშეც. ქსნის ხეობის მთიან ნაწილში კი უფრო ერბოს ზედაშეები იცოდნენ. ერთდღიანი დღეობებისათვის პატარა საზედაშე ჰქონიათ, ყველიერისათვის კი, რომელიც ერთი კვირა გრძელდებოდა – დიდი საზედაშეები. ცხავატელები ასეთ საზედაშე ქვაბებს ბევრს აკეთებდნენ². ცხავატში სამშენებლო კერამიკასაც აწარმოებდნენ. ქსნის ხეობაში აგურისა და კრამიტის წარმოების დიდი ტრადიცია არსებობდა. კრამიტი იჭრებოდა სოფელ *ღამისყანაში, თეზში, ოძისში, ქსოვრისში*. ამ სოფლებში მხოლოდ სწორ ქართულ კრამიტს ჭრიდნენ. ღარიანი კრამიტის წარმოება ქსნის ხე-

¹ მ. ზანდუკელი. ქართული ხალხური კერამიკა (ქსნის ხეობა), თბ., 1982, 30.

² მ. ზანდუკელი. ქართული ხალხური კერამიკა, თბ., 1982, 56-57.

ბაში გვიან დაუწყიათ; აქ ის მცხეთიდან შემოუტანიათ, მცხეთელებისაგან უსწავლიათ მისი გაკეთება. ასეთი კრამიტით ძველ საქართველოში ხომ ეკლესიებს ხურავდნენ. საერთოდ, ქართლის სოფლებში ძირითადად ბანიანი სახლები არსებობდა, რომელიც კრამიტს არ საჭიროებდა. ქართლში ძველი დროიდანვე აგურიც იჭრებოდა, რომელიც შედარებით თხელი და კვადრატული ფორმის იყო. XIX საუკუნეში იშვიათი არ იყო ქართული კრამიტით იატაკის საფენებად და თონეების გარშემოსაწყობად გამოყენება. ქსნისავე ხეობაში ამზადებდნენ წყალსადენ მილებსაც. „გათხრების დროს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის მიწები გარეგნული ფორმით თითქმის არ გამოირჩევა დღეს გავრცელებული კერამიკული მილებისაგან. კერამიკული მილების წყალსადენების წარმოება და მშენებლობაში მათი გამოყენება ჩვენი წინაპრების მატერიალური კულტურის მაღალი დონეზე მიგვანიშნებს“¹. საყურადღებოა, რომ ქსნური კერამიკა არა მარტო შიდა ქართლის ბარსა და მთაში, არამედ ქვემო ქართლშიც გადაჰქონდათ სარეალიზაციოდ. ალგეთის ხეობაში მეჭურჭლეები ძირითადად ჯერ „საქალაქო გზას“ დაადგებოდნენ, შემდეგ კი დიდმიდან ძალზე მოკლე გზით მანგლისში ადიოდნენ. მანგლისში ადიოდნენ კავთურას გზითაც. ცხავატური ჭურჭელი ძირითადად ჭირნახულზე იცვლებოდა. კერამიკული ნაწარმის ერთი ხეობიდან სხვა ახლო და შორ ხეობებში გატანა ეს იყო სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი მახასიათებელი.

მართალია საქართველოში კალათას თითქმის ყველგან წნავდნენ, მაგრამ ქართლში ზოგან გასაყიდაც ქსოვდნენ. ასეთად შეიძლება ლიახვის ხეობის სოფლები კეხვი, აჩაბეთი, ალგეთისა და ვერეს ხეობები დავასახელოთ.

¹ იქვე, გვ. 85.

ქართლისათვის, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, შიდა ქართლისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო *მეტიველობის* ტრადიცია. *ტივი* საქართველოში გავრცელებული უძველესი და წყლის მარტივი ტრანსპორტი იყო. პირველად ტივის შესახებ მონაცემებს X საუკუნის ამბების თხრობისას ვხვდებით. ტივი წარმოადგენდა ერთი ზომის, სხვადასხვა მორებისაგან შეკრულ მოტივეტივე და წყლის მიმართულებით მოძრავ პლატფორმას, რომელიც სპეციალური სამართავით – *ოშთაყვირით* – იმართებოდა. შუა საუკუნეებში ტივი გამიზნულად მზადდებოდა, როგორც საბაზრო საქონელი¹. ტივი „სამშენებლო ხე-ტყის ტრანსპორტირებისათვის იკვრებოდა. **ბაზრობის დღეებში ტივით გადაჰყავდათ მგზავრები და გაღჰქონდათ სხვადასხვა სახის ტვირთი**“². ტივი იკვრებოდა სამშენებლო მასალად გამოსადეგი ხის ჯიშების მორებისაგან: ნაძვი, ფიჭვი, ვერხვი... ტივს მხოლოდ მდინარის დინების მიმართულებით აცურებდნენ. მგზავრებისა და ტვირთისაგან დაცლილი ტივი მოლიანად ან ცალკეულ მორებად დაშლილი იყიდებოდა. მეტიველობა შიდა ქართლში ძირითადად მტკვრის ხეობაში იყო განვითარებული. მისი საწყისი პუნქტები თუ ხეობაში იყო, ბოლო პუნქტს თბილისი წარმოადგენდა. ტივი, ან ერთმანეთზე გადაბმული რამდენიმე ტივი, ხშირად დასვენების, დროსტარების და მოლხენა-ქორწილის ადგილიც ხდებოდა. მეტიველობას სპეციალური წერილი უძღვნა **ილია მაისურაძემ**, რომელშიც მოთხრობილი აქვს ქორწილის დროს ხეობიდან (მტკვრის ხეობა თანამედროვე ბორჯომის რაიონში) ტივით პატარძლის წამოყვანა: „როდესაც მეტივე ქალს ზემო სოფლიდან ითხოვდა, პატარძალი

¹ დ. მეგრელაძე. მასალები ქართული ყოფის ისტორიიდან: ტივი და მეტიველობა საქართველოში (წერილობითი წყაროების მიხედვით). – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, თბ., გვ. 32.

² ზ. კუტაღლიშვილი. ნაოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1987, გვ. 113.

ტივით უნდა წამოეყვანათ. ზედიზედ გადაბმულ ტივზე მთელი მაყრიონი თავსდებოდა. სიმღერითა და ქეიფით ეს გრძლად გადაშლილი მოძრავი სუფრა ჭობისხევიდან, დვირიდან, ყვობისიდან თუ ქვაბისხევიდან ქვემოთ მოცურავდა სიძის სოფლისაკენ“. იგივეს წერდა *იოსებ გრიშაშვილი*: „არ ვიცი რომელი სანახაობა აჯობებდა ამ სურათს, როცა მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთზე გადააბამდნენ და მტკვარზე ქორწილს იხდიდნენ. აქეთ ნეყუ-დედოფალი იყო მღვდლით, ეჯიბით და მდადეებით, იქით ნაკვეთიერი ბიჭები ოშთაყვირს ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში. ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო დუღუკზე, მეორე მხარეს ცეცხლი ჩახჩახებდა, რომელზედაც წყლით საესე *კოჭობი* იდგა ცოცხალი თევზისათვის“¹. ტივი ტვირთის გადასატანი ერთ-ერთი საწყლოსნო ტრანსპორტიც იყო. ხორბლითა და ქერით დატვირთული ტივის შესახებ ცნობა აქვს დაფიქსირებული გერმანელ მოგზაურ *გულდენშტედტსაც* – ასეთი ტივები თბილისში შიდა ქართლის სოფელ მეტეხიდან ყოფილა შემოსული. ტივის შესაკრავად და დასაცურებლად რამდენიმე პროფესიის ადამიანები იყვნენ დასაქმებული: I. სატივე ხეების შერჩევა, მოჭრა, გასხეპვა, ქერქის გაცლა, ტყიდან გამოტანა და მდინარემდე მიტანა. ამ სამუშაოს შემსრულებლებს „ტყის კაცები“ ეწოდებოდათ; II. ტივის შეკვრა და დაცურება; III. ტივის მართვა. ტივის მმართველებს მეტივეები და „წყლის კაცები“ ეწოდებოდათ². თბილისში შემოსული ტივებისათვის დაწესებული ყოფილა გადასახადი ტივის ბაჟის სახით. შიდა ქართლში ბორჯომის ხეობიდან ვიდრე მდინარე ლიახვამდე მეტივეობის განვითარების დამადასტურებელია თითქმის ყველა სოფელთან ტოპონიმები: სატიო, სატივე. საქართველოში მეტივეობის უძველესი ტრადიციის დამადასტურებელია გვარსახელე-

¹ ი. გრიშაშვილი. საიათნოვა, ტფ., 1918, გვ. 33.

² დ. მეგრელაძე. მასალები ქართული ყოფის ისტორიიდან..., გვ. 37.

ბი ტივაძე (მომდინარეობს მეტსახელისაგან ტივა, რომელიც ტივების გამკეთებელს შეარქვეს) და მეტივიშვილი.

ვიორგი ჩიტაია მიიჩნევდა, რომ საერთო ქართულ სამოსს – ჩოხა-ახალუხს საფუძველი ქართლსა და კახეთი ჩაეყარა და შემდეგ გავრცელდა საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში. ფაქტია, რომ ქართველები ჩოხა-ახალუხით (ანუ მამაკაცის კაბით) ძველი დროიდანვე იმოსებოდნენ. ამის დამადასტურებელი მასალები აუარებელი გვაქვს ფრესკულ მხატვრობაში, რომელშიც საერო პირი მამაკაცები კაბებით არიან შემოსილი. კაბა ანუ ჩოხა თავიდან მთლიანი იყო და მხოლოდ XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან მოხდა მისი წინიდან ჩახსნა და ღილ-კილოების გაკეთება¹.

ქართლელი ქალის, ისევე როგორც კახელის, ჩასაცემელი შედგებოდა ქართული კაბისაგან (სხვანაირად მას სარტყელ-გულისპირიან კაბასაც უწოდებდნენ), რომლის სიგრძე კოჭებამდე ჩამოდიოდა, აგრეთვე ქათიბისაგან, დოღბანდისაგან, ტალმისაგან, პერენვისაგან, შეიდიშისაგან, დაბლატანისაგან, საბჭურისაგან და ახალოხისაგან. ამას გარდა ის ატარებდა წინდას, მესტებს, ქოშებს ან ფლოსტებს; თავსაბურავიდან შეიძლება დავასახელოთ ჩიხტა, კოპი, თავსაკრავი, ლენაქი/ჩიქილა და მონახევეი. ქართული კაბა ორი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა: დაბალტანი და მაღალტანი. დაბლატანი ზემოთა ნაწილი ნაოჭასხმული და საღტეშემოკერებული იყო. მკერდის შუა ნაწილი სამკუთხოვნად ღიად იყო დატოვებული, რაშიც ჩადგმული იყო აბრეშუმის ქსოვილის გუ-

¹ ქართული სამოსის შესახებ დაწვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი. მამაკაცის საერთოკავკასიური სამოსის გენეზისის შესახებ (ქართული სამოსის ისტორიიდან: ჩოხა-ახალუხი) - About Genesis of Common Caucasian Man's Costume (From the history of the Georgian Costume: Chokha-Akhalukhi) - Kafkasya'nın Ortak Erkek Kıyafetinin Kökeni(Gürcü Giyim Tarihinden: Çokha Akhalukhi) - О генезисе общекавказского мужского костюма (Из истории грузинской одежды: чуха-ахалухи) თბ., 2019.

ლისპირი. ქართული კაბა გათხოვილი ქალის აუცილებელ ჩასაცმელს წარმოადგენდა. მას საქორწინო რიტუალის დროს იცვამდნენ; ქმრის დასაფლავების დროსაც ქართლელი აუცილებლად ამ კაბაში უნდა გამოწყობილიყო და გარდაცვლილიც ამ კაბით უნდა გაესუდრათ. რაც შეეხება წინდას, თავდაპირველად ის გრძელყელიანი არ იყო. **ქართველ ქალს აუცილებლად ორი ნაწნავი უნდა ჰქონოდა, რომელიც მხრებზე ჰქონდა გადაყრილი; წინ კი დაწვებთან ორი კავი ჰქონდა ჩამოშვებული.**

ქართლელ მამაკაცთა ჩაცმულობა საერთოქართული სამოსის ანალოგიური იყო. ძირითად სამოსს წარმოადგენდა კაბა (*ჩოხა*) და *ახალოხი*, ფეხებზე – *პაჭიჭი*, *ჩახსაკრავი*, *ქალამანი*. ქართველი მამაკაცის კოსტუმში შარვალი გვიანდელი შემოსულია. აი, რას წერს ვახუშტი ბაგრატიონი: „ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგად: თავს სკალტისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვეული, აფროსანი; ტანს კაბა ღარისა, სკალტისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემოდე, მახედ სარტყელი, შიგნით საგულე ბანბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბანბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბანბისაგან, ანუ ტილოსა, არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგენი, თვნიერ მისსა არა; ფერხთა პაიჭი და წუდა, ტყავისა ანუ სკალტისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი, კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი“. დიახ, ამ ჩამონათვალში შალვარი ნამდვილად არაა. პირველად ის მუსლიმური სამყაროს გავლენით XVII-XVIII საუკუნეების მიჯნიდან ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში გავრცელდა. ამის შედეგი იყო აქ მამაკაცის სამოსის ტრანსფორმირება, ჩოხის წელის არეში გადაჭრა (რადგან უბეგანიერი შარვალს წელში გამოყვანილი ჩოხა ვერ ჰგუობდა) და ჩაქურას წარმოქმნა. ქართლური გლეხისა და თავადის ჩოხის სიგრძე შეიძლება იყო და-

მოკიდებული. ქართლელი მამაკაცი (ისევე როგორც სხვა მხარეებისა) უკაბოდ სხვაგან არ წავიდოდა და მის გარეშე სტუმარსაც არ ენახებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ მთავარ გმირს, ავთანდილს, საწოლ ოთახში ყოფნის ჟამს მხოლოდ პერანგი ეცვა, მაგრამ გარეთ გამოსვლა რომ დააპირა პერნგზე კაბა გადაიცვა: „ადგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ჭრელისა“.

გლეხის სამუშაო და ყოველდღიური ფეხსაცმელი *ქალამანი* იყო, სადღესასწაულო კი – *წადები*. XVII საუკუნის ფრესკის თანახმად, დიდებულების სადღესასწაულო ფეხსამოსი *ქოშები* იყო. გვიან შუა საუკუნეებში თავადის ფეხსაცმელი მაღალყელიანი იყო, რომელსაც *წვერზე ჭეინტი* ჰქონდა.

ქართველი ხალხის წარსული ცხოვრებისა და ტრადიციების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლების გამოძიებურებასა და შესწავლას, როგორცაა *საფლავის ქვები*. საფლავის ძეგლებმა თავიდანვე მიიქცია ქართველ ეთნოგრაფთა ყურადღება¹. *გიორგი ჩიტაიამ* გაარკვია, რომ „ამ კუთხის ძველ სასაფლაოებში ხშირად ვხვდებით ისეთ ქვებს, რომლებიც ცხვრების, ყოჩების და ცხენების ქანდაკებას წარმოადგენენ“². ამ პრობლემას მონოგრაფიული გამოკვლევებიც მიეძღვნა (ელდარ ნადირაძე). შიდა ქართლიც და ქვემო ქართლიც მდიდარია ქვითხურობის ამ ძეგლებით. ქართლში ამ ძეგლების კეთებაზე ცალკეული გვარები იყვნენ დახელოვნებული. ამ მხრივ გამორჩეული იყო სოფელი ატენი. „არა მხოლოდ ატენს, არამედ მთელ ახლომახლო სოფლებს 40-50 კილომეტრის რადიუსითაც კი ატენის ხელოსნური ნაწარმი აკმაყოფილებდა“³. საფლავის ქვების დამუშავებით განთქმული

¹ გიორგი ჩიტაია. პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები. – შრომები, ტომი II, თბ., 2000.

² გიორგი ჩიტაია. პიტარეთისა და გუდარეხის, გვ. 308.

³ ე. ნადირაძე. ქვითხურობა და საფლავის ძეგლები შიდა ქართლში. – შიდა ქართლი, 1987, გვ. 134.

იყო აგრეთვე თემძის ხეობაში სოფელი *ჭყოპიანი*. ეთნოგრაფიული მასალებით თემძის ხეობაში საფლავის ქვების ოსტატები *მაღაციძეები* იყვნენ: „მაღაციძეები ძირითადად საფლავის ქვების სპეციალისტები იყვნენ. ჰქონდათ ვენახები, ბაღები. მემინდვრეობას არ მისდევდნენ – ხორბალს ყიდულობდნენ (გიორგი ნიკოლოზის ძე მაღაციძე, 65 წლის, 15. 08. 1984). არგვის ხეობის მთისწინეთში ამ მხრივ *ქაისხევი* გამოირჩეოდა. როგორც *ელდარ ნადირაძემ* დაადგინა, ქართლური საფლავის ქვებზე მიცვალებულები უმთავარესად ამოკაწვრის წესით არიან გამოსახული, ზოგჯერ კი ბარელიეფურადაა ამოკვეთილი. ეს ძეგლები თანამედროვეთ აძლევენ იმის საშუალებას, გაარკვიონ მათი წინაპრების ჩაცმულობა, სამეურნეო საქმიანობა – მიწათმოქმედებისა თუ მეცხოველეობის მიმდევარი იყო განსვენებული. მიწათმოქმედის საფლავის ქვაზე აუცილებლად გამოხატულია გუთანი, სახნისი. ზოგჯერ ძეგლზე იმდენად ზედმიწევნითაა ნახატი გამოსახული, რომ თვალშისაცემია გარდაცვლილის ვიწრო პროფესია (მაგალითად, გუთნისდედა), გოგორებიანი გუთანი შვიდი წყვილი გამწვევი ძალით დაცული იყო ერთაწმინდის ეკლესიის ეზოში. თემძის ხეობაში მოძიებულ საფლავის ქვებზე მეტივეებიც ყოფილან გამოსახული. „მეტივეობა ტივითა და ორთაყვირით ახასიათებს სოფ. მეტეხის საფლავის ქვებს. სანამ მეტეხის ხიდი აიგებოდა აქაურები ეწეოდნენ მეტივეობას და ეს კარგად არის ასახული აქაურ საფლავის ქვებზე; გამოსახულია აგრეთვე დურგალი თავისი ხელსაწყო იარაღით, მეცხვარე, გუთნეული, ვაჭარი სასწორით და სხვა. კარგად არის აგრეთვე გადმოცემული ტიპები, ტანთხაცმულობა და სახმარი ინვენტარი“¹. არანაკლებ საინტერესოა საფლავის ქვებზე/ლოდებზე ამოკვეთილი ეპიტაფიები: „უბედურმა სიკვდილმა რა უდროოდ მიგო მახე; წუთი სოფელს მომაშორა, შავ მიწაში დავიმარხე“; „წუთისოფე-

¹ ს. მაკალათია. თემძის ხეობა, თბ., 1959, გვ. 40-41.

ლო უწყალო, ჟამნი მისწრაფე შენისა, // ნაეალი მრავალ მხარესა, როგორც ვაჟკაცსა შეენისა. // სანამდინ ვიყავ ცოცხალი, ღხინი მრავალი ვნახეო // ღამირჩა სამი ობოლი, ძმაო შენ შემინახეო“. ხანდახან ისეთი ეპიტაფიებიც კეთდებოდა, რომელშიც არა მიცვალებულსა და მის ოჯახთან დაკავშირებული კერძო ამბებია გადმოცემული, არამედ ზოგადი, სამშობლოს მომავალზე ფიქრი, მაგალითად, სოფელ დიდლოში თეთრი გიორგის ეკლესიასთან მტრედაძის საფლავის ქვაზე (გარდაცვლილა 1907 წელს) ასეთი წარწერა იყო: **„ღმერთო, სამშობლო კარგათ შამინახე“**. ქვემო ქართლის ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანია გ. ჩიტაიას მიერ *გუდარეხში* გამოვლენილი *ყაფლან ორბელიშვილის* საფლავის ქვის ასომთავრული წარწერა: „ღმერთო შეიწყალე პატრონი ყაფლან. წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა მე ორბელის შვილმა ყაფლან მეორეთ შევამკე მონასტერი ესე და ბარსა და მთაში მტრისაგან გაოკრებული მკვიდრი მამული ჩემი, აღვაშენე სოფელი და (61) და ამას გარეთ შენი მამებარა სოფელი 17 (იხ). ესე ყოველი დაუტყვე ძეთა ჩემთა ე (ხუთთა) და დავემკვიდრე ამასა შინა ქორონიკონსა ტნთ (1671 წ.). შენდობა ყავთ ჩონ[თვის] გევედრები.“¹ ამრიგად, მოყვანილი ეპიტაფიიდან ირკვევა თუ რა კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება ყოფილა XVII საუკუნის ქვემო ქართლში და როგორ იღწვოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ვითარების გამოსასწორებლად. 1689 წელს გარდაცვლილი „საბარათიანოს დიდი თავადი“ პაპუნა ყაფლანის ძე ორბელიშვილი შთამომავალთ აფრთხილებს, რომ **„შეძერად ხელს ნუ მიყოფთ“**. უმეტეს შემთხვევაში საფლავის ქვებზე ეპიტაფიები ღამაზი ქართული დამწერლობითაა შესრულებული, აუცილებლად ამოკვეთდნენ მიცვალებულის ვინაობას გვარის, მამის სახელისა და სახელის მითითებით, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს. იშვია-

¹ გ. ჩიტაია, 2000, გვ. 215.

თი არაა გაღეჟსილი ეპიტაფიები: „*გუთნისდგედა ვარ განთქმული, ვხნავდი მოასა და ბარსაო; // ბელტი ბელტს ვადადიოდა, არა ვზოვავედი ჯანსაო; // მაგრამა ბედმა მიძუხთლა, ხელი მომავლო მხარსაო, // გამტყორცნა შავი მიწისკენ, ამომავარა ქვასაო. // სიკვდილი მუხანათია, მიმტყუნა ბედის ჩარხმაო. ცოლ-შვილი ობლად დავტოვე, არ დამიხავროთ ხალხმაო*“¹.

ეთნოლოგ სარა ბედუკაძეს აღწერილი აქვს სოფელ გოხნარის ეკლესიის ეზოში დაკრძალულთა ლოდები, რომელზედაც გამოსახულია მხოლოდ მიცვალებულის საქმიანობის დამახასიათებელი ინვენტარი, ადამიანთა გამოსახულებისა და წარწერების გარეშე. „ინვენტარის მიხედვით (*მშვილდი, ისარი, კაპარტი, ხმალი, სატვეარი, კომბალი, გრდემლი, საბერველი, ნამკალი, ურეში და სხვ.*). აქ მხოლოდ მამაკაცთა საფლავები გვაქვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი სახით ბრძოლა-ლაშქრობებში დაღუპულ მეომართა ძველ სამაროვანთან გვაქვს საქმე. ამავე დროს ეს უნდა იყოს XV ს-ზე ადრინდელი სამაროვანი, რადგან საბრძოლო იარაღებში ცეცხლასაროლი იარაღი ამ ლოდებზე არ ჩანს“². საგულისხმოდ ეთნოლოგ *ჯუანშერ სონდულაშვილის* მიერ ვერეს ხეობის სოფელ *შავმთასთან* ტყეში ეკლესიის ნანგრევებთან ნაპოვნი საფლავის ქვა და სოფელ *დრეში* ნაპოვნი მსგავსივე საფლავის ქვა. ერთ მათგანზე გამოსახულია მეომრის მარჯვენა, მეორეზე – მარცხენა ხელი. ხელთ უპყრიათ მშვილდი. ერთ-ერთზე გამოსახულია აგრეთვე ხმალი და *კაპარტი*, მეორეზე – ხმალი, ჯვარი, ფარი და როგორც ჩანს, მწუხარე, მგლოვიარე ქალი. *შამთის* ეკლესიის ეზოში ასევე დაფიქსირებულია ისეთივე ფორმის საფლავის ქვა, რომელზედაც სიცოცხლის ხეა გამოსა-

¹ ს. მაკალათია, ატენის ხეობა, 1957, გვ. 31.

² ს. ბედუკაძე. ხალხური ქვითხურობა ალგეთის ხეობაში, თბ., 1973, გვ. 25.

ხული. სიცოცხლის ხე ადამიანსაც მოგვაგონებს. მის თავეში მზეა გამოხატული, გვერდებზე კი – ნაყოფი¹.

ისტორიულად ქართლში საერთოდ მაღალ დონეზე იდგა *ქვითხურობა*, ქვითხუროები გარდა საფლავის ქვებისა, ამზადებდნენ წისქვილის ქვებს, სამშენებლო ქვებს, ბუხრის თაღებს. მაღალ დონეზე იდგა წისქვილის ქვების დამუშავება ქვემო ქართლში. საუკეთესო საწისქვილო ქვები იჭრებოდა ბოლნისთან ახლოს, *კიანეთში*. ალგეთის ხეობაში მოჭრილი დიდი ქვების გადასაადგილებლად იყენებდნენ მრგვალ ბურთისებურ დიდ-პატარა ქვებს, რასაც *სავორავს* უწოდებდნენ. ქვემო ქართლში სამეურნეო დანიშნულების იარაღ-ჭურჭელთაგან XX საუკუნის შუა ხანებამდე ამზადებდნენ *ქვის გეჯებს, სამზარეულო დანიშნულების სანაყებს, დიდი ზომის კორკოტის სანაყებს, ხელსაფქვაკვებს, ყურძნისა საქაჯავის ქვებს*². ქვემო ქართლში ძველად თიხის ქვევრებთან ერთად სცოდნიათ ქვითკირის ქვევრების შენებაც, რომელშიც ინახავდნენ არა მხოლოდ ხორბლეულს, არამედ ქონსა და ზეთსაც. ასეთი „ორმონაშენები“ საგანგებოდ შეზავებული კირისა და სილის ანაზელით, ხსნარით – „კოწიწით“ იყო გამაგრებული. *კოწიწი* შემზადებული იყო ზეთისა და წმინდად დანაყილი ქვის გულისაგან. ასეთი ნაზავი დასაწებებლად გამიზნული თიხის კედლებზე გაგოზვის შემდეგ სიცხოველეში გამოცხობით დიდ სიმკვრივესა და გამძლეობას იღებდა. ფრიად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა აქვს ქვემო ქართლის სოფელ *ჯავახში* ჩაწერილი ეთნოლოგ *სარა ბედუკაძეს* მთხრობელ *საბა ადუაშვილისაგან*: „რო მოვიტანდით ზეთსა... დადგებოდნენ ჩვენი სოფლელები: „გოგომ სურა გატეხა, უნდა დავაკოწიწო და ერთი ჭიქა ზეთი მამეციო“. დანაყამდნენ ქვასა როგორც ფქვილსა, აურევდნენ

¹ ჯ. სონდულაშვილი. მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 122-125.

² ს. ბედუკაძე. ხალხური ქვითხურობა ალგეთის ხეობაში, თბ., 1973, გვ. 19.

ზეთში, მემრე იმ ნატეხზე წაუსომდნენ, გამოაწყობდნენ, დააკრამდნენ ზედაპირზე ფაღასსაც სუ ზემოდან რო არ გაიშალოს, შედგამდნენ ფურნეში, გახმებოდა, დილით გამოიღებდნენ, საფასადე ჯამია, სურაა, საღი გახდა. ის ქვა – კოწიწა – გარე ნაპირის ქვა კი არ უნდა იყოს, გარე ნაპირი უნდა გააცალო და გულისა, ჩვენებური შავი ქვა, რომელიც ზეთში უნდა ყოფილიყო¹. აქვე კიდევ ერთი მივიწყებელი ტრადიცია უნდა გავიხსენოთ. **ქვის დამუშავების დროს – ჩუქურთმების, წარწერების გასაკეთებლად – ქვითხურო იყენებდა ზეთს.** სარა ბედუკაძე აღნიშნავს, რომ *ჯაგახში, მარაბდაში, კოდაში* საფლავის ქვის შეკვეთაზე მომუშავე ხელოსანი აუცილებლად სთხოვდა დამკვეთს მიეტანა ლიტრა ზეთი ქვაზე წარწერისა და ჩუქურთმის ამოკვეთის საჭიროებისათვის. ქვის მოსაჩუქურთმებელი ზედაპირის ზეთით გაუღენტა აშკარად ხელს უწყობდა ჩუქურთმის ამოკვეთის დროს იარაღის გლუვად, ბზარების გარეშე მოქმედებას. ოსტატების თქმით, „იარაღი აღარ ხევს ქვის ზედაპირს“.

ქართლელთა სულიერი კულტურა

მრავალფეროვანი იყო ქართლური სიმღერები, განსაკუთრებით ეს ითქმის შრომის სიმღერებზე. მღეროდნენ არა მარტო სუფრაზე და ქორწილში, არამედ მიწის ხვნის, დაფარცხვის, მკის, ნამგლის გაღესვის, ძნის მოტანის, კალოს ლეწვის, ხვავის განიავების დროს. „ორთველა“ (მღეროდნენ კახეთშიც) სრულდებოდა ხვნის, ლეწვისა და განიავების დროს. ის ერთხმიანია. მკის სიმღერებს განეკუთვნება „ჰერი ეგა“, „ჰერიო“, „ჰოპუნა“, გლეხამ და გლეხამ“. ამ სიმღერების ფორმა შრომითი პროცესებით იყო გაპირობებული. აქვე მეურმის მიერ დამით

¹ ს. ბედუკაძე. ხალხური ქვითხურობა აღგეთის ხეობაში, თბ., 1973, გვ. 22.

ტვირთის გადატანის დროს მღეროდნენ „ურმულს“. ის ერთხმად და მას მხოლოდ მეურმე ასრულებდა.

ქართლში *ფერხულიც* იცოდნენ. ქალები და კაცები ცალ-ცალკე ჩაებმებოდნენ ფერხულში, ხელებს მხრებზე გადააბამდნენ. კაცები ერთ მხარეზე დგებოდნენ, ქალები – მეორეზე, აირჩევდნენ მოლექსე-მომღერალ ერთ ქალსა და ერთ კაცს. კაცი ჩაებმებოდა ქალების ფერხულში, ქალი კი – კაცებისაში და დაიწყებდნენ გამაირებას, საქმე ჯობნაზე იყო. დანარჩენები მას ბანს აძლევდნენ და ფერხული მწყობრად წარიმართებოდა. მოშიაირენი ზოგჯერ კვიმატ ლექსებსაც ამბობდნენ და ხალხს აცინებდნენ. ფერხული სიცილ-კისკით მთავრდებოდა¹. ქართლის სოფლებში სადამოლობით XX საუკუნის 30-იან წლებამდე იცოდნენ „ტაშ-ფანდურების“ გამართვა. ტაშ-ფანდურს აწყობდნენ ბანზე. ამ დროს ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ლექსაობდნენ.

ქართლში ბევრი საინტერესო წეს-ჩვეულება და რიტუალიც იყო შემორჩენილი, მაგალითად, საახალწლო შესაწირავებით ანუ სანოვაგით სავსე ტაბლას **აბრამიანი** ეწოდებოდა. *ნიკო ხიზანიშვილი* მას შემდეგნაირად აგვიღწერს: „კერას წინ ხონხით აბრამიანი სდგას. ხონხაზედ აწყვია ღორის თავი, მრგვლად მოხარშული დედალი, ხელადა ღვინო... ოჯახის უფროსი ყველას პატიულობს, თითოეულს ოჯახიშვილს უზიარებს აბრამიანს, მაგრამ იქნებ არც კი იცი რა არის აბრამიანი? **აბრამიანი გახლავთ სხვადასხვა სანოვაგით შემკული ტაბლა.** გლესს სწამს, რომ საახალწლო ნატვრა შეუსრულდება, ამიტომ ყველას ულოცავს დღესასწაულს, კაციდან დაწყებული საქონლამდე. მისალოცად საჭიროა კიდევ ტკბილეულობა, ხილეულობა, *ბედის კვერები*... წინა დღეს ყველას ბედის კვერი უნდა გამოაცხონ, საქონლისაც კი. ბედის კვერი სხვადასხვა სახისაა, მაგალითად, მუშა საქონლისათვის გამოაცხობენ უღლის მსგავს კვერს, ძრო-

¹ ს. მაკალათია. ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 36.

ხისათვის პურის ძუძუს, მენამგლისათვის ნამგალა-პურს, გუთნისდედისათვის პურის გუთანს. უეჭველად უნდა გამოაცხონ *ბასილა*, კაცის სახის კვერი და გულზე ჯვარი გამოუსახონ. გასუქებული ტახი ხომ აუცილებლად უნდა დაკლან. „დასაბერებლად“ ჯამში თაფლს ჩაასხამენ და თაფლში კიდევ ყველსათვის თითო ლუკმა პურია ამოფლებული. ამ ლუკმით უნდა „დააბერონ“ ყველა ოჯახისმედი. წარმოიდგინე, რომ ყველა ეს სანოვაგე და ბევრი სხვაც ხონჩახედ აწყვია, ხონჩის შუა ღორის თავი ძეგს და თვითონ დატვირთულ ხონჩას გარშემო წმიდა სანთლები უნთია, – აი, ეს არის „აბრამიანი“... დილით ადრე ოჯახის უფროსი გაიტანს ამ გაჩადებულს აბრამიანს, სახლს სამჯერ გარშემო შემოუფლის, მერე ბოსელში შევა და საქონელს მიულოცავს. საქონლის მილოცვა დიდის ამბით იციან, სხვათა შორის, კვერცხს გადააფლებენ ზურგზედ და ეტყვიან – ასე მრგვლად გასუქდიო... ბოსლიდამ უფროსი ისევ დარბაზში დაბრუნდება, მივა კერასთან, აიღებს მუგუზალს, შეუჩინჩხალებს ცეცხლს და რამდენჯერაც ნაპერწკლები ავა მადლა, იტყვის: „ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი“ და სხვა, – რასაც ინატრებს... მერე ყველას „დააბერებს“ თაფლით“¹.

ჯულიეტა რუხაძეს ქართლში ასეთი ეთნოგრაფიული მასალა აქვს ჩაწერილი: „ახალი წლის წინ ღამეს ვაცხოვდით თონეში. ბასილა კაცივით იყო, ხანჯალი, ხმალი, ხელები მითომ თამაშობდა. ბედი პური ვიცოდით, ცხვრების ბედი პური, ორ ძუძუს გაუკეთებდით, თუ ჩავარდებოდა ეზარალებოდა ცხვარი, ძროხის ბედის პური ოთხი ძუძუთი, ქათმის ბედის პურიც იყო, ჩხირით ჩაგჩხვლეტამდით, ემტენი წიწილა გავზარდოთო, ემტენი ფრთე ქათამი, ჯუ, ჯუ, ჯუ, ვიტყოდით. ... სახრეს იმისთვის ვაკეთებთ ოჯახში ვინც კაცი იყო, თუ კარქა გამოცხვებოდა, ოჯახის კაცი კარქა იქნებოდა. ... ყველაფერი ტაბაკზე გვქონდა დალაგებული. ოჯახის კაცი შემო-

¹ ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 147.

იტანდა იმას და იტყოდა: **შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისაო, მრავალს დე-ესწარი შობა ახალ წელიწადსაო**“. „ბასილაძე ვიცოდით, ბიჭი იყო, პატარა ჭუჭუას გამუსახავდით ზედა და წყალკურთხევას ვაჭმევდით ყველა კაცს, სახლში რომელიც გვქავდა“¹. ქართლში ახალი წლის წინა დღეს იცოდნენ აგრეთვე ვახის პურის გამოცხობა, რომელიც იყო დაგრეხილი და გაკეთებული ჰქონდა ჩამიჩები.

XX საუკუნის თითქმის 20-30-იან წლებამდე შიდა ქართლში ხენასა და თესვასთან დაკავშირებული არაერთი მაგიური წეს-ჩვეულება არსებობდა. სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ ეთნოლოგ *ჯულიეტა რუხაძის* მიერ 1947 წელს *გრემისხევში* ჩაწერილი მასალა: „თესლი რო უნდა გეეცანა, მაშინ კაცი ამოიდებდა თესლსა, სანთლებ აანთებდა, დაილოცებდა, ღმერთო, გვიშველე, მრავალ დაგვემწარ ამის დათესვასა და მოყვასნასაო. მერე წაიდებდა კაკალს, ხახვს. **დათესვის დროს იეცოდა, ღმერთო უშველე ჩვენ საქართველოსა, საქართველოში ჩემ ოჯახსა, ჩემ შვილებსა**. მერე იმ ხახვსა და კაკალს შეშჭამდნენ, ამ სისხლ მარცვალი მოიდესო, ესე ხახვივითა და კაკალივით მთელი დავესწროთო მოსავალსაო, სიკეთესაო. იმ დღით არაფერს რკინეულს არავის მივცემდით, ცეცხლს არ მივცემდით, არაფერს დავახალვებდით თესლი დახალდებო, საციქველს არ მივცემდით, გაფვრთხილდებოდით. **სამსე მთვარეზე ვთესამდით, სამსე მოსავალი მოგვივაო**. მთესავი სუფთა მიდიოდა თესვაში, ძველ თესლ პურს შაურედნენ ახალ თესლში დათესვის დროს, ძველის ძველი ნუ გამოველევაო. გინდა მშივრები დახოცილიყვნენ მაინც ერთი მუჭა უნდა შეენახათ“². **ხშირი ყანების მოსვლის რწმენით მთესველი თესვის წინ წვერს უშვებდა**. ნაფარცხის პირში სცოდნიათ აგრეთვე კვერცხის ჩადება, „ესე სამსე ჭირნახული მოიდესო, როგორც ეს კვერცხია“-ო. მაგიურ წესებს ასრუ-

¹ ჯ. რუხაძე. ქართლი II, თბ., 2011, გვ. 10.

² ჯ. რუხაძე. ქართლი II, თბ., 2011, გვ. 19.

ლებდნენ ხენის წინაც. ქსნის ხეობაში: „სამსე მოვარეზე, სამშაბათ დილით დაიწყებდნენ ხენას. დილით სახლში გუთნი-დედა ორ სამთელ დაანთებდა, პირჯვარ დაიწყერდა და დაილოცებოდა: ღმერთო ბარაქიანი წელიწადი, ბარაქა მიე ჩვენს გუთანსო, ჩვენს ხენასაო, ჩვენს თესვასაო; სასმელი უნდა ყოფილიყო არაყი, გადადკრამდა, ხარ-გუთან კვერცხ გაატეხინებდა, მართამდა და გავიდოდა. გუთნი-დედა ხარს ერთ, ეგრე სამსე იყავიო. მერე იმ კვერცხს დიკი ფქვილ გაურევდა, ცომივით მამამზადებდა და ხარს მარჯვენა მხარზე გაუსმევდა ჯვარივითა ცომსა“¹. *ქვემო ჭალაში* 1948 წელს ჩაწერილი მასალა: „როცა ფარცხვას გაათავებენ, მოესველი გუდას მოიხდის, დანით სამჯერ მიწაზე ჯვარს გააკეთებდა და იტყოდა „ჯვარი გეწეროს ყანაო“. დარს მოხნულო, დართით დაფარცხულო, // დართამც მაიმკები, დართამც გაილეწები, // იქენ დალიან ბარაქიანი // მოხმარდი პატრონსა მშვიდობაშიო“. დაუსვამს ჯვარს და გაანებებს თავს“².

შიდა ქართლში კალოობის დაწყების წინ აუცილებლად იტყოდნენ: „ამოქროლდი ქვენა ქარო, // ხვაგი, უნდა ვახვარხვარო, // წმინდა პური გამოვაცხო, // ყმაწვილები გავახარო“. ქართლში (აგრეთვე კახეთში) მკის დროს ქალი ყანას ვერ მიუახლოვდებოდა, რადგან ყანის მკელი მამაკაცები მას უწმაწური სიტყვებით გაუმასპინდლებოდნენ. ამის შესახებ მეცნიერებს შენიშნული აქვთ: „ჩვენში მკის დროს, დღესაც აუცილებელი წესი არის სექსუალური გაღალღება სიმღერის სახით, რაც ტრადიციულად მომდინარეობს. აბა ნახეთ სამკალი სიმღერები, როგორი გათამამებული სიმღერები ბატონობს და ეროტიზმით არის ღაგამამოყრილი: „*რკინის უღელი გადასდგე, ყანას გამოსჭერ ყელიო, გადაუვრიხე კისერი, ქალს შენკენ უყავ პირიო, ამოუკოცნე ტუხები, მოუვა ტკბილი ძილიო*“... „*მაღიმაღ შააგინებენ მარიამსა და ნინასაო*“. „*პატარა ვოვოს დაეხსენ, ცრემლები ჩამოსცვი-*

¹ იქვე, გვ. 43.

² იქვე, გვ. 103.

გაო“: ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავს – „ვისაც უნახავს ჩვენებური მკა, რომ ქალი სამკალს ახლოს ვერ გაუვლის, რადგან თავაშვებული, უშვერი სიტყვების საგანი გახდება და ეს ხდება მხოლოდ სამკალში, შემდეგ კი არა. ... ეს უშვერი სიტყვები ამშვენებს ბერიკებსაც“¹

„მკას რო დაამთავრებდნენ, დაილოცვებოდა უფროსი. მეთაური ჯვარს შადკრამდა და მიუტანდა ოჯახში, მშვიდობაში მოგახმაროსო, კულავითვინაც მშვიდობიანათ ჩაგბარდეს თქვენი წლის მოსავალიო. როცა დაძახილი იყო, მამითადში მესვეური წინ მიდიოდა, სვე და სვე დადჭრიდა, მერე სხვა მომკელები მიდევდნენ სიმღერით ისინი იძახდნენ: ჰეკი-ჰოკი, ჰოკი-ჰეკი“². „მკაში მუშური იცოდნენ, დაძახებდნენ, უფრო კარგათ რომ ემუშავნათ – ჰერი, ო და ჰერი ოკა, ჰარალო, ო ... ჰერიო, ბიჭო ყანაში. გადავდე რკინისა კავი, ყელი გამოვჭერ ყანასა, მტერა მტერს უნდა უმტეროს, მოკეთემ მაგისტანასა. ჰოკ, ჰოკ, ჰა, ჰა, ჰოკ, ჰა“³. „გავლესოთ ძმებო ნამგალი, // პური შავგქმნია სამკალი. // ჯერ ჰოკუკ დავავუბუნოთ // და მერე ჰარი ჰარალი“.

ქართლში მემინდვრეობა გლეხის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა. ის უპირატესად პურით იკვებებოდა. ამიტომაც საყოველთაო იყო პურის ყადრი – თქმა იცოდნენ: „*პურით ვცხოვრობთ, პურზე უკეთესი არასფერი გვაქვს*“. არსებობდა პურთან დაკავშირებული მთელი რიგი მაგიური წეს-ჩვეულებები. საამისო ეთნოგრაფიული მასალები ბევრი აქვს ჩაწერილი ეთნოლოგ *ჯულიეტა რუხაძეს* 1947-1948 წლებში: „პურის გადაგდება ცოდოა, თუ დავარდებოდა ნამცეცი, აიღებდნენ, აკოცებდნენ და დადებდნენ, უფალი სწყევლისო პურის გამყადრებელს. ვისაც შენი ყადრი არ ესმისო, მადლი არ იცი-

¹ ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 339.

² ჯ. რუხაძე. ქართლი II, თბ., 2011, გვ. 112.

³ იქვე, გვ. 250.

სო, იმას შენი თავი არ მისცესო“¹; „პურის გადაგდება ცოდოა, ჩვენი მაცოცხლებელი, ჩვენი დამაარსებელი არი, პატივსა ვცემდით ღმერთსა და იმასაცა, უკეთურად არ ვახსენებდით არც პურსა და არცა ხატსა. წყევლაც იცოდნენ პურზე, გაგიწყდეს პური მადლიო, არ დაგკვეთოს სიკვდილი დღეს პურიო. დაფიცებაც იცოდნენ პურზე, პურის მადლმაო, სეფისკვერის მადლმაო. პურის უკუღმა დადება არ შეიძლებოდა“²; „პური რო გადაგვივარდებოდა, ავიღებდით და ვაკოცებდით, ღმერთო ნუ გაგვიწყრებო“³; „პურის სიგრძეზე გადატეხვაც არ ვარგა, შუაზე უნდა გადატეხო, ყუა ერთ ნაპირსაც ქონდეს და მეორესაც. პურის დანით გაჭრაც არ ვარგა, ცოდვა არისო“⁴; „პური დაკერის დროს იტყოდნენ, ღმერთო, უშველე ამ პურის პატრონსაო. მაგრა მიატყამდნენ ხელს ცომს თონეში, გაიგონე, დადამთილო, მკვდარი თუ ყავდათ დედამთილი. როცა მაფხელდნენ ცომსა, ჯვარს გაუკეთებდნენ ხელით, ღმერთო შენ დაძსწერე შენი წყალობის ჯვარი ამ ცომსაო, იტყოდნენ და მიასვენებდნენ დიდ გუნდას გასაფუებლად“⁵.

ქართლში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ქრისტიანობის ღრმად გავრცელების მიუხედავად, შემორჩენილი იყო მთელი რიგი ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები. ახალი წლის რიტუალში მნიშვნელოვანი იყო წყლისათვის მილოცვის ქმედება. ახალი წლის დღით წყლის მოსატანად წასული ოჯახის უფროსს თან მიჰქონდა მარცვლეული (ხორბალი). ის წყალში ხორბალს ყრიდა და ამბობდა: მომილოცავს ახალი წელი, მრავალს დაესწარი მხიარულად, როგორც შენ ხარ უხვი და გამოუღევარი, ისე მოსავალი იყოს უხვი და გა-

¹ ჯ. რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები. ქართლი I, თბ., 2010, გვ. 63.

² იქვე, გვ. 63.

³ იქვე, გვ. 66.

⁴ იქვე, გვ. 64.

⁵ იქვე, გვ. 76.

მოუღევარი, მოგვეცი ჯანმრთელობა, ღვთის ბარაქა და დოვლათი“. ამ სიტყვების შემდეგ ჭურჭელს აავსებდა, შინ მოსული კი ამბობდა: „წყალმა შემოგვითვალა, წყალმა იორდანისამა, როგორც ჩემი სახელი არ დაიღევა, ისე თქვენი სიცოცხლე არ დაილიოსო“¹.

ქართლში დიდებაზე დავლის შემდეგ გუთნით წყლის „მოხვნასაც“ მიმართავდნენ, რომლის დროსაც გუთანში შებმულ ქალებს ის წყალში შეჰქონდათ, თან გუთნის დედას და სხვა ქალებიც მიყვებოდნენ. წყალში შესულნი ერთმანეთს ებღლარძუნებოდნენ, ეჭიდებოდნენ, წყალს ასხამდნენ, მათ შორის, სარცხვენელშიც. გუთნით წყლის მოხვნის შემდეგ წვიმის გამოწვევის რიტუალი ხშირად გრძელდებოდა ქალქებთან, ქვადედაკაცებთან, მოზვერაქვებთან. ეს რიტუალი XX საუკუნის 20-იან წლებში *გიორგი ჩიტაიას* ქვემო ქართლში აქვს დადასტურებული. შიდა ქართლში *მოზვერა ქეები* იშვიათი არ იყო. ის *შ. გოხალიშვილს* დადასტურებული აქვს 1930-იან წლებში. გადმოცემის რამდენიმე ვარიანტი არსებობს; ერთ-ერთი ასეთია: სოფელ დმენისში გაქცეულ მოზვერს დიდ ავდარში პატარძალი დადევნებია. ბევრი დევნის შემდეგ რომ ვერ დასწევია, დაუწყევლია: „შენამც ქცეულხარ ქვათაო“ და გადაქცეულა ქვად. მოზვერა ქვასთან, გვაღვის დროს, სალოცავად მოდიოდა ახლო-მახლო სოფლების (*მერეთი, ქსუისი, ხარდიანთ კარი, დისევი, სნეკვი, საცხენეთი, ბელოთი*). სცოდნიათ ქვაზე კენჭების დალაგება, რაზედაც უნდა მოეშარდა ძლიერ ქვრივ დედაკაცს, ისე რომ კენჭები გადაეტანა².

ახალი წლის შემდეგ ქართლში ერთ-ერთი ძირითადი არაქრისტიანული დღესასწაულები იყო *ბერიკაობა-ყვენობა, ჭონაზე სიარული*. ჭონაზე სიარული ადღვომის წინ იყო. შეიყრებოდა ხუთი ან ექვსი ახალგაზრდა, რომლებსაც სიმღერა და ლექსაობა ეხერხებოდათ, აიღებ-

¹ მ. მაკალათია. წყლის კულტის გადმონაშთი შიდა ქართლში. – შიდა ქართლი, 1987, გვ. 8.

² მ. მაკალათია. წყლის კულტის გადმონაშთი..., გვ. 95.

დნენ კალათას და დაივლიდნენ სოფელს. სახლის ბანზე ასულები ერდოდან კალათას ჩაუშვებდნენ და დაიმღერებდნენ: „აღათასა, ბაღათასა, ჩამოვკიდებ კალათასა, დედი, ერთი კვერცხი მომე, ღმერთი მოვცემს ბარაქასა, ჭონა, ჭონა... ახალი სახლი დავიდგამს გარშემო მოვირტყამს ფიჭვიო, ღმერთმა ყველა გაგიზარდოს, გოგო იყოს თუ ბიჭიო“¹. თუ კვერცხის მოცემას დაუგვიანებდნენ, დაიმღერებდნენ: „ტყიდან მკელი ჩამოვარდა, თხა შეგვიჭამა ნისლაო, დედი ერთ კვერცხი მოვვე, სხვაგანაც გვინდა მისვლაო. ლექსის დასასრულს უმატებდნენ ჭონა..., ჭონა... საინტერესოა 1867 წელს კასპში ჩაწერილი ყვენობის აღწერილობა: „ორი ქალი ყვენი წყალზე მივიდნენ, კაბებით შევიდნენ წყალში. იმათ ქვრივი მოხუცი ქალი შეჰყვა, ღვინო დააღვეინა, პური შეაჭამა, დაღოცა და მერე ისე დეეჭიდნენ ყვენები ერთმანეთს, იმოდენა აგორავეს ერთმანეთი, რომ კინაღამ დაიხრჩნენ. ხროვა-ხროვა მორბოდნენ და ჭიდაობდნენ დედაკაცები – ქვრივები, პატარძლები, გასათხოვრები და ასველებდნენ ერთმანეთს. ეს ხდება თებერვალში. კორესპონდენტი ეკითხება ერთ დედაკაცს – კაცები, პო, და დედაკაცებს რაღა ყვენებათო. იმან მიპასუხა – როცა დედაკაცები ყვენს დასმენო, კარგი დრო მოგვდისო, პური და ღვინო ბლომად მოგვდისო, არც სატკივარი გაჩნდება ხოლმეო“¹. ქართლური ყვენობის დროს ორი დაპირისპირებული ჯგუფი იყო და თითოეულ ჯგუფს მეთაური ჰყავდა; ერთს მეფე ეწოდებოდა, მეორეს – ყვენი ან „შაჰი“. ყვენობა ამ ორი მეთაურის ბრძოლით თავდებოდა, გამარჯვებული ყოველთვის მეფე გამოდიოდა. დამარცხებულ ყვენს ყოველთვის წყალში აგლებდნენ. ხალხის რწმენით რომელი მხარეც ყვენობის დროს გაიმარჯვებდა, იქით იმ წელს კარგი მოსავალი იქნებოდა. ეს უძველესი ტრადიცია, რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ტრანსფორმირდა. ბუნებრივია, თავდაპირველად

¹ დ. ჯანელიძე. ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948, გვ. 227.

ყენის ნაცვლად სხვა პერსონა იქნებოდა. ყენობის ამ ვარიანტით, ქართველი კაცი იბეგებდა მტერზე მომავალ გამარჯვებას.

ქართლში იცოდნენ გუთნით წვიმის გამოწვევის რიტუალი; ეს იყო წყლის მოხვნა, რაც გვალვის დროს სრულდებოდა. თან ახლდა დიდებაზე დაგლა. ამ დროს სოფლის გოგონები ერთად შეიყრებოდნენ, გააკეთებდნენ „ლაზარეს“, სოფელში დადიოდნენ და მღეროდნენ: „*ახ ლაზარე, ლაზარე! // ლაზარ მოდგა კარსა, // აბრიალეებს თვალსა, // ცხავი აცხავებულა, // წვიმა გაჩქარებულა, // ღმერთო მოგვეც ცის ნამი, // აღარ გვინდა მზის თვალი, // ღმერთო მოგვეც ტალახი, // აღარ გვინდა გორახი*“. ხოლო როცა დიდხანს წვიმდა, მაშინ შემდეგ დიდებას გალობდნენ: „*ახ ლაზარე, ლაზარე! // ლაზარ მოდგა კარსა, // აბრიალეებს თვალსა, // ცხავი აცხავებულა, // დარი აჩქარებულა, // ახ ლაზარე! ლაზარე! // ცას ღრუბელი აჰყარე! // აღარ გვინდა ცის ნამი // ღმერთო მოგვეც მზის თვალი! // აღარ გვინდა ტალახი // ღმერთო მოგვეც გორახი*“! ყველა სახლთან მისულ გოგონებს აძლევდნენ კვერცხს, ფქვილს. ამ გოგონებს და ლაზარეს ზოგჯერ წყაღსაც ასხამდნენ. შეგროვილ ფქვილსა და კვერცხს ყიდნენ და ამ ფულით ბატკანსა და თხას ყიდულობდნენ. **ბატკანს ღმერთს შესწირავდნენ ხოლმე, თხას კი – ელიას.** ზოგიერთ დიდების საგალობელში პირდაპირ იყო ნათქვამი: „*ღმერთო მოგვეც ტალახი, // აღარ გვინდა გორახი, // შენ მოგიყვან წვიმასა // ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა*“! ეთნოლოგ *მზია მაკალათიას* მიერ ქართლში მოძიებული მასალით, „ლაზარობაზე“ მოსიარულეთაგან ქალები ძირითადად ქვრივები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან უფალს ქვრივი და მისი ობლები უფრო ეცოდებოდა და წვიმასაც ნამდვილად გამოუგზავნიდა. დიდებაზე წასვლის წინ ქალები თიხისაგან მამაკაცს გამოძერწავდნენ, რომელსაც ლაზარეს (ზოგან ბასილასაც) უწოდებდნენ. ლაზარეს კრამიტზე ან ხონჩაზე დებდნენ, ხემოდან თეთრ ნაჭერს გადააფარებდნენ. დი-

დების პროცესის მონაწილენი ყველა ოჯახში მიდიოდნენ. შემოგებებული ოჯახის წევრს ეუბნებოდნენ: „ელიას წყალი უნდაო“. ისიც ზემოდან წყალს გადმოსახამდა. დიდებაზე მოსიარულეებისათვის ზოგან კვერცხის მოცემას ერიდებოდნენ, რადგან სწამდათ, რომ ამას შეიძლება სეტყვა გამოეწვია. მსხვერპლშეწირვის შემდეგ თიხის ლაზარეს უმეტეს შემთხვევაში წყალში აგდებდნენ; ზოგან ელიას სამლოცველოსთან ტოვებდნენ, დადასტურებულია „ლაზარეს“ დამარხვის ჩვეულებაც¹. ივანე ჯავახიშვილი „ლაზარობის“ რიტუალს დრუბელთ ბატონისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ ქმედებად მიიხნევდა

ჯულიეტა რუხაძის მიერ ქსნის ხეობაში ჩაწერილი მასალა: „ავდრისთვის ლაზარეზე დაივლიდნენ. მერე მოქუჩდებოდნენ სოფელში და გუთანს შააბამენ წყალში აატარ-ჩაატარებენ, წყალი უნდა მეეხნათ. მოხუცს დანიშავენ გუთნი-დედათ, არბენინებდნენ წყალში. სულ გაატიტვლებდნენ და თითონაც გატიტვლებდნენ ქალები. ყველაზე მეტად გუთნი-დედას აწვალებდნენ, სახრეებ არტყამდენ. მაშინ რაც პირზე მოგვადგებოდა, იმას ვიტყოდით. იქ ერთმანეთში ცოლ-ქმარს გაიხდიდნენ ერთმანეთს, კოცნიდნენ. გუთნი-დედას წააქცევდნენ წყალში და ცარიელ გუთან გავატარებდით. გუთნი დედას მივცვიოდით, იმ დამეს გაავდარდებოდა. დადლილები რო მოვიდოდით, ვიქეიფებდით. მას ლაზარეს *ერიფანას* ვეძახდით. ლომისობაზეც ვიცოდით *ერიფანა*. **ქალები, რო მოგვინდებოდა ქეიფი და შევაგროვებდით, იმას ვეძახდით *ერიფანას***“². ამავე ხეობაში ქალები წყლის მოხვნის შემდეგ ლაზარეზე ფეხშიშველა დაივლიდნენ, სხვადასხვა კარზე მისულებს ხელში *კუკნია* ეჭირათ და ამ კუკნიას წყალს გადაასხამდნენ. ქალები ამ დროს მდეროდნენ: „ლაზარ მოდგა კარსა, // იგრიალა მცასა. // მიდგა

¹ მ. მაკალათია. წყლის კულტის გადმონაშთი..., გვ. 91.

² ჯ. რუხაძე. ქართლი II, თბ., 2011, გვ. 193.

მოდგა მხაროსა, // დაემგვანა მოვაროსა. // ახ, შენ წმინდა ელია // რისთვის მოგიწყენია, // შენ მოგვიყვან წვიმასა, // ჩვენ დაგიკლამო ციკანსა. // ცხავი აცხავებულა. // წვიმა მოჩქარებულა. // აღარ გვინდა გორახი, ღმერთო მოგვე ტალახი“. „ლაზარეზე რო დაივლიდნენ, ხელში ძელის კუკნიას დაიჭერდნენ, პატარა კაბა ეცვა შინდისფერი. ზოგი დამვლელებს გამოუტანდა კვერცხსა, ზოგი პურსა; ეტყოდნენ, მოვედით ხვითივინაო, გაავდარდესო“¹. სცოდნიათ კუკნიას თიხისაგან გაკეთებაც, რასაც ფიცარზე დაწვენილს ატარებდნენ და ბოლოს წყალში გადააგდებდნენ.

ლესურას ხეობაში კუკნიას ნაცვლად *ბახილას* აკეთებდნენ და მას დაატარებდნენ. საკორინთლოში კი ტალახისაგან უკეთებიან და მას *ტალახის იორდანეს* უწოდებდნენ. თან იორდანე ტილოგადაფარებული დაყოლებიან. ხოლო რიტუალის შემდგომ პურის ჭამას „ლაზარეს სამხოს“ და „ნათხოვრის საღმთოს“ ეძახდნენ. სოფელ ხურვალეთში *თიხის კუკნიას* ქრისტეს მოციქულს ეძახდნენ. მოგროვილ ფქვილს „ნაკლებ გააჰყიდნენ, ეგეთი წესი იყო, ხითივინ დადიოდნენ და რა თქმა უნდა ნაკლებ უნდა გეყვიდათ“². **კუკნიას არა მხოლოდ ძელი-საგან, არამედ ხისგანაც აკეთებდნენ, რასაც ტყლაპები ჰქონდათ ჩაცმული.**

შიდა ქართლში ჩაწერილი მასალებით, გვალვის დროს კაცებიც ასრულებდნენ გარკვეულ რიტუალს, რომლებიც მღვდელთან ერთად სხვადასხვა სალოცავთან მიდიოდნენ, ბოლოს *ხობალაურთან* „ერბოს ქვასთან“ მივიდოდნენ, ერბოს წაუსვამდნენ და კეტებით დაძრავდნენ. გადმოცემით ეს ერბოს ქვა გუთანში შებმული გაქვავებული ხარი ყოფილა.

ეთნოლოგებს ქართლში ქარ-სეტყვის საწინააღმდეგო წეს-ჩვეულებებიც აქვთ დაფიქსირებული. *ჯ. რუხაძეს* არაგვის ხეობის დაბლობში ჩაუწერია, რომ „ფინთი წვი-

¹ იქვე, გვ. 195.

² იქვე, გვ. 204.

მის დროს ოჯახის სიყმის შვილი გამოიტანდა ნაცარს, გადააყრიდა კარზე, ზედადგარს გადმოაბრუნებდა. ... წვიმის დროს მოიპარავდა ვინმე გუთონის დედის ცოცხს და დაწვადა, ვითომ სიცხუნე იცისო“¹. იგივეს აკეთებდნენ სეტყვისა და „უბედური ქარის“ დროს. სცოდნიათ ეკლესიის ზარების დარეკვაც. სეტყვის დროს სანთლებსაც ანთებდნენ და ელიას ეხვეწებოდნენ ნამუშევრის გადაარჩენას. დიდი ქარის საწინააღმდეგოდ კი ფილთაქვის ბოძზე მიბმა იცოდნენ: „დიდი ქარი რო ადგებოდა სიყმის შვილ ფილთაქვას მივაკერებინებდით ბოძზე და ვეცყოდით, ფილთაქვა არ ავიშვებო, სანამ ამ ქარს არ ჩააგდებო“².

ქართლში იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისავლის უდანაკარგოდ მიღებას, რომ რეგულარულად მიმართავდნენ მთელ რიგ მაგიურ ქმედებებსაც. ფრინველს ჭირნახული რომ არ გეფუჭებინა, საამისოდ იცოდნენ „ჩიტფაფობა“. ყველიერში მოადუღებდნენ ფაფას, შუაში ჩასდებდნენ ერბოს, ფაფიან ჯამს შედგამდნენ რომელიმე სამეურნეო ნაგებობის სახურავზე, რომ ის ჩიტებს ეჭამა და ყანა არ გაეფუჭებინა: „აჰა, ჩიტო, თქვენი საჭმელი, ყანა არ შეგვიჭამო“-ო. ღიახვის ხეობაში ერთგვარად განსხვავებულია *ჩიტფაფობა*: „ღიასახლისი ამ დღეს ფაფას გააკეთებდა, ბავშვი გარეთ გაიტანდა და დედას შეეკითხებოდა: დედავ, დედავ, რას აკეთებ? დედა უპასუხებდა: ჩიტფაფასა, ჩიტფაფასაო. და კვლავ ეტყოდა: ჩიტები სად არიანო? ბავშვიც მიაგებდა: სხვისა ყანასაო (დაასახელებდა მეზობლის ყანას). ფაფას ბავშვებს შეაჭმევდნენ, ცოტას ნაფოტით აიღებდნენ, ზედ ერბოს დაადებდნენ და სიმინდის ძარაზე დადებდნენ – ეგებ ჩიტებმა ჭამონო“³.

ქართლელები წლის განმავლობაში სხვა არა ერთ წესს და ქმედებას მიმართავდნენ, მაგალითად, *სერგი მ-*

¹ ჯ. რუხაძე. ქართლი II, თბ., 2011, გვ. 208.

² იქვე, გვ. 214.

³ ს. მაკალათია. ღიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 73.

კალათიას ღიახვის ხეობის სოფელ ქორდში დადასტურებული აქვს „თაგვობა“, რომელსაც ყველიერში თაგვობის გასარეკად ასრულებდნენ. ადების ღამეს გამოაცხოებდნენ ქადებს; ამ ქადებს ბავშვებს მისცემდნენ, რომლებიც ამ ქადებით და ასკილის ტოტებით სახლს შემოუვლიდნენ, ასკილის ტოტს სახლის კედლებს არტყამდნენ და გაიძახოდნენ: „თაგვო, თაგვო, გადი, ანგელოხო, შემოდი“-ო. ერთი მათგანი კატასავით კნაოდა „მიაუ-მიაუ“-ს. შემდეგ ბავშვები სახლის ეზოდან მოშორებით დასხდებოდნენ და ქადებს შეჭამდნენ. მიწაზე დაარტობდნენ ასკილს, რომელზედაც წამოცმული იყო ქადის პატარა ნაჭერი, რათა თაგვებს შეეჭამათ. „თაგვობა ღამეს იცოდნენ აგრეთვე „ბაღების დასარევა“ (სიტყვა სარყისაგან). აიღებდნენ ჯოხს და თავს ოთხად გაუპობდნენ, შიგ ჯვარედინ ჩხირს გაუყრიდნენ. შემდეგ ასეთ სარყს ყანაში, ბოსტანში, ბაღში ან ეზოში ჩაარტობდნენ. სარყის გვერდზე ასკილს დადებდნენ“¹.

ქართლში ძალიან პოპულარული იყო *ჭიაკოკონობა*, რომელსაც ადღგომის მარხვის მიწურულს მართავდნენ. დაყრიდნენ დიდი რაოდენობით ფიჩხს, კაჭაჭს, ცეცხლს წაუკიდებდნენ და ახალგაზრდა კაცები, ვაჟები ზედ ახტებოდნენ და თან დაიძახებდნენ: „არული კუდიანებსაო“. ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ, ნაცარს მოხვეტდნენ და ბოსტანში დაყრიდნენ – ბოსტნეულს ჭია არ გააფუჭებსო. შემდეგ უმძრახად წყალს მოიტანდნენ და დაიბანდნენ. იცოდნენ აგრეთვე „უქმეები“, კერძოდ, „რჩილის უქმე“, „დამწვრის უქმე“ და „სეტყვის უქმე“. ეს უკანასკნელი იცოდნენ მაისში, ორშაბათ დღეს, სეტყვას ყანა რომ არ დაესეტყვა. დიდმარხვის მიწურულს, ორშაბათს არ საქმობდნენ – ღმერთი ოჯახს ცეცხლისაგან დაიფარავსო.

ერთგვარი ხალხური დღესასწაული იყო *სახლის ანგელოხობა*. *სახლის ანგელოხი* ოჯახის მფარველი იყო.

¹ იქვე, გვ. 73.

მას ოჯახში მიუჩენდნენ მამალს, რომელსაც სანიშნოდ ფეხის ფრჩხილს შეაჭრიდნენ. სახლის ანგელოზისეული ეს მამალი ხელუხლებელი იყო. დიდმარხვის წინ, სახლის ანგელოზობა დღეს, მამალს დაჰკლავდნენ, ქადეებს გამოაცხობდნენ და სახლის ანგელოზს ტაბლას დაუდგამდნენ; ამ ტაბლას ოჯახის დიასახლისი სახლის აღმოსავლეთის კედლის თაროში შესდგამდა და სახლის ანგელოზს შეევედრებოდა: სახლის ანგელოზო, ბარაქა და დოვლათი მოგვეციო, გაგვიმრავლე საქონელი, ადამიანი და სხვ. შემდეგ მამალსა და ქადეებს ოჯახის წევრები შეჭამდნენ. უცხოსა და გარეშე პირს ის არ ეჭმეოდა, მას არც სიძეს აჭმევდნენ¹. *ჯულიეტა რუხადის* მიერ სოფელ *ქორდში* ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, „კველიერის ხუთშაბათ ანგელოზობად – სახლთანგელოზის დღეობადა. რო გამააცხობდნენ ერთ დიდ ქადას ერბოსას. ერბოს ზედაშე გვექონდა. ანგელოზ თაროში მივართმევდით მარჯვნივ. აქ იცოდნენ, იმ ქადას ცალკე შეჭამდა ქალი; შენა, მე მითხრეს, არ დაინახო, თორემ თვალები გეტკინებაო“.

ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილ შინამრეწველობის მასალებში წარმოდგენილია ერთი საგულისყურო ტრადიცია, რომელიც 1936 წელს ჩაუწერიათ შიდა ქართლის სოფელ შინდისში: „**ბობოლა** გავაკეთებდით რგვალ პარკსა, ჩაყვრიდით ნაცარს, გარშემო შემოვასხამდით ფრთებსა ქათმისა და ინდაურის და კონწიალა აქვს და კონწიალობს. ბავშვი რომ ხორცეულებს დაინახავდა და იტირებდა, უფროსები ეტყოდნენ „ბობოლა მოვაო“, შეშინდებოდა და გაჩერდებოდა. კიდევ, როცა დიდი მარხვა დადგებოდა, ბობოლაში გაუყვრიდნენ ფრთებს, მარხვა ცხრა კვირას არის, თითო კვირაში თითო ფრთას გამოაცლიდა, და რომ გათავდებოდა ის ფრთები, დაარწმუნებდნენ, რომ გახსნილდაო. ამითვინა, რომ წერილი არ იცოდნენ“².

¹ ს. მაკალათია, ღიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 75.

² შინამრეწველობის... ტომი III, ნაწილი II, თბ., 1986, გვ. 141.

ქართლში ჰქონდათ სასოფლო სალოცავები/ეკლესიები, მაგრამ არსებობდა ისეთი სალოცავები, დღეობები, სადაც მთელი ხეობის მოსახლეობა იყრიდა თავს. ასეთ ძლიერ სალოცავებზე ხშირად მეზობელი ხეობების მოსახლეობაც მოდიოდა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დღეობა *ერთაწმინდობა*, რომელიც ძველი სტილით 20 სექტემბერს მოდიოდა. აქ სალოცავად მოდიოდნენ არა მხოლოდ ქართლიდან, არამედ კახეთიდანაც. „თემის ხეობაში წმ. ესტატე ძლიერ ხატად ითვლებოდა. შეთქმულთ აქ მოჰყავდათ კურატები, ყოჩები და მამლები. ხატს საკლავს იქვე დაუკლავდნენ, ღამეს ათევდნენ და სხვადასხვა რიტუალს ასრულებდნენ: **ზოგი ეკლესიის გარშემო რამდენიმე წყება ბამბის ძაფს შემოარტყამდა (ღვთისმშობლის სარტყელი), უვლიდნენ გარშემო ფეხშიშველნი** ზურნითა და გარმონით. ხატზე ჩამოკიდებდნენ ჯვრებს, თვალისკაკლებს და სხვა. ხატობას აქ იმართებოდა დიდი ბაზრობაც. დროს ატარებდნენ ციკკვითამაშიში, ჭიდაობაში და სხვა. ეკლესიის დასავლეთით მიშენებულია თადიანი სათავსო, რომელსაც „მთავარანგელოზს“ უწოდებენ. მის კედელში გამოჭრილია ოთხკუთხა ხერელი, რომელშიც გაყრილი ყოფილა ჯაჭვი „დადიანური“. ერთაწმინდობას აქ თურმე მოჰყავდათ სულით ავადმყოფები, რომლებიც ღამეს უთევდნენ. ავადმყოფს ჯაჭვით შეკრავდნენ, სკამზე დასვამდნენ და ჯაჭვის ორივე ბოლოს კედელში გაუყრიდნენ. მეორე დღეს ავადმყოფს აუშვებდნენ, იგი ადგებოდა და თავისუფლად გაივლიდა“¹. თემის ხეობაზე ასევე ძლიერ სალოცავად ითვლებოდა *რკონის ღვთისმშობელი*, სადაც თითქმის ისეთივე რიტუალი სრულდებოდა, როგორც ერთაწმინდაში.

ასეთი ძლიერი ხატი ქართლში სხვაც არა ერთი და ორი იყო (*ქვათახევი, თელეთი...*). რა აპირობებდა მათ სიძლიერეს? მხოლოდ მათი მასშტაბები? რა თქმა უნდა,

¹ ს. მაკალათია. თემის ხეობა, თბ., 1959, გვ. 25.

არა. ამ ფაქტთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაძართან დაკავშირებულ ლეგენდას, ზოგჯერ კი რეალურ ფაქტსაც. ამ გადმოცემებსა და რეალურ ფაქტებში ხშირად „თარღები“ და მათი სახით რეალური მტრები ფიგურირებენ. ერთაწმინდის ტაძრის შესახებ ასეთი გადმოცემაა: ის ადგილი, სადაც ახლა ეკლესია დგას, ტყით ყოფილა დაფარული და ირმის ჯოგი თავისუფლად დადიოდა. ერთი თათარი აქ ირემზე სანადიროდ მოსულა, მას მშვილდ-ისარი მოუმარჯვებია და ერთი ირემი ნიშანში ამოუღია, მაგრამ ამ დროს ირმის რქაზე ნათელი ჯვარი გამოსახულა. ამის დანახვაზე თათარი შეშინებულია, იარაღი ხელიდან გაუგდია და უთქვამს – ქრისტე მიწამებიაო. შემდეგ ეს თათარი მონათლულა ესტატეს სახელით და მისთვის აქვე ეს ეკლესია აუშენებიათ. მეორე გადმოცემა ასეთია: ერთხელ *შაჰ-აბასი I* გიორგი სააკაძის თანხლებით გორისაკენ მიდიოდა. შაჰმა შორიდან თვალი მოჰკრა ერთაწმინდის ტაძარს და გამოკითხა სააკაძეს მისი მნიშვნელობის შესახებ. ბოროტი შაჰი შურით გაიმსჭვალა და ბრძანა მისი დანგრევა. სპარსელები მიესივნენ ტაძარს და დაიწყეს მისი გუმბათის მოშლა. ამ დროს შაჰ-აბასმა თურმე იგრძნო თვალის სინათლის დაკლება, რაც მას არასდროს დამართნია. შაჰს იქვე დასძინებია და ძილში მოსჩვენებია გოლიათი, რომელსაც მოუნდომებია მისი გულის შუბით განგმირვა. შაჰის კარისკაცებმა ვერ შეძლეს სიზმრის ახსნა, მაშინ გიორგი სააკაძის ამალიდან გამოსულა ერთაწმინდელი მოხუცი და შაჰისათვის მოუხსენებია: თუ გნებავთ თვალის სინათლე დაიბრუნოთ, უბრძანეთ შეაჩერონ ერთაწმინდის ტაძრის დანგრევაო. ამასთანავე განუმარტია, რომ ის გოლიათი, რომელიც თქვენ ძილში მოგჩვენათ, არის სასწაულთმოქმედი წმ. ესტატე. შაჰის ბრძანებით ტაძრის დანგრევა შეაჩერეს, მოხუცმა შაჰი შეიყვანა ტაძარში და უჩვენა ესტატეს ხატი. მის დანახვაზე შაჰს შეშინებია, უცვნია ის გოლიათი, რომელიც მან ძილში ნახა და წამოუძახია: დიდ არს თქვენი წინასწარმეტყველიო (ე. ი.

წმ. ესტატე). ამოუღია თავისი ხმალი, მისთვის მოუხსნია ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ვადა და ერთაწმინდის ტაძრისათვის შეუწირავს¹. ეს ძვირფასი ნივთი 1770 წელს ლეკებს გაუტაციათ.

ჩვეულებრივ ყველა ქართული ეკლესია რომელიმე წმინდანის სახელს ატარებდა. მაგრამ საყურადღებოა რომ ქართლში, სოფელ *ზენა დრისში* არის სალოცავი, რომელსაც *მეხის ეკლესიას* უწოდებენ. თემის ნაპირას აშენებული ეს ეკლესია დღეს თითქმის დაშლილია. აქ სალოცავად მოდიოდნენ მეხისაგან დაზარალებულები, მიჰყოლებიათ მეხდაცემულებიც. ავადმყოფს სამჯერ შემოატარებდნენ ეკლესიის გარშემო და შესთხოვდნენ მის განკურნებას. სოფელ *ბრეთში* იცოდნენ დღეობა *გარეგნობა*. სოფელ *ქვენატკოცის* თავზე ნასახლარებში არის *ყვავისაყდარი*, სადაც დღეობა *მაცხოვრობა* მაისში იცოდნენ. გადმოცემით, ბატონს მოუწვევია სამკალად ხალხი. ამ დროს ქვაბში წყეული ჩავარდნილა, ხალხს ეს ვერ შეუმჩნევია. წყეულის ქვაბში ჩავარდნა ყვავს დაუნახავს, რის გამოც ჩხავილი დაუწვია. ამიტომაც დაუძახიათ ყვავისაყდარა. ეთნოგრაფიული მასალებით, ქვენატკოცის ყვავისაყდარაში თურმე მცხეთობის დღეობა მოდიოდა და არა მაცხოვრობა. ხემთ, მთაზე ყვავისაყდარაში ხალხი რომ ვერ ადიოდა, შემდეგ ის ჩამოუტანიათ მუხებში. ერთი სიტყვით, სოფელ ქვენატკოცის ბოლოს ზეიმობენ მცხეთობის დღესასწაულს: „მუხებია, ეკლესია არაა და მანდ მცხეთობა მოდის. იქაა ეს დღეობა. მუხაზე ანთებენ სანთელს. ერთი ყველაზე დიდი მუხაა, დედამუხას ეძახიან, აქ ანთებენ სანთელს. ვისაც შეკვეთილი აქვს, ის დაკლავს ცხვარს“ (მალიკო იასონის ძე თურმანიძე, 63 წლის, ქვენატკოცა, 18. 08. 1989). ამავე სოფელში არის დიდი ეკლესიის ნანგრევები, სადაც მაცხოვრობას იხდიდნენ. ეკლესიასთან ყოფილა ღამის სათევი ოთახები. ასეთი ოთახები ქართლის სხვა სოფლე-

¹ Пл. Иоселиани. Эрцацминда, с. 39-41.

ბის ეკლესიებთანაც არსებობდა – ისინი გამიზნული იყო შორიდან მოსული მლოცველი ხალხისათვის. მაგალითად, სოფელ *დიღომში თეთრი გიორგის* ეკლესიასთან არსებობდა ასეთი ღამის გასათევი, რომელის სამი კედელი ძირითადად მიწაში იყო ჩადგმული და მხოლოდ წინა, შესასვლელი კედელი ჩანდა. გადმოცემით აქ ქიზიყიდან სოფელ *მაჩხაანიდან* მოდიოდა მლოცველი, რომლებიც ოდესღაც დიდმის ხეობის სოფელ *მაჩხაანიდან* (ახლა ნასოფლარი) იყვნენ გადასახლებული.

ღლეობებში გარდა ღოცვისა და საწირავის შეწირვისა, ხშირი იყო დოღში შეჯიბრი, მაგალითად, დიდმის *დიდგორობისას* (ძველი სტილით 7 მაისი), ლხინი და ცეკვა-თამაში, საპატარძლოს „გაჩხრეკა“ და სხვ. იცოდნენ *ქადავად დაცემა*. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია ეკლესიაში სალოცავად მოსული ოჯახის ქმედება: „1956 წ. 23 ივლისს (ფერისცვალების წინა დღე), საღამოს ჟამს, სვეტიცხოვლის ეზოში 11 მლოცველი (5 კაცი, 5 ქალი და 1 ბავშვი) შემოვიდა. მლოცველები მოსული იყვნენ გორის რაიონის ს. *არაშენდიდან*. მათ ეკლესიას სამჯერ შემოუარეს და ბამბის ძაფიც (ერთი მორგვი ჰქონდათ) შემოაყოლეს. შესაწირავად მოყვანილი ჰყავდათ ვერძი და მამალი. გარშემოვლა ამ ცხოველებით მოხდა. მლოცველთაგან უხნიერესმა დედაკაცმა, რომელიც ფეხშიშველი იყო, ტაძარს ჯერ ოთხით, ხოლო შემდეგ ზეზე მდგომმა ორჯერ შემოუარა. გამოირკვა, რომ ეს ქალი დიდხანს ავად ყოფილა და ღმერთისთვის ფიცი მიუცია, მომარჩინე და სვეტიცხოველს ვეახლები შესაწირავითო. მის ქალიშვილს (ისიც ფეხშიშველი იყო) ხელში შესაწირავი მამალი ეჭირა; წელი, მკერდი და ზურგი წითელი ლენტით (სარტყელი) ჰქონდა შეკრული და მარლის წინსაფარი ეკეთა. ამ ქალის ძმას მკლავზე შემოჭერილი ჰქონდა სხვადასხვა ფერის (წითელი, ლურჯი და თეთრი) სამი ბაფთა. მლოცველები ყოველ შემოვლაზე ტაძრის კუთხეებს და კართა ნაპირებს ჰკოცნიდნენ. შემოვლა რომ დამთავრდა, მამალი ზემოთ შეაფრინეს, რო-

მელიც ერთმა მცხეთელმა ბავშვმა მათი (მლოცველების ნებართვით) დაიჭირა და სახლში წაიყვანა. შემდეგ მღვდლის თანხლებით ტაძარში შევიდნენ. გადმოგვცეს, რომ მლოცველები ცხვარს ამაღამ დაჰკლავენ, დამეს აქვე გაათევენ და ლხინს გადაიხდიან“¹.

ქართლში მრავალი ხალხური დღეობა იცოდნენ, რომელთაგან უმრავლესობა გვიანობამდე იყო შემორჩენილი; ისინი ქრისტიანულ ელემენტებსაც შეიცავს და ქრისტიანულ წინდანთა სახელებისა ან ქრისტიანული რელიგიისათვის შესაბამისი სხვა სახელების მიხედვით იწოდებიან. შეიძლება ჩამოვთვალოთ: *არბოობა/გერისთობა* (გიორგობა. არბოსა და გერში), *აბოცობა* (გიორგობა-ქაშვეთობა. სალოცავად გადმოდიან ზემო იმერეთიდანაც), *ახალჯვრობა* (იგივე ჯვარპატიოსნება. 7 მაისს. სოფელი ხიდისთავი), *გორიჯვრობა* (გიორგობა გორის ზემოთ. მაისის 23 და ნოემბრის 23-ს), *დიდგარობა* (სოფელ დიდმის დიდგარის მთაზე და მთის ძირში. მაისის შეიქმნი. იცოდნენ ქვათახევის მონასტრის ზემოთ მთაზეც), *ზღუდერობა* (იცოდნენ კახეთშიც), *თელეთობა* (ქრისტეს ამალგების დღეს. მლოცველი ძირითადად კახეთიდან მოდიოდა), *კალოუბნობა* (მცხეთის ზემოთ, ზემო ხანდაკში), *კახიჯვრობა* (ერედვი. აღნიშნავდნენ იმერეთსა და კახეთშიც), *მაცხოვრობა* (ბელთოსა და ვანათში), *ნაჭარმაგობა* (კარაღეთში. ღვთისმშობლობა, აღდგომის მეორე დღეს); *ოქონობა* (ფრონეების ხეობში. ღვთისმშობლობა, აღდგომის მეორე დღეს), *რკონისობა* (გიორგობა. აგვისტოს 15. თექმის ხეობაში), *სალოლაშენობა*, *სხვილოსობა* (გიორგობა. აპრილის 23-ს), *უსანეთობა* (სოფელ მეჯვრისხევში. სული წმიდის მოფენის პირველსა და მეორე დღეს. იცოდნენ კახეთის სოფელ კოლოთოშიც), *ქაშვეთობა* (გიორგობა. თბილისი., საციციანოს სოფელ ქვაშვეთი, მუხრანი, ქემერტი. ამ დღეობას აღნიშნავდნენ აგრეთვე კახეთში, იმერეთში, სვანეთში, საინგილოში – ქურმუხი),

¹ აკ. სოხაძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 123.

ყარყარობა (თორტიზასა და ზემო ნიქოზში), *ჯვარპატი-
ოსნობა*, *ღავერობა* (სოფელ ღავერისხევში), *კავთობა-თაე-
კავთობა* (გიორგობა. კავთისხევსა და სხვა სოფლებში),
კვართობა (ხოვლეში), *კვირიკობა* (ლამისყანაში. იცოდ-
 ნენ კახეთში – ახმეტასა და რაჭაში), ერთაწმინდობა
 (სოფელი ერთაწმინდა) ... ქართლის მთავარი სალოცავი
 კი *სვეტიცხოველობა* იყო. ეს არის ის „სვეტი ცხოვე-
 ლი“/ცოცხალი სვეტი, რომელიც აღემართა ქრისტეს
 კვართის დაფლების ადგილას. მის დღესასწაულს აღნიშა-
 ვენ 14 ოქტომბერს. ქრისტიანული სარწმუნოების გაღვი-
 ვებასა და გაძლიერებასთან ერთად *სვეტიცხოველობას* ის
 დადებითი მხარეებიც გააჩნდა, რომ იგი სანახაობრივად
 მაღალ დონეზე დადგმულ ზეიმს წარმოადგენდა, სადაც
 იმართებოდა ცეკვები, სიმღერები... იგივე შეიძლება ით-
 ქვას ქართლში არსებული ყველა რელიგიური დღეო-
 ბის/დღესასწაულის შესახებ. დრმად ქრისტიან ქართვე-
 ლებში რელიგიურ დღესასწაულებზე მცხოველთა შე-
 წირვის უძველესი ტრადიცია იყო შენარჩუნებული. ყვე-
 ლა დღეობაზე დიდი რაოდენობით იკვლებოდა ღვთაები-
 სადმი, სალოცავისათვის წინასწარ შეთქმული საქონე-
 ლი, ცხვარი და ფრინველი (მამლებს ძირითადად უშვებ-
 დნენ).

ბუნებრივია, კითხვა ჩნდება: როგორ შემორჩა ქრის-
 ტიანობამდელი მსხვერპლთშეწირვის ტრადიცია? რატომ
 წავიდა მის მიმართ კომპრომისზე ქართული მართლმა-
 დიდებელი ეკლესია? ჩვენი პასუხი ასეთია: ქართველები
 უძველესი მიწათმოქმედი ხალხია. ისინი ძირითადად სა-
 მიწათმოქმედო პროდუქტებით იკვებებოდნენ. მართლმა-
 დიდებელ ეკლესიას მთელი წლის განმავლობაში მარ-
 ხვის დღეების დიდი რაოდენობა ჰქონდა (მაგალითად,
 2021 წელს მარხვის დღეების რაოდენობაა 219). ფაქტობ-
 რივად ცხოველის ხორცის ჭამის შესაძლებლობა ტრა-
 დიციულად ძირითადად დღეობების დროს ჰქონდათ. შე-
 იძლება ითქვას, რომ ქრისტიანულ ისტორიოსოფიასთან
 მიმართებაში ეროვნული ქრისტიანობის ერთ-ერთი სა-

ფუძველი საყოველთაოდ გავრცელებული დღეობები და ამ დღეობებზე ძველი ტრადიციიდან მომდინარე ცხოველთა მსხვერპლთეწირვაცაა.

სოციალური ურთიერთობები ქართლში

საქორწინო წეს-ჩვეულებებსა და ქორწილს საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ძირითადად საერთო მახასიათებლები გააჩნდა, მაგრამ მთელი რიგი ნიუანსებით განსხვავებანიც გვქონდა. მკაცრად იყო რეგლამენტირებული მომავალ საქორწინო პარტნიორთა წრე – ვისზე შეიძლებოდნენ დაქორწინებულები და ვისზე – არა. **აკრძალული იყო მოგვარეების ერთმანეთზე დაქორწინება, იმ შემთხვევაშიც კი თუ ერთი გვარსახელის წარმომადგენლებს საერთო წარმომავლობა არ ჰქონდათ.** მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შვიდი საერთო წინაპრის, შვიდი თაობის გასვლის შემდეგ ქორწინებას უშვებდა, ერთი გვარისანი ანუ საერთო წინაპრის შთამომავალი ქართლები (ყველა ქართველი), მაინც ძველი ტრადიციის თანახმად, ერთმანეთთან საქორწინო ურთიერთობაში არ შედიოდნენ. დარღვევები მხოლოდ ფეოდალთა წრეში იყო; მათ შორის შვიდი თაობის გასვლის შემდეგ ქორწინება ხდებოდა. არ შეიძლებოდა ხელოვნურად დანათესავებულთა და მათი შთამომავლების ერთმანეთზე დაქორწინება. ხელოვნური ნათესაობის ყველაზე გავრცელებული ფორმას ქართლში ნათელმირონობა და მეჯვარეობა წარმოადგენდა და წარმოადგენს. ნათელ-მირონებს შორის საქორწინო ურთიერთობის აკრძალვა თორმეტი თაობის ჩათვლით იყო აკრძალული. **ქართლში დაქორწინებას ერიდებოდნენ თანასოფლელები, ხოლო თუ სოფელი დიდი იყო და ის უბნებისაგან შედგებოდა – ერთ უბნისანი.** ფეოდალიზმის ეპოქაში „არის ადგილობითი ჩვეულება, რომ ოდესაც გათხოვდება პირველად ქალი, მაშინ მუნებური მებატონე ანუ მოხელე, ვისიც

გლეხი ქალი იქნებოდა, ვინც წაიყვანდა, წამყვანს გამო-
ართმევდნენ ექვს აბაზს, ანუ სამს მინალთუნს, და ეს
ჩვეულება არის თავადაზნაურთ ყმათა ზედა თუ საკვლ-
მწიფო ყმა წაიყვანს, მასაც გამოართმევენ¹. ამიტომაც
იყო, რომ ისტორიულად უფრო ხშირად ქორწინდებოდ-
ნენ ერთი სათავადოს წარმომადგენლები, მაგალითად,
სოფელ დიდმის მკვიდრნი სამუხრანბატონოს მკვიდრებ-
ზე ხშირად ქორწინდებოდნენ, რადგან დიდომიც ამ სა-
თავადოში შედიოდა. ქართლში ჯვრისწერის ერთ-ერთ
მთავარ წინაპირობას მექორწინეთა ასაკი წარმოადგენდა.
ქალი უმეტეს შემთხვევაში 16-18 წლის ასაკში თხოვე-
ბოდა, ვაჟი კი 20-25 წლის ასაკში ირთავდა ცოლს. თუმ-
ცა არცთუ იშვიათად იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც
ქალიშვილს 13-14 წლის ასაკშიც ათხოვებდნენ, მაგრამ
ქმრის ოჯახში გადასულს 15-16 წლამდე ქმართან საერ-
თო სარეცელი არ ჰქონდა. ამ ხნის განმავლობაში მას
დედამთილი ოჯახის ტრადიციებში არკვევდა. ზოგჯერ
კი ადრეულ ასაკში დანიშნული, მხოლოდ გვიან გადაპ-
ყავდათ ქმრის სახლში.

ქართლში ქალ-ვაჟის დაქორწინება მეტწილად გარი-
გების (შუაკაცის მეშვეობით) ხდებოდა. როცა ვაჟი მიაღ-
წევდა საქორწინო ასაკს, დედა ან უფროსი რძალი იწ-
ყებდა მისთვის საცოლის შერჩევას. სასურველ საცოლეს
ისინი ძირითადად ქორწილებსა და დღეობებში ათვალი-
ერებდნენ. გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის
გარეგნობას, ზნეობრივ თვისებებს და შრომით ჩვევებს,
ამავე დროს, ქალი უნდა ყოფილიყო ზრდილობიანი, პა-
ტიოსანი, უფროსების პატივისმცემელი და კარგი მეოჯა-
ხე². ყველა ჩამოთვლილი თვისების გარკვევის შემთხვე-
ვაში ვაჟის მშობლები ქალის ოჯახში შუამავალს აგზავ-
ნიდნენ და შესაბამისად მისი „სახლის გასინჯვას“ ახ-

¹ ი. დლიძე. საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, გვ. 76.

² ნ. მაჩაბელი. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978, გვ. 32.

დნდნენ. XIX საუკუნის ქართლში საყოველთაოდ გავრცელდა *მაჭანკლობა*; მაჭანკალი საქორწინი წყვილებს თავისი ნებით არჩევდა. თბილისში კი წესად იყო დამკვიდრებული საპატარძლოს აბანოში გასინჯვა. ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში ქალის გასინჯვას „ქალის გაჩხრეკასაც“ უწოდებდნენ. ეთნოლოგ *ნუნუ მაჩაბელს* „გაჩხრეკის“ ასეთი ფაქტი აქვს ჩაწერილი სოფელ *კეხვში*: „მოვიდნენ, გაჩხრიკეს, გოგო ბრმა არ იყოს, კოჭლი არ იყოს... მე ერთი გოგო მომეწონა, ვუთხარი ანდრიას და წავიყვანე. რომ მივედით ოჯახში, ვუთხარი – ბიჭი არ არის ახლა აქ, მალე მოვა-მეთქი. ეს ქალი ტრიალებს, მერე ვუთხარი, – აი ეს არის მეთქი. იმათ თქვეს: უი, სულ არ გაჩხრიკეს ქალიო“¹. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ ქალი და კაცი სრულიად პასიურნი იყვნენ; მათ ბედს მშობლები წყვეტდნენ: „ვაჟის დედ-მამას რომ ქალი მოეწონებოდა, ბიჭს არ ჰკითხავდნენ, შვილი მამის წინააღმდეგ არ წავიდოდა“.

ქართლში ქორწილს წინ *ნიშნობა* უსწრებდა. ნიშნობაზე სასიძოსთან ერთად ვაჟის მშობლები და ახლო ნათესავები მიდიოდნენ. ვაჟის ოჯახს ქალის ოჯახისათვის უნდა მიეტანა ძღვენი: ცხვარი (ლიახვის ხეობაში ცხვრის ნაცვლად ღორიც იცოდნენ), ღვინო, შოთი პური, ნაზუქი და ბეჭედი (ან სამაჯური). თავის მხრივ სტუმრების დასახვედრად ქალის ოჯახიც ემზადებოდა. იწვევდნენ მღვდელსაც, რომელიც სუფრასაც აკურთხებდა და ნიშნობის ბეჭედსაც. ბეჭედს სარძლოს თითზე ძველად ვაჟის მამა გაუკეთებდა, რის შემდეგაც ამით ქალი უკვე დანიშნული იყო. პატარძლის მოსაყვანად მაყრიონი ძველად ურმებით მიდიოდა. პატარძალი აუცილებლად ჩარდახგადახურული ურმით უნდა მოეყვანათ. ცდილობდნენ მაყრადც სიძღერის მცოდნენიც წაეყვანათ, რადგან ცერემონიალი აუცილებლად გულისხმობდა მაყრულის შესრულებას. *ჯუანშერ სონღულაშვილს* ქართლში ნეფე-პა-

¹ იქვე, გვ. 36.

ტარძლის ასეთი სახოტბო სიმღერა აქვს ჩაწერილი: „1. მინდორ-მინდორ დავდიოდი, // ირემსა და შველს ვეძებდი, // განა მართლა შველს ვეძებდი? // დავეძებდი ვარიასა; // განა მართლა ვარიასა? // ქალს ვეძებდი გვარიანსა! 2. მოვდივართ მოგვიხარია, // მოგვეყავს დედალი ხოხობი, // თვალ-წარბ გადახატული, // ქალია ძუძუკოკობი. // მოვდივარ, მოგვიხარია, // ვინც დავკინახოს, // ძმობა არ გვითხრას, // იმას ნუ გაუხარია“. ნეფის სახლს მოახლოებულ მაყრიონს რამდენიმე მაყარი გამოეყოფოდა, ვინც ადრე მიასწრებდა მისვლას ის იყო მახარობელი; ის ეზოში შესვლისას დაიძახებდა: „მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი, მიჭამია ბალი, ამიხვიეთ მხარი“. ჯვრისწერა ჩეულებრივ პატარძლის (დეოფლის) ეკლესიაში ტარდებოდა. სოფელ დილოში თუ რამდენიმე წყვილი ერთდროულად იწერდა ჯვარს და არ იყო საკმარისი გვირგვინი, ნეფე-პატარძალს ვაზის რქისაგან დაწნულ გვირგვინს ხურავდნენ თავზე.

იყო ისეთი შემთხვევები, რომ ჯვრისწერისა და ქორწილის დღეს, ნეფე და პატარძალი პირველად დაინახავდნენ ერთმანეთს. ამას *ფრედერიკა ივანგის* ცნობაც ადასყურებს: „ქორწილის ცერემონიალის დასასრულს პატარძალს ხსნიან თავსაბურავს და ხშირად სიძე პირველად ხედავს თავის საცოლის სახეს. ერთხელ დავესწარი ქართველი პატარძლის თავსაბურავის ჩამოხსნას, ვცდილობდი შეემჩნია მღელვარება, რომელიც ჩემის ფიქრით უნდა გამომჟღავნებულყო ამ ახალგაზრდა ნეფე-დედოფლის სახეზე, რომელთაც პირველად იხილეს ერთმანეთი. გულდასმით ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერაფერი ვერ ამოვიკითხე. პატარძალი ქანდაკებასავით გამოიყურებოდა, სასიძოს სახეზე კი იელვა სწრაფმავალი მოწონების გამომეტყველებამ, როდესაც მან დაინახა თავისი ძალზე ახალგაზრდა და საკმაოდ ლამაზი ცოლი“¹.

¹ ნ. მაჩაბელი. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978, გვ. 48.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ეს მოვლენა საყოველთაო არ იყო.

საქართველოში ყველგან, დღევანდელთან შედარებით, პატარა ქორწილებს იხდიდნენ – საქორწილო სუფრასთან მინიმუმ ორმოცი-ორმოცდაათი და მაქსიმუმ სამოცი-სამოცდაათი კაცი იყრიდა თავს. ასევე იყო ქართლშიც. **სირცხვილად მიიჩნეოდა მოზარდებისა და ბავშვების ქორწილში წაყვანა. სუფრაზე ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე იხსდნენ** – ქალები ოთახის ერთ-მხრივ ტახტზე, მამაკაცები კი მეორე მხარეს. ქორწილისათვის საგანგებოდ აცხობდნენ პურს. ცალკე ცხვებოდა ე. წ. *ჯვრის პური*. 1947 წელს ეთნოლოგ *ჯულიეტა რუხაძის ჯვრის პურის* შესახებ დუშეთში ასეთი მასალა აქვს ჩაწერილი: „ჯვრის პური ნათლიას უნდა ეყიდნა პური მცხობლების ოჯახიდანა და ეკლესიაში წველო. ნაზუქს გავათხელებდით ზედ დაგრეხილი ცომიდან ჯვარს გავაკეთებდით იქა აქა კუნჭულებში ჩიტებს დავაკეთებდით და დავსომდით, მემრე კვერცხის გულში გავპოხამდით და ისე შავწომდით. პურის მცხობელთ ნათლია 5 მანეთს მისცემდა; ამას დაუდგამდნენ წინ ნეფე დედოფალს. ჩირადდანს მიართმევდნენ, სასანატი (? – რ. თ.) მოყვარე ვინცა ყავდა ქალის მხრიდან, ის მიართმევდა. ხე იყო გათლილი; ტოტები ქონდა, ზოგზე სანთელი იყო, ერთი ქათამი თავზედა მოხარშული ქათამი იყო თავი ზედა ქონდა, სასულე ქონდა გაჭრილი მარტო“. „საქორწილო ჯვრის პურზე იცოდნენ გაკეთება ფრინველებისა, კაცისა, ცხენს გამოხატავდნენ ზედ კაცს დასომდნენ და ხელში მათრახი ეჭირა მითომ იმიტომღო ბიჭი ეყოლება პირველათაო“¹. აუცილებელი იყო პურისათვის საჭირო ფქვილი დედ-მამიან, ბედნიერ (და-ძმიანი, ქმარ-შვილიანი) ქალს გაეცრა. მასვე უნდა ჩაეკრა პირველი პური თონეში. საქორწილო ნადიმისათვის საქონლის დაკვლას ოჯახის ყველა წევრი და ნეფის მაყრები ეს-

¹ ჯ. რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები. ქართლი I, თბ., 2010, გვ. 153

წრებოდნენ. ქართლში ასეთი განსაკუთრებული წესიც ყოფილა – ქორწილის მეორე დღეს მომსვლელ ნათესავ-მეზობლებს თან მიჰქონდათ „სირისკუდი“ (ძღვენი) – ჩურჩხელა, ვაშლი, არაყი, ყურძენი, მურაბა. თავისებური და დღევანდელისაგან განსხვავებული იყო ღვინის სმის წესი. ყანწი და თიხის სასმელი (თასი) სუფრაზე სულ რამდენიმე იყო, რომლებიც მერიქიყვებებს ებარათ. ასე რომ, ერთ სადღეგრძელოს სუფრის წევრები გარკვეული რიგით სვამდნენ, სასმისები ხელიდან ხელში გადადიოდა (ეს საერთოქართული ტრადიცია იყო). ერთი სასმისიდან ღვინის შესმა, მართალია, არაპიგიენური იყო, მაგრამ მას თავის დადებითი მხარეც გააჩნდა. გასაზიარებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „სასმელის სმას საქართველოში რიტუალური დანიშნულება გააჩნდა, დასაშვებია ვიფიქროთ, აღნიშნული რიგით სასმელის დაღვევა სასმისების ნაკლებობით არ უნდა აიხსნებოდეს. როგორც ჩანს, ერთი სასმისის მორიგეობით გამოყენების ჩვეულება უძველესი ტრადიციის ანარეკლს წარმოადგენს და შესაძლებელია რიტუალის ერთობლივად შესრულების საჭიროებას უკავშირდება. ... გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ერთი სასმისიდან სასმელის მიღების წესს პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. კერძოდ ბახუსის მოყვარულებს ხალხმრავალი თავშეყრის ადგილებზე ზედმეტი სასმელის მიღების საშუალება არ ჰქონდათ. იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სადღეგრძელოთა შორის ადგილი ჰქონდა გარკვეული რიგი სიმღერებისა და ცეკვების შესრულებას, მიუხედავად ნადიმის ხანგრძლივობისა, ქორწილის სუფრაზე სიმთვრალე იშვიათობას წარმოადგენდა. სწორედ ამ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ადრევე ჩამოყალიბდა შეხედულება, რომლის მიხედვით, ქორწილსა და სხვა ხალხმრავალ ნადიმებში სიმთვრალე სირცხვილად ით-

ელებოდა“¹. ქართლისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი საყურადღებო ტრადიცია იყო ქორწილის ან სხვა სუფრაზე სიმთვრალის გამო აყალმაყალის ამტყენის დასჯა – ოჯახის უფროსის მიერ გამოყოფილი მეთვალყურეები ასეთ ადამიანს ხალხის წინაშე ბოძზე აკრავდნენ. ქართლში ქორწილის დროს ხეზე მიბმის კიდევ ერთი წესი არსებობდა, ოღონდ რიტუალური, გასართობი. „ქორწილის მესამე დღეს, დილით სუფრასთან დასხდომამდე, ნეფე-პატარძლის მაყრები ჩააბამდნენ ეხლში „ბასტს“, რომელსაც „დედანი“ თაგკაცი ხელმძღვანელობდა. მისი მითითება ცეკვის ყველა მონაწილეს უნდა შეესრულებინა. შეუსრულებლობის შემთხვევაში ურჩ მონაწილეს ხეზე მიაბამდნენ და ვიდრე ვინმე გამოსასყიდს (ღვინო, ქათამი, ხილი) არ გაიდებდა, მანამ არ აუშვებდნენ“². ეთნოლოგ *ჯუანშერ სონღულაშვილს* სოფელ დიღომში ფიქსირებული აქვს საქორწინო თამაშობანი: „ოთხი ან ხუთი კაცი ჩადგებოდა წრეში. ერთს სახრე ეჭირა, დანარჩენები ერთმანეთის უკან დამწკრივდებოდნენ და წრის გარშემო უნდა ერბინათ. მერე, როდესაც უფროსი დაუძახებდა – აბა, გაიხადეთო, ისინიც სწრაფად იხდიდნენ, უკან კიდევ სახრიანი კაცი მისდევდა და ჩამორჩენილს სახრეს გადაჰკრავდა ხოლმე. იხდიდნენ ზემო ტანს, მერე დაუძახებდა – ქვეითაცაო! ქვეითაც გაიძრობდნენ, სახრიანი კაცი სწრაფად დასდევდა უკან და სახრეს გადაჰკრავდა ხოლმე. ამ დროს მოთამაშეები ტანისამოსს ხან ჩაიცვამდნენ, ხან იხდიდნენ. ამას იქამდის თამაშობდნენ, ვიდრე არ დაიღლებოდნენ“³. ეთნოლოგ *ნუნუ მაჩაბელს* ამ ცეკვის შინაარსი (გაშიშვლება, ჯოხით – წიკვლით უკან დევნა, ჯერ გახდა და მერე ჩაცმა) სიყვარულისა და შვილიანობის მფარველი ღვთაების სა-

¹ თ. იველაშვილი. ქართული ტრადიციული საქორწილო სუფრა და თანამედროვეობა, თბ., 1991, გვ. 31-32.

² თ. იველაშვილი. ქართული ტრადიციული საქორწილო..., გვ. 53.

³ ჯ. სონღულაშვილი. ხალხური სიტყვიერების მასალები, II, თბ., 1957, გვ. 227.

დიდებელი რიტუალის გადმონაშთად მიაჩნდა. ამავე სოფელში იცოდნენ საქორწილო თამაშობა „დატყვევება“. ამ თამაშის დროს ნეფის და ქალის მაყრები ცდილობდნენ ერთმანეთის დატყვევებას. ტყვეს მიაბამდნენ ხეზე ჭაპანით და თუ ვინმე გაუძალიანდებოდა, მაშინ კისერზე ურმის თვალს დაჰკიდებდნენ. ხეზე იქამდე ჰყავდათ მიბმული, ვიდრე რომელიმე ნათესავი ან თვითონ ნეფე არ დაიხსნიდა. მერე ამ ნაშოვნის ფულით მაყრები ერთ კარგ დღეს შეიკრიბებოდნენ და კაი ქეიფს გამართავდნენ¹.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ახალ მოყვანილ პატარძალს აუცილებლად სამჯერ უნდა შემოეველო დედაბობის გარშემო და, თურმე, როდესაც ძველად ქალს ათხოვებდნენ, პირველად იმას კითხულობდნენ, სასიძოს როგორი დედაბობი უდგას სახლშიო. მიიჩნევდნენ, რომ დედაბობზე გამოსახული მზე, მთვარე, ხელი და სხვა, იცავდნენ კერას, სახლს და ოჯახს ავი თვალის ზემოქმედებისაგან.

ქალს ოჯახი აუილებლად *მზითევს* ატანდა, რომელიც ფაქტობრივად ქალის წილ ქონებას წარმოადგენდა მამის სახლიდან. მზითევის შემადგენლობა დაკანონებული არ ყოფილა; ოჯახს შეეძლო არსებულ ნორმაზე მეტი ან ნაკლები მიეცა ქალისათვის. XIX საუკუნეში მზითვის შემადგენლობაში შედიოდა ძირითადად *სკივრი* (ან *კომლი*), *საკერავი მანქანა*, *ორი ხელი ღოგინი*, *ნახევარ-ნახევარი „ღუჭინი“ თეთრეული*, *ერთი ან ორი თეთრი მიტკლის გადასაფარებელი* (ყაისნაღით მოქსოვილი არშინით), *ერთი ჯვრისწერის*, *2 ქიშმირისა* და *ერთი აბრეშუმის კაბა*, *სარკე*, *ხალიჩა*, *მუთაქები*, *ფარდავი*, *ტაშტი*, *თუნჯი*...². შეძლებული ოჯახები უფრო მეტ მზითევს აძლევდნენ. ქალს ოჯახი აძლევდა *სათავნოსაც*. სათავნო იყო პირუტყვი, რომელიც ქალის საკუთრებაში იყო.

¹ იქვე.

² ნ. მაჩაბელი. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978, გვ. 57.

ქართლში სტუმრის მიღებისა და გამასპინძლების სათანადო წესები არსებობდა. ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, აქაც სტუმარი ღვთის გამოგზავნილად მიიჩნეოდა – სტუმართან პურის გატეხა ღმერთთან ზიარებასა და მფარველობას ნიშნავდა, ისე რომ, მნიშვნელობა არ ჰქონდა ნათესავი იყო ის, თუ არა. შემოსწრებული სტუმრის შემთხვევაში ირღვეოდა სადღეგრძელოების თანამინდევრობა და აუცილებლად შესვამდნენ მის სადღეგრძელოს. ისევე როგორც ქორწილში, ჩვეულებრივ სუფრაზეც ქალები და კაცები ერთმანეთის პირიდაპირ სხდებოდნენ. სახელდახელო სუფრაც ზამთარში თუ დარბაზში, კერასთან შლიდნენ, ზაფხულში და შემოდგომაზე – მარანში. ქართლში ასეთი სახელდახელო სუფრები პატარა სამფეხა ტაბლაზე იშლებოდა. მარანში ხშირად ცალკე ჰქონდათ გამოყოფილი სასტუმრო ქვევრი. სუფრაზე ღვინის დაძალება არ იცოდნენ. პირველად აუცილებლად ღმერთს ახსენებდნენ, შემდეგ – მეფეს და სამშობლოს. ბოლო სადღეგრძელო კი „ყოვლადწმინდის“ იყო.

აღსანიშნავია, რომ ქართლში სამძიმარზე მისვლისას აუცილებლად წინ ქალები უნდა მისულიყვნენ, უკან კი მამაკაცები მისდევდნენ. ქელეხის სუფრაზე დიდხანს ჯდომა მიღებული არ იყო; აქ შესანდობარს კენტი რაოდენობით სვამდნენ – ბოლო პერიოდში კი შვიდზე მეტს არ იტყოდნენ.

შუა საუკუნეების ქართლში სახელმწიფო სამართალი მოქმედებდა, მაგრამ აქ მთელ რიგს დარღვევებზე გადაწყვეტილებას სოფელი ერთობლივად იღებდა: „ვინც დააშავებდა, ჯერ გააფროთხილებდნენ, კიდევ მეორედ გააფროთხილებდნენ და მესამედ – მოიკვეთდნენ. ხარს გამოიყვანდნენ იმ ოჯახიდან და ერთად შეჭამდა სოფელი. ასეთ შემთხვევაში ძირითადად ეკლესიის ეზოში იკრიბებოდა ხალხი; ეს იყო წმიდა გიორგის ეკლესია. დამნაშეავეს ერთ-ორ წელიწადს ვადას აძლევდნენ. თუ არ გამოსწორდებოდა, გაასახლებდნენ; ხალხში არ დაუძახებ-

დნენ, ჭირში, ლხინში და იძულებული ხდებოდა გასახლებულიყო. ხალხსაც შეეძლო დაედგინა გასახლება. იმ შემთხვევაში შეეძლოთ გაესახლებინათ, თუ მოუარშიებელი (გაუგონარი, არავის რომ არ ემორჩილებოდა) იყო“. „ქალს რომ უნამუსობა ჩაედინა, აი, ვირზე შესმა ის იყო. უკუღმა იცოდნენ შესმა. იყო ასეთი შემთხვევა: გაუთხოვარმა ქალმა მეზობელ სოფელში, ქიწნისში დეიდაშვილთან უნამუსობა ჩაიდინა. ჩამოაფარებდნენ თავზე ნაჭერს, ის ბიჭი გადაიკარგა, წავიდა აქედან. სოფლის ხალხმა შესვა, იმიტომ, რომ სხვებმა არ ჩაიდინონ ეს ამბავი. ზოგი ხელით, ზოგი ნიჩბით ტალახს, მიწას ესროდნენ; წყალსაც ასხამდნენ, რაც მოხვდებოდათ. რო დაინახავდი, შეგეშინებოდა“ (გიორგი მიხეილის ძე გუგიაშვილი, 85 წლის, სოფელი ჯარიაშენი, 29. 06. 1988).

მიცვალებულზე მისულნი ერთმანეთს გამარჯობას არ ეუბნებოდნენ. მხოლოდ მწუხარებს გამოხატავდნენ სიტყვით „მეწყინა“/„გვეწყინა“ და ხელს ჩამოართმევდნენ. *ღვეან თაქთაქიშვილს* დავესესხები: „სკოლასთან გავიარე. ახალგაზრდა გადმოველო ღობეს და წინ დახტა – მეწყინაო. ასე იციან ქართლში მისამძიმრება. აქ ეს სიტყვა ნიშნავს სხვაგან ანალოგიურ ვითარებაში ნათქვამს – „ვიზიარებ“. საერთოდ, **ქართლი მკაცრია ურთიერთობაში, არავითარი იმპროვიზაცია, არავითარი ხელოვნურობა**“. ასევე არ ესალმებოდნენ შემხვედროთ მიცვალებულიდან დაბრუნებულები. ჭირზე მისული მამაკაცები ყოველთვის ქუდს იხდიდნენ. ასევე იქცეოდნენ სამგლოვიარო პროცესიის დროსაც. საერთოდ ეს წესი არა მხოლოდ ქართლისათვის, არამედ საქართველოს ყველა მხარისათვის იყო დამახასიათებელი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „წინათ მიცვალებულს ორ დღეს აჩერებდნენ სახლში; დამარხვა მესამე დღეს არ გადასცდებოდა“¹. მიცვალებულის დამარხვამდე სოფელ-

¹ ნ. ქაჯაია. მიცვალებულის კულტი ქვემო ქართლში. – ქვემო ქართლი, თბ., 1990: 147.

ში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს აჩერებდნენ. ქართლში არსებობდა მიცვალებულისათვის ღამის თევის ტრადიცია. ქვემო ქართლში გასვენებაში და ქელებზე მხოლოდ ასაკოვანი ხალხი დადიოდა. ქელებში იცოდნენ საკლავის დაკვლა. „ღრმად მოხუცებული ინფორმატორის მიხედვით, „ადრე ჭირის პატრონისათვის დახმარება არ სცოდნიათ. შესანდობარი 3 ან 5 შეისმოდა, კენტი რაოდენობით. ოციოდე კაცი გროვდებოდა, უახლოესები, სახლში ვიხდიდით, ბანიანი სახლები გვექონდა 9 მეტრი სიგრძითა და 10 მეტრი სიგანით; ფულის მოგროვება არ იყო“¹. ქელების შემდეგ ჭირისუფალს შემდეგი სიტყვებით გამოემშვიდებოდნენ: „ღმერთმა მოგათმენინოს, კვლავ ღხინში მოგვიყვანოს შენ ოჯახშიო“. წლისთავზე აუცილებელი იყო „ჭერის ახდა“.

ქართლური (და, საერთოდ, ქართული) ოჯახისათვის საყურადღებო მხარე იყო ოჯახში უფროს-უმცროსობა, როგორც ქართლში იტყოდნენ, დიდ-პატარაობა. ეს ვახტანგის სამართალშიც კი იყო ასახული. „თუ გლეხნი გაიყარნენ უხუცესსა ძმასა ან თავნი სახლი ან ერთი ვენახი ანუ უფროსნი ჭურნი საუხუცესოდ, სხვა შუა გაიყონ“. ოჯახში უფროს-უმცროსობა უფრო აუცილებელი იყო დიდ ოჯახად ცხოვრებისას; მრავალწევრიანი ოჯახი იერარქიული დამოკიდებულებისა და ერთისა მეორის მიმართ მორჩილების გარეშე წარმოუდგენელი იყო. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქართლში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ბევრი დიდი ოჯახი. ჩვეულებრივ, ქართლში დიდი ოჯახების სულთა რაოდენობა ძირითადად 20-დან 30-მდე მერყეობდა. მაგრამ იყო ისეთი ოჯახები, რომელთა სულადობრივი რაოდენობა 40 სულს აჭარბებდა. ერთობის სახლში ყველა მამაკაცსა და დედაკაცს თავისი ფუნქცია გააჩნდა. დიასახლისებისათვის არსებობდა შინა საქმე და კარზე გასვლა. შინა საქმეს მორიგე დიასახლისი ასრულებდა – მას ევალებოდა პუ-

¹ ნ. ქაჯაია. მიცვალებულის კულტი ქვემო ქართლში..., გვ. 152.

რის გამოცხოვა, კერძის გაკეთება, ნაწველ-ნადღვების მოვლა და სხვ.

ქართლის ოჯახების შესახებ საყურადღებო მონაცემებია დაცული XIX საუკუნის რუსული აღწერის დავთრებში. მაგალითად, 1830 წლის აღწერით შიდა ქართლის სოფელ ხოვლეში *დიმიტრი ბახტაძის* ოჯახში 45 სული იყო აღრიცხული. ამავე აღწერით ხოვლეში კიდევ რამდენიმე დიდი ოჯახი არსებობდა. 31 სულისაგან შედგებოდა *ბერუა კომლაძის* (90 წლის) ოჯახი, 22 სული იყო *მერაბ პაპინაშვილის* (99 წლის) ოჯახში. ზემოთ ნახსენებ *დიმიტრი ბახტაძის* ოჯახში 9 ოჯახი/ცოლ-ქმარი/საქორწინო წყვილი იყო. ოჯახში ცხოვრობდა აგრეთვე 2 ქვრივი ქალი. ოჯახში მხოლოდ ერთი ცოლქმრული წყვილი იყო, რომელთა ასაკობრივი სხვაობა 5 წელი იყო, დანარჩენი წყვილების ასაკს შორის სხვაობა 10 წელზე ნაკლები არ ყოფილა. მაქიმალური სხვაობა კი 20 წელს შეადგენდა. ქმარსა და ცოლს შორის საშუალო ასაკობრივი სხვაობა კი საკმაოდ დიდი იყო – 11,9 წელი. აშკარაა კიდევ ის ფაქტი, რომ მამაკაცები საკმაოდ გვიან ქორწინდებოდნენ, მაშინ როდესაც ქალებს ძალიან ადრე ათხოვებდნენ. ქალების გათხოვების საშუალო ასაკი 15 წელი იყო. ამ დიდი ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი 20 წელი იყო.

გაუყრელი ოჯახები ქვემო ქართლის სოფელ ღოუბნში 1823 წლის აღწერაშიც ბევრია დადასტურებული. აქ 27 სულისაგან შედგებოდა *დავით ხომახაშვილი* (80 წლის) ოჯახი, ხოლო *გიორგი სულოსანაშვილის* (75 წლის) ოჯახში 29 სული ცხოვრობდა. გიორგის ცოლი მათა 70 წლის იყო. გიორგის ჰყავდა სამი ცოლ-შვილანი ვაჟი. ერთი ძმა ასევე ცოლ-შვილანი და კიდევ ორი ცოლ-შვილანი ძმისშვილი, რომელთა მამებიც ცოცხლები არ ჩანან. სულ ერთად ოჯახში 8 წყვილი იყო:

„შვილები: I. რევაზ (45 წ.), ამისი ცოლი ანა (35 წ.),

ამათი შვილები: ზურაბ (10 წ.), ზაქარია (8 წ.),

გაბრიელ (6 წ.),

- ქალიშვილები: დარეჯანი (12 წ.), ელისავეტა (1 წ.);
 II. ნინია (35 წ.), ამისი ცოლი ანახანუმი (27 წ.);
 ამათი შვილები: მიხეილი (4 წ.), ალექსანდრე (1 წ.);
 III. დემეტრე (26 წ.), ამისი ცოლი მარიამ (15 წ.);
 IV. [ოჯახის უფროსის გიორგის] ძმა სულხანი (48 წ.),
 ამისი ცოლი ქეთევანი (35 წ.),
 ამათი შვილები: დავით (12 წ.), შიო (8 წ.),
 პეტრე (6 წ.),
 ქალიშვილები: თამარა (4 წ.), ეფემია (2 წ.);
 V. [ოჯახის უფროსის გიორგის] ძმისშვილი:
 სოლომონი (40 წ.),
 ამისი ცოლი ელისაბედი (20 წ.),
 ამათი ქალიშვილები: ანა (7 წ.), სალომე (5 წ.),
 ბარბარე (1 წ.).
 VI. [ოჯახის უფროსის გიორგის] ძმისშვილი:
 იოსები (25 წ.),
 ამისი ცოლი ანა (14 წ.) [სცსსა, ფ. 254, ან. 1,
 საქ. № 802, გვ. 84].

დიდი ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **20,4** წელი იყო.

1823 წელს ქვემო ქართლის სოფელ *ბოვეში* არსებული დიდი ოჯახი შემდეგი შემადგენლობის იყო: „მკარ კიკოლას ძე აზრაკაძეშვილი – 65 წ., ცოლი მარიამი – 45 წ.; ძმები: 1. ივანე – 60 წლის, ცოლი ბარბარე – 30 წლის; ივანეს შვილები: ბერუა – 25 წლის, აზრაკაძე – 11 წლის; ივანეს ქალიშვილები: ანა – 8 წ., თინა – 6 წ., ტასო – 4 წ., მაია – 2 წ.; 2. აბრაამი – 40 წლის; აბრაამის ცოლი: თამარა – 25 წ., აბრაამის შვილი: გლახა – 10 წ., აბრაამის ქალიშვილები: ელენე – 8 წ., მართა – 6 წ., ქეთევანი – 3 წ.; 3. იოსები – 35 წლის; იოსების ცოლი: მარია – 16 წ.; 4. დავითი – 35 წლის, დავითის ცოლი: ელენე – 20 წ., დავითის ქალიშვილები: სალომე – 5 წ., სოფიო – 3 წ.; ბერუას (ოჯახის უფროსის მკარის I ძმის შვილი) ცოლი: თამარა – 15 წლის“¹. ამრიგად, გა-

¹ სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. № 802, გვ. 3.

უფრელი ოჯახი 23 სულისაგან (8 მამრ.+15 მდედრ.) შედგებოდა. ოჯახის უფროს მაკარს შვილები არ ჰყავდა. ასაკობრივი სხვაობა მასსა და მის მეუღლეს შორის იყო 20 წელი. პირველ ძმას ივანესა და მის მეუღლეს შორის ასაკობრივი სხვაობა 30 წელს შეადგენდა. როგორც ჩანს, ივანესათვის ის მეორე ცოლი იყო, რადგან ივანეს უფროსი შვილი ბერუა 25 წელის იყო (დედინაცვალი მასზე სულ 5 წლით იყო უფროსი). 15 წელია ასაკობრივი სხვაობა მეორე ძმას – აბრაამსა და მის ცოლს შორის, რომელსაც ვაჟი უკვე 15 წლის ასაკში შესძენია. **მესამე ძმას იოსებსა და მის ცოლს შორის ასაკობრივი სხვაობა 19 წელი იყო.** როგორც ჩანს, იოსები ახალი და-ოჯახებული იყო. **მეოთხე ძმა დავითიც ცოლზე დიდი იყო მთელი 15 წლით.** მათი უფროსი ქალიშვილი 5 წლის გახლდა, ე. ი. დედას უკვე 15 წლის ასაკში შესძენია. ასე რომ, აშკარად ჩანს, თუ რა ადრეულ ასაკში ათხოვებდნენ ქვემო ქართლში ქალიშვილებს. მეს ასაკი 14-15 წლით იყო განსაზღვრული. მაკარ აზრაკაძის ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი კი ზუსტად **21 წელს** შეადგენდა.

1859 წლის აღწერით შიდა ქართლში, ხაშურში მცხოვრები სახაზინო ყმის *პავლე შიოს ძე ქიტიაშვილის* (60 წლის) 31 სულიანი (16 მამრ. + 15 მდედრ.) ოჯახი შემდეგი შემადგენლობისა იყო: „შვილნი ამისნი: შიო (20 წ.) და სოლომონ (6 წ.); ძმა პავლესი: გლახა (50 წ.), შვილნი ამისნი (გლახასი): გიორგი (15 წ.), ესტატე (12 წ.), ზაქარა (5 წ.); ძმა პავლესი: სვიმონ (45 წ.), შვილნი ამისნი (სვიმონისი): ალექსი (15 წ.), ანდრია (12 წ.), დიმიტრი (11 წ.), ედიშერ (9 წ.); ძმა სვიმონისი (მე-3 ძმა): გრიგოლ (40 წ.); ბიძაშვილნი სვიმონისი (ოჯახში მცხოვრები ოთხივე ძმის ბიძაშვილი): გიორგი რამაზის ძე (22 წ.), ანდრო რამაზის ძე (19 წ.); მეორე ბიძაშვილი ამისი-

ევ: ეგრემ ივანეს ძე (10 წლის)¹. დიდი ოჯახის წევრი მამაკაცების საშუალო ასაკი **23,2 წელი** იყო.

1886 წელს დიდი ოჯახი არსებობდა შიდა ქართლის სოფელ *ბანისწყალში* (ხცის სასოფლო საზოგადოება); ეს იყო *სიმონ გოგიას ძე გელაშვილის* (85 წლის) ოჯახი: „მისი შვილები: 1. გიო – 48 წლის, 2. პავლე – 38 წლის, 3. ედიშერი – 28 წლის, 4. ალექსი – 26 წლის, 5. ივორი – 23 წლის, 6. დავითი – 21 წლის, 7. პეტრე – 15 წლის; მისი (ოჯახის უფროსის – სიმონის) შვილიშვილები: 1. ნიკოლოზ გიოს ძე, 2. ვასილ გიოს ძე – 10 წლის, 3. ვლადიმერ გიოს ძე – 10 წლის, 4. ივანე პავლეს ძე – 10 წლის, 5. ნიკოლოზ ეფიმის ძე – 4 წლის, 6. ზაქარია ეფიმის ძე – 2 წლის [ეფიმი სიმონის შვილებს შორის საერთოდ არ ჩანს]; ილია იოსების ძე – 23 წლის, სლომონ იოსების ძე – 21 წლის [ამ ორი უკანასკნელი პიროვნების ოჯახის უფროსთან ნათესაური კავშირი არ ჩანს]; მისი (ოჯახის უფროსის – სიმონის) შვილიშვილის შვილი: არჩილ ილიას ძე – 4 წლის; ოჯახის უფროსის ცალი: ელიზაბეტა – 73 წლის, ქალიშვილი: მართა – 15 წლის; რძლები: 1. სონა გიოს ასული – 42 წლის, 2. მატრონე პავლეს ასული – 33 წლის, 3. სალომე ლევანის ასული – 27 წლის, 4. ელიზაბეტა სისოს ასული – 28 წლის; შვილიშვილები: ზენო გიოს ასული – 12 წლის, 2. მარიამ პავლეს ასული – 7 წლის, 3. ელისაბედ პავლეს ასული – 3 წლის, 4. ოლღა პავლეს ასული – 1 წლის, 5. ანგელინა პავლეს ასული – 1 წლის, 6. დარია ედიშერის ასული – 5 წლის, 7. მარიამ ედიშერის ასული – 1 წლის, 8. ანა იოსების ასული – 13 წლის; შვილისშვილის შვილი – ოლღა – 1 წლის. გაუყრელ ოჯახში ერთად ცხოვრობდა სულ 32 სული. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **20 წელი** იყო.

შიდა ქართლის კიდევ ერთი გაუყრელი ოჯახი სოფელ *დიდ მეჯვრისხევში*: „*გიორგი ივანეს ძე ბიბილური*

¹ სცსსა, ფ. 254, ან. 2, ხაქ. № 2332, გვ. 226, ოჯახის № 226.

– 80 წლის; შვილები მისი: 1. ევსტათი – 24 წ., 2. მიხეილ – 25 წლის, 3. სიმონი – 6 წლის, 4. კონსტანტინე – 4 წლის, 5. ვასილი – 3 წლის; გიორგის ძმები: 1. მათე – 59 წლის, 2. ზაქარია – 54 წლის, 3. ილარიონი – 49 წლის; გიორგის ძმიშვილები: 1. ნიკოლოზ მათეს ძე – 24 წლის, 2. სტეფანე მათეს ძე – 20 წლის, 3. ლავრენტი ნიკოლოზის ძე – 2 წლის, 4. მიხეილ ზაქარიას ძე – 9 წლის, 5. იოსებ ზაქარიას ძე – 7 წლის; 6. ივანე – 21 წლის, 6. ალექსი – 14 წლის, 7. დიმიტრი – 14 წლის, 8. გრიგოლ (4 წლის) ზაქარიას ძენი. ქრისტესია გრიგოლის ძე – 34 წლის, პეტრე ქრისტესიას ძე – 2 წლის; მისი [ოჯახის უფროსის] ცოლი: ბარბარე დავითის ასული – 40 წლის [როგორც ჩანს მეორე მეუღლეა]; მისი [ოჯახის უფროსის] ქალიშვილი: მარიამ – 12 წლის; რძლები: 1. სიდონია გლახას ასული – 60 წლის, 2. ეფემია ალექსის ასული – 40 წლის, 3. ანა იოსების ასული – 30 წლის, 4. სოფიო სიმონის ასული – 40 წლის, 5. მარიამ გაბრიელის ასული – 30 წლის. ბიბიდურის ოჯახში, რომელშიც ძნელდება ზოგიერთი პირის ნათესაობის დადგენა, 27 სული ცხოვრობდა. გაუყრელი ოჯახის წევრების საშუალო ასაკი **26 წელს** შეადგენდა.

შიდა ქართლის სოფელ *ზედღულეთში გრიგოლ ანდრიას ძე* ამირიძის (37 წლის) დიდ ოჯახში 21 სული ცხოვრობდა. ამ შემთხვევაში გარკვეულ გამონაკლისთან გვაქვს საქმე – დარღვეულია ტრადიცია: გაუყრელ ოჯახში ოჯახის უფროსზე ასაკით უფროსი ორი ძმა, ორივე ცოლშვილიანი, იყო: დიმიტრი 43 წლის გახლდა, ზაქარია კი – 39-ის. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **20 წელს** შეადგენდა.

21 სული იყო თავმოყრილი შიდა ქართლის სოფელ *ტყემლოვანში* (წინარეხის სასოფლო საზოგადოება) შიო გლახას ძე *კობაიძის* (67 წლის) ოჯახში. საგულისხმოდ, რომ ოჯახის უფროსს მეორე ცოლი ჰყავდა – ხვარამზე გივის ასული, რომელიც 40 წლის იყო და რომელიც მას შვილად ერგებოდა. მათ შორის ასაკობრივი

სხვაობა 27 წელი იყო. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **18 წელს** შეადგენდა.

დიდ ოჯახზეა საუბარი 1776 წლის ერთ-ერთ არზაში: „...ყოველად მოწყალის ჭირი მოსცეს **რეხელს პანპა-ლას-შიელს გიორგისა და ღთისიას**, გიორგი ერისთავის ყმას. ... სამჯერ აკლებული ვართ, ერთხელ დავით ერისთავმა ამიკლო და ახლა როსტომ ამიკლო. ... **ცხრამეტი სული ხიზანი გახლავართ** და უღელი ხარი და ერთი ზროხა გვეყვანდა, უღელი ხარიც, ის ძროხაც, ქორწილი მქონდა და იასაულები შემომიცივიდნენ, **ნეფე დედოფალი პირს ჩამოყარეს**, ერთი თოფი, ... ორი ხანჯალი, ერთი სახნისი, რაც სახლის ავეჯეულობა იყო, სულ წმიდათ წამოიღეს. **სამნი ძმანი გახლავართ**, ერთი თოფი გვექონდა, ხან ერთი წამოვიღებდით, ხან მეორე, ხამ მესამე, – თიბათვეს, კათათვეს და მარიამობის თვეს სამნივე ერთმანეთზე ვაწერივართ“¹.

ზემოთ წარმოდგენილ ქართლის მონაცემებს თუ დავაჯამებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს – ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი **21 წელი** იყო. 1833-1832 და 1842 წლების აღწერის დავთრებით, შიდა ქართლში ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი უფრო დაბალი იყო. მაგალითად, სოფელ რუისში *გივოლო ბერუაშვილის ქვრივის – ბარბარეს* 24 სულიანი ოჯახის საშუალო ასაკი 17,5 იყო, სოფელ წაბლოვანში ეს მაჩვენებელი 18,3 წელს უდრიდა, ზემო ხვითში – 19 წელს, მოხისში – 20,3 წელს.

მიგრაციული პროცესები, სახელები და გვარსახელები ქართლში

საშუალო და დიდი სოფელი ქართლში რამდენიმე უბნისაგან შედგებოდა. ყველა უბანს თავისი ეკლესია ჰქონდა. ამ სამლოცველოებთან საუბნო სასაფლაოებიც

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 93.

არსებობდა. ეს სასაფლაოები ძირითადად საგვარეულო იყო. მაგალითად ივანე ჯავახიშვილის სოფელ სოფელში 12 ასეთი ეკლესია ყოფილა (რომელთა უმეტესობა 1920 წლის მიწისძვრის დროს დაინგრა): *მაცხოვარი, კვირიკე წმიდა, თევდორე, ისციხის წმიდა გიორგი, აკეთის წმიდა გიორგი, ღვთისმშობელი, ნათლისმცემელი, პეტრე-პავლე, წმიდა მარინე, წმიდა ნინო, ნინიანთ წმიდა გიორგი, კვართის ეკლესია*. ასევე იყო სოფელ დიდომში, ყველა უბანს თავისი ეკლესია და სასაფლაო ჰქონდა. სასაფლაოები ჩვეულებრივ ეკლესიებთან არსებობდა; შეიძლება დავასახელოთ: *წმიდა გიორგი, თეთრი გიორგი, წმიდა მარინე, სამება, კვირაცხოველი, ღვთისმშობელი, ჩხაიკა ყოვლადწმიდა, წმიდა თევდორე, წმიდა სტეფანე, კაეთა წმიდა გიორგი...* იყო *სვეტიცხოვლის* ნიშიც.

ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ქართლშიც ხდებოდა მოსახლეობის მოძრაობა. ძველი ქართლის მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას თუ მოუღწევია ჩვენამდე. საგარეო ფაქტორის გამო ძველი მოსახლეობა რამდენჯერმე შეიცვალა. მისი აღწარმოება ხდებოდა როგორც საკუთრივ მთიელთა, ისე დასავლეთ საქართველოდან მიგრაციის შედეგად. **შიდა ქართლში მნიშვნელოვანი რაოდენობით მიგრირებოდა ჯავახეთის მკვიდრი ქართველობაც.** ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური მას შემდეგ გახდა, რაც სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. შიდა ქართლის ბევრ სოფელში ჯავახეთიდან გადმოსული ერთი ან რამდენიმე გვარი მაინც მკვიდრობს. ჯავახთა ქართლში გადმოსახლება დადასტურებულია, როგორც XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში, ისე XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთის მიერ ჩატარებულ კამერალური აღწერის დავთრებში. მაგალითად, 1818 და 1830 წლების აღწერებში მითითებულია ჯავახეთიდან მიგრირებული ოჯახები, რომლებსაც მიწერილი აქვთ: „გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან 30 წლის წინ“, „გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან 45 წლის წინ“, : „გადმოსახლდნენ

ჯავახეთიდან 70 წლის წინ“, : „**გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან 100 წლის წინ“**. ამ მიგრაციული პროცესის შესახებ ბევრია ეთნოგრაფიული მონაცემებიც. დადასტურებულია ჯავახეთიდან ქართლში არა მხოლოდ ქრისტიანი ქართველების გადმოსახლება, არამედ გამაჰმადიანებულებისაც, რომლებიც ქართლში მოსვლის შემდეგ კვლავ ქრისტიანობას უბრუნდებოდნენ¹. XIX საუკუნის 30-80-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის შედეგად მოშენდა XVI საუკუნეში მოსახლეობისაგან ამოვარდნილი თორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე (ბორჯომის ხეობა).

ისტორიკოსი *პაპუნა ორბელიანი* უამრავ ფაქტს გადმოგვცემს XVIII საუკუნეში ქართლში ლეკების თარეშის შესახებ. ამავე დროს აღწერს 1743 წელს ქართლში საშინელი მიწისძვრის ფაქტებს: „ამა ხანთა შინა შეიქნა ძერა საშინელი, რომ **ორმოცი დღე და ღამე ქვეყანა ირყეოდა. დიდი საშინელება შეიქნა. ქვეყანა რყევისაგან აღარ დადგა**. კახეთს ალავერდის საყდარი დაიქცა, ლალისყურის და ახმეტის ციხეები ორივე დაიქცა, იალბუხის მთები ბევრს ალაგს გარდმოიქცა და მრავალი სუდი, მსახლობელი კაცი ქვეშ მოიტანა. **ქართლშიაც მრავალი შენობა დაიქცა**. თითონ მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ ... ევედრებოდნენ ღმერთსა მყუდროებასა ქვეყნისასა. აგრევე **ქართლში იყო ყოველგან ტირილი და ვედრება ღვთისა წინაშე**“².

ხემოთ არაერთხელ ითქვა, რომ **XVIII საუკუნეში ქართლი ფაქტობრივად დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დადგა; ქართლში უამრავი სოფელი ნასოფლარად იქცა, მაგრამ ქართლი შიდა მიგრაციულმა პროცესებმა გადაარჩინა, კერძოდ დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გადმოსახლებამ.**

¹ დაწვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი. სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა (ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX სს.). – თბ., 2000.

² პ. ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 57-58.

ეს მიგრაციული მიმართულებები XIX საუკუნეში საკმაოდ გააქტიურდა. საერთოდ, ქართლის მოსახლეობის ამოწვევის ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. წინა საუკუნეებშიც მთიელებმა და დასავლეთ ქართველებმა არაერთხელ მოახდინეს საქართველოს ცენტრში – ქართლში – დემოგრაფიული ვითარების გამოსწორება. 1886 წლისათვის ქართლი მოიცავდა ბორჩალოს (რომელშიც თრიალეთი და დაკარგული ლორე-ტაშირი შედიოდა), თბილისის, გორისა და დუშეთის მაზრებს. თბილისის მაზრის მოსახლეობა 144.822 კაცს შეადგენდა, რომელთაგან ქართველები 54.635 იყვნენ. ბორჩალოს მაზრაში 101.847 კაცი ცხოვრობდა; აქ ქართველების რაოდენობა 23.185 იყო. გორის მაზრა ყველაზე დიდი იყო, რომელშიც 180.194 კაცი ცხოვრობდა; მათ შორის ქართველები 94.254 იყვნენ. დუშეთის მაზრაში 70.017 ადამიანი მკვიდრობდა, რომელშიც ქართველები 46.720 შეადგენდნენ. საერთო ჯამში ქართლში 426.863 კაცი ცხოვრობდა, ქართველების რაოდენობა კი 172.074 იყო. ქართველთა რაოდენობას თუ დავამატებთ ცალკე ხალხებად ჩაწერილ მთიულებს, ხევსურებს, იმერლებს და მეგრელებს (10.904 სული), მივიღებთ **182.978** კაცს. საერთო ჯამში 1886 წელს ქართლში ქართველების პროცენტული რაოდენობა 48,8 გახლდათ. სხვა ეთნიკურ ერთობათაგან სომხები 34%-ს შეადგენდნენ, თათრები – 8,5%, ოსები – 8%, რუსები – 4,5%, ბერძნები – 2,8%, ებრაელები – 1%. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ რუსეთის ხელისუფლება ეთნიკურ სომხებად აღრიცხავდა სომხურ გრიგორიანული ანუ მონოფიზიტური სარწმუნოების ქართველებს. ამ გარემოებას თუ გავითვალისწინებთ, რეალურად ქართლში ქართველების რაოდენობა მეტი იყო. XVIII საუკუნეში ქვემო ქართლში ეთნიკური სომხები 10%-ის ფარგლებში იყვნენ. 1886 წელს სომხების რაოდენობას ოფიციალურად 109.209 სულს აჩვენებდა. ბორჩალოს მაზრის გამოკლებით კი ეს რიცხვი 59.905 კაცი იყო. ამ 59.905 კაციდან გრიგორიანული რწმენის მიმდევარ ეთნიკურ ქართულთა 90%, ე. ი.

53.905 კაცი იყო. მართმადიდებელი ქართველების რაოდენობას (182.978) თუ დავამატებთ მონოფიზიტი ქართველების რაოდენობას (**53.905**), რეალურად ქართლში არა 174.074 ქართველი, არამედ **236.883** ცხოვრობდა. ეს კი მთელი ქართლის მოსახლეობის 59,97% იყო.

1926 წელს ქართლის მოსახლეობა მთელი საქართველოს მოსახლეობის 19,23% იყო (ამ თვალსაზრისით მას იმერეთის მოსახლეობა ერთი პროცენტით ჩამორჩებოდა).

ქართლის სოფელი მრავალი გვარით იყო დასახლებული. სოფელი დიდ სამოსახლო ტერიტორიაზე იყო გაშენებული და რამდენიმე უბნისაგან შედგებოდა. ერთ უბანში ძირითადად ერთი გვარისანი ცხოვრობდნენ. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებოდა ერთი გვარით დასახლებული სოფელი, რომლის სახელი აქ მოსახლე გვარის სახელისაგან მომდინარეობდა. ასეთი სოფლები ძირითადად -იან სუფიქსით ბოლოვდებოდა. ქართლები ხალხურ სამეტიყველო ენაში გვარსახელებსაც -იან სუფიქსით აბოლოვებდნენ. მაგალითად, ნაცვლად *პავლიაშვილისა* იტყოდნენ *პავლიანი*. გვხვდებოდა -კარით დაბოლოებული სოფლის სახელებიც. *გ. ჩიტაია* კერამიკული წარმოებით განთქმული *ცხავატის* (ქსნის ხეობა) შესახებ წერდა: „ცხავატურას ხეზე გაშლილ მოსახლეობას *ცხაოტი* // *ცხავატი* ეწოდებოდა, რომელიც შვიდი ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებული უბნისაგან შედგება, სახელდობრ: 1. *წინუბანი*, 2. *ვოგიაანი*, 3. *ხუმაანი* (ამათში ბუნტურები ცხოვრობენ), 4. *ქვითკარი* (ქვიძეები ცხოვრობენ), 5. *ვოგიჩაანი* (ვოგიჩაშვილები ცხოვრობენ), 6. *სუხაანი* (სუხაშვილები ცხოვრობენ), 7. *ღარუეთი* (ბურღულები ცხოვრობენ). ასევეა *დადიანეთიც*. ის შედგება შემდეგი უბნებისაგან: 1. *წინდადიანეთი*, 2. *რევაზიანი*, 3. *შალიანთ-კარი*, 4. *ხადილიანი*“¹.

¹ გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად, IV, 2001, გვ. 392.

ქართლის მთის სოფლებში თუ საგვარო ხატ-სალოცავები არსებობდა, ბარის სოფლებს ეს არ ახასიათებდა.

ქართლში დიდი გვარები რამდენიმე დანაყოფისაგან შედგებოდა, რასაც *სახლიკაცობას, მეტსახელს, განაყოფს, ბუდობას* უწოდებდნენ. გვარის ამ დანაყოფების სახელები უმეტესად -ან (-იან) სუფიქსით იწარმოებოდა: სოფელ *ბრეძაში* მცხოვრები *მეყანწიშვილები* იყოფიან *ჭიჭინაანებად* და *დიდმეყანწიანებად*. ბრეთელი *მზექლაშვილების* დანაყოფებია: *გოგიანი* და *არყიანი*; დირბელი *გულიაშვილებისა* – *ლაზარიანი, კაკიაანი, ქვრივიშვილებისა* (ადრინდელი გვარი ყავრიძე) – *სინუანი, ჯაფარანი, მეირაანი*; ქარელელი *რაზმიაშვილებისა* – *თომაანი, გიგაანი, ორხოხაანი*; *ქვენატოცველი მესხიძეებისა* – *გედაახაანი, გლახუაანი, ქვახვრელიანი*; *ზემო ხვედურეთელი გეგელაშვილებისა* – *ნინიანი, დათიკანი, მართანი*. სოფელ *დიდლოში* თითქმის ყველა დიდი გვარი ასევე რამდენიმე განაყოფად („მამის სახლად“) იყოფოდა. მაგალითად, *ქამუტაშვილების* განაყოფები იყვნენ *ჭიკაანი, ბათლომიანი, ჩახიბიანი, უეშურიანი*; *ფირიაშვილების* – *ლაღებანი, ჩიტიაანი, გოროხინაანი*; *კენჭიაშვილების* – *ჭანაპარაანი, ნოხჩუაანი, შუშიაანი, შაქარაანი*; *ქობულაშვილების* – *ტატონაანი, ბუილაანი, ჩიხლიაანი, პუსკაღაანი, დაბრუნდაანი, რადვიანი*; *მარიაშვილების* – *ტიკიანი, ტეტიკაანი, ტალახაანი*; *ლასურაშვილების* – *გუგლაანი, ჭოტორლიანი, ჯობინოიანი*; *გენებაშვილების* – *ოჯოფაანი, ფილიანი, ჭიპრიანაანი, პაკლარაანი, თრიღელიაანი, ყუყლუაანი, ჯიგრიანი, ლომაანი*; *ვილაურების* – *ფოფინაანი, ღვეღელაანი, ვანეზაანი, ცუცნაანი*; *მიჭელაშვილების* – *დალაქიანი, ყოყიანი, მაჩაბლიანი*; *მძევაშვილების* – *მამადალაანი, ჭიკუნაანი*; *ქობულაშვილების* (იგივე *შიოშვილების*) – *კიკუაანი, ლიკიაანი, ჭიმიანი*. ამავე სოფელში რამდენიმე გვარი მეორე სახელითაც (მეტსახელითაც) მოიხსენიებოდა: *გეგელიშვილებს ყავაჩიანთ* უწოდებდნენ, *ზანდარაშვილებს* – *ღიაკ-*

ენიანთ, ბერიაშვილებს – ნასტაკელაანთ, სოზიაშვილებს – ფეიქრიანთ, ბროლაძეებს – ჯავახიანი, სონღულაშვილებს – ბოგველიანი, გიგუაშვილებს – კუნკულიანი, სუთიაშვილებს – მოძახილაანი. 1708 წლის ერთ-ერთი ნასყიდობის წიგნის ხელმომწერია – შიუანთ რამაზა, 1784 წლის განმარტების წიგნში ასევე ხელისმომწერად დასახელებული არიან *მოელი ჯავახიანი*.

დღეს ქართლში გვარსახელები ძირითადად -შივილი სუფიქსით ბოლოვდება. მაგრამ, როგორც ირკვევა, აქ გვარსახელებს თავდაპირველად -ძე ფორმანტი ერთვოდა. მაგალითად, დღეს სოფელ დილოში მოსახლე *თეთრაშვილები, მძევაშვილები* და *სონღულაშვილები* XIV–XVIII საუკუნეების საისტორიო საბუთებში *თეთრაძედ, მძევასძედ* და *სონღულიძედ* არიან ჩაწერილი. 1700 წლის ნასყიდობის წიგნში სოფელ *ქვემო ნიქოზში* ერთი და იგივე ადამიანი ხან *ჭილიკაძედ* და ხან *ჭილიკაშვილად*აა ჩაწერილი. თავადი *თაქთაქიშვილები* ამავე საბუთში ადრინდელი გვართ – *თაქთაქიძე* – არიან ჩაწერილი. 1727-1736 წლების ბატონყმობის წიგნში გვხვდება *ბეღინიშვილი* და *ბეღიანიძე*. არის შემთხვევები დაფიქსირებული, როდესაც ესა თუ ის გვარი სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი – 1729 წლის ერთ საბუთში თავადი *თარხნიშვილები* *თარხანებადაც* არიან ჩაწერილი. ამ გვართან დაკავშირებით იგივე ვითარება დაფიქსირებული 1741 წლის დოკუმენტში. ერთი და იგივე პიროვნება (ბასილა) 1791 წლის საბუთში ჩაწერილია გვართ *ლაბარი* და 1792 წლისაში – *ლაბარიშვილი*. 1783 წლის ბატონყმობის ერთ წიგნში გვხვდება *ჯინჭარაძე გიორგი* და *ჯინჭარაშვილი გიორგი*. XVIII საუკუნის საბუთებში *გედევანიშვილები* ხშირად *გედევანიძედაც* არიან არიან ჩაწერილი. ზედა ფენის წარმომადგენლები *მალალაშვილები* თავდაპირველად *მალალაძეები* იყვნენ.

წერილობით ძეგლებზე და საფლავის ქვებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პიროვნებები უმეტეს შემთხვევაში საკუთარ სახელთან და გვარსახელთან ერთად მა-

მის სახელითაც მოიხსენიებოდნენ. მაგალითად, 1646 წლის ერთ-ერთ წიგნში სოფელ *არადეთში* მცხოვრები ასეა წარმოდგენილი: *არადეთს მოლოზანიძე ბეჟუას შვილი ამბრია*, 1676 წლის საბუთში – *ხერხეულიძე სიმარდის შვილი იესე*, 1700 წლის საბუთში – *ღიასამიძე სენიას შვილი იასე*, 1793 წლის მამულის წყალობის წიგნში – *შატბერაშვილი გიორგის შვილი დათუნა*, 1710 წლის სითარხნის წიგნში – *ადუაშვილი ზაქარიას შვილი ტეიორგი*, 1715 წლის ნასყიდობის წიგნში – *ბურნაძე ქრისტესაია შვილი კაცია*, 1728 წლის ნასყიდობის წიგნში – *ლომური ნადირაშვილი ნიკოლა*, 1737 წლის ნასყიდობის წიგნში – *ხურსიძე ნინიას შვილი შერმაზან*, 1744 წლის საბუთში – *ღვეროელი გვერტიძე თამაზას შვილი ბერი*, 1778 წლის წყალობის წიგნში – *ბიყრელი ბეგიაშვილი შიას შვილი იასე*. მთლიანად სამწევრიანი ანთროპონიმიული მოდელით არის შედგენილი ქსნის ხეობის 1774 წლის აღწერა: *იღურიძე ქიტიას შვილი გიორგი*, *ზანგურიძე ელისბარას შვილი თულა*, *ბუჯიძე გიორგის შვილი ღვთისავარ*, *დორეული ოსებას შვილი კაცია*, *შერმადინი ქიტიას შვილი იმედა*, *ბუთხუზი პაპუას შვილი ბერი*, *ქენქაძე გამიხარდის შვილი ლუა*, *მიდელაანთ კურდღელას შვილი იმედა*, *კარელიძე ირემას შვილი ძაღლუა*, *თინიკაანთ იმედას შვილი სიხარულა*, *თინიკაანთ ბერის შვილი კაცია*, *ბერიანიძე ცოციას შვილი გამიხარდი*, *ბუნტური გოვიას შვილი ჭიჭა*, *ჯაბაური ქურციკას შვილი გიორგი*, *ბაღხამიანთ ციხელას შვილი დათუნა*, *ჩიტიანთ ფოცხვერას შვილი გამიხარდი და მარტია...*

შუა საუკუნეების საბუთებში წამოდგენილია მხოლოდ მამაკაცის სახელები. მართმადიდებლურ სახელებთან ერთად ქართლში არა ერთსა და ორს ერქვა გამჭვირვალე ქართული სახელიც; ეს სახელებია: *არდაშელ*, *ბაწაწუნი*, *ბახუტა*, *ბედისა*, *ბერა*, *ბერიკა*, *ბერძენა*, *ბეცია*, *ბიძინა*, *გეგელა*, *გელია*, *გელიტა*, *გვიანა*, *გვერტი/გვერტიუა/გვერტიულა*, *გიშერა*, *გლახა*, *გონიერა*, *გუ-*

ლია, ვეფხია, ზებედე, თათარი, თეთრა, თვალია, თვარელი, იაბერი, იანვარა, იმედა, ირემა, კავთელა, კაცია, კიკოლა, კურდღელა, ლარგველი, ლეკვია, ლოთიკა, ლომი, ლომიტა, ლომკაცი, მაისა, მამავული, მამაცა, მამუკა, მანძულა, მარცვალა, მასხარა, მახარებელი, მგელია, მზეჭაბუკ, მორბედა, მღთისავარ, მწვერა, ნანუა, ნასყიდა, ნაღება, ნინია, ნიშა, ობოლა, ოქროპირი, ოქრუა, პაპია, პატარა, პატარკაცი, პერანგა, რუსია, რუხი, საბრალო, სახელა, სიხარულა, ტოტია, ტუხია, ფოცხვერა, ღარიბა, ღვინია, ღონენა, შიუკა, შოშია, ჩეკურა, ციხელა, ცუცუნა, ძაღლია/ძაღლუა, ძულია, ჭაბუკა, ჭანჭურა, წესიარი, წივინია, წიკელია, ხარება, ხატია, ხიზანა, ხოსიტა, ჯეესური, ჯავახ, ჯვარისა, ჯოხნა... ყველა ეს პიროვნული სახელი სინამდვილეში მეტსახელებია. ბუნებრივია, ამ სახელების მატარებლებს ნათლობის დროს ქრისტიანული სახელებიც ჰქონდათ მინიჭებული. მაგრამ რადგანაც ირგვლივ მყოფნი მათ მეორე სახელით/მეტსახელითაც იცნობდნენ, საბუთებში სწორედ ეს სახელები შეჰქონდათ. ზოგიერთ დოკუმენტში პიროვნებები ორივე სახელით – ქრისტიანულითა და მეტსახელით – არიან ჩაწერილი: „ყოყლია ივანე“, „ბღინძი ნინია“, „ბლაძეა იასე“, „შავი დემეტრე“...

ბოლოთქმა

ქართლი საქართველოს ცენტრში მდებარე უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული/ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. ქართლიდან წარმოიქმნა ქვეყნის და ხალხის საერთო სახელწოდება (*ყოველი ქართლი, საქართველო, ქართველი*). მართალია, ქართლის შესახებ საისტორიო და ეთნოგრაფიული გამოკვლევები გაგვანჩნია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ის მეცნიერთა მხრიდან უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს. წინამდებარე წიგნის დაწერის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც კითხვა დაისვა: – რატომ იქცა ქართლი ქართველთა შემკრებლად და გამაერთიანებლად? რატომ მაინცდამაინც ეს მხარე იქცა საქართველოს სახელმწიფოს ცენტრად? რატომ მაინცდამაინც ქართლური დიალექტი დაედო საფუძვლად საერთოქართულ სალიტერატურო, სახელმწიფო და საღვთისმეტყველო ენას? აშკარაა, რომ ქართლებს (ისევე როგორც კახელებს) თავისი თავდაპირველი სიწმინდით ჩვენამდე არ მოუღწევიათ. საგარეო ფაქტორის გამო, ქართლის მოსახლეობა ხშირად იცვლებოდა. შევსებას კი მუდმივად იღებდა საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან – იმერეთიდან, რაჭიდან, სამცხედან, ჯავახეთიდან და ქართლშივე შემავალი მთიულეთიდან, გუდამაყრიდან, ხევიდან, დვალეთიდან, ქსნის ხეობის ზემო წელიდან (ცხრაზმიდან).

ბუნებრივია, დასმულ პრობლემებს რომ სათანადოდ გაცემოდა პასუხი, საჭირო იყო მოკლედ და ზოგადად ქართლის ისტორიასა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებსაც გავცნობოდით, მითუმეტეს, რომ ამ მხრივ ეს მხარე სათანადო მეცნიერულ დონეზეა შესწავლილი. შეუძლებელია არ გავიხსენოთ ორი შესანიშნავი სპეციალისტი *დევი ბერძენიშვილი* და *ჯონდო გვახალია*, რომლებმაც ფუნდამენტური ნაშრომები შექმნეს, პირველმა *ქვემო ქართლის* და მეორემ – *შიდა ქართლის* შესახებ. სწორედ ამიტომ, წინამდებარე წიგნი ავტორის ამ ორი

უფროსი მეგობრის ხსოვნას მიექდვნა. მართალია, ქართველი ხალხი საერთო ქართული ეთნიკური კულტურის მატარებელი იყო, მაგრამ საქართველოს თითოეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს თავისი ორიგინალური წეს-ჩვეულებებიც გააჩნდა, რასაც საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტი, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და ხეობებში ცხოვრება განაპირობებდა. ამიტომაც ქართლზე დაწერილ წიგნში აუცილებელი შეიქმნა საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და თაობიდან თაობაზე გადაცემული ტრადიციების შესახებაც მოკლედ ვკვთქვა.

ავტორი სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ქართლის შესახებ ამომწურავი და სრულყოფილი ნაშრომი შექმნა; პირიქით, მისი დაწერის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ სტიმული მიეცა საქართველოს ცენტრალური მხარის შესახებ სხვა, ახალი, უკეთესი ნაშრომებისა და წიგნების შექმნისათვის. ქართლზე ახალი გამოკვლევების შექმნა იმიტომაცაა აუცილებელი, რომ როგორც ისტორიკოსი *ზაზა აბაშიძე* წერს, „ქართლი იყო ყოველთვის აგრესორთან ბრძოლის მედროშე (ამ მხრივ დიდგორის ომის გახსენებაც საკმარისია – რ. თ.); ქართლი იყო ყოველთვის საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლის მედროშე; ქართლი იყო ყოველთვის ყველა ქართველისათვის ერთიანობის იდეის სიმბოლო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართლი იყო მცხეთა და სვეტიცხოველი – ყოველთა ქართველთა მთავარი სულიერი ცენტრი. ამიტომ, მტრის პირველი დარტყმაც მასზე მოდიოდა, ის უნდა გაეტეხათ უპირველეს ყოვლისა“. „ქართლი „ვით ციხე-ბურჯი მაგარი“ (გრ. ორბელიანი), მართლაც, მთავარი ციხე-სიმაგრე იყო საქართველოსი და მისი მორღვევა, რასაც ასე ეწადდნენ დამპყრობლები, ბოლომდე გადააშენებდა ქართველობას“¹. აუცილებლად უნდა დავამატოთ: ამიტომაც იყო, რომ ყველა ისტორი-

¹ ზ. აბაშიძე, მ. ბახტაძე, საქართველო და ქართველები (საკითხავი წიგნი), ზაზა აბაშიძის რედაქციით, თბ., 2013, გვ. 277.

ულ-ეთნოგრაფიულმა მხარემ, უკლებლად, ერთად იხსნა ქართლი, რადგან ქართლის წაქცევა ყველა მათგანის წაქცევას გამოიწვევდა. დასასრულს ქართველთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და უძვირფასეს წიგნს „ქართლის ცხოვრებასაც“ უნდა შევეხეთ. რატომ დაარქვეს მას ქართველებმა „ქართლის ცხოვრება“ და არა „საქართველოს ცხოვრება“? მხოლოდ იმიტომ რომ ქვეყნის დიდ კულტურულ ცხოვრებას ქართლში ჩაეყარა საფუძველი? ჩვენი პასუხი ასეთია: ამ ფაქტორთან ერთად, მატიანეს ქრონოლოგიაზეც, მისი იდეის გაჩენაზეც შეიძლება ლაპარაკი. ეს იდეა მაშინ გაჩნდა და მისი პრაქტიკული განხორციელება მაშინ დაიწყო, როდესაც ტერმინი „საქართველო“ ჯერ არ არსებობდა და ერთიან ქვეყანას ჯერ კიდევ *ქართლი/ყოველი ქართლი* ეწოდებოდა. ამავე ტრადიციის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“-ც. პოეტი ქართლში ხომ მოელ საქართველოს გულისხმობს!

სარჩევი

შესავალი.....	3
I. ზოგადად ქართლის შესახებ.....	9
II. ქვემო ქართლი (ხეობები, მცირე ტერიტორიული ერთეულები).....	18
III. შიდა ქართლი (ხეობები, მცირე ტერიტორიული ერთეულები).....	57
IV. ქართლი – საქართველოს ცენტრი ქართველი ერის შემკრები და გამაერთიანებელი.....	125
V. „...რომელი ზნეობა და ქართლის წესი იყო“ (ქართლელთა ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ).....	151
<i>ქართლელთა სამეურნეო ყოფა და კულტურა.....</i>	<i>153</i>
<i>ქართლელთა მატერიალური კულტურა.....</i>	<i>185</i>
<i>ქართლელთა სულიერი კულტურა.....</i>	<i>213</i>
<i>სოციალური ურთიერთობები ქართლში</i>	<i>234</i>
<i>მიგრაციული პროცესები, სახელები და გვარსახელები ქართლში.....</i>	<i>250</i>
ბოლოთქმა.....	259



დაიბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში

www.mtsignobari.ge

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. 10; ტელ.: 294 05 71

ქართლი

ბოტა ქართლში გაზაფხული
ააწივანებს სერს და ყანობს,
ცხელი სისხლი ჩაუდგება
სამაჩაბლს, სამუხრანს.
დაშენდება საულეაშე
დოლის ჰურს და ქერის თავთავს,
ქსანზე ნისლად აცურდება
წმიდა სული ერისთავთა.
მუხრანს ზემოთ ერთი შინდა
ბომ ყვაგილობს გამთენია,
ქეთევანის სულის სათხ
ანთებული სანთელია.
მიწას, ასჯერ გადაბუგულს,
თაფზე ადვას სვეტი ნათლის,
ბიბჯვრის წრით სათქმელია:
ზემო,
ქვემო,
შუა ქართლი.
ქართლო, საქართველოს ძირთ!
ქართლო, საქართველოს ფართ! –
არც არავინ გავიტოლო,
ვერც ვერავინ შეგეღაროს.
გადავძახი თონივ მხარეს,
სადაც მზერა გადამიჭანს:
„ საქართველო ქართლით არი!“
ზეტა ამბობს:
„ჭეშმარიტად!“
მეფედ საქართველოსა
არ ითქმოდა არვის ნებით,

თუ სკიპტრას და თქრის გვირგვინს
მცხეთას შენ არ უკურთხებდი.
უწინ ბევრჯერ ნაწამები,
მაინც მუდამ მოქმელი მართლის,
ერის მჩენი, გადამჩენი –
ქართლი,
მშენიერი ქართლი!
მცხეთას ლოცვად დაგიდგები,
ვიმარტვილებ, ვიმარტულებ,
თუ ათას წლებს შენ ასეთი
ემნით გამიზაფხულებ.
დღეისდღესაც ღვაწლი შენი,
მადლი შენი უდევს ღვრიტად,
„საქართველო ქართლით არი!“
ცა მიმოწმებს:
„ჭეშმარიტად!“
მე ვით გეტყვი ანდა ქვეყნად
ღვაწლი შენი ვინ თქვას დათვლით. . .
დედასაქართველოსა,
გული საქართველოსა –
ქართლი,
სათკარი ქართლი!

მანანა ჩიტიშვილი

